პაულო კოელიო

ჭიანურობა

ჯადოქარი

ჰირონ რაიანი

44 წლისა, ჟურნალისტი

არავინ დგამს ანთებულ სანთელს კარს მიღმა, ვინაიდან სანთელი იმისთვის არსებობს, რომ გაანათოს, თვალი აუხილოს ადამიანებს და დაანახვოს ირგვლივ არსებული სასწაულები.

არავინ მიიტანს სამსხვერპლოზე თავის უდიდეს საგანძურს, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

არავინ ანდობს თავის ოცნებებს მათ, ვისაც მათი დამსხვრევა შეუძლია.

ათენას გარდა.

მისი სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგ მისმა ყოფილმა მოძღვარმა მთხოვა, შოტლანდიის ქალაქ პრესტოპანსში გავყოლოდი. იქ, ფეოდალური კანონების შესაბამისად, რაც ერთი თვის შემდეგ ძალადაკარგულად ცნეს, ამნისტია შეეხო ოთხმოცდაერთ ადამიანს (ასევე მათ ძუ და ხვად კატებსაც), რომლებიც დასჯილნი იყვნენ ჯადოქრობისთვის XVI-XVII საუკუნეებში.

ბარონების - პრესტონგრეინჯებისა და დოლფინსტოუნების ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა: „დანაშაულთა უმრავლესობა არ დადასტურებულა და სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი იმ მოწმეთა ჩვენებების მიხედვით გამოიტანა, რომლებიც ირწმუნებოდნენ, ჩვენ შორის ბოროტ სულთა არსებობას ვგრძნობთო“.

რა თქმა უნდა, არ ღირს წარსულის ქექვა და საშინელი ინკვიზაციის გახსენება თავისი საწამებელი საკნებითა და კოცონებით, რომელიც სიძულვილითა და შურისგებით იქნა აბრიალებული. მაგრამ გზაში ედა ერთთავად იმას იმეორებდა, რომ ამ შეწყალებაში იყო რაღაც მისთვის მიუღებელი: რომ ქალაქის ხელისუფლებამ და პრესტონგრეინჯებისა და დოლფინსტოუნების გვარის მეთოთხმეტე ბარონმა ინება და „შეიწყალა“ მხეცურად დახოცილი ადამიანები.

- კარს მოგვდგომია XXI საუკუნე, ნამდვილი დამნაშავეების მემკვიდრეები და შთამომავლები კი, რომელთა კისერზეც სრულიად უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლეა, ფიქრობენ, რომ უფლება აქვთ, „შეიწყალონ“ ისინი. თავადაც ხომ იცი, ჰირონ.

ვიცი რომელია... ძალას იკრებს ახალი ნადირობა ჯადოქრებზე, ოღონდ, ამჯერად გავარვარებული შანთებით კი არა, დაცინვითა და მასხარად აგდებით ამჯობინებენ მოქმედებას. ვინც კი შემთხვევით თავის თავს რაღაც ნიჭს შეამჩნევს და გაბედავს მის გამჟღავნებას, ურწმუნოდ ექცევიან. ამ ადამიანის ქმარი, ცოლი, მამა თუ შვილი კი იმის ნაცვლად, რომ მისით ამაყობდნენ, ამ ფარული ნიჭის გახმაურებას უკრძალავენ, რადგან დევნისა ეშინიათ.

lib.com/groups/elib

ადრე, ათენას გაცნობამდე, ვფიქრობდი, ეს ყველაფერი სასოწარკვეთილებაში მყოფი ადამიანისაგან სარგებლობის ნახვის უპატიოსნო ხერხია-მეთქი. ვამპირებზე დოკუმენტური ფილმის გადასაღებად ტრანსილვანიაში რომ გავემგზავრე, ვაპირებდი მეჩვენებინა, რა იოლია ადამიანების მოტყუება, რადგან ცრუმორწმუნეობა, როგორი სისულელეც არ უნდა იყოს, მაინც ღრმადაა ფესვგადგმული ადამიანში. ამას კი კარგად იყენებენ უსინდისო მანიპულატორები. დრაკულას ციხე-დარბაზის დათვალიერებისას, რომელიც მხოლოდ ტურისტების მოსაზიდად აღედგინათ, შემახვედრეს მთავრობის ერთ-ერთ ჩინოვნიკს. მან საუბარში სიტყვა გადამიკრა, თუკი ფილმს ბი-ბი-სი აჩვენებდა, „მნიშვნელოვან“ საჩუქარს მივიღებდი. ამ კლერკის თვალში მე ლეგენდის გავრცელების იოლი გზა ვიყავი; მითის წარუვალ ღირებულებას თუ ვაღიარებდი, გულუხვად დასაჩუქრების იმედიც უნდა მქონოდა. გიდმა მითხრა, ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს და, როგორადაც უნდა მოიხსენიონ ეს ადგილი - დრაკულას ციხე-დარბაზის დეკორაციად, ამტკიცონ, ვლად დრაკულა ისტორიული პერსონაჟია და ლეგენდასთან არავითარი კავშირი არა აქვსო, ირწმუნებდნენ, ყველაფერი ეს ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფია ვიღაც ირლანდიელისა (ბრემ სტოკერი - რედ. შენიშვ.)[1], რომელიც აქ არასოდეს ყოფილაო, – მისთვის ყველაფერი მაინც სასარგებლოა.

ამ წამიდან მოყოლებული აშკარად მივხვდი, რომ როგორ მკაცრადაც უნდა შემერჩია ფაქტები და როგორ ძლიერადაც უნდა მებრძოლა სიმართლისათვის, მაინც სიცრუის განმტკიცებას შევუწყობდი ხელს; ჩემი ფილმით ამ ადგილისათვის ლეგენდის შარავანდედის მოხსნაც რომ მეცადა, ხალხი მაინც ჯიუტად ირწმუნებდა იმას, რისი რწმენაც სურდა. გიდი მართალი იყო: სინამდვილეში მე რეკლამა უნდა გამეწია, ამიტომაც უარი ვთქვი პროექტზე, თუმცა თანხის დიდი ნაწილი უკვე დახარჯული მქონდა.

და მაინც, გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ტრანსილვანიაში გამგზავრებამ სრულიად შეცვალა ჩემი ცხოვრება - იქ შევხვდი დედის მაძიებელ ათენას. დაუგეგმავმა ცხოვრებამ ერთმანეთს პირისპირ შეგვახვედრა ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი სასტუმროს ულაზათო ჰოლში. მე დავესწარი ათენასა და დრეიდას, იმავე ედას (როგორც თვითონ მოწონს თავის მოხსენიება), პირველ საუბარს. თითქოს შორიდან ვუთვალთვალებდი ჩემს გონებას, როგორ გაემართა გულთან წინასწარ დამარცხებისთვის განწირული ბრძოლა, რათა არ მოვხიბლულიყავი ქალით, რომელიც არ ეკუთვნოდა ჩემს სამყაროს. გავიხარე, ორთაბრძოლაში გულმა რომ გაიმარჯვა, რის შემდეგაც სხვა არაფერი დამრჩენოდა: უნდა დავმორჩილებოდი და ავყოლოდი ყოვლისმომცველ ვნებას.

ამ ვნების წყალობით მოვიხილე ისეთი ჩვეულებები და რიტუალები, რომელთა არსებობაზეც მანამდე არც კი ვეჭვობდი; ვესწრებოდი და პირადად ვუყურებდი, როგორ ვარდებიან ტრანსში. მეგონა, სიყვარული მაბრმავებდა და არ მინდოდა იმის

ჭეშმარიტება მერწმუნა, რაც ჩემ თვალწინ ხდებოდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გავშტერებულიყავი, შევბორკილიყავი და მოძრაობის უნარი წამრთმეოდა, ეჭვი იმ ოკეანისკენ მიმაქანებდა, რომლის არსებობის შესაძლებლობაც მანამდე წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. სწორედ ეს ძალა მეხმარებოდა მძიმე წუთებში, რათა დავპირისპირებოდი ჟურნალისტების ცინიზმს და მეწერა ათენასა და მის საქმიანობაზე. ახლა, თუმცა, ათენა ცოცხალი აღარ არის, სიყვარული ძველებურად ცოცხლობს, მაგრამ სულით და გულით მხოლოდ ერთ რამეზე ვოცნებობ - დავივიწყო, რაც ვნახე და ვისწავლე, რადგან მხოლოდ ათენასთან ხელჩაკიდებულს შემეძლო იმ სამყაროში არსებობა.

ის ბაღები, ის მდინარეები და მთები მისი იყო. ახლა იგი აღარ არის და ძალიან მინდა, რაც შეიძლება მალე ყველაფერი ისევ ძველებურად იყოს; მე სერიოზულად დავინტერესდები დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკით, ქუჩაში მოძრაობის პრობლემებით, მოსახლეობისაგან აკრეფილი გადასახადების არარაციონალური გამოყენებით. მინდა, კვლავ ვირწმუნო, რომ ჯადოსნური სამყარო სხვა არაფერია, თუ არა მარჯვედ მოფიქრებული და კარგად მომზადებული ხრიკი, რომ ადამიანები ცრუმორწმუნეობისკენ არიან მიდრეკილნი და რომ მოვლენებს, რისი ახსნაც მეცნიერებს არ შეუძლიათ, არა აქვთ არსებობის უფლება.

იმ ხანებში, როცა პორტობელო-როუდზე გამართული რიტუალების გამო დიდი უსიამოვნებები დაიწყო, მე და ათენა ხშირად ვკამათობდით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაეჭირა თავი, მაგრამ ახლა მიხარია, რომ არასოდეს მიჯერებდა. შენთვის ძვირფასი ადამიანის დაკარგვის შემდეგ ამ ტრაგედიაში ის მკრთალი იმედი განუგეშებს, რომ შეიძლება ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს.

ყოველდღე ერთი რწმენით ვიძინებ და ვიღვიძებ: კარგიც კია, რომ ათენა ამ ცხოვრებიდან მანამდე წავიდა, სანამ ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში მოხვდებოდა. იმ ამბების დატრიალების შემდეგ, რასაც შეიძლება „პორტობელოელი ჯადოქარი“ ვუწოდოთ, ათენა ვეღარასოდეს მოიპოვებდა სულიერ სიმშვიდეს და მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე თავისი სანუკვარი ოცნებისა და ჩვენი სინამდვილის მტანჯველი დაპირისპირებისათვის უნდა ედევნებინა თვალყური. მის ბუნებას კარგად ვიცნობდი და მჯერა, ბოლომდე იბრძოლებდა, ძალ-ღონეს არ დაიშურებდა იმის დასამტკიცებლად, რასაც არავინ, არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ დაუჯერებდა.

ადვილი შესაძლებელია, იგი ისევე ეძებდა სიკვდილს, როგორც დასაღუპად განწირული ხომალდი კუნძულს ეძებს ოკეანეში. უეჭველია, დიდხანს იდგა ხოლმე უკუნეთ ღამეში მეტროს სადგურებზე და თავდასხმას ელოდა, მაგრამ ამაოდ. ალბათ ლონდონის ყველაზე სახიფათო უბნებშიც დაეხეტებოდა, რათა თავდამსხმელის დანის მსხვერპლი გამხდარიყო, მაგრამ მკვლელი არსად ჩანდა. ის ალბათ ამაოდ ცდილობდა, საკუთარ თავზე გამოეცადა მოძალადეთა სიშმაგე.

ერთხელაც წარმატებით აისრულა განზრახვა და მხეცურად მოკლეს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რომელ ჩვენგანს არ გამოუცდია, რომ ის, რაც ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, რაღაცნაირად ქრება და უჩინარდება? მე მარტო ადამიანებს კი არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ ჩვენს იდეებსა და ოცნებებსაც. შეიძლება ერთ დღეს, ერთ კვირას ან რამდენიმე წელიწადს გავძალიანდეთ, მაგრამ საბოლოოდ მაინც დასაკარგავად ვართ განწირულნი: სხეული ცოცხალი რჩება, სული კი ადრე თუ გვიან სასიკვდილო დარტყმას იგემებს. დიახ, ესაა იდეალური დანაშაული, ვინაიდან ვერასოდეს ვგებულობთ, ვინ და რა მიზეზით მოკლა ჩვენი ყოფიერების სიხარული და სად იმალება დამნაშავე.

ამ დამნაშავეებს, სახელს რომ მალავენ, შეცნობილი თუ აქვთ, რას სჩადიან? ალბათ არა, ვინაიდან თავადვე ხდებიან თავიანთ მიერ შექმნილი სინამდვილის მსხვერპლნი და არა აქვს მნიშვნელობა, დათრგუნულები არიან ისინი თუ თავხედები, უძლურები თუ ძლევამოსილები.

მათ არ ესმით და ვერც ვერასოდეს შეიცნობენ ათენას სამყაროს. ჰო, ასე ითქმის - „ათენას სამყარო“. უნდა ვაღიარო, რომ ათენა ჩვენთან გავლით აღმოჩნდა, თითქოსდა ვიღაცის დახმარებით. გეგონებოდათ, მდიდრულ სასახლეში ცხოვრობდა, უცნაურ საჭმელს ჭამდა, მაგრამ, ამასთან, შეცნობილი ჰქონდა, რომ ეს მხოლოდ ზეიმი იყო, სასახლე სხვას ეკუთვნოდა, ეს ნუგბარი საჭმელებიც მისი ფულით არ იყო შეძენილი და რომ დადგებოდა ჟამი - ჩააქრობდნენ სინათლეს, მასპინძლები დასაძინებლად დაწვებოდნენ, მსახურები თავ-თავიანთ ოთახებს მიაშურებდნენ, კარები დაიკეტებოდა, ჩვენ კი კვლავ ქუჩაში აღმოვჩნდებოდით და დავუცდიდით, ტაქსი თუ ავტობუსი როდის დაგვაბრუნებდა ჩვენს უბადრუკ ყოველდღიურობაში.

მე უკან ვბრუნდები, უფრო სწორად, ჩემი რაღაც ნაწილი უბრუნდება იმ სამყაროს, სადაც მხოლოდ იმას აქვს მნიშვნელობა, რასაც ვხედავთ, ვეხებით და შეგვიძლია მისი განმარტება. მე მინდა კვლავ დამაჯარიმონ გადაჭარბებული სიჩქარისთვის, რიგში ვიდგე ბანკის სარკმელთან, ვწუწუნებდე დროის მუდმივ უკმარისობაზე, ვუყურებდე საშინელებათა ფილმებს და „ფორმულა-1“ -ს. აი, სამყარო, რომელთან ურთიერთობაც მოსჯილი მაქვს სიცოცხლის ბოლო დღეებამდე: ცოლს შევირთავ, მეყოლება შვილები, შორს დარჩება წარსული და იქცევა ნახევრად დავიწყებულ მოგონებად, რათა ბოლოს მაიძულოს, ვიკითხო: ნეტავ რატომ ვიყავი ასეთი ბრმა, რატომ ვიყავი ასეთი გულუბრყვილო?

ისიც ვიცი, რომ დაღამებისთანავე ჩემი არსების მეორე ნახევარი სივრცეში გააგრძელებს ხეტიალს და კონტაქტს დაამყარებს ისეთივე რეალურ საგნებთან, როგორც კოლოფი სიგარეტი ან ჩემ წინ მდგარი ჯინით სავსე ჭიქაა. ჩემი სული ათენას სულთან ერთად იცეკვებს, ერთად ვიქნებით სიზმარში, მერე ცივოფლდასხმულს გამეღვიძება, წავალ სამზარეულოში წყლის დასალევად და მივხვდები: მოჩვენებებთან საბრძოლველად უნდა გამოიყენო ისეთი საგნები, რომლებიც

სინამდვილის ნაწილს არ შეადგენენ. მაშინ მივყვები პაპაჩემის რჩევას - გახსნილ დანას დავდებ ბალიშის ქვეშ, რათა ხელი შევუშალო ცუდი სიზმრის გაგრძელებას.

მეორე დღეს სინანულით შევხედავ დანას, მაგრამ ვერაფერს ვიზამ, ხელახლა უნდა შევეგუო ამ სამყაროს, თორემ სხვაგვარად გავგიჟდები.

ანდრეა მაკკეინი

32 წლის მსახიობი

„არცერთ ადამიანს არ შეუძლია მეორით მანიპულირება. ორივეს გაცნობიერებული აქვს, რასაც აკეთებენ, თუნდაც მერე ერთ-ერთი მათგანი ჩიოდეს, რომ ის გამოიყენეს“.

ასე ამბობდა ათენა, მაგრამ საწინააღმდეგოდ იქცეოდა, რადგან ურცხვად სარგებლობდა ჩემით და ისე მიყენებდა, ჩემს გრძნობებს არაფრად აგდებდა. საქმე უფრო გართულდა, როდესაც მაგიაზე დავიწყეთ საუბარი - ათენა ხომ ჩემი მოძღვარი იყო, ესე იგი, ვალდებულიც, რომ გადმოეცა წმინდა საიდუმლო და აღეძრა ყველა ჩვენგანში მთვლემარე ცხოვრების იდუმალი ძალები. როცა ამ ზღვაში შეცურავ, ბრმად ენდობი შენს თანამგზავრს, რადგან ფიქრობ, რომ მან შენზე მეტი იცის.

მე კი შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ არ იცის! არ იცოდნენ არც ათენამ, არც ედამ და არც მათი წყალობით დაახლოებულმა ადამიანებმა. ათენა მარწმუნებდა, სხვებს რომ ასწავლი, თავადაც სწავლობო. თავდაპირველად ეს არ მჯეროდა, მაგრამ მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ მართლაც ასეა და ეს ერთ-ერთი ხერხი იყო მის მრავალრიცხოვან ხერხთაგან - მოედუნებინა ჩვენი სიფხიზლე და დავმორჩილებოდით მის თილისმას.

ვინც სულიერ ძიებაში არიან ჩართულნი, ფიქრებს არ ნებდებიან, მათ შედეგი აინტერესებთ. მათ სურთ, იგრძნონ საკუთარი ძლიერება, სურთ, გამოირჩეოდნენ უსახო, უპიროვნო უმრავლესობიდან და განსაკუთრებულნი იყვნენ. ათენა კარგად თამაშობდა ადამიანთა გრძნობებით.

ვფიქრობ, ადრე ის უზომოდ იყო აღფრთოვანებული წმინდა ტერეზათი. კათოლიკური რელიგია არ მაინტერესებს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ლიზიელმა კარმელიტმა ღმერთისგან რაღაც მისტიკური თუ ფიზიკური ზიარება მიიღო. ათენამ ერთხელ აღიარა, მინდა ჩემი ბედი წმინდანის ბედს ჰგავდესო, მაგრამ ამ შემთხვევაში მონასტერში უნდა წასულიყო და მთელი ცხოვრება თვითგანჭვრეტისა და ღარიბთა დახმარებისთვის მიეძღვნა. რასაკვირველია, ასე გაცილებით დიდ სარგებლობას მოუტანდა ქვეყნიერებას, უფრო ნაკლებად სახიფათო იქნებოდა ჩვენთვის - იმათთვის, ვისაც მუსიკითა და რაღაც რიტუალების წყალობით გვამყოფებდა განსაკუთრებულ, თავბრუდამხვევ მდგომარეობაში, რის შედეგადაც შეგვეძლო

გვეხილა ყველაზე უფრო საუკეთესო, მაგრამ, ამასთან, ყველაზე უფრო ბილწიც, რაც თითოეული ჩვენგანის სულშია დამალული.

მე ვეძებდი მას, მსურდა, ჩემი ცხოვრების აზრი გამეგო, თუმცა, ჩვენი პირველი შეხვედრისას ამას ვმალავდი. თავიდანვე მივხვდი, რომ ათენას ეს მაინცდამაინც არ აინტერესებდა - მას სურდა სიცოცხლე, ცეკვა, სიყვარული, მოგზაურობა, თავის ირგვლივ ადამიანთა შემოკრება, რათა მათთვის ეჩვენებინა თავისი ნიჭი და სიბრძნე. უყვარდა მეზობელთა გაღიზიანება, სურდა ყველა ამქვეყნიური სიკეთით ტკბობა, თანაც ისე, რომ მის ძიებას სულიერების რაღაც შარავანდედი ეფინებოდა.

მაგიურ რიტუალებზე ვხვდებოდით ერთმანეთს თუ, უბრალოდ, ბარში მივდიოდით, მუდმივად ვგრძნობდი ჩემზე მის ძალაუფლებას, იმდენად ძლიერს, რომ ლამის ფიზიკურად იყო ხელშესახები. თავდაპირველად ეს მხიბლავდა და მინდოდა, ყველაფერში ათენას დავმსგავსებოდი. მაგრამ ერთხელ, რომელიღაც ბარში ყოფნისას, მან სიტყვა ჩამოაგდო „მესამე რიტუალზე“, რაც სექსუალურობას ეხებოდა და ეს ჩაიდინა ჩემი საყვარლის თანდასწრებით. საბაბი - ესწავლებინა ჩემთვის, ნამდვილი მიზანი კი - ეცდუნებინა ადამიანი, რომელიც მიყვარდა.

რა თქმა უნდა, ბოლოს და ბოლოს, ამას მიაღწია.

არ ვარგა ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასულ ადამიანთა ცუდად მოხსენიება. ათენა ვალდებული არ იყო, ანგარიში ჩაებარებინა ჩემთვის - ის პასუხს აგებდა მხოლოდ იმ ძალების წინაშე, რომლებსაც მიმართავდა არა კაცობრიობაში სიკეთის გასამრავლებლად და საკუთარი სულის სრულყოფისათვის, არამედ პირადი გამორჩენის მისაღებად.

ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ ჩვენი ერთობლივი წამოწყება შეიძლება წარმატებით დასრულებულიყო, ათენას რომ არ ჰქონოდა რაღაც სულიერი ექსჰიბიციონიზმის მსგავსი თავის გამოჩენის სწრაფვა. თავი უფრო მოკრძალებულად რომ დაეჭირა, დღეს ერთად შევძლებდით ჩვენი დანიშნულების აღსრულებას, რისთვისაც ვიყავით მოწოდებულნი. მაგრამ არა - მას არ შეეძლო თავშეკავება და თავს ჭეშმარიტების დამცველად მიიჩნევდა, ამასთან, დარწმუნებული იყო, მხოლოდ თავისი ცდუნების ნიჭის წყალობით გადალახავდა ყველა დაბრკოლებას.

რა დაგვრჩა საბოლოოდ? საბოლოოდ მე მარტო დავრჩი. მაგრამ დაწყებული მუშაობის შუაგზაზე მიტოვებას არ ვაპირებ - თუმცა, ხანდახან მწვავედ ვგრძნობ საკუთარ სისუსტეს და ნიადაგ გულგატეხილი და ძალღონეგამოლეული ვარ.

სულ არ მიკვირს, ათენამ სიცოცხლე ასე რომ დაასრულა: ის მუდამ საფრთხეს ეთამაშებოდა. ამბობენ, თითქოს ინტროვერტების ცხოვრება უფრო ბედნიერად აეწყობა ხოლმე, ვიდრე ექსტრავერტებისაო, რომლებიც უბედობის ანაზღაურებას იმით ახერხებენ, რომ ყველას და, მათ შორის, საკუთარ თავსაც, აჩვენებენ, თითქოს ყველაფრით კმაყოფილები არიან, რომ მხიარულებსა და ხალისიანებს, ცხოვრება

მუდამ უღიმით. სხვისი არ ვიცი და ათენასთან დაკავშირებით ეს ნამდვილად სწორია.

ათენა დარწმუნებული იყო თავის ქარიზმაში და ვისაც უყვარდა, ყველას ტანჯვა მიაყენა.

მათ შორის - მეც.

დეიდრა ონილი

37 წლისა, ექიმი, ცნობილია ედას სახელითაც

თუკი ნახევრად უცნობი მამაკაცი დაგვირეკავს, გვეტყვის რამდენიმე არაფრისმთქმელ სიტყვას, მაგრამ ამგვარად გამოხატავს ყურადღებას, რასაც ასე მოკლებულნი ვართ, ადვილი შესაძლებელია, შეგვიყვარდეს და იმავე ღამეს მის საწოლში აღმოვჩნდეთ. დიახ, ასეთები ვართ და აქ არაფერია განსაკუთრებული; ქალის ბუნება ასეთია, ადვილად ვუღებთ სიყვარულს გულის კარს.

19 წლისამ ზუსტად ასეთი სიყვარული განვიცადე დედასთან შეხვედრისას. ათენაც ამავე ასაკისა ჩავარდა პირველად ტრანსში. ამ თანხვედრის გარდა, საერთო არაფერი გვქონია.

დანარჩენი ყველაფრით - უპირველესად, ადამიანებთან დამოკიდებულებით - სავსებით განვსხვავდებოდით ერთმანეთისაგან. როგორც მისი მოძღვარი, ტყავიდან ვძვრებოდი, რათა ჩამომეყალიბებინა მისი შინაგანი ძიება და მიმემართა საჭირო მიმართულებით, როგორც მისი მეგობარი, - დარწმუნებული არა ვარ მასაც მეგობრად თუ მივაჩნდი, - ძალას არ ვიშურებდი, ამეხსნა, რომ სამყარო ჯერ არ იყო მზად იმ ცვლილებისათვის, რისი გამოხმობაც ეწადა. მახსოვს, ზედიზედ რამდენიმე ღამეს არ მეძინა, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი: დაე, იმოქმედოს სრულიად თავისუფლად, მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით-მეთქი.

როგორც დღეს იტყვიან, მისი მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ათენა, XXII საუკუნის ქალი, ცხოვრობდა XXI საუკუნეში და ყველას აძლევდა ამ შეუსაბამობის დანახვის უფლებას. პასუხი აგო თუ არა ამისთვის? რასაკვირველია. მაგრამ ასჯერ ძვირი დაუჯდებოდა, თავისი ჭარბი ენერგიის მოთოკვა და გრძნობათა წყალდიდობიდან გარიყვა რომ შეძლებოდა. მას მოეწამლებოდა სული, გატანჯავდა გულგატეხილობა, ნიადაგ იმაზე იფიქრებდა, „რას იტყვის ხალხიო“, მტკიცებას მოჰყვებოდა, „ჯობია, ჯერ ეს ამოცანები გადავჭრა და ჩემს ოცნებას მერე მივხედოო“, გამუდმებით იწუწუნებდა: „არ არის სათანადო პირობებიო“.

ყველა სრულყოფილ მოძღვარს ეძებს, მაგრამ ისიც ხდება ხოლმე, რომ სიბრძნე უბრალო ადამიანის ბაგიდანაც წარმოითქმება - ამის გაგება და აღიარება ძალზე ძნელია. ისევე ძნელია, როგორც ზღვრის დადება მასწავლებელსა და სწავლას შორის, რიტუალსა და ექსტაზს შორის, სიმბოლოსა და ამ სიმბოლოს მატარებელთა შორის. ტრადიციები ცხოვრების ძალებთანაა დაკავშირებული და არა ამ ტრადიციათა თაობიდან თაობებზე გადამცემ ადამიანებთან. ჩვენ უძლურნი ვართ, ამიტომაც ვთხოვთ დედას, გამოგვიგზავნოს მეგზურები და ხელმძღვანელები და არ მიგვანიშნებდეს მხოლოდ საგზაო ნიშნებზე, რომელთა მიხედვითაც გვევალება სიარული.

და ვაი მას, ვინც მოძღვარს ეძებს და არ არის დახარბებული თავისუფლებას! უზენაეს ენერგიასთან შეხვედრა ყველასთვის შესაძლებელია, მაგრამ მუდამ ხელიდან უსხლტება იმათ, ვინც პასუხისმგებლობას თავს არიდებს და სხვას აკისრებს. ამ დედამიწაზე ჩვენი დრო კურთხეულია, და მის ყოველ წამს უნდა ვდღესასწაულობდეთ.

სულ დავივიწყეთ, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანია; რელიგიური დღესასწაულებიც კი პლაჟზე, პარკში თუ სათხილამურო გასეირნების საბაბად იქცა. აღარ არსებობს რიტუალები. შეუძლებელი გახდა ყოველდღიური მოქმედების წმინდა საიდუმლოდ გადაქცევა. ვამზადებთ საჭმელს, თან ვწუხვართ დროის დაკარგვაზე, მაშინ, როცა შეგვეძლო, საზრდო სიყვარულად გვექცია. ვმუშაობთ და ეს ღვთის რისხვად გვეჩვენება, თუმცა შეგვეძლო, ჩვენი ნიჭი იმისთვის გამოგვეყენებინა, რათა ჩვენც გვესიამოვნა და დედის ენერგიაც გაგვევრცელებინა.

ათენას შეეძლო ჩვენი სულის სიღრმეში დაფარული განძის გამომზეურება და ვერ ხვდებოდა, რომ ადამიანები ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად მის შესაძლებლობათა მისაღებად.

ჩვენ, ქალები, ცხოვრების აზრისა და შემეცნების გზების ძიებისას, თავს ოთხი კლასიკური არქეტიპიდან ერთ-ერთს ვაკუთვნებთ.

ქალწული (სექსუალურობას ფრჩხილებს გარეთ ვტოვებ) თავის თავს აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში ეძიებს და ყველაფერი, რასაც აღწევს, შედეგია მისი უნარისა - მარტომ უპასუხოს გამოწვევებს.

წამებული - გადატანილი ტკივილით, ტანჯვითა და პირად სიკეთეზე უარის თქმით შეიცნობს თავს.

წმინდანი უსაზღვრო სიყვარულში, უანგარო სიკეთის ქმნაში პოულობს თავისი ცხოვრების ჭეშმარიტ აზრს.

და ბოლოს, ჯადოქარი თავის არსებობას ამართლებს ყველაზე სრული, შეუზღუდავი ტკბობის ძიებით.

ათენა ოთხივე ტიპს ითავსებდა, მაშინ როცა ჩვენ იძულებულნი ვართ, ერთ-ერთი მათგანი ამოვირჩიოთ.

რასაკვირველია, შეგვეძლო, ათენას საქციელი გაგვემართლებინა იმით, რომ თითოეული ადამიანი, რომელიც ტრანსში ან ექსტაზში ვარდება, კარგავს სინამდვილესთან კონტაქტს. მაგრამ ეს ხომ ტყუილია. ფიზიკური და სულიერი სამყარო ერთი და იგივეა. მტვრის ყოველ ნაწილაკში შეგვიძლია უფლის სახე დავინახოთ, რაც ხელს სულაც არ გვიშლის, რომ იგი ნოტიო ჩვრით გადავწმინდოთ, მაგრამ, ამასთან, ღვთაებრივი სულაც არ ქრება, იგი მხოლოდ სუფთა ზედაპირად გადაიქცევა.

ათენას მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა. ჩემი მოწაფის ცხოვრებასა და სიკვდილზე ფიქრისას მივხვდი, ცოტა მეც უნდა შევცვალო ჩემი „მოქმედების წესი“.

ლეილა ზეინაბი

64 წლისა, ნუმეროლოგი

ათენა? საინტერესო სახელია! მოითმინეთ... ამ წუთში ჩავხედავ... მისი მაქსიმალური რიცხვი არის ცხრა. ოპტიმისტია, გულღიაა, ადვილად შემგუებელი, უნარი შესწევს, გამოირჩეოდეს ხალხში. მას უახლოვდებიან გაგების, თანაგრძნობის, დიდსულოვნების მაძიებელი ხალხი, ამიტომ ფრთხილად უნდა იყოს, რადგან პოპულარობა შეიძლება თავში აუვარდეს და საბოლოოდ დანაკარგი მოგებაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდება. და კიდევ, ენას კბილი უნდა დააჭიროს, რადგან იმაზე მეტს ლაპარაკობს, ვიდრე საღი აზრი კარნახობს.

მისი მინიმალური რიცხვი თერთმეტია. ვფიქრობ, ლიდერობის პრეტენზია აქვს. აინტერესებს მისტიკა და ამით ცდილობს თავის გარემოცვაში ჰარმონიის შეტანას.

თუმცა, ეს კონფლიქტში შედის რიცხვ ცხრასთან, რომელიც ყალიბდებოდა მისი დაბადების შემდეგ დღეების, თვეებისა და წლების მანძილზე და ერთ ციფრზე დაიყვანებოდა. ის მუდამ შურისა და მწუხარებისკენ იქნება მიდრეკილი; საკუთარ თავზე გულისყურმიპყრობილი, განწყობილების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას. სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ მის შემდგომ ნეგატიურ გამოვლინებას, რაც ნიშანდობლივია მისი ხასიათისთვის - მეტისმეტად პატივმოყვარეა, მოუთმენელი, თავის ძალაუფლებას ბოროტად იყენებს, მიისწრაფვის ექსტრავაგანტურობისკენ.

ამ წინააღმდეგობათა გამო ჯობია, სამოღვაწეოდ ის სფერო აირჩიოს, სადაც აიცილებს ადამიანებთან ემოციურ კონტაქტს. იქნებ ინფორმატიკაში, ანდა მეცნიერებასა და ტექნიკასთან დაკავშირებულ რომელიმე სფეროში ეცადა ბედი.

მოკვდა? მაპატიეთ. მაინც რას საქმიანობდა?

* * *

მაინც რას საქმიანობდა? ცოტა-ცოტათი - ყველაფერს. თუ ეს მოკლედ უნდა განვსაზღვრო, მაშინ, ასე ვიტყოდი: ათენა იყო ქურუმი, რომლისთვისაც ნათელი იყო ბუნების ძალები. შეიძლება, სხვაგვარადაც ითქვას: რაკიღა მას არაფერი ჰქონდა დასაკარგავი და არც არაფერს ელოდა ცხოვრებისგან, ის სხვებზე შორს წავიდა, სხვებზე მეტად რისკავდა და ბოლოს თავად იქცა იმ ძალად, რითაც სურდა მბრძანებლობა.

ის მუშაობდა სუპერმარკეტში, ბანკში, მერე კიდევ სადღაც, მაგრამ მაინც მუდამ ქურუმად რჩებოდა. მასთან რვა წელიწადს ვცხოვრობდი და ჩემი ვალია, აღვადგინო მისი ხსოვნა, მისი პიროვნების განუმეორებლობა.

მონათხრობთა შეკრებისას ყველაზე ძნელი ადამიანების დარწმუნება გახდა, რათა ნება დაერთოთ, ნამდვილი სახელით მომეხსენიებინა ისინი. ერთნი ამბობდნენ, არ გვინდა, გავერიოთ მსგავს ამბავშიო, სხვები ცდილობდნენ, დაემალათ თავიანთი აზრი და გრძნობა. მათ ავუხსენი, რომ ჩემი ჭეშმარიტი განზრახვა იყო, ამ ჩარევით უკეთ ამოეხსნათ ათენა, ანონიმურ დამოწმებებს კი არავინ დაუჯერებდა.

რაკი ყველა გამოკითხული ფიქრობდა, თითქოს ის ფლობდა ერთადერთ საბოლოო ვერსიას თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო ეპიზოდზე, ბოლოს და ბოლოს, ყველა დამეთანხმა. ამ ჩანაწერების შეჯერების შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტება და ეპიზოდების სიმართლე იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გამჭრიახია მთხრობელი. და კიდევ, საკუთარი თავის შესაცნობად არ არსებობს იმაზე საუკეთესო საშუალება, ვიდრე იმისი ცოდნაა, თუ რას ფიქრობენ შენზე სხვები.

ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ იმას გავაკეთებთ, რასაც ჩვენგან ელიან, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უკეთ შევიცნობთ საკუთარ თავს. ესაა ჩემი მოვალეობა ათენას წინაშე. მოვალე ვარ, მისხალ-მისხალ აღვადგინო მისი ამბავი, ხელახლა შევქმნა მისი მითი.

სამირა რ. ხალილი

57 წლისა, დიასახლისი, ათენას დედა

გეთაყვა, ათენას ნუ ეძახით! მისი სახელი შერინია. შერინ ხალილი. ჩემი საყვარელი, სასურველი ქალიშვილი, რომლის ამქვეყნად დაბადება ასე გვინდოდა მე და ჩემს ქმარს!

ცხოვრება სხვაგვარად მოგვექცა - როცა ბედისწერა გულუხვად გვაჯილდოებს, მუდამ აღმოჩნდება ხოლმე ჭა, რომელშიც იძირება ჩვენი ოცნებები.

ბეირუთში ჩვენ იმ დროს ვცხოვრობდით, როცა მას მთელ ახლო აღმოსავლეთში ყველაზე ლამაზ ქალაქად მიიჩნევდნენ. მე და ჩემი ქმარი სიყვარულით დავქორწინდით და შვებულებას მუდამ ევროპაში ვატარებდით. გვყავდა მეგობრების ფართო წრე და ყოველთვის გვეპატიჟებოდნენ მაღალი საზოგადოების მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო ღონისძიებაზე. ერთხელ, წარმოიდგინეთ, ჩვენი ოჯახი თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსაც კი გაუმასპინძლდა. არასოდეს დამავიწყდება ის სამი დღე - პირველ ორ დღეს ჩვენი სახლის თითოეული კუთხე-კუნჭული გაჩხრიკეს საიდუმლო სამსახურის აგენტებმა (ერთი თვით ადრე ისინი ჩვენს უბანში დამკვიდრდნენ, დაიკავეს სტრატეგიულად მომგებიანი პოზიციები, დაიქირავეს ბინები და უთვალთვალებდნენ ღარიბული შესახედაობის ხალხს თუ შეყვარებულებს), მესამე დღეს კი, უფრო სწორად, დღის 2 საათზე, ზეიმი გავმართეთ. აშკარად მახსოვს ჩვენი მეგობრების თვალებში გამკრთალი შური, სურათს რომ ვიღებდი პლანეტის ყველაზე ძლევამოსილ ადამიანთან.

ჩვენ ყველაფერი გვქონდა, მხოლოდ შვილები გვაკლდა, რაზედაც ასე გულმხურვალედ, მაგრამ ამაოდ ვოცნებობდით.

თითქმის ყველაფერი ვცადეთ: აღთქმას ვდებდით, დავდიოდით სასწაულმოქმედ ადგილებში, ვისმენდით ექიმების კონსულტაციებს, ვნახულობდით ექიმბაშებს, ვსვამდით პატენტიანსა თუ შინაურ სამკურნალო წამლებს, ორჯერ ვცადე ხელოვნურად განაყოფიერება, მაგრამ ორჯერვე მუცელი მომეშალა, მეორედ მარცხენა საკვერცხე ამომაჭრეს, ამის შემდეგ არც ერთმა ექიმმა აღარ მირჩია მსგავს რისკზე წასვლა.

მაშინ ჩვენი მრავალრიცხოვანი მეგობრებიდან ერთ-ერთმა, ვინც იცოდა ამბავი, გვირჩია, ბავშვი გვეშვილა. გვითხრა, კავშირები მაქვს რუმინეთთან და ვეცდები, საქმე დავაჩქაროო.

ერთი თვის შემდეგ გავფრინდით ბუქარესტში. ჩვენს მეგობარს რაღაც მნიშვნელოვანი მოლაპარაკება ჰქონდა ქვეყნის მაშინდელ მმართველ დიქტატორთან, დამავიწყდა მისი სახელი (ნიკოლაე ჩაუშესკუ, რედ. შენიშვ.), ასე რომ, ყოველგვარი ბიუროკრატიული საქმის გაჯანჯლება თავიდან ავიცილეთ და დაუბრკოლებლივ აღმოვჩნდით ტრანსილვანიის ქალაქ სიბიუში მდებარე ბავშვთა სახლში. იქ გველოდებოდა ყავა, სიგარეტი, მინერალური წყალი, არაყი და უკვე ხელმოწერილი საბუთები. მხოლოდ ბავშვის ამორჩევაღა გვრჩებოდა.

შეგვიყვანეს ძალიან ცივ ოთახში, სადაც ბავშვების საწოლები იდგა. ვცდილობდი, გამეგო, როგორ შეეძლოთ დედებს საკუთარი შვილების მიტოვება და პირველი, რაც განვიზრახე, იყო ის, რომ უკლებლივ ყველა წამეყვანა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ამდენი მზე და თავისუფლებაა. მაგრამ მაშინვე მივხვდი, ეს უგუნური იდეა იყო, და მე და ჩემმა ქმარმა საწოლებს შორის დავიწყეთ სიარული. ჩვილები ერთხმად ტიროდნენ. მისაღები გადაწყვეტილების მნიშვნელობა თავზარს გვცემდა.

მთელი საათის განმავლობაში სიტყვა არ დაგვიძრავს. გამოვდიოდით მისაღებში, სიგარეტს ვეწეოდით, ყავას ვსვამდით და უკანვე ვბრუნდებოდით. ასე განმეორდა რამდენჯერმე. შევამჩნიე, რომ თანამშრომელს, რომელსაც ჩვენი მომსახურება ევალებოდა, მოუთმენლობა დაეტყო. მივხვდი, გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიმეღო, მაშინ ინსტინქტს დავემორჩილე, რომელსაც, გავბედავ და დედობრივ ინსტინქტს ვუწოდებ, და თითქოს საკუთარი შვილი მეპოვოს უცნობი ქალის მიერ ხორცშესხმულ, მუცლით ნატარებ და გაჩენილ არსებაში, ერთ საწოლზე მივუთითე, რომელშიც გოგონა იწვა.

იმავე თანამშრომელმა, ასე რომ ეტყობოდა მოუთმენლობა, შემოგვთავაზა, კიდევ გვეფიქრა, მაგრამ მე უკვე არჩეული მყავდა.

დაშოშმინებულმა თანამშრომელმა ფრთხილად, ისე, რომ არ შეხებოდა ჩემს გრძნობებს (იცოდა რუმინეთის მთავრობასთან ჩვენი კავშირის შესახებ), ჩემი ქმრის ფარულად ყურში ჩამჩურჩულა.

- სიკეთეს არ მოგიტანთ. დედამისი ბოშაა.

მე ვუპასუხე, რომ კულტურა გენებში არ არის ჩადებული და სამი თვის გოგონა ჩვენი ქალიშვილი რომ გახდება, საკუთარ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებზე აღვზრდით: ივლის იმავე ეკლესიაში, სადაც ჩვენ დავდივართ; გაირუჯება იმ პლაჟზე, სადაც ჩვენ გვიყვარს ყოფნა; თავის პირველ წიგნს ფრანგულად წაიკითხავს; ხოლო როცა დრო დადგება, ბეირუთის ამერიკულ სკოლაში შევა. მაშინ არაფერი ვიცოდი ბოშათა კულტურაზე, თუმცა მაინცდამაინც არც დღეს გამეგება რამე. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ ბოშები მოხეტიალე ხალხი იყო, იშვიათად ბანაობდნენ, ადამიანებს ატყუებდნენ და დიდ საყურეებს ატარებდნენ. მათზე ამბობენ, ბავშვებს იპარავენო, ამჯერად კი სწორედაც რომ საპირისპირო რამ მოხდა: ბავშვი მიგდებული აღმოჩნდა - თითქოს იმიტომ, რომ მასზე მე მეზრუნა.

თანამშრომელი დიდხანს ცდილობდა ჩემს გადარწმუნებას, მაგრამ საბუთებზე ხელი მაინც მოვაწერე. ბეირუთში დაბრუნებულს სამყარო შეცვლილი მეჩვენა. ღმერთმა ჩემი ყოფა აზრიანი გახადა, ახლა უკვე ვიცოდი რისი გულისთვის უნდა მეცხოვრა და რატომ უნდა შევჭიდებოდი ამქვეყნიურ ჭირ-ვარამს.

შერინი ჭკვიანი და ლამაზი გოგო დადგა. უეჭველია, ყველა მშობელი ასე ამბობს თავის შვილზე, მაგრამ ჩემი გოგონა მართლა გამონაკლისი იყო. ხუთი წლისა რომ

გახდა, ერთ-ერთმა ჩემმა ძმამ მირჩია, ოდესმე შენმა გოგონამ საზღვარგარეთ წასვლა და მუშაობა რომ მოინდომოს, სახელი მის წარმომავლობას გასცემს, ამიტომ უმჯობესია, თუ ნეიტრალურ სახელს დავარქმევთ, თუნდაც, მაგალითად, ათენასო. მაშინ არც კი ვიცოდი, რომ ეს არა მარტო საბერძნეთის დედაქალაქის, არამედ სიბრძნის ქალღმერთის სახელიც იყო. ამასთან ომისაც.

შესაძლოა ჩემმა ძმამ ეს იცოდა, გარდა ამისა, მშვენივრად ერკვეოდა იმაშიც, რა პრობლემა შეიძლებოდა შექმნოდა მომავალში არაბულ სახელს: ის პოლიტიკოსი იყო და სურდა თავისი დისშვილი იმ მოსალოდნელი უბედურებისგან დაეცვა, რომელიც შავ ღრუბლებად უკვე შეყრილიყო ჰორიზონტზე და რომელსაც მხოლოდ ის ამჩნევდა. ყველაზე გასაკვირი ის იყო, რომ შერინს მოეწონა სიტყვის ჟღერადობა და თავს უკვე „ათენას“ ეძახდა. მისი გადარწმუნება ვერ შევძელით, ჩვენც, მისთვის რომ გვესიამოვნებინა, დავეთანხმეთ იმ იმედით, რომ გატაცება ჩქარა გაუვლიდა.

შეიძლება თუ არა, სახელმა ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ცხოვრებაზე? დრო გადიოდა, ჩვენც შევეჩვიეთ ამ სახელს.

თორმეტი წლისა რომ გახდა, გამოირკვა, რომ ათენა ძალზე რელიგიური იყო: ყოველდღე დადიოდა ეკლესიაში, ზეპირად იცოდა საღვთო წერილი და ეს ერთდროულად მადლიც იყო და წყევლაც. მე მაშინებდა ჩემი ქალიშვილის ბედი იმ სამყაროში, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად იხლიჩებოდა რელიგიური შუღლის გამო. იმ ხანებში შერინს არაერთხელ უთქვამს ჩვენთვის, - თითქოსდა ეს თავისთავად ცხადი რამ ყოფილიყოს, - რომ მას ჰყავდა უხილავ მეგობართა მთელი დასი - ანგელოზები და წმინდანები, ისინი, ვის გამოსახულებებსაც ეკლესიაში ვხედავთ. ყველა ბავშვს აქვს ხილვები, რასაც გარკვეული ასაკის შემდეგ ივიწყებს. ბავშვებს მიდრეკილება აქვთ, გაასულიერონ თავიანთი თოჯინები და პლუშის დათუნიები, მაგრამ ერთხელ, როცა შერინს სკოლაში მივაკითხე და მითხრა, „თეთრებში ჩაცმული ქალი გამომეცხადა, რომელიც ქალწულ მარიამს ჰგავდაო“, მივხვდი, ეს მეტისმეტი იყო.

რასაკვირველია, მჯერა ანგელოზებისა. მჯერა, რომ ისინი ელაპარაკებიან პატარა ბავშვებს, მაგრამ როცა ეს მოზარდებს ემართებათ, რაღაც ისე ვერ არის. მახსოვს რამდენიმე შემთხვევა, მწყემსებს თუ გლეხებს, რომლებიც ირწმუნებოდნენ თეთრტანსაცმლიანი ქალი ვნახეთო, როგორ დაენგრათ ცხოვრება, რადგან მათ სასწაულის დაუოკებელი წყურვილით ატანილი ხალხი მიაწყდა, მღვდლები შეწუხებულნი იყვნენ, სოფელში კი ათასობით მომლოცველმა იწყო დენა. საბრალოებმა სიცოცხლე მონასტერში დაასრულეს. ყველაფერი ეს ძალზე მაშფოთებდა. ასეთ ასაკში გოგონას უნდა აინტერესებდეს დახვეწილი მაკიაჟი, ფრჩხილების შეღებვა, ტელევიზიით გადმოცემული ამაღელვებელი სერიალები, ათენა კი სულ სხვაგვარად იქცეოდა. ამიტომაც მივმართე სპეციალისტს.

- ტყუილად ღელავთ, - მითხრა მან.

ბავშვთა ფსიქოლოგიის მცოდნე ექიმმა პედიატრმა მითხრა, უხილავი მეგობრები მხოლოდ და მხოლოდ სიზმრის პროექციაა, რაც ბავშვს საშუალებას აძლევს, გამოავლინოს თავისი სურვილები, გამოთქვას გრძნობა, ასე რომ, საშიში არაფერიაო.

- კეთილი, მაგრამ თეთრტანსაცმლიანი ქალის ზმანება რაღას უნდა ნიშნავდეს? - ვკითხე მე.

ამაზე ასე მიპასუხა: საქმე ისაა, რომ შეიძლება სამყაროზე თქვენი და თქვენი ქმრის შეხედულება შერინისათვის ცოტა უცხოა და თქვენი ახსნა-განმარტებანი არ აკმაყოფილებსო. ამიტომ გვირჩია, თანდათანობით ნიადაგი შეგვემზადებინა იმის სათქმელად, რომ ის ნაშვილები იყო. ექიმის აზრით, ყველაზე საშინელი ის იქნებოდა, გოგონა თავად რომ მიმხვდარიყო ამას - ამ შემთხვევაში იგი დაკარგავდა ყველაფრის რწმენას და შეიძლება, გაუთვალისწინებელი რამ ჩაედინა.

ამ დღიდან ჩვენს გოგონას სხვაგვარად დავუწყეთ საუბარი. არ ვიცი, ადამიანის მეხსიერება ინახავს თუ არა იმის ხსოვნას, რასაც „ყოფა-ცხოვრების პირველი შთაბეჭდილებები“ ჰქვია, მაგრამ მე და ჩემი ქმარი, როგორც შეგვეძლო, ვცდილობდით, შერინისათვის დაგვენახვებინა, რომ იგი გვიყვარდა, თანაც ისე ძლიერ, რომ სულაც არ სჭირდებოდა, თავშესაფარი ეძია წარმოსახვით სამყაროში, უნდა ერწმუნა, რომ ხილული სამყაროც მშვენიერია, დედ-მამა კი ყოველგვარი საფრთხისგან დაიფარავდა. ბეირუთი ლამაზი ქალაქი იყო, პლაჟი - მზითა და ხალხით სავსე. „თეთტრანსაცმლიან ქალთან“ პირისპირ შეყრის შიშით, ჩემს ქალიშვილს გაცილებით მეტ დროს ვუთმობდი - სახლში ვიწვევდი მის თანაკლასელებს და ყოველდღე ვცდილობდი, ალერსი არ მომეკლო მისთვის.

ამან ნაყოფი გამოიღო, უფრო მეტიც, ჩემი ქმარი მივლინებაში რომ მიდიოდა, შერინს უკვე ენატრებოდა ხოლმე. სიყვარულის სახელით, ვეცადე, ჩემი ქმრის ცხოვრების სტილი შემეცვალა და ახლა სამნი ერთად უფრო მეტ დროს ვატარებდით.

ყველაფერი კარგად იყო. მაგრამ ერთ ღამეს შერინი ჩემს საძინებელში შემოვარდა და მითხრა, ძალიან მეშინია, სულ ახლოს ვგრძნობ ჯოჯოხეთსო.

ჩემი ქმარი ისევ მივლინებაში იყო და თავდაპირველად გავიფიქრე, ალბათ, მამასთან განშორებამ ჩააგდო-მეთქი სასოწარკვეთილებაში. მაგრამ რა შუაში იყო ჯოჯოხეთის ახლოს ყოფნა? ვიფიქრე, იქნებ სკოლაში ან ეკლესიაში მოისმინა-მეთქი მსგავსი რამ. გადავწყვიტე, მეორე დღესვე წავსულიყავი მასწავლებელთან.

ამ დროს კი შერინი უნუგეშოდ ქვითინებდა. მაშინ ფანჯარასთან მივიყვანე, დავანახე სავსე მთვარით განათებული ხმელთაშუა ზღვა, ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავები, ჩვენი ფანჯრის წინ ბულვარზე მოსეირნე ხალხი და ვცადე, დამემშვიდებინა, ის კი მთელი ტანით ცახცახებდა და ისევ მწარედ ქვითინებდა. ნახევარი საათი ამაოდ ვამშვიდებდი, ბოლოს მოთმინება დავკარგე და ვუყვირე, შეეწყვიტა ტირილი. მერე

ვიფიქრე, რომ შეიძლება ეს თვიურის დაწყების ბრალი იყო და ვკითხე, სისხლი ხომ არ ნახე-მეთქი.

- ბევრი... ბევრი სისხლი, - მიპასუხა მან.

ბამბა მოვიტანე და ვთხოვე, დაწოლილიყო, რათა მეწამლა მისი „ჭრილობისთვის“, თან ვფიქრობდი, მეორე დღეს ამეხსნა ყველაფერი, მაგრამ მენსტრუაცია არ ჰქონდა. შერინმა ერთხანს კიდევ იტირა, მაგრამ მალევე დაიღალა და დაეძინა.

დილით კი სისხლი დაიღვარა.

ოთხი ადამიანი მოკლეს. ამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია, - ეს მორიგი ეპიზოდი იყო ტომთა შორის დაუსრულებელი შუღლისა, რომელსაც ჩვენ, ლიბანელები, კარგა ხანია, მივეჩვიეთ. შერინს კი ამ ამბისთვის საერთოდ არ მიუქცევია ყურადღება, რადგან სულ აღარ ახსოვდა თავისი ღამის კოშმარი.

თუმცა, იმ დღიდან მოკიდებული, ჯოჯოხეთს სულ ახლოს ვგრძნობდით და არც აღარასოდეს დაგვშორებია. იმავე დღეს, იმ ოთხი მოკლულის შურის საძიებლად, ოცდაექვსი პალესტინელით სავსე ავტობუსი ააფეთქეს. ერთი დღე-ღამის შემდეგ ქუჩაში გავლა შეუძლებელი იყო - ყველგან სროლა ისმოდა. სკოლები დაიხურა. შერინი შინ ერთ-ერთმა მასწავლებელმა მოიყვანა. ჩემმა ქმარმა შეწყვიტა მივლინება, ბეირუთში დაბრუნდა, სათითაოდ დაურეკა თავის მაღალი თანამდებობის მეგობრებს, მაგრამ დამაჯერებელი ვერავინ ვერაფერი უთხრა. - სიტუაციას ვეღარავინ აკონტროლებდა. შერინს ესმოდა სროლის ხმა; ესმოდა, როგორ ყვიროდა ჩემი ქმარი ტელეფონზე, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, სიტყვას არ ძრავდა. მე ვეუბნებოდი, მალე ყველაფერი დამთავრდება და კვლავ შევძლებთ პლაჟზე წასვლას-მეთქი, ის კი თვალს მარიდებდა, ან წიგნს მთხოვდა, ან ფირფიტებს. სანამ ჯოჯოხეთი ძალაუფლებას იხვეჭდა, შერინი კითხვით ან მუსიკის მოსმენით ერთობოდა.

გულდამძიმებული ვარ, გამიგეთ. აღარ შემიძლია ამაზე ფიქრი. არ მინდა ვიცოდე, ვინ იყო მაშინ მართალი და ვინ - დამნაშავე, აღარ მინდა იმ ყოველდღიური ტერორის გახსენება. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ კიდევ რამდენიმე თვის შემდეგ ქუჩის მეორე მხარეს გადასასვლელად უნდა ჩამჯდარიყავით გემში, მისულიყავით კვიპროსამდე. იქ მეორე გემზე გადამჯდარიყავით და ქუჩის მეორე მხარეს ასე მიგეღწიათ.

თითქმის მთელი წელიწადი ჩაკეტილში გავატარეთ, ვიცდიდით, ქვეყანაში უკეთესობისკენ როდის შეიცვლებოდა სიტუაცია, როდის დაამყარებდა მთავრობა წესრიგს, მაგრამ ერთ დილით შერინმა, თავის პატარა ფირსაკრავით მუსიკას რომ უსმენდა, რამდენიმე საცეკვაო პა გააკეთა და დაიწყო მტკიცება, ყველაფერი ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდებაო.

მინდოდა, შემეჩერებინა, მაგრამ ჩემმა ქმარმა არ დამანება: ეტყობა, ის ყურადღებით უსმენდა შერინის სიტყვებს და მნიშვნელოვნადაც ეჩვენებოდა. ვერ გამიგია, ახლა მაინც რატომ არ ვმსჯელობთ ამ თემაზე, რატომაა ეს აკრძალული.

მეორე დღეს ჩემმა ქმარმა მოულოდნელად ქვეყნიდან წასასვლელად დაიწყო მზადება, ორი კვირის შემდეგ უკვე ლონდონში ვიყავით. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ, თუმცა ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, სამოქალაქო ომის ორი წლის მანძილზე (1974-1975 - რედ. შენიშვ.) დაახლოებით 44 ათასი ადამიანი დაიღუპა, 180 ათასი დაიჭრა, ათიათასობით კი - უსახლკაროდ დარჩა. ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა, მერე ქვეყანა უცხო ქვეყნის მეომრებმა დაიკავეს და ჯოჯოხეთი დღემდე არ დასრულებულა.

„ეს გაგრძელდება დიდხანს... ძალიან დიდხანს“, - თქვა მაშინ შერინმა და, სამწუხაროდ, მართალი გამოდგა.

ლუკას იესენ-პეტერსენი

32 წლისა, ინჟინერი, ყოფილი ქმარი

ათენამ ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე იცოდა, რომ ნაშვილები იყო. ერთხელ, მაშინ ცხრამეტი წლისა იქნებოდა, უნივერსიტეტის კაფეტერიაში კინაღამ ჩხუბი ატეხა. ვიღაცამ იფიქრა, რომ ათენა ინგლისელი იყო (სწორი თმა ჰქონდა, ღია ფერის კანი, მომწვანო-მონაცრისფრო თვალები) და თავს უფლება მისცა, აუგად მოეხსენიებინა ახლო აღმოსავლეთი.

სემესტრის პირველი დღე იდგა. ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით თანაკურსელებზე. ერთი გოგონა უცებ წამოხტა, საყელოში სწვდა მეორეს და გააფთრებით უყვირა:

- რასისტო!

დავინახე ამ გოგონას გამწარებული სახე, სტუდენტების გაურკვეველი გამომეტყველება, რადგან ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა. მე უფროს კურსზე ვსწავლობდი, ამიტომ ვიცოდი, რომ ამას შედეგად მოჰყვებოდა რექტორის კაბინეტში გამოძახება, საქმის გარჩევა, შესაძლოა, უნივერსიტეტიდან გარიცხვაც, პოლიციის ძიება და ათასი სხვა რამ; ყველა წაგებული დარჩებოდა.

- მოკეტე! - ვიყვირე გაუცნობიერებლად.

არც ერთ მოჩხუბარ გოგონას არ ვიცნობდი, თანაც, გარდა ამისა, თავი სულაც არ მიმაჩნია მშვიდობისმყოფელად და კაცობრიობის გადამრჩენელად, ახალგაზრდებს

შორის ჩხუბი კი ჩვეულებრივი ამბავია. ხომ ვამბობ, ჩემი ყვირილი სპონტანური რეაქცია იყო.

- შეწყვიტე! - მივმართე სკანდალის წამომწყებს.

ლამაზი გოგონა იყო, ისევე, როგორც მისი მსხვერპლი. იგი თვალებანთებული მომიბრუნდა და ერთ წუთში ყველაფერი შეიცვალა. მან გამიღიმა, თანაც ისე, რომ მეორე გოგონასთვის ხელი არ გაუშვია.

- შენ დაგავიწყდა ჯადოსნური სიტყვა.

ყველამ გაიცინა.

- შეწყვიტე, გეთაყვა, - მივმართე მე.

მან ხელი შეუშვა გოგონას და ჩემკენ გამოემართა. ყველამ თვალი გამოაყოლა.

- თავაზიანი კი ხარ, მაგრამ სიგარეტი თუ გაქვს?

სიგარეტის კოლოფი გავუწოდე და გარეთ გამოვედით. გაშმაგებამ უცებ გაუარა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი იცინოდა, მესაუბრებოდა ამინდის ჭირვეულობაზე, მეკითხებოდა, რომელი პოპ-ჯგუფი მომწონდა. მეცადინეობის დაწყების მაუწყებელი ზარი დაირეკა, მაგრამ არაფრად ჩამიგდია ის, რასაც მთელი ცხოვრება ვსწავლობდი - ეს იყო დისციპლინის დაცვა. ჩვენ ისე გავაგრძელეთ მასლაათი, თითქოს აღარ არსებობდა არც უნივერსიტეტი, არც ცოტა ხნის წინათ კაფეტერიაში გამართული ჩხუბი, არც ქარი, არც მზე - არაფერი ამ მონაცრისფროთვალებიანი გოგონას გარდა, რომელიც სრულიად უინტერესო და უსარგებლო რამეებზე მელაპარაკებოდა, მაგრამ შეეძლო, სიცოცხლის ბოლომდე მივეჯაჭვე.

ორი საათის შემდეგ ერთად ვსადილობდით, შვიდი საათის მერე ბარში ვისხედით, ვვახშმობდით და ვსვამდით იმას, რისი შესაძლებლობაც გვქონდა. ჩვენი საუბარი თანდათან უფრო სერიოზული ხდებოდა. სულ მალე ლამის მთელი მისი ცხოვრება ვიცოდი, თანაც ისე, არც გამომიკითხავს: ათენა მიყვებოდა თავის ბავშვობასა და ყრმობაზე. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ასე იქცეოდა ყველგან და ყველასთან, მაგრამ იმ დღეს მეგონა, რომ მე მთელი საკაცეთიდან გამომარჩიეს და ყველას მამჯობინეს.

ლიბანის სამოქალაქო ომის გამო ლონდონში ლტოლვილად ჩამოსულიყო. მამამისი ქრისტიანი მარონიტი იყო (მარონიტები - კათოლიციზმის ერთ-ერთი შტოს მიმდევრები - მისი დოგმატიკა ახლოსაა კათოლიკურთან, მაგრამ მღვდლები არ იცავენ ცელიბატს. ღვთისმსახურება კი ასირიულ ენაზე მიმდინარეობს. - რედ. შენიშვ.). იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთავრობის მაღალ ეშელონებთან, მაგრამ სიკვდილის რეალური საფრთხის მიუხედავად, ემიგრაციაში წასვლა მანამდე არ ისურვა, სანამ ათენამ შემთხვევით არ მოისმინა მამის ტელეფონზე საუბარი და არ

გადაწყვიტა - უკვე დიდი ვარ, დროა, შევასრულო შვილის მოვალეობა და დავიცვა ისინი, ვინც მიყვარსო.

ათენა რაღაც ცეკვისმაგვარს ასრულებდა, ამასთან, თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ტრანსში ჩავარდა (ამ ხელოვნებას იგი კოლეჯში დაეუფლა, სადაც წმინდანთა ცხოვრებას სწავლობდნენ) და წინასწარმეტყველება დაიწყო. არ ვიცი, როგორ მოახერხა მოზარდმა გოგონამ უფროსებს მის სიტყვაზე გადაწყვეტილება მიეღოთ, მაგრამ ათენამ დააჯერა ცრუმორწმუნე მამა, რომ ამით იხსნიდა თავისი ოჯახის სიცოცხლეს.

ლონდონში ისინი ჩამოვიდნენ როგორც ლტოლვილები და არა როგორც ღატაკები. ლიბანის დიასპორა მთელ მსოფლიოშია მიმოფანტული, ასე რომ, ათენას მამამ მალე შეძლო საქმისა და ცხოვრების აწყობა. ათენას შეეძლო საუკეთესო სკოლაში ევლო, ესწავლა ცეკვები (ეს მისი ჭეშმარიტი გატაცება იყო), მერე კი არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩაებარებინა.

ერთხელ ლონდონში მშობლებმა ათენა სავახშმოდ წაიყვანეს ყველაზე მდიდრულ რესტორანში და რაც შეიძლება ფრთხილად უთხრეს, რომ ის მათი ღვიძლი შვილი არ იყო. ათენამ ყასიდად გაიკვირვა, მერე დედ-მამა გადაკოცნა და უთხრა, ამით არაფერი არ იცვლებაო.

ეს ამბავი მისთვის ახალი არ ყოფილა - რამდენიმე ხნის წინათ სიძულვილით ატანილმა ოჯახის ერთმა მეგობარმა მიახალა: „უმადურო ნაშვილებო, შენ არა ხარ მათი ნამდვილი შვილი, ეტყობა, ამიტომაც არ იცი, სად როგორ მოიქცეო!“ ათენამ მას საფერფლე ესროლა, ორ დღე-ღამეს თავის ოთახში იყო ჩაკეტილი და ტიროდა, მერე კი ამ გარემოებასაც ნორმალურად შეხედა. ოჯახის მეგობარს კი მთელი სიცოცხლე ემჩნეოდა ნაიარევი, რომლის წარმომავლობის ნამდვილ მიზეზს ვერ ამხელდა, ამიტომ ცრუობდა, თითქოს ქუჩაში მძარცველები დაესხნენ თავს.

პაემანი რომ დავუნიშნე, ათენამ პირდაპირ და უბრალოდ განმიცხადა, ქალწული ვარო, კვირაობით ეკლესიაში დავდივარ, სასიყვარულო რომანებს არ ვკითხულობ, ამას ახლო აღმოსავლეთში არსებულ სიტუაციაზე დაწერილი ნაირ-ნაირი ლიტერატურის კითხვა მირჩევნიაო.

მაშასადამე, მოუცლელია, მეტისმეტად მოუცლელი.

- ფიქრობენ, თითქოს ქალების ერთადერთი მიზანი გათხოვება და ბავშვების გაჩენაა. შენ კი, ჩემი ამბების მოსმენის შემდეგ, უეჭველად გეგონება, რომ ძალიან უბედური ვარ. ეს აბდა-უბდა კარგად გამეგება - ბევრმა მამაკაცმა ჩამომიგდო სიტყვა, რომ ჩემი „დაცვა“ სურთ. ოღონდ ერთი რამ ავიწყდებათ, ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან ისე ხდებოდა, რომ მეომრები ლაშქრობიდან უკან ან ფარზე დასვენებულნი ბრუნდებოდნენ, ან ფარითა და საბრძოლო ნაიარევებით. ასე რომ, მე დაბადებიდან

ბრძოლის ველზე ვარ, ჯერ ვცოცხლობ და დამცველი არა მჭირდება, - მითხრა ათენამ.

მცირე დუმილის შემდეგ დაამატა:

- ხედავ, რა განათლებული ვარ?

- ვხედავ, მაგრამ იმასაც ვხედავ, როცა შენზე სუსტს ერჩი, ნამდვილად გჭირდება დაცვა. ეს შემთხვევა შეიძლება უნივერსიტეტის დიპლომის ფასად დაგჯდომოდა.

- მართალი ხარ. და ვღებულობ შენს მიპატიჟებას.

ამ დღიდან რეგულარულად ვხვდებოდით და რაც უფრო ვუახლოვდებოდით ერთმანეთს, მით უფრო ნათლად ვგრძნობდი საკუთარ სამყაროს, რადგან ათენამ ჩემში გამოამჟღავნა ყველაზე საუკეთესო. ის ვერ იტანდა მაგიაზე ან ეზოტერიკაზე დაწერილ წიგნებს, ამბობდა, ყველაფერი ეს ეშმაკეულია, ერთადერთი ხსნა იესოშიაო; მაგრამ ხანდახან ისეთ აზრებსაც გამოთქვამდა, რაც არცთუ მთლად ეთანხმებოდა კათოლიკურ დოგმატებს.

- ქრისტეს გარს ეხვია მათხოვრები, მეძავები, გაჭირვებულები, მეთევზეები, ვფიქრობ, ამით სურდა, ადამიანებისთვის შთაეგონებინა, რომ ღვთიური ნაპერწკალი ყველა ადამიანის სულშია და მისი ჩაქრობა არ შეიძლება. როდესაც ვმშვიდდები, ან, პირიქით, რაღაცით საშინლად ვარ აღელვებული, ვგრძნობ, როგორ რეზონანსს იძლევა მთელი სამყარო და ჰყვება ჩემს ტაქტს. ამ დროს ცხადი ხდება შეუცნობადი - და თითქოს თავად უფალი მართავს ჩემს ნაბიჯებს. ასეთ წუთებში ყველაფერი ნათელი და გარკვეული მეჩვენება.

ათენა ყოველთვის ორ პარალელურ სამყაროში ცხოვრობდა: ერთი ჭეშმარიტად არსებული სამყარო იყო, მეორე კი საკუთარი რწმენით შთაგონებული.

თითქმის მთელი ერთი სემესტრის შემდეგ ათენამ უცებ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიტოვება სურდა.

- ადრე ამაზე არაფერი გითქვამს!

- ადრე არც მიფიქრია ამაზე, მაგრამ დღეს ვიყავი ჩემს პარიკმახერთან: ის ქალი დღედაღამ მუშაობდა, რათა მის ქალიშვილს სოციოლოგის დიპლომი მიეღო. უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, სპეციალობით ვერსად მოეწყო, ბოლოს ცემენტის მწარმოებელმა რომელიღაც ფირმამ მდივნად აიყვანა. პარიკმახერი მაინც სიამაყით აცხადებს, „ჩემს ქალიშვილს უმაღლესი განათლება აქვსო“. ჩემი მშობლების თითქმის ყველა მეგობარს და ჩემი მშობლების მეგობრების შვილებს დიპლომები აქვთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ მოახერხეს სასურველი სამუშაოს პოვნა, პირიქით: ისინი შედიან უნივერსიტეტებში და ამთავრებენ მათ მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ, წარსულის ტყვეობაში მყოფმა, მოძველებული წარმოდგენა რომ აქვს

უმაღლესი განათლების აუცილებლობაზე, ამის გაკეთება ურჩია: „ცხოვრებაში რამეს რომ მიაღწიო, უმაღლესი განათლება უნდა გქონდესო“. წრე შეიკრა, ქვეყანას კი მოაკლდა შესანიშნავი მებაღეები, ხაბაზები, კალატოზები, მწერლები, არქიტექტორები.

ვურჩიე, ნუ აჩქარდები, ცოტა კიდევ მოიფიქრე-მეთქი. პასუხად რობერტ ფროსტის ლექსის სტრიქონები წამიკითხა:

გაუსაძლისად თუ მექცა ცხოვრება,

უმალ თავს მახსენებს ძველი არჩევანი;

გზის გასაყართან ვთქვი, ის გზა მიჯობს,

რაც უფრო შორიდან მოვუვლი მგზავრებს,

სხვა დანარჩენი არ წყვეტს არაფერს.

მეორე დღეს მეცადინეობაზე არ მოსულა. ჩვენს მომდევნო შეხვედრაზე ვკითხე, რას აპირებ-მეთქი.

- გავთხოვდები და ბავშვს გავაჩენ.

ცოტა არ იყოს, დავიბენი. მე ოცი წლის ვიყავი, ათენა - ცხრამეტის და ვფიქრობდი, რომ ნაადრევი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება.

ათენა კი სრულიად სერიოზულად ლაპარაკობდა. არჩევანის წინაშე აღმოვჩნდი: ან ის ერთადერთი უნდა დამეკარგა, რასაც სრულად დაეპყრო ჩემი აზრი და გრძნობა, ან უნდა დამეკარგა თავისუფლება და ყველაფერი ის, რაც მომავალს მპირდებოდა.

და გულახდილად უნდა ვაღიარო, არჩევანის გაკეთება არ გამჭირვებია.

პადრე ჯანკარლო ფონტანა

72 წლისა

რასაკვირველია, ძალზე გამიკვირდა, როცა ეს ახალგაზრდები - მეტისმეტად ახალგაზრდები - ეკლესიაში მოვიდნენ და მითხრეს, ჯვარისწერა გვსურსო. იმავე დღეს შევიტყე, რომ ლუკას იესენ-პეტერსენის ოჯახი, წარმომავლობით მცირემამულიან აზნაურებს რომ ეკუთვნოდა, კატეგორიული წინააღმდეგი იყო ამ კავშირისა; არა მარტო ქორწინებისა, არამედ ჯვრისწერისაც კი.

მამამისს მიაჩნია, რომ ბიბლია სინამდვილეში ერთი წიგნი კი არა, 66 სხვადასხვა ხელნაწერის კრებულია, რომელთა ავტორები სრულიად უცნობნი არიან; რომ ძველი აღთქმა ახალ აღთქმასთან შედარებით ათასი წლით ადრეა დაწერილი, ანუ, თითქმის ორჯერ მეტი ხნით ადრე, ვიდრე ამერიკის აღმოჩენიდანაა გასული; და რომ პლანეტაზე არც ერთი ცოცხალი არსება, მაიმუნიდან - კანარის ჩიტამდე, არ საჭიროებს ათ მცნებას, რათა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ. საჭიროა მხოლოდ ბუნების კანონებს მიჰყვე - და სამყაროც ჰარმონიაში მოვა.

რასაკვირველია, წამიკითხავს ბიბლია, რასაკვირველია, რაღაც ვიცი მისი ისტორიის შესახებ, მაგრამ ადამიანები, ვინც ის დაწერა, მხოლოდ ღვთის ნების აღმსრულებლები იყვნენ, იესომ კი შექმნა ათ მცნებაზე რაღაც უფრო მეტად მყარი - სიყვარული. მაიმუნები, ფრინველები და ყველა ცოცხალი არსება მხოლოდ საკუთარ ინსტინქტს ემორჩილებიან და მიჰყვებიან მათში ჩადებულ პროგრამას. ადამიანებთან კი უფრო რთულადაა საქმე, რადგან ადამიანებმა შეიცნეს სიყვარული ყველა მისი ხაფანგითა და მახით.

მე ისევ ქადაგებას გიკითხავთ, თუმცა ათენასა და ლუკასსთან შეხვედრის ამბავი უნდა მომეთხრო. მე ვესაუბრე ლუკასს (ჩვენ სხვადასხვა სარწმუნოებას ვეკუთვნით და, ამრიგად, არა ვარ ვალდებული, მისი აღსარების საიდუმლო შევინახო) და შევიტყვე, რომ მისი მშობლები მარტო აულაგმავ ანტიკლერიკალიზმს კი არ ავლენდნენ, შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდნენ ვაჟიშვილის უცხოელთან ქორწინებასაც. აქ მინდა, მათ საყურადღებოდ, წმინდა წერილიდან დავიმოწმო ის ადგილი, სადაც არავითარი რელიგიური დოქტრინა არაა გადმოცემული, მხოლოდ და მხოლოდ ჯანსაღი აზრისკენ მოწოდება ჟღერს:

„ნუ გძაგნ შენ იდუმელი იგი, რამეთუ ძმაჲ შენი არს; ნუ გძაგნ შენ მეგვიპტელი იგი, რამეთუ მწირ იყავნ შენ ქუეყანასა მათსა“.

მაპატიეთ, ისევ ბიბლიას მოვუხმე. გპირდებით, შემდეგში თავს შევიკავებ. ლუკასსთან საუბრის მერე, თითქმის ორ საათს ველაპარაკე შერინს, ანუ ათენას, როგორც თავად ერჩივნა, რომ მიემართათ.

ეს გოგონა ყოველთვის მაინტერესებდა. ეკლესიაში სიარული დაიწყო თუ არა, მეჩვენებოდა, რომ შუბლზე წმინდანად გახდომის სურვილი ეწერა. მან გამიმხილა ის, რაც მისმა შეყვარებულმა არ იცოდა; ლიბანში სამოქალაქო ომის დაწყებამდე მას, ლიზიელი წმინდა ტერეზას მსგავსად, ქუჩაში სისხლი ენახა. რა თქმა უნდა, ეს შეიძლება გარდატეხის ასაკის სიძნელეებს მივაწეროთ, თუმცა მსგავსი პერიოდი ყველა ჩვენგანს გაუვლია, - მთავარი მისი მასშტაბია. ანაზდეულად ვგრძნობდი, რომ ჩვენი ცხოვრება გამართლებულია, ჩვენი ცოდვები მონანიებული და შენდობილი, სიყვარული კი ყველაზე ძლიერია და შეუძლია, სავსებით შეგვცვალოს.

მაგრამ სწორედ ასეთ წუთებში გვეუფლება შიში. მთლიანად მიეცე სიყვარულს - არა აქვს მნიშვნელობა, ღვთიური იქნება თუ მიწიერი - იმას უდრის, რომ უარი ვთქვათ ყველაფერზე, მათ შორის - საკუთარ კეთილდღეობასა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე. ეს ნიშნავს - გიყვარდეს ამ სიტყვის მთელი სისავსით. ჩვენ კი, სიმართლე რომ ითქვას, არა გვსურს თავის დახსნა იმ გზით, რომელიც ირჩია უფალმა ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად. არა, ჩვენ ვირჩევდით ყოველი ნაბიჯის მკაცრად გაკონტროლებას, ყოველ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საკუთარი თავისთვის ანგარიშის ჩაბარებას და იმის შესაძლებლობას, რომ თავად ამოგვერჩია თაყვანისცემის ობიექტი.

სიყვარულთან ასეთი რამ არ გავა - ის არსებობს, ჩაბუდებულია ჩვენში, ბატონ-პატრონივით გრძნობს თავს და იწყებს თავისი ნება-სურვილის კარნახს. მხოლოდ ნამდვილად ძლიერი სულის პატრონს შეუძლია თავდავიწყებით გატაცება. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ათენა.

იგი საათობით იყო ჩაფლული ფიქრებში, მას ნამდვილად ჰქონდა მუსიკის ნიჭი, ამბობდნენ, მშვენივრად ცეკვავსო, მაგრამ რადგან ეკლესია ამისთვის შეუფერებელი ადგილია, მას ყოველ დილით, უნივერსიტეტში წასვლის წინ მოჰქონდა გიტარა და უმღეროდა უწმინდეს ქალწულს.

მახსოვს, როგორ მოვუსმინე პირველად. ერთხელ, როცა დილის მესა დავამთავრე ზამთარში სისხამზე ადგომას მიჩვეული მცირერიცხოვანი მრევლისთვის, უცებ გამახსენდა, რომ შესაწირი ყუთიდან ფულის ამოღება დამავიწყდა. დავბრუნდი და მოვისმინე მუსიკა, რომელმაც მაიძულა, თითქოსდა ანგელოზის ხელის მინიშნებით, ყველაფერი სხვაგვარ სამყაროდ მეხილა. ტაძრის ერთ-ერთ ეკვდერში დავინახე ოციოდე წლის გოგონა, იგი უბიწოდ მუცლადღებულ ღვთისმშობელს თვალმოუშორებლივ, გიტარის აკომპანემენტით უმღეროდა.

დამინახა თუ არა, გაჩუმდა. მე უსიტყვოდ ვანიშნე, გაეგრძელებინა. დავჯექი მერხზე, თვალები დავხუჭე და სმენად ვიქეცი.

ამ წუთებში ზეციური ნეტარების განცდა დამეუფლა. თითქოს გოგონა მიხვდა, რა ხდებოდა ჩემს სულში, სიმღერას დუმილს ანაცვლებდა, ამ წუთებში ლოცვებს ვკითხულობდი, მერე კვლავ მუსიკა გაისმოდა.

ვიგრძენი, რომ რაღაც დაუვიწყარს განვიცდიდი - იმ მაგიური შთაბეჭდილებების მსგავსს, რომელთა არსი ჩვენთვის ნათელი ხდება მხოლოდ მათი გაქრობის შემდეგ. ვიჯექი მერხზე და ანაზდეულად თითქოს გამქრალიყო მთელი ჩემი წარსული, დამავიწყდა მომავალი, განზავებული ვიყავი ამ დილაში, ამ მუსიკაში და მოულოდნელ, უდროო ლოცვაში. ვგრძნობდი ექსტაზისებურ აღფრთოვანებას და უზომო მადლიერებას იმის გამო, რომ აღმოვჩნდი ამ სამყაროში, რომ თავის დროზე დავძლიე ოჯახის წინააღმდეგობა და მივყევი საკუთარი სულის ძახილს. პატარა,

უბრალოდ მოწყობილ ეკვდერში, გოგონას ხმაში, ჩვენზე მოფენილ სინათლეში ვპოულობდი იმის მორიგ დადასტურებას, რომ უფლის სიდიადე ყოველდღიურობაში მჟღავნდება.

ცრემლები წამომცვივდა და თითქოს მთელი საუკუნე გავიდა. გოგონა რომ გაჩუმდა, მაშინღა ვიცანი ჩემი ერთ-ერთი მრევლთაგანი. იმ დღიდან დავმეგობრდით და, როგორც კი გვეძლეოდა შემთხვევა, მუსიკითა და ლოცვით თაყვანს ვცემდით უწმიდეს ქალწულს.

მახსოვს, როგორ გამიკვირდა, როცა მოვისმინე მისი განზრახვა გათხოვების შესახებ. ჩვენ უკვე ისე ახლოს ვიყავით, რომ შემეძლო, მეკითხა, მისი აზრით, როგორ შეხვდებოდნენ ამ ქორწინებას ქმრის მშობლები.

- ცუდად, ძალიან ცუდად.

ფრთხილად შევარჩიე სიტყვები და ვკითხე, შენი გათხოვება რაიმე ვითარებით ხომ არ არის-მეთქი გამოწვეული.

- ორსულად ვარ თუ არა? არა, ქალწული ვარ.

მაშინ ვკითხე, შეატყობინა თუ არა თავისი გადაწყვეტილება მშობლებს. პასუხად მომიგო: „დიახ, და რეაქცია ყველაზე მოულოდნელი იყო: დედა ცრემლებად დაიღვარა, მამა საშინლად განრისხდა“.

- აქ რომ მოვდივარ და ჩემი მუსიკით ვადიდებ მარად ქალწულს, სულ არ ვფიქრობ, რას იტყვიან სხვები. მე მას მხოლოდ ჩემს გრძნობებს ვუზიარებ. ასე იყო მუდამ: რაც თავი მახსოვს - ჩემი სხეული ღვთიური ენერგიით სავსე ჭურჭელი მგონია. ახლა ეს ენერგია მთხოვს, რომ ბავშვი გავაჩინო, შევძლო მივცე მას ის, რაც არ მიმიღია ქალისგან, ვინც ამქვეყნად მომავლინა. მინდა, დავიცვა იგი საფრთხისაგან.

- ამქვეყნად არავის შეუძლია უსაფრთხოდ იგრძნოს თავი. შენ კიდევ დიდი გზა გიდევს წინ და ახალი სიცოცხლის მოსავლინებლად დრო გეყოფა, - ვუთხარი მე.

მაგრამ ათენას გადაწყვეტილება ურყევი იყო:

- წმინდა ტერეზა არ შესწინააღმდეგებია თავსდატეხილ ავადმყოფობას, პირიქით: მან ამაში დიდების ნიშანი დაინახა. წმიდა ტერეზა ჩემზე ახალგაზრდა იყო, როცა მონასტერში წასვლა გადაწყვიტა. თხუთმეტი წლისა თუ იქნებოდა. მას უარი უთხრეს მონაზვნად აღკვეცაზე, მაგრამ იგი არ დამორჩილდა, მაშინვე გადაწყვიტა, თავად პაპს შეხვედროდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ძალისხმევად დაუჯდებოდა ეს - მიეღო აუდიენცია რომის პაპთან? მან მიაღწია მიზანს. და იგივე დიდება მე მთხოვს, ავადმყოფობაზე გაცილებით უმნიშვნელოსა და კეთილშობილურს - გავხდე დედა. თუკი მოვიცდი და სამერმისოდ გადავდებ, ვერ გავხდები ჩემი შვილის მეგობარი და თანამოაზრე, რადგან ჩვენს ასაკს შორის განსხვავება დიდი იქნება.

- მარტო შენ არ ხარ ასეთი, - შევეპასუხე მე.

მაგრამ, თითქოს არაფერი გაეგონოს, ათენამ ისევ განაგრძო:

- მე ბედნიერებას მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როდესაც ვფიქრობ, რომ უფალი არსებობს და მისმენს. ეს საკმარისი არ არის ცხოვრების გასაგრძელებლად, ამიტომ ყველაფერი უაზროდ მეჩვენება. თავი ისე მიჭირავს, თითქოს მხიარული და ბედნიერი ვიყავი, ნაღველს ვმალავ, რათა გული არ ვატკინო მათ, ვისაც ვუყვარვარ და წუხან ჩემზე. ცოტა ხნის წინათ სერიოზულად ვიფიქრე თავის მოკვლაზე. ღამღამობით, ძილის წინ, საკუთარ თავთან დიდხანს ვსაუბრობ, მინდა, ეს აზრი თავიდან მოვიშორო, რადგან ჩემი ამქვეყნიდან წასვლა შეუწყნარებელი უმადურობა იქნებოდა ყველას მიმართ. ეს გაქცევას უდრის. დილდილობით მოვდივარ აქ და ვესაუბრები ქალწულს, ვევედრები, თავი დამაღწევინოს დემონებისგან, მთელ ღამეს რომ ვებრძვი. ჯერჯერობით ეს მშველის, მაგრამ ვგრძნობ, თანდათან ძალა მაკლდება. ვიცი, მაქვს მოწოდება. ადრე ამას ვეწინააღმდეგებოდი, ახლა კი ვალდებული ვარ, მივიღო. ეს მოწოდებაა - გავხდე დედა - ან შევასრულებ ამას, ან გავგიჟდები. თუკი ვერ ვიგრძნობ, როგორ იზრდება ჩემში ახალი სიცოცხლე - ვერც ირგვლივ არსებული ცხოვრების მიღებას შევძლებ.

ლუკას იესენ-პეტერსენი

ყოფილი ქმარი

ვიორელი რომ დაიბადა, მე 22 წელი შემისრულდა. ახლა უკვე ყოფილ თანაუნივერსიტეტელზე ახლად დაქორწინებული სტუდენტი კი არა, მოწიფული ადამიანი ვიყავი, რომელიც მხრებით ოჯახზე პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთს ატარებდა. ჩემი მშობლები ჩვენი ჯვრისწერის ცერემონიაზე არც გამოჩენილან. მთავაზობდნენ, ცოლს თუ გასცილდები, ბავშვის მოვლისა და აღზრდისთვის გარკვეულ თანხას გამოგიგზავნითო (ამაზე მხოლოდ მამაჩემი მესაუბრებოდა, დედაჩემი კი ყურმილში მხოლოდ ქვითინებდა და ხან იმას მიმტკიცებდა, ნამდვილად გაგიჟებულხარო, ხან მიმეორებდა, ძალიან მინდა შვილიშვილის ხელში აყვანაო). ვიმედოვნებდი, დრო გაივლიდა, მიხვდებოდნენ, რომ ათენა ძალიან მიყვარდა, გაგებით მოეკიდებოდნენ ჩემს გადაწყვეტილებას, რომ ათენასთან გამეტარებინა მთელი ცხოვრება, - და გული მოულბებოდათ.

არაფერი ამისი მსგავსი არ მომხდარა. ამიტომ ახლა მე უნდა მერჩინა ოჯახი. უნივერსიტეტი მივატოვე, თუმცა დიპლომის დაცვამდე სულ მცირე დრო მრჩებოდა. მალე მამაჩემმა დამირეკა და დამემუქრა, მემკვიდრეობას წაგართმევო, მაგრამ თუ გადავიფიქრებდი, „დროებით ფინანსურ დახმარებას“ მპირდებოდა. ახალგაზრდული რომანტიზმი ჩვენგან რადიკალურ ქცევას თხოულობდა, მეც უარი ვუთხარი და განვუცხადე, ჩემს პრობლემას მე თვითონ მოვაგვარებ-მეთქი.

ვაჟიშვილის დაბადებამდე ათენა ცდილობდა დამხმარებოდა, რათა უკეთ შემეცნო საკუთარი თავი. და ეს ხდებოდა არა მოკრძალებული სექსის წყალობით, არამედ მუსიკის მეშვეობით.

მუსიკა, როგორც შემდეგ ამიხსნეს, კაცობრიობის არსებობის თანატოლია. ჩვენი წინაპრები ხშირად გადაადგილდებოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, და როგორც თანამედროვე არქეოლოგიამ დაადასტურა, გარდა ყველაზე აუცილებელი ბარგისა, თან უეჭველად მიჰქონდათ მუსიკალური ინსტრუმენტები, უფრო ხშირად - დოლი. მუსიკა მარტო კი არ გვართობს, გვამშვიდებს და ატკბობს ჩვენს სმენას - იგი იდეოლოგიაცაა. მითხარი, როგორ მუსიკას უსმენ და გეტყვი, ვინა ხარ.

ორსული ათენას ცეკვას რომ ვუყურებდი და ვუსმენდი, როგორ უკრავდა გიტარას, რათა ბავშვი, რომელსაც მუცლით ატარებდა, მშვიდად ყოფილიყო და სცოდნოდა, რომ იგი უყვარდათ, მივხვდი, რომ მისი მსოფლმხედველობა ჩემს ცხოვრებაზე მოქმედებდა. ახალშობილი ვიორელი სახლში მოვიყვანეთ თუ არა, მას, უპირველესად, ალბინონის ადაჯიო მოვასმენინეთ. როცა ვჩხუბობდით, სწორედ მუსიკის ძალას გამოვყავდით მძიმე მდგომარეობიდან - თუმცა ვერასოდეს ვახერხებდი მათ შორის რაიმე ლოგიკური კავშირის დამყარებას.

მაგრამ მთელი ეს რომანტიკა ფულის შოვნაში ვერ გვეხმარებოდა. მე არც ერთი ინსტრუმენტის დაკვრა არ შემეძლო, ისიც არ შემეძლო, რომელიმე ბარში მოვწყობილიყავი და კლიენტები გამერთო. ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, ერთ სამშენებლო ფირმაში ვიშოვე მოანგარიშის ადგილი. საზღაური სანარდო იყო, - მოკრძალებულ ხელფასზე უფრო მეტი, - ამიტომაც დილაადრიან მივდიოდი და გვიან ვბრუნდებოდი. შვილს თითქმის ვერ ვხედავდი - სულ ეძინა - ათენასთანაც ვერ ვახერხებდი ლაპარაკსა და ალერსს, რადგან მუდამ გადაქანცული იყო. ჩემს თავს სულ ერთსა და იმავეს ვეკითხებოდი - როდის შევძლებდი ჩვენი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას და როდის მოვიპოვებდით დამსახურებულ ღირსებას. თუმცა ათენას ვეთანხმებოდი, რომ დიპლომი, უმრავლეს შემთხვევაში, უსარგებლო რამაა, მაგრამ საინჟინრო საქმეში (ისევე, როგორც იურისპრუდენციასა და მედიცინაში), ყველაზე მთავარი ტექნიკური ცოდნის ჯამია, ურომლისოდაც ჩვენ სხვა ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეში ჩავაგდებთ. მე კი მივატოვე იმ საქმის სწავლა, რაც თავად ავირჩიე, და უარი ვთქვი ჩემს ოცნებაზე.

დაიწყო ჩვენ შორის ჩხუბი: ათენა ჩიოდა, რომ ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდი ბავშვს, რომ ბავშვს მამა სჭირდება, რომ, ბოლოს და ბოლოს, უჩემოდაც გაიტანდა თავს, რომ ჩემთვის პრობლემები არ შეექმნა. რამდენჯერმე გამოვიჯახუნე კარი, სახლიდან წამოვედი და მივაძახე, რომ მას ჩემი არ ესმოდა და ვერ გამეგო, როგორ დავთანხმდი ამ „უაზრობაზე“ - ოცი წლის ასაკში შემექმნა ოჯახი, როცა ჯერ ფეხზე დადგომა ვერ მომესწრო. სექსიც თითქმის აღარა გვქონდა - დაღლილობისა თუ იმის გამო, რომ ერთმანეთს ნიადაგ ვაღიზიანებდით.

გულდამძიმებული ვბრუნდებოდი შინ, ვფიქრობდი, რომ ქალი, რომელიც მიყვარდა, თავისი მიზნებისათვის მიყენებდა. ათენა ამჩნევდა ჩემს დეპრესიას, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ დამხმარებოდა, მთელ თავის ენერგიას მუსიკის სწავლასა და ბავშვზე ზრუნვას ანდომებდა. დროდადრო ვურეკავდი ჩემს მშობლებს და სულ ერთსა და იმავეს ვისმენდი: „მაგან შვილი შენს შესანარჩუნებლად გააჩინაო“.

მეორე მხრივ, ათენა თანდათან უფრო რელიგიური გახდა. აიჩემა, ახალშობილი ყოველგვარი წესების დაცვით მოგვენათლა, სახელად კი - ვიორელი, რუმინული წარმომავლობის სახელი შეურჩია. რამდენიმე ემიგრანტს თუ არ ჩავთვლით, მთელ ინგლისში ჩვენი შვილი ერთადერთი ვიორელი იყო. თუმცა ეს სახელი მომწონდა და მივხვდი, რომ ათენამ ამით რაღაც უცნაური კავშირი დაამყარა წარსულთან, რომლის საზრიანად გატარებასაც ვერ მოასწრებდა სიბიუს ობოლთა თავშესაფარში.

ვცდილობდი, ყველაფერს შევგუებოდი, მაგრამ ვგრძნობდი, ბავშვის გამო ათენას ვკარგავდი. უფრო და უფრო ხშირად ვჩხუბობდით, ათენა მემუქრებოდა, სახლიდან წავალ, რადგან ვიორელი უარყოფით ენერგიას იღებს არაჯანსაღი გარემოდანო. ერთხელაც, ასეთი მუქარის შემდეგ, სახლიდან მე წავედი, ვიფიქრე, სიბრაზე გამივლის და დავბრუნდები-მეთქი.

უმიზნოდ დავეხეტებოდი ლონდონის ქუჩებში, ვწყევლიდი ჩემს არჩევანს, შვილსაც და ცოლსაც, რომელთაც, როგორც მეჩვენებოდა, ჩემთან არაფერი ესაქმებოდათ. შევედი მეტროს გვერდით პირველსავე ბარში, დავლიე ოთხი ულუფა ვისკი, 11 საათზე, ბარი რომ დაიკეტა, გვიანობამდე მომუშავე მაღაზიაში კიდევ ერთი ბოთლი ვიყიდე, დავჯექი მოედანზე და გავაგრძელე სმა. მოვიდნენ ვიღაც ყმაწვილები, მთხოვეს, „გაგვიმასპინძლდიო“, მე უარი ვუთხარი, რისთვისაც მაგრად მცემეს. საიდანღაც პოლიცია გაჩნდა და ყველანი საპოლიციო უბანში წაგვიყვანეს.

მე მხოლოდ გირაოს შეტანის შემდეგ გამათავისუფლეს; რა თქმა უნდა, განვაცხადე, რომ არავის მიმართ არ მქონდა პრეტენზია, რომ ჩხუბი თითქმის არაფრის გულისთვის გაიმართა, - წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც თავდასხმის ობიექტს, რამდენიმე თვეს მაინც მომიწევდა სასამართლოში სიარული. უნდა ვაღიარო, ისეთი მთვრალი ვიყავი, რომ გამოსვლისას ერთ-ერთი ინსპექტორის მაგიდაზე დავეცი. ინსპექტორი საშინლად გაბრაზდა, მაგრამ დაპატიმრების ნაცვლად ადგა და გარეთ გამომაგდო.

ქუჩაში ერთ-ერთი მოჩხუბარი ყმაწვილი მიცდიდა. მან მადლობა გადამიხადა, რომ საქმის აღძვრა არ მოვინდომე. სისხლითა და ტალახით ამოგანგლულს, შემომთავაზა, სადმე ტანსაცმელი გამომეცვალა, რომ შინ ასეთ ყოფაში არ დავბრუნებულიყავი. მე კი, იმის ნაცვლად, რომ ჩემს გზას დავდგომოდი, ვთხოვე, პატივი დაედო და მოესმინა ჩემთვის, რადგან სათქმელი უნდა ამომეთქვა. იგი მთელ ერთ საათს უსიტყვოდ ისმენდა ჩემს გულისნადებს, სინამდვილეში, მე მას კი არა, ჩემს თავს ველაპარაკებოდი - ველაპარაკებოდი ახალგაზრდა კაცს, რომლის წინაშე იშლებოდა

ბრწყინვალე მომავალი, მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა, ოჯახს გააჩნდა საჭირო კავშირები საიმისოდ, რომ მისთვის ყველა კარი ღია ყოფილიყო. ახლა კი ჰემპსტედის (ლონდონის ერთ-ერთი კვარტალი. - რედ. შენიშ.) მთვრალ, ტალახით ამოსვრილ, უზომოდ მოქანცულ, სასოწარკვეთილ, უგროშოდ დარჩენილ მაწანწალად ქცეულიყო.

ჩემი ამბავი რომ დავასრულე, ჩემთვის უკვე აშკარა გახდა, რა მდგომარეობაში ჩავიგდე თავი, რა დავმართე ჩემს ცხოვრებას იმისი რწმენით, რომ სიყვარულს თითქოსდა ყველაფრის გადარჩენა შეუძლია. ეს ასე არ არის. სიყვარული ხანდახან უფსკრულისაკენ გვიბიძგებს, მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარი უბედურებაა - უარესი ისაა, რომ სასიკვდილოდ ვიმეტებთ ჩვენს საყვარელ ადამიანებსაც. ამ შემთხვევაში მე მარტო ჩემს თავს კი არ ვღუპავდი, ვღუპავდი ათენასა და ვიორელსაც.

ამ წუთიდან ჩემს თავს ვუმეორებ: „მე მამაკაცი ვარ და არა ოქროს აკვანში დაბადებული ყმაწვილი. მე მამაკაცი ვარ და ღირსეულად უნდა დავუხვდე ბედის გამოწვევას“, და შინისკენ გავემართე. ათენას ეძინა, ვიორელიც თავის საწოლში გადაეყვანა. შხაპი მივიღე, ჭუჭყიანი ტანსაცმელი ნაგვის ყუთში ჩავყარე და სასწაულად გამოფხიზლებული დავწექი.

მეორე დღეს კი ცოლს ვუთხარი, რომ მასთან გაცილება მინდოდა. „რატომ?“ - მკითხა მან.

- იმიტომ, რომ მიყვარხარ, მიყვარს ჩვენი შვილიც, მე კი თქვენი წყევლის მეტს არაფერს ვაკეთებ, იმის გამო, რომ ვერ ავისრულე ჩემი ოცნება - გავმხდარიყავი არქიტექტორი. ცოტა ხანს რომ მოგვეცადა, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, მაგრამ შენ მხოლოდ საკუთარ გეგმებზე ფიქრობდი და დაგავიწყდა მაგ გეგმებში ჩემი ჩართვა.

ათენას არაფერი უპასუხია. ის თითქოს მოელოდა ამას, ანდა შეუცნობლად მიბიძგებდა ამ ნაბიჯისკენ.

ველოდი, რომ ხვეწნას დამიწყებდა, არ წახვიდეო, ის კი მშვიდად და გულგრილად დაემორჩილა ბედს და მხოლოდ იმაზე წუხდა, ჩვენს საუბარს ბავშვი არ გაეღვიძებინა. მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ათენას არასოდეს ვყვარებივარ: მას სურდა, ჩემი მეშვეობით შეესრულებინა უგუნური გადაწყვეტილება - თვრამეტი წლისას გაეჩინა ბავშვი.

შევთავაზე, ამავე ბინაში დარჩენილიყო, მაგრამ უარი მითხრა: დედასთან გადავალ, ერთხანს იქ ვიცხოვრებ, სამუშაოს ვიშოვი და ბინას ვიქირავებო. მერე მკითხა, თუ შევძლებდი ვიორელისთვის ცოტაოდენი ფულის მიცემას. მე მაშინვე დავთანხმდი.

ავდექი, უკანასკნელად შევეხე მის ტუჩებს ხანგრძლივი კოცნით, თან დაბეჯითებით ვუმეორებდი, დარჩენილიყო ამ ბინაში. იგივე პასუხი მივიღე: როგორც კი ბარგს

ჩავალაგებ, დედასთან გადავალო. მე იაფფასიან სასტუმროში მოვეწყე, ყოველ საღამოს ველოდი, რომ დამირეკავდა და მთხოვდა, დაბრუნდი, ახალი ცხოვრება დავიწყოთო... მე კი ძველის გასაგრძელებლადაც მზად ვიყავი, რადგან ჩვენი დაშორების შემდეგ მივხვდი, ამ ქვეყნად ჩემს ცოლ-შვილზე უფრო ძვირფასი არავინ გამაჩნდა.

ერთი კვირის შემდეგ დამირეკა, რათა შეეტყობინებინა - ბარგი გადავიტანე და დაბრუნებას არ ვაპირებო. ორი კვირის შემდეგ შევიტყვე, რომ ბესეტ-როუდზე ექირავებინა პატარა მანსარდი, ეს იმას ნიშნავდა, რომ ყოველდღე ბავშვით ხელში იმსიმაღლეზე ადიოდა და ჩამოდიოდა. ორი თვის განმავლობაში, როგორც იქნა, ყველა საბუთს მოვაწერეთ ხელი.

ასე დავშორდი სამუდამოდ ჩემს ნამდვილ ოჯახს; იმ ოჯახმა კი, სადაც დავიბადე, ხელგაშლით მიმიღო.

ჩვენი განშორების შემდეგ ნამდვილი სულიერი ტანჯვა გამოვიარე, დროდადრო ვეკითხებოდი ჩემს თავს: ნუთუ მეც არასწორი და ნაჩქარევი ნაბიჯი გადავდგი და გავიმეორე იმ ადამიანების შეცდომა, რომლებიც სიყრმის წლებიდან სიყვარულზე მეტისმეტად ბევრ რომანს კითხულობენ და სურთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, გაიმეორონ რომეოსა და ჯულიეტას ამბავი? როცა ტკივილი მიყუჩდა - ასეთ ჭრილობას მხოლოდ დრო კურნავს, - მივხვდი, რომ ბედისწერამ გამომიგზავნა ის ერთადერთი ქალი, რომელიც მთელი სიცოცხლე უნდა მყვარებოდა: მასთან გატარებული ყოველი წუთი დაუფასებელი იყო, და მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, მე კვლავ გავიმეორებდი ჩემ მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯს.

დრომ კი მარტო ჭრილობა კი არ განკურნა, დამანახა რაღაც საინტერესო რამ: არ არის სავალდებულო, მთელი სიცოცხლე გიყვარდეს ერთი ადამიანი. მე კვლავ დავქორწინდი, ბედნიერი ვარ ჩემს მეორე ცოლთან და ვერ წარმომიდგენია, უიმისოდ როგორ ვცხოვრობდი. მაგრამ ეს სულაც არ მაიძულებს, უარი ვთქვა ყველაფერ იმაზე, რითაც ადრე მიცხოვრია, მით უმეტეს, რომ წინდახედულად გავურბივარ ჩემი ძველი და ახალი ცხოვრების შედარებას. სიყვარული არ შეიძლება გზის სიგრძისა და შენობის სიმაღლესავით იზომებოდეს.

ჩემი და ათენას ქორწინებიდან დარჩა კიდევ ერთი, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენა - ჩვენი შვილი, ნაყოფი მისი სანუკვარი ოცნებისა, რომელიც ქორწინებამდე გამიმჟღავნა. ვაჟიშვილი მეორე ცოლისგანაც მყავს, მაგრამ ახლა ისე არაა საქმე, როგორც თორმეტი წლის წინათ, ამჯერად შესანიშნავად ვარ მომზადებული მამობისათვის.

ერთხელ, ვიორელის წასაყვანად რომ ჩამოვედი - შაბათ-კვირას მიმყავდა ხოლმე, - ძალა მოვიკრიბე და ათენას ვკითხე ის, რაც ასე ძალიან მაწამებდა: რატომ მიიღო ასე მშვიდად ოჯახიდან ჩემი წასვლა?

- იმიტომ, რომ ცხოვრებამ ტანჯვის უსიტყვოდ გადატანას მიმაჩვია, - მიპასუხა მან.

მხოლოდ ამის შემდეგ გადამეხვია და იმ დღით დასაღვრელი ცრემლები ახლაღა დაღვარა.

პადრე ჯანკარლო ფონტანა

დავინახე, როგორ მოვიდა ათენა საკვირაო მესაზე, ჩვეულებისამებრ, ბავშვით ხელში. ვიცოდი, ძნელი პერიოდი ედგა, მაგრამ სულ ვფიქრობდი, ქორწინების ეს ჩვეულებრივი და გარდაუვალი უსიამოვნება, ადრე თუ გვიან, თავისთავად მოგვარდებოდა, მით უმეტეს, რომ ორივენი, ცოლიცა და ქმარიც სიკეთეს ასხივებდნენ.

მთელი წლის განმავლობაში აღარ გამოჩენილა თავისი გიტარით უწმინდესი ქალწულის სადიდებლად, რადგან პატარა ვიორელს უვლიდა, რომლის მონათვლის პატივიც მე მხვდა წილად. თუმცა ამ სახელის ვერც ერთი წმინდანი ვერ გავიხსენე. საკვირაო მესას კი ყოველთვის ესწრებოდა, წირვის დამთავრების შემდეგ, მრევლი რომ გაიკრიფებოდა, ხშირად ვსაუბრობდით. იგი მიმტკიცებდა, რომ მისი ერთადერთი მეგობარი ვიყავი, ჩვენ ერთად ვცემდით თაყვანს ღვთისმშობელს, მაგრამ ახლა ჩემთვის ამქვეყნიური საზრუნავი უნდა გაეზიარებინა.

მას ძლიერ უყვარდა ლუკასი; ის აირჩია ცხოვრების თანამგზავრად და ის გახდა მისი შვილის მამა. მან უარი თქვა ყველაფერზე და ეყო ძალა ოჯახის შესაქმნელად. პირველი უსიამოვნება რომ დაიწყო, ათენა ცდილობდა, ქმარი დაერწმუნებინა, რომ ყველაფერი დროებითია, რომ ახლა ის ვალდებული იყო, დროის უმეტესი ნაწილი შვილისთვის დაეთმო, თუმცა სულ არ ცდილობდა, გააზიზებული ბატონიშვილივით გაეზარდა, რადგან მალე თავად მოუწევდა ცხოვრების გამოწვევისადმი პასუხის გაცემა; გაივლიდა ცოტა ხანი და იგი ისეთივე გახდებოდა, როგორც პირველი შეხვედრისას იყო, შეიძლება უკეთესიც, რადგან ახლაღა შეიცნო მოვალეობა და პასუხისმგებლობა, რის წინაშეც თავისი არჩევანით დგებოდა. არაფერმა არ უშველა - ლუკასი თავს უარყოფილად გრძნობდა, ათენა შეუპოვრად, მაგრამ ამაოდ ცდილობდა, თანაბრად გაეყო ყურადღება ქმარსა და შვილს შორის, მაგრამ როცა საქმე ერთ-ერთის ამორჩევაზე მიდგებოდა, რასაკვირველია, ეს ყოველთვის ვიორელი იყო.

როგორი მწირიც უნდა ყოფილიყო ჩემი ცოდნა ფსიქოლოგიაში, მაინც ვურჩიე, რომ ისინი პირველნი არ წაწყდომიან წინააღმდეგობას, რომ მსგავს შემთხვევაში მამაკაცი თავს მუდამ ზედმეტად და უსარგებლოდ გრძნობს, მაგრამ ეს გაივლიდა, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე. ერთხელ ათენას უნებურად წამოსცდა, შეიძლება, ცოტა მაინც ავჩქარდიო - ახალგაზრდა დედის რომანტიკული სახე ხელს უშლიდა,

სრულად წარმოედგინა რეალობის მთელი სიმძიმე და არა ბავშვის დაბადების გამო წარმოქმნილი ხელოვნური პრობლემა, - მაგრამ უკვე გვიანი იყო - მომხდარს უკან ვერ დააბრუნებდა.

ერთხელ ათენამ მთხოვა, იქნებ ლუკასს ელაპარაკოო. ლუკასი კი ეკლესიაში საერთოდ არ დადიოდა, შეიძლება იმიტომაც, რომ მორწმუნე არ იყო, ანდა იმიტომ, რომ სურდა, კვირა დილა შვილთან გაეტარებინა. მე მზად ვიყავი, მეტვირთა ეს, თუკი ლუკასი ეკლესიაში თავისი ნებით გამოჩნდებოდა, მაგრამ სანამ ათენა ლუკასისათვის ამის თხოვნას დააპირებდა, ნამდვილი საშინელება დაატყდა თავს - ლუკასი სახლიდან წავიდა.

ათენას ვურჩიე, მოთმინება მოეკრიბა, მაგრამ გულში იყო დაჭრილი. ის ხომ ერთხელ უკვე მიატოვეს, ასე რომ, მთელი სიძულვილი, რომელსაც ნამდვილი დედის მიმართ განიცდიდა, ავტომატურად ქმარზე გადაიტანა. თუმცა, საბოლოოდ, როგორც ვიცი, მათ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, მაგრამ მაშინ ათენასათვის არაფერი იყო ოჯახის დარღვევის ცოდვაზე უფრო საშინელი რამ.

ათენა განაგრძობდა კვირაობით ეკლესიაში სიარულს, მაგრამ წირვის დამთავრებისთანავე შინ ბრუნდებოდა - ბავშვის დამტოვებელი არავინ ჰყავდა, ამიტომ მუდამ თან დაჰყავდა, ბავშვი კი ტიროდა და მლოცველების ყურადღებას იპყრობდა. ერთხელ საუბარი მაინც მოვახერხეთ. მიამბო, ბანკში ვმუშაობ, ოთახი დავიქირავე, ასე რომ, მშვიდად შეიძლება იყოთ, „მამამისი“ კი (ის გაურბოდა ყოფილი ქმრის სახელის ხსენებას) თავის ფინანსურ მოვალეობას ასრულებსო.

შემდეგ დადგა ის საბედისწერო კვირა.

იმ კვირას მომხდარი ამბავი მისმა ერთ-ერთმა მიმდევარმა მიამბო. რამდენიმე ღამე განუწყვეტლივ ვევედრებოდი ზეციურ ანგელოზებს, ჩაეგონებინათ რამე, გონება გაენათებინათ და აეხსნათ, როგორ მოვქცეულიყავი - ეკლესიის წინაშე შემესრულებინა ჩემი მოვალეობა თუ ადამიანის წინაშე. მაგრამ ანგელოზებმა არ შემიწყალეს, მაშინ რჩევისთვის ვიკარს მივმართე. მან ამიხსნა, რომ ეკლესია თავისი დოგმატების მკაცრი დაცვის შედეგად გადარჩა, და თუკი ჩვენ გამონაკლისს დავუშვებდით, მაშინ იგი შუა საუკუნეებშივე დაიღუპებოდა. ნამდვილად ვიცოდი, რაც მოხდებოდა, ამიტომ ვაპირებდი ათენასთან წინასწარ დამერეკა, მაგრამ მას თავისი ტელეფონის ახალი ნომერი არ დაუტოვებია.

ხელები მიკანკალებდა, სანაწილე რომ ავიღე პურის საკურთხებლად. წარმოვთქვამდი ათასობით წლის მანძილზე, მოციქულთა თაობიდან თაობაზე გადმოსულ სიტყვებს, მაგრამ უმალ ჩემი აზრი დაიპყრო ახალგაზრდა ბავშვიანმა ქალმა - უწმინდესი ქალწულის, დედობისა და სიყვარულის ახალმა განსახიერებამ, რომელიც, როგორც ყოველთვის, რიგში იდგა და ზიარების მისაღებად, თანდათან უახლოვდებოდა საკურთხეველს.

მე მგონი, საზოგადოების უმრავლესობამ უკვე იცოდა, რაც მოხდა, ამიტომ ყველა მე მომჩერებოდა იმის მოლოდინში, როგორ მოვიქცეოდი. ყოველი მხრიდან შემომხვეოდნენ წმინდანები, ცოდვილები, ფარისევლები, სინედრიონის წევრები, მოციქულები, კეთილი და ბოროტი ადამიანები.

ათენა ჩემ წინ შეჩერდა ზიარების მისაღებად, თვალები დახუჭა და პირი გააღო, რათა ქრისტეს ხორცი მიეღო.

ქრისტეს ხორცი ხელში დავიტოვე.

- მერე ვილაპარაკოთ, - ჩავჩურჩულე მე.

მაგრამ ფეხს არ იცვლიდა.

- მარტო არა ხარ, სხვებიც ელოდებიან ზიარებას. ჩვენ კი მერე ვისაუბროთ.

- რა მოხდა? - ყველას გასაგონად იკითხა მან.

- მერე, - გავუმეორე მე.

- რატომ არ მაზიარებთ? რატომ მამცირებთ სხვების თვალში? განა არ კმარა, რაც გადავიტანე?

- ათენა, ჩვენი ეკლესიის დოგმატები კრძალავს ქმარს გაცილებული ქალის ზიარებას. ამ კვირას შენ განქორწინება გააფორმე. მერე დაგელაპარაკები.

ის ადგილიდან არ იძვროდა. უკან მდგომთ ანიშნა, მისთვის გარს შემოევლოთ. მრევლის უკანასკნელი წევრი ვაზიარე, საკურთხევლისკენ შებრუნება ვერ მოვასწარი რომ მისი ხმა მომესმა.

ეს ხმა არ შეიძლება იმ გოგონასი ყოფილიყო, რომელიც გიტარის აკომპანემენტის თანხლებით ადიდებდა ღვთისმშობელს, მერე კი მესაუბრებოდა თავის ოცნებებზე, მიყვებოდა წმინდანთა ცხოვრებაზე და ლამის ეტირა თავისი ოჯახური უთანხმოების გამო. მეტყველების უნარი რომ შესწევდეს, ალბათ, ასეთ ხმას გამოსცემდა დაჭრილი, დამცირებული და სიძულვილით აღსავსე მხეცი.

- წყეული იყოს ეს ადგილი! წყეული იყოს ყველა, ვინც არ ისმენს ქრისტეს სიტყვებს და მის მოძღვრებას ქვის ნაგებობად აქცევს! ქრისტემ თქვა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჳრთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ“. მე გაწამებული და გატანჯული ვარ, თქვენ კი არ მიშვებთ მასთან! დღეს მივხვდი, თქვენმა ეკლესიამ როგორ დაამახინჯა მისი სიტყვები და დღეიდან, ალბათ, ასე უნდა იმეორებდეთ: „მოვედით ჩემდა, ჩვენი წესების მიმდევრებო და სხვა ყველაფერი ჯანდაბასო“. ვფიცავ, აქ ჩემი ფეხი აღარ იქნება! მე ერთხელ კიდევ მიმატოვეს და ამჯერად მიზეზი არც მატერიალური სიძნელეებია და არც ნაადრევი ქორწინება! წყეული იყოს ის, ვინც კარს უხურავს ბავშვიან ქალს! თქვენ იმათზე უარესები ხართ, ვინც არ შეიფარა

წმინდა ოჯახი! იმათზე უარესები, ვინც უარყო ქრისტე, როცა ასე სჭირდებოდა თანადგომა.

ის შეტრიალდა და ქვითინით გავიდა. მე წირვა დავამთავრე, უკანასკნელად დავლოცე მრევლი და პირდაპირ სამოსსაცავისკენ გავემართე. ამ კვირას აღარ იქნებოდა არც საუქმო საუბარი და არც ის, რასაც „დაძმობილებას“ ვეძახით. მე ვიდექი ფილოსოფიური დილემის წინაშე: უნდა გვემჯობინებინა თუ არა ეკლესიის კანონები და დადგენილებები იმ სიტყვებისათვის, რასაც ისინი ეფუძნებოდნენ.

მე უკვე მოვხუცდი, უფალს ყოველ წუთს შეუძლია თავისთან მიხმოს. მე ჩემი რელიგიის ერთგული ვარ და მჯერა კათოლიციზმისა, რომელიც, მიუხედავად თავისი შეცდომებისა, გულწრფელად ცდილობს გამოსწორებას. გავა წლები, შეიძლება ათწლეულებიც, და ერთ მშვენიერ დღეს მნიშვნელობა ექნება მხოლოდ ერთ რამეს - სიყვარულს, რომელიც ქრისტეს სიტყვებით ასე ჟღერს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჯრთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ...“ მე მთელი ცხოვრება მღვდელმსახურებას მივუძღვენი და ერთი წუთითაც არ მინანია ჩემი გადაწყვეტილება, მაგრამ მსგავს შემთხვევაში, რაც კვირას მოხდა, ეჭვი მიჩნდება არა რწმენისადმი, არამედ ადამიანების მიმართ.

ახლა, როცა ვიცი, როგორ წარიმართა ათენას ცხოვრება, ჩემს თავს ვეკითხები: ნუთუ ეს ყველაფერი იმ საკვირაო მესაზე დაიწყო, თუ უფრო ადრე, თანდათანობით გროვდებოდა მის სულში? ხშირად ვფიქრობ ხოლმე ათენასა და ლუკასზე, რომლებმაც განქორწინების შემდეგ დაკარგეს ზიარების უფლება და ისღა დარჩენიათ, უცქირონ ჯვარცმულ, წამებულ ქრისტეს და მოისმინონ მისი სიტყვები, რომლებიც ხშირად არ ეთანხმება ვატიკანის კანონებს. ზოგჯერ ეს ადამიანები ეკლესიას შორდებიან, ხშირად კი მაინც აგრძელებენ მესაზე სიარულს, რადგან ამას მიჩვეულები არიან, თუმცა მათთვის სასწაულმოქმედი ღვინისა და პურის - ქრისტეს სისხლისა და ხორცის - მიღება აკრძალულია.

ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ ათენა ეკლესიიდან გამოსვლისას, შეიძლება იესოს შეხვდა, ატირებული გადაეხვია და შეშფოთებულმა სთხოვა აეხსნა, რატომ იყო, რომ რაღაც გერბიანი ქაღალდის გამო, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სულიერებასთან, არ უშვებენ მას რჩეულთა შორის.

იესო შეხედავდა ათენას და შეიძლება, ასე ეპასუხა:

- ხედავ, შვილო ჩემო, მეც ეკლესიის კარიბჭის აქეთ ვდგავარ: დიდი ხანია, მეც არ მიშვებენო შიგნით.

57 წლისა, ბინის მეპატრონე

ათენას და მე რაღაც საერთო გვქონდა - ისიც და მეც სამშობლოდან ომის საშინელებას გამოვექეცით და, ჯერ ისევ ბავშვები, ინგლისში მოვხვდით, ეგ იყო მხოლოდ, რომ მე აქ ნახევარი საუკუნით ადრე აღმოვჩნდი. ორივემ ვიცოდით, რომ, ცვლილებების მიუხედავად, ტრადიციები უცხო ქვეყანაშიც უცვლელი რჩება, ენასა და რელიგიასაც შეუძლია გადარჩენა, თემის წევრები კი ერთ გუნდად იკვრებიან მათთვის უცხო გარემოცვისაგან თავის დასაცავად.

დიახ, ჩვენი კულტურის ტრადიციები ცოცხალი რჩება, სამშობლოში დაბრუნების სურვილი კი თანდათან ქრება, მას ცვლის დაბრუნების იმედით თავის მოტყუება, რაც არასოდეს ახდება: მე ვეღარასოდეს ვნახავ ჩენსტოხოვს, ათენა და მისი ოჯახი აღარასოდეს იცხოვრებენ ბეირუთში.

რა თქმა უნდა, ეს სულიერი მსგავსება და ერთიანობის გრძნობა რომ არა, ვამჯობინებდი, ბასტერ-როუდზე მდებარე ჩემი სახლის მესამე სართული უბავშვო მდგმურისთვის მიმექირავებინა, რადგან ერთხელ ასეთი შეცდომა უკვე დავუშვი, რის შედეგადაც მე დღის ხმაურს ვუჩიოდი, ჩემი მდგმურები კი - ღამის ხმაურს. ერთსაც და მეორესაც ფესვები უდგას ყოფის წმინდა ელემენტებში - ტირილსა და სიმღერაში, მაგრამ რადგან მე და ჩემი მდგმურები სხვადასხვა სამყაროს ვეკუთვნოდით, ჩვენი ურთიერთობა აუტანელი გახდა.

ათენას ხშირად ვაფრთხილებდი, ის კი მამშვიდებდა: ჩემი შვილი მთელ დღეს ბებიასა და პაპასთან ატარებს, თქვენს ბინას კი ის უპირატესობა აქვს, რომ ჩემს სამსახურთან ახლოსაა.

ჩემი გაფრთხილების მიუხედავად, მან მხოლოდ ერთ კვირას შეიკავა თავი, მერვე დღეს ბავშვით ხელში მომადგა კარზე.

- უკაცრავად, ბავშვი ვერაფრით დავაძინე, არ შეგიძლიათ, მუსიკა დაბალ ხმაზე დაუკრათ?

ყველა მას მიაშტერდა.

- რა მოხდა?

ბავშვმა უმალ შეწყვიტა ტირილი, თითქოს დედამისივით ისიც მოცეკვავე ადამიანების დანახვამ გააკვირვაო.

თითი „პაუზის“ ღილაკს დავაჭირე და ორივე ხელით მოვუხმე მათ. ათენამ ზღურბლს გადმოაბიჯა თუ არა, რიტუალი რომ არ შეწყვეტილიყო, მუსიკა ისევ მთელი ხმით ჩავრთე. ის კუთხეში დაჯდა, ბავშვს ხელით არწევდა და, დასარტყამ საკრავთა გრუხუნის მიუხედავად, ბავშვს მალე დაეძინა. ათენა იქვე იჯდა მთელი ცერემონიის

განმავლობაში, ბოლოს სხვა სტუმრებთან ერთად წავიდა. როგორც ვვარაუდობდი, დილით, სამუშაოზე წასვლის წინ, კარზე ისევ დამირეკა.

- იმას, რაც გუშინ ვნახე, ახსნა არ სჭირდება. ვიცი, რას ნიშნავს, როცა ადამიანები თვალებდახუჭულნი ცეკვავენ. მეც ხშირად მიცეკვია ასე, და ეს ჩემს ცხოვრებაში მყუდროებისა და სულიერი სიმშვიდის განსაკუთრებული წუთები ყოფილა. ვიორელის დაბადებამდე მე და ჩემი ქმარი ჩვენს მეგობრებთან ერთად ხშირად დავდიოდით კლუბებშიც, დისკოთეკებზეც და ვუყურებდით, როგორ ცეკვავდნენ ადამიანები თვალდახუჭულნი: ერთნი მაყურებელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეორენი კი ისე, თითქოს რაღაც უძლეველი ძალა მართავდათ. მე კი, რაც თავი მახსოვს, ცეკვა ჩემზე რაღაც განუზომლად უფრო ძლიერთან კონტაქტის დასამყარებელ ხერხად მიმაჩნდა. მაინტერესებს, რა მუსიკას უკრავდით?

- ამ კვირას რას აკეთებთ?

- არაფერს ისეთს. ვიორელს რიჯენ პარკში სუფთა ჰაერზე გავასეირნებ. დანარჩენი საქმეებისთვის საკმაო დრო კიდევ მექნება, ჯერჯერობით კი ჩემი დღის განრიგი ჩემს შვილს უკავშირდება.

- მეც თქვენთან ერთად წამოვალ, წინააღმდეგი თუ არ იქნებით.

ჩვენს გასეირნებამდე ორი დღით ადრე ათენა ისევ მოვიდა რიტუალზე. ბიჭს რამდენიმე წუთში დაეძინა, დედა კი დუმილით უცქეროდა იმას, რაც ირგვლივ ხდებოდა. ის თითქმის გაუნძრევლად იჯდა, მაგრამ ვხედავდი, მისი სული იქ, მოცეკვავეთა შორის იყო.

* * *

კვირა დღეს, პარკში სეირნობისას, ვთხოვე, გულისყურით მოესმინა მისი გარემომცველი სამყაროსათვის - ნიავზე მოცახცახე ფოთლებისათვის, ტბაში მოლივლივე წყლისთვის, ფრინველთა ჭიკჭიკისთვის, ძაღლის ყეფისათვის, ირგვლივ მოჟრიამულე ბავშვებისათვის, რომლებიც თითქოს თავიანთ, განსაკუთრებულ, უფროსებისათვის გაუგებარ ლოგიკას ემორჩილებოდნენ.

- ყველაფერი მოძრაობს, უბრალოდ კი არ ფიქრობს, მოძრაობს თავისი რიტმით, და ყველაფერი, რაც საკუთარი რიტმით მოძრაობს, წარმოქმნის ხმას. ასე ხდება ჩვენთანაც და ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში. ჩვენი შორეული წინაპრებიც, როდესაც უამინდობას გამოქვაბულებში ემალებოდნენ, ამჩნევდნენ, რომ ამქვეყნად ყველაფერი მოძრაობდა და წარმოქმნიდა ხმას. მათ, უეჭველია, ეს შიშით აღიქვეს, მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ ასე ამყარებდა მათთან კონტაქტს უმაღლესი არსება. მათ სცადეს, ირგვლივ არსებული ამ ხმებისათვის მიებაძათ და იმედოვნებდნენ, ამით დაამყარებდნენ კავშირს უმაღლეს არსებასთან. ასე წარმოიქმნა ცეკვა და მუსიკა.

fb.com/groups/alfb

რამდენიმე დღის წინათ თქვენ მითხარით, რომ თითქოს ცეკვის დროს შეგეძლოთ კონტაქტის დამყარება თქვენზე განუზომლად რაღაც უფრო ძლიერთან.

- ცეკვაში მე თავისუფლებას ვპოულობ, უფრო სწორად, მითავისუფლდება სული, რომელსაც შეუძლია მთელ სამყაროში ხეტიალი, აწმყოსათვის თვალის დევნება, მომავლის გამოცნობა და სუფთა ენერგიად გარდაქმნა. ამ დროს განვიცდი უდიდეს სიამოვნებას, არნახულ ბედნიერებას. ჩემს ცხოვრებაში იყო პერიოდი, როდესაც წმინდანად გახდომა მქონდა გადაწყვეტილი: მუსიკითა და სხეულის მოძრაობით ვადიდებდი უფალს, მაგრამ ეს გზა ჩემთვის სამუდამოდ დაიხშო.

- რა გზა?

მან მოხერხებულად დააწვინა შვილი ეტლში. ვხედავდი - არ უნდოდა პასუხის გაცემა. მე კითხვა გავუმეორე, რადგან ვიცოდი: როცა პირზე კლიტეს იდებენ, რაღაც მეტად მნიშვნელოვანი აქვთ სათქმელი.

სრულიად მშვიდად და ისე, თითქოს ამ დუმილით სურდა ცხოვრების მიერ მისთვის წაყენებული მოთხოვნილებების გათბობაო, ათენამ მიამბო, როგორ უთხრა უარი ზიარებაზე მღვდელმა, შესაძლოა, მისმა ერთადერთმა მეგობარმა და იმ წუთებში როგორ მოსწყდა მის ბაგეებს წყევლა; და რომ ამის შემდეგ გაწყვიტა კავშირი კათოლიკურ ეკლესიასთან.

- წმინდანი ისაა, ვისაც შეუძლია, შარავანდედით შემოსოს თავისი ცხოვრება, - ავუხსენი მე, - იმას თუ შევიგნებთ, რომ ყველა ჩვენგანი აქ ვიმყოფებით რაღაც მიზეზით, მაშინ ეს საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ მის შესაბამისად მოვიქცეთ. მაშინ შეგვეძლება დავცინოთ დიდსა თუ პატარა ტანჯვას და წინ უშიშრად გავწიოთ იმის შეგნებით, რომ ყოველი ნაბიჯი მიზნის ასრულებაა. ჩვენ უნდა ვენდოთ სინათლეს, რომელსაც წვერო ასხივებს.

- რა არის „წვერო“? გეომეტრიაში ასე ჰქვია სამკუთხედის უმაღლეს წერტილს.

- არა მარტო გეომეტრიაში. ესაა - კენწერო, პიკი, კულმინაცია. ესაა ზღვარი ყველასთვის, ვინც, გზაკვალდაკარგულებიც კი, მხედველობიდან არ კარგავენ გულიდან მომდინარე სინათლეს. ჩვენს რიტუალებზე შეკრებილნი სწორედ ამ ხელოვნების დაუფლებას ვცდილობთ. წვერო ჩვენშია დაფარული და მის მოძიებას შევძლებთ, თუკი მას ვაღიარებთ და მოვახერხებთ მისი შუქის გარჩევას.

მე ავუხსენი, რომ ცეკვას, რომელიც წინადღით ჩემთან ნახა (იმ დღით ათნი ვიყავით, 19 წლიდან 65 წლის ასაკამდე), მე „წვეროს ძიება“ ვუწოდე. ათენა დაინტერესდა ამ სიტყვის წარმომავლობით.

მეც მოვუყევი, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ზოგიერთმა ჩვენმა ნათესავმა მოახერხა თავი დაეღწია პოლონეთში დამყარებული კომუნისტური რეჟიმისათვის და ინგლისში გადმოსულიყვნენ. ამბობდნენ, რომ ამ ქვეყანაში

განსაკუთრებით ფასობდა ხელოვნების ნაწარმოებები და ძველი წიგნები, ამიტომ გადავწყვიტე მათი თან წამოღება.

სურათები და სტატუეტები უმალ გაიყიდა, წიგნები კი სადღაც კუთხეში მტვრით იფარებოდა. მე ამ წიგნებით კითხვას ვსწავლობდი, რადგან დედაჩემს არ უნდოდა, მშობლიური ენა დამვიწყებოდა. ერთ მშვენიერ დღეს თომას მალთუსის წიგნში აღმოვაჩინე საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპული პაპაჩემის ხელით დაწერილი ორი ქაღალდის ფურცელი. დავიწყე კითხვა, მეგონა, ანდერძი ან საიდუმლო სასიყვარულო წერილი იყო (ოჯახში შემორჩენილი ლეგენდის მიხედვით, პაპაჩემს რუსეთში ვიღაც უყვარდა).

სინამდვილეში ეს იყო რევოლუციის შემდგომი თავგადასავალი ციმბირში. იქ, პატარა ქალაქ დედოვში (რუკაზე ამ ქალაქის ნახვა ვერ მოვახერხეთ - ან მისი სახელი განგებ იყო შეცვლილი, ანდა სტალინური დეპორტაციის დროს გაქრა - რედ. შენიშ.) ერთი მსახიობი შეჰყვარებია. პაპაჩემის სიტყვებით, ეს ქალი რაღაც სექტაში შედიოდა, რომლის წევრებს მიაჩნდათ, რომ ცეკვის გარკვეული სახეობა ყველა უბედურებიდან თავის დაღწევის ხერხია, რადგან ეს ცეკვა „წვეროს სინათლესთან“ კონტაქტის დამყარებაში ეხმარებოდათ.

იმისი შიშით, რომ ტრადიცია შეიძლება დაკარგულიყო, რადგან ქალაქის მცხოვრებლებს სხვა ადგილებში გადასახლებას უპირებდნენ (დედოვი ატომური იარაღის გამოსაცდელ მშენებარე პოლიგონს ესაზღვრებოდა, მსახიობსა და მის მეგობრებს პაპაჩემისთვის უთხოვიათ, ჩაეწერა ყველაფერი, რაც შეიტყო. პაპაჩემსაც ჩაუწერია, მაგრამ, ეტყობა მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, რაკი ეს ფურცლები წიგნში ჩაეწყო, რომელიც წლების შემდეგ ვიპოვე.

ათენამ შემაწყვეტინა:

- ცეკვის სიტყვებით აღწერა შეუძლებელია! მისი მხოლოდ შესრულება შეიძლება.

- სრული სიმართლეა! ჩანაწერში მხოლოდ ის იყო ნათქვამი, რომ ძალ-ღონის გამოცლამდე უნდა იცეკვო, ისევე უნდა გაგიწყდეს ქანცი, როგორც ალპინისტებს - მწვერვალზე ასვლისას. უნდა იცეკვო სუნთქვის შეკვრამდე, მაშინ ორგანიზმი მიიღებს და მოიხმარს მისთვის უჩვეულო რაოდენობის ჟანგბადს, რის შედეგადაც ადამიანი კარგავს როგორც დროისა და სივრცის, ისე საკუთარი პიროვნების შეგრძნებას. დოლის რიტმულ ხმაზე ცეკვა, მისი ყოველდღიური გამეორება და შეცნობა იმისი, რომ თვალები თავისთავად იხუჭება, ჩვენგან მომდინარე სინათლის გარჩევა, რომელიც პასუხობს ჩვენს კითხვებს, ათავისუფლებს ჩვენში დაფარულ ძლიერებას...

- თქვენსასაც?

პასუხის გაცემის ნაცვლად, შევთავაზე ისიც შემოერთებოდა ჩვენს ჯგუფს. მით უმეტეს, რომ ვიორელი ყოველგვარ ხმაურზე მშვენივრად იძინებდა. მეორე დღეს ათენა დათქმულ დროზე მოვიდა. დანარჩენებს იგი წარვუდგინე როგორც ჩემი მეზობელი. მისთვის არავის არაფერი უკითხავს, არც თავიანთი ამბავი მოუყოლიათ.ცოტა ხნის შემდეგ ჩავრთე მუსიკა და დავიწყეთ ცეკვა. თავდაპირველად ათენა საცეკვაოდ ბავშვით ხელში შემოგვიერთდა. მაგრამ ბავშვმა მალე დაიძინა, ათენამ იგი დივანზე დააწვინა. სანამ თვალებს დავხუჭავდი და ტრანსში ჩავვარდებოდი, შევატყე, რომ ათენას უკვე გაეგნო წვეროსკენ მიმავალი გზა.

მას შემდეგ, კვირის გარდა, ყოველდღე დადიოდა ჩემთან. ვრთავდი მუსიკას, რომელიც ერთმა ჩემმა მეგობარმა ჩამოიტანა რუსული სტეპიდან, და თითქმის დაცემამდე ვცეკვავდით. ერთი თვის შემდეგ ათენამ მუსიკის ჩანაწერი მთხოვა.

- მინდა, ყოველ დილით ვიცეკვო, სანამ ბავშვს დედაჩემს წავუყვან და სამუშაოზე წავალ.

- მე მგონია, რომ ერთმანეთთან ერთი ენერგიით დაკავშირებული ადამიანები ქმნიან რაღაც განსაკუთრებულ აურას, რომელიც ეხმარება ყველას და თითოეულს ცალ-ცალკე, ჩაცვივდნენ ტრანსში, - შევედავე მე, - გარდა ამისა, თუკი ამას სამუშაოზე წასვლამდე შეასრულებ, სამსახურს დაკარგავ, რადგან მთელ დღეს საშინლად გადაღლილი იქნები.

ათენა ერთხანს დაფიქრდა და მიპასუხა:

- მართალი ხართ კოლექტიურ ენერგიაზე საუბრისას. ვხედავ, რომ თქვენს ჯგუფში თქვენიანად ხუთი წყვილი ცოლ-ქმარია და ყველა მათგანმა მოიპოვა სიყვარული. მათ შეუძლიათ ეს პოზიტიური ენერგია მეც გამინაწილონ, მაგრამ მე ხომ მარტო ვარ, უფრო სწორად, შვილთან ერთად, მას კი ჯერ არ შეუძლია თავისი სიყვარულის გამოხატვა ჩვენთვის ხელმისაწვდომი ფორმით. ამიტომ მე ვამჯობინებ, მივიღო ჩემი მარტოობა: თუკი მისგან გაქცევას მოვინდომებ, ვეღარასოდეს შევხვდები ღირსეულ პარტნიორს. თუ არ შევეწინააღმდეგები, მაშინ შეიძლება რამე შეიცვალოს. მე თითქმის უკვე დავრწმუნდი, რომ თუ მარტოობას ებრძვი, ის უფრო მძაფრდება, სამაგიეროდ, უფრო სუსტდება, როდესაც უბრალოდ არც კი ვამჩნევთ.

- თქვენ ჩვენთან სიყვარულის საძიებლად მოხვედით?

- რას იზამ, ეს ღირსეული მიზეზია, მაგრამ მე გიპასუხებთ: არა. სიყვარულის საძიებლად არ მოვსულვარ. მე ჩემი ცხოვრების აზრს ვეძებ, რომელიც ჯერჯერობით ჩემი შვილის მოვლით იფარგლება. და ვშიშობ, რომ შეიძლება, იგი დავღუპო - ან გადაჭარბებული, ზედმეტი მზრუნველობით, ანდა იმით, რომ მასზე მოვახდენ ჩემი აუხდენელი ოცნებების და განუხორციელებელი მიზნების პროეცირებას. ამ დღეებში ცეკვის დროს ვიგრძენი, რომ გამოვჯანმრთელდი. საქმე ფიზიკურ გუნება-განწყობას

რომ ეხებოდეს, შეიძლება, მისთვის სასწაული გვეწოდებინა, მაგრამ ეს ეხება სულიერ მდგომარეობას - ის, რაც აქამდე მაშფოთებდა, თითქოს სადღაც გაქრა.

მე ვიცოდი, რასაც გულისხმობდა.

- ჩემთვის ხომ არავის უსწავლებია ამ მუსიკის თანხლებით ცეკვა, - განაგრძო მან, - მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, უფრო სწორად, წინათგრძნობა, თითქოს ვიცი, რასაც ვაკეთებ.

- არაფრის სწავლა არ არის საჭირო. გაიხსენე პარკში ჩვენი პირველი გასეირნება, - ბუნება თავად ქმნის ყოველი წამის შესატყვის რიტმს.

- არც სიყვარული უსწავლებია ვინმეს ჩემთვის, მაგრამ მე მიყვარდა უფალი, მიყვარდა ჩემი ქმარი, ახლა მიყვარს ჩემი შვილი და მშობლები, მაგრამ სულერთია, მაინც რაღაც მაკლია. თუმცა ცეკვის შემდეგ ვიღლები, მაგრამ, როცა ვჩერდები, ვგრძნობ, როგორ გადმოდის ჩემზე მადლი და ღრმა ექსტაზში ვვარდები. მინდა, რომ ეს მდგომარეობა მთელ დღეს გრძელდებოდეს და რომ დამეხმაროს, მოვიპოვო, რაც მაკლია - მამაკაცის სიყვარული. ცეკვისას მე ვხედავ მის გულს, მისი სახის გარჩევას კი ვერ ვახერხებ. მე ვგრძნობ მის სიახლოვეს და ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყო: მინდა, დილაობითაც ვცეკვავდე, რათა მთელი დღის განმავლობაში ერთი წუთითაც არ გამომრჩეს, რა ხდება ირგვლივ.

- იცით, რას ნიშნავს „ექსტაზი“? ბერძნული სიტყვაა და ზუსტად ასე ითარგმნება: „გამოსვლა საკუთარი თავიდან“. მთელ დღეს ასეთ მდგომარეობაში ყოფნა მეტისმეტია სხეულისთვისაც და სულისთვისაც.

- მე მაინც ვცდი.

რაკი მივხვდი, ვერ გადავარწმუნებდი, მუსიკა გადავუწერე. იმ დღიდან მოყოლებული ყოველ დილით მაღვიძებდა ზემო სართულიდან ჩამოღწეული მუსიკის გრიალი და მისი ნაბიჯების ხმა. ჩემს თავს ვეკითხებოდი, როგორღა უნდა შეძლოს ბანკში მუშაობა, როცა მთელ საათს ტრანსში ატარებს? ერთხელ სადარბაზოში შევხვდი, შევთავაზე, ყავა დაგველია. ათენამ მაცნობა, რომ ჩანაწერი გაამრავლა და ახლა მისი ბევრი თანამშრომელი ეძებს წვეროს.

- იქნებ ეს არ უნდა მექნა, საიდუმლო ხომ არაა?

რა თქმა უნდა, ასე არ იყო, პირიქით, ის დამეხმარა თითქმის შეწყვეტილი ტრადიციის შენარჩუნებაში. პაპაჩემს შენიშვნებში მოხსენიებული ჰყავდა ვიღაც ქალი: იგი ჰყვებოდა ერთი ბერის ამბავს, რომელიც თურმე ირწმუნებოდა, რომ ჩვენში არსებობს ყველა ჩვენი წინაპარი და შთამომავალთა ურიცხვი თაობა. მათგან განთავისუფლებულნი გავათავისუფლებთ კაცობრიობასაცო.

- მაშასადამე, ციმბირის იმ პატარა ქალაქის ყველა მცხოვრები მოხარული უნდა იყოს. მათი შრომა, პაპათქვენის წყალობით, ამქვეყნად ხელახლა განახლდება. მაგრამ, აი, რა მაინტერესებს: რატომ გადაწყვიტეთ, ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, ცეკვა დაგეწყოთ? იქ სპორტზე რომ ყოფილიყო საუბარი, ფეხბურთელობას გადაწყვეტდით?

ეს ჯერ ჩემთვის არავის ეკითხა.

- საქმე ისაა, რომ იმ ხანებში ავად ვიყავი რაღაც იშვიათი ნაირსახეობის ართრიტით. ექიმმა მითხრა, ოცდათხუთმეტი წლისა ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვებიო. წინ ცოტა დრო მრჩებოდა, მეც ავდექი და იმ საქმეს მოვკიდე ხელი, რაც მომავალში ჩემთვის მიუწვდომელი იქნებოდა. პაპაჩემი კი ამ ქაღალდის ნაგლეჯზე წერდა, რომ დედოვის მცხოვრებლებს სჯეროდათ ტრანსის სამკურნალო თვისებებისა.

- ყველაფრიდან ჩანს, რომ მართლები აღმოჩნდნენ.

მე არაფერი მიპასუხია, თუმცა არ ვიზიარებდი მის აზრს. შესაძლოა, ექიმები მოტყუვდნენ დიაგნოზის დასმისას, შესაძლოა, იმის შეგნებამაც, რომ ახალგაზრდა ემიგრანტს ავადმყოფობის ფუფუნების საშუალება არ მქონდა, ისე ძლიერად იმოქმედა ჩემზე, რომ ორგანიზმის ბუნებრივი რეაქცია გამოიწვია, ან შეიძლება სულაც სასწაული მოხდა, რომელმაც უარყო ჩემი, კეთილი კათოლიკესათვის დამახასიათებელი რწმენა იმისა, რომ ცეკვებით არ იკურნებიან.

მახსოვს, ყრმობისას ჩემი სულიერების შესატყვის მუსიკას თუ ვუსმენდი, თავზე შავ კაპიუშონს ჩამოვიცვამდი და წარმოვიდგენდი, რომ ჩემ ირგვლივ სამყარო აღარ არსებობდა, ფიქრით კი დედოვში, ყველა იქ მყოფ ადამიანთან, პაპაჩემთან და მის შეყვარებულთან ვიყავი. მდუმარებით გარემოცული, მათ ვევედრებოდი, ცეკვა ესწავლებინათ, გადაელახვინებინათ ჩემთვის დადგენილი მიჯნა, რადგან სულ მალე მემუქრებოდა დამბლა. რაც უფრო მეტად მოძრაობდა ჩემი სხეული, მით უფრო გარკვევით ვხედავდი ჩემი გულიდან მომდინარე სინათლეს და უფრო მეტს ვსწავლობდი საკუთარი თავიდან თუ წარსულის აჩრდილებიდან. იმის უნარიც კი შევიძინე, რომ წარმოსახვით მომესმინა მათ რიტუალებზე აჟღერებული მუსიკა. მერე, მრავალი წლის შემდეგ, ციმბირში წასულ მეგობარს ვთხოვე, რამდენიმე დისკი ჩამოეტანა. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ-ერთ მათგანზე დიდი ხნის წინათ ჩემგან წარმოსახული მუსიკა მოვისმინე.

მაგრამ გადავწყვიტე, ათენასთვის ეს არ მეამბნა - იგი ძალზე მგრძნობიარე, გაუწონასწორებელ და შთაგონებულ ადამიანად მეჩვენა.

ახლო აღმოსავლეთში მის გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ერთხელ კიდევ მომიხდა მასთან საუბარი: მაშინ იგი ბედნიერი და დამშვიდებული მეჩვენა, თითქოსდა უკვე მოეპოვებინა ის, რისკენაც ისწრაფვოდა - სიყვარული.

- ჩემმა კოლეგებმა ჯგუფი შექმნეს და თავიანთ თავს „წვეროს მომლოცველებს“ უწოდებენ. ეს ყველაფერი პაპათქვენის წყალობითაა.

- თქვენი დამსახურებაა, რომ ამ ცოდნის სხვებისთვის გაზიარების სურვილი გაგიჩნდათ. შევიტყვე, რომ გამგზავრებას აპირებთ და მინდა, მადლობა გადაგიხადოთ: გაავრცელეთ ის, რასაც მე წლების განმავლობაში ვაკეთებდი და ვცდილობდი, ეს სინათლე მისით დაინტერესებულ ადამიანთა შორის გამებნია, თუმცა ამას გაუბედავად ვაკეთებდი, რადგან მეშინოდა, რომ ხალხი ამას სრულ უაზრობად მიიჩნევდა.

- იცით, მე რა აღმოვაჩინე? ექსტაზი საკუთარი თავიდან გამოსვლის საშუალებაა, ცეკვა კი - კოსმოსამდე ამაღლების შესაძლებლობა, ახალი განზომილებების აღმოჩენა საკუთარ სხეულთან კონტაქტის დაურღვევლად. ცეკვის წყალობით სულიერსა და რეალურ სამყაროს თანაარსებობა შეუძლიათ, ასე მგონია, ბალერინები პუანტებზე იმიტომ დგანან, რომ ერთდროულად მიწასაც ეხებიან და ზეცასაც სწვდებიან.

რამდენადაც ვიცი, ეს ათენას უკანასკნელი სიტყვები იყო. ცეკვის დროს, როცა მას დიდი სიხარულით მივენდობით, ტვინი კარგავს თავის მაკონტროლებელ ძალას და სხეულზე მმართველობის სადავეებს გული იგდებს ხელთ. მხოლოდ ასეთ წამებში გამოჩნდება წვერო.

რასაკვირველია, თუკი გჯერა მისი.

პიტერ შერნი

47 წლისა, ლონდონის ბანკის (სახელწოდება გამოტოვებულია) ჰოლანდ-პარკის ფილიალის გენერალური დირექტორი

ათენა სამუშაოზე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მივიღე, რომ მამამისი ჩვენი ბანკის ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი კლიენტი იყო. ბოლოს და ბოლოს, ტყუილად ხომ არაა ნათქვამი, ხელი ხელს ბანსო. ათენა ფიცხი და ფხუკიანი მეჩვენა, ამიტომაც სუფთა საკანცელარიო თანამდებობაზე ავიყვანე, რომელსაც ხასიათის სულ სხვა თვისებები სჭირდება; ჩემთვის ჩუმად ვფიქრობდი, რომ ათენას მალე გავათავისუფლებდი, მე კი სუფთა სინდისით შევძლებდი, მამამისისთვის მეთქვა, ვცდილობდი, დავხმარებოდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა-მეთქი.

ხელმძღვანელობის გამოცდილებამ მასწავლა ჩემი ხელქვეითების სულიერი მდგომარეობის გამოცნობა მაშინაც კი, სიტყვაც რომ არ დაესველებინოთ. მენეჯმენტის კურსების ლექციებიდან შევითვისე: თუ გინდა ხელქვეითის მოშორება

- ყველა ღონე იხმარე, რომ აიწყვიტოს და უხეშად მოგექცეს, მაშინ კანონიერი საბაბი გეძლევა მის გასათავისუფლებლად.

მე ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რათა ათენა, როგორც იტყვიან, ღირსეულად გამეთავისუფლებინა. ის ამ ფულის გარეშე შიმშილით არ მოკვდებოდა, დროთა განმავლობაში კი თვითონვე მიხვდებოდა, რომ სულაც არ იყო აუცილებელი ადრე ადგომა, ბავშვის ბებიასთან მიყვანა, მთელ დღეს მონოტონური სამუშაოს შესრულება, შინ დაბრუნება, ბავშვის წამოყვანა, სუპერმარკეტში შევლა, შვილის დაპურება, მისი დაძინება, მეორე დღეს კი ყველაფრის ისევ თავიდან დაწყება. ამასთან, სამი საათი ეხარჯებოდა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე. უამისოდაც მშვენივრად შეეძლო ცხოვრება, დროს კი გაცილებით უკეთესად გამოიყენებდა. ათენა თანდათან უფრო გულფიცხი გახდა, მე ვამაყობდი: ჩემს არჩეულ სტრატეგიას, ეტყობა, გამარჯვებამდე უნდა მივეყვანე. ათენა წუწუნებდა, სახლის მეპატრონე ღამღამობით ხმამაღლა რთავს მუსიკას და გამოძინებას ვერ ვახერხებო.

მაგრამ უცებ რაღაც შეიცვალა. ჯერ თვითონ ათენას შევატყე ცვლილება, მერე კი - მთელ კოლექტივს.

როგორ შევატყვე ეს ცვლილება? მოგეხსენებათ, რომ ყველა კოლექტივი ორკესტრს მოგვაგონებს: კარგი ხელმძღვანელი დირიჟორს ჰგავს, რომელსაც ესმის, რომელი ინსტრუმენტია აუწყობელი, რომელი ვერ უკრავს სწორად, რომელია გამოვარდნილი შეწყობილი ანსამბლიდან ან რომელი აძლევს მორჩილად ბანს დანარჩენებს. ათენა თავის პარტიას უგერგილოდ ასრულებდა. განცალკევებით მდგარი, კოლეგებს არასოდეს უზიარებდა სიხარულსა თუ მწუხარებას, აგრძნობინებდა, რომ მისი ცხოვრება კანტორის ზღურბლს იქით შვილის აღზრდით შემოიფარგლებოდა. მაგრამ ბოლო ხანებში უფრო გულღია და ალერსიანიც კი გახდა და ყველას უყვებოდა, გაახალგაზრდავების ხერხს მივაგენიო.

სიტყვა „გაახალგაზრდავება“, რასაკვირველია, ჯადოსნურია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სიტყვას წარმოთქვამდა ქალი, რომელსაც ეს-ესაა 21 წელი შესრულებოდა, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერდა, მაგრამ ხალხს სჯეროდა მისი და საიდუმლოს გამჟღავნება სთხოვეს.

ათენას სამსახურებრივი მოვალეობა არ შეცვლილა, მაგრამ მუშაობა გააუმჯობესა. კოლეგები, ადრე მხოლოდ „გამარჯობას“ და „ნახვამდის“ რომ ეუბნებოდნენ, ახლა ერთად სადილობას სთავაზობდნენ, შესვენებიდან კი სულ კარგ გუნება-განწყობაზე ბრუნდებოდნენ. განყოფილების პროდუქტიულობამ უზარმაზარი ნახტომი გააკეთა.

ვიცი, ვნება გადამდებია და უმალ ვიეჭვე, რომ ათენას ცხოვრებაში რაღაც მოხდა. ვკითხე, ასე იყო ეს თუ არა. მან ჩემი ვარაუდი დამიდასტურა, თან დაუმატა, ადრე არასოდეს ვთანხმდებოდი კლიენტების მიპატიჟებას, მაგრამ ამ შემთხვევაში შეუძლებელი იყოო. ჩვეულებრივ სიტუაციაში მას დაუყოვნებლივ

გაათავისუფლებდნენ, ვინაიდან ჩვენი კანონების თანახმად, კლიენტთან პირადი ურთიერთობა კატეგორიულად იკრძალება. მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარად იყო. ვატყობდი, რომ მან თითქმის მთელი თანამშრომლები „დაასნებოვნა“. ბევრი მას მუშაობის შემდეგ ხვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ორი-სამი კაცი მუდამ მისი სტუმარი იყო.

იკვეთებოდა საკმაოდ სახიფათო სიტუაცია - ახალგაზრდა სტაჟიორი, ხან მორიდებული და ხან გულფიცხი არსება, მუშაობის არავითარი გამოცდილება რომ არ ჰქონდა, ჩემი თანამშრომლების არაფორმალურ ლიდერად იქცა. თუ გავათავისუფლებდი, იტყოდნენ, რომ ვიეჭვიანე, და ავტორიტეტს დავკარგავდი. თუ დავტოვებდი, რამდენიმე თვის შემდეგ შეიძლება მართვის სადავეები დამეკარგა.

ვარჩიე, ჯერ არაფერი მეღონა, უბრალოდ დამეცადა. ამასობაში სამსახურის „ენერგეტიკა“ (ვერ ვიტან ამ სიტყვას, რომელიც არაფერ კონკრეტულს არ ნიშნავს თუ ელექტროობაზე არ არის საუბარი) საგრძნობლად გაძლიერდა. გაქრა საყვედურები და ჩივილები. ძველი კლიენტების რეკომენდაციის წყალობით გამოჩნდნენ ახლები. თანამშრომლებიც მშვენიერ გუნებაზე იყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოც თითქმის გაუორმაგდათ, ახალი თანამშრომლების აყვანა არ დაგვჭირვებია - ყველა თავს ართმევდა თავის მოვალეობას.

ერთხელ ჩემი უფროსებისგან წერილი მივიღე. ბარსელონაში უნდა გავმგზავრებულიყავი, რაღაც სემინარზე გამოვსულიყავი და ამეხსნა ჩემი მუშაობის ახალი მეთოდი. ბოსების სიტყვით, მე შევძელი მოგების გაზრდა და გასავლის შემცირება. სწორედ ეს აინტერესებთ მსოფლიოს ბიზნესმენებსო, - ნათქვამი იყო წერილში.

რა ახალი მეთოდი, რის ახალი მეთოდი!

კარგად მახსოვს, რით დაიწყო ეს ყველაფერი, ამიტომაც ათენა კაბინეტში დავიბარე. ჯერ კარგი მუშაობისთვის შევაქე. მან მადლიერებით გამიღიმა.

- როგორ არის თქვენი მეგობარი? მე მუდამ მჯეროდა, რომ სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხებენ. რას საქმიანობს? - განვაგრძე ფრთხილად.

- სკოტლანდ-იარდში მუშაობს (ლონდონის საქალაქო პოლიციის გაერთიანების საძიებო განყოფილება - რედ. შენიშ.).

ვარჩიე, დაწვრილებით აღარ ჩავძიებოდი, მაგრამ საუბარი უნდა გამეგრძელებინა, დრო კი განსაზღვრული მქონდა.

- შეგატყვეთ, რომ ძალიან შეიცვალეთ და...

- სხვა თანამშრომლებიც შეიცვალნენ?

რა უნდა მეპასუხა ამაზე? ერთი მხრივ, ძალზე დიდ ძალას მივანიჭებდი, მეორე მხრივ, თუ არ დავუდასტურებდი, ვერ მივიღებდი პასუხს ჩემს კითხვებზე.

- დიახ, ცვლილებები აშკარაა და ვფიქრობ თქვენს დაწინაურებაზე.

- მინდა, ქვეყანა მოვიარო, ახლა კი ცოტა ხნით ლონდონიდან გამგზავრებას ვაპირებ... ჰორიზონტის გასაფართოებლად.

გამგზავრებას? ახლა სურს გამგზავრება, როცა ყველაფერი უმჯობესდება? თანაც, ეს ხომ არაა ის სასურველი გამოსავალი, რასაც ვგეგმავდი.

- მე შემიძლია ბანკს დავეხმარო, თუ უფრო საპასუხისმგებლო სამუშაო მექნება, - განაგრძო მან.

მივხვდი: ათენა ბრწყინვალე შანსს მაძლევდა. ეს ადრე თვითონ როგორ ვერ მოვიფიქრე? ისე მოვაწყობ, რომ ის „გაემგზავროს“, - მაშასადამე, აქაურობას მოშორდება, დავიბრუნებ მეთაურის მდგომარეობას და თავსაც დავიზღვევ მის გათავისუფლებასთან დაკავშირებული უსიამოვნებისგან. მაგრამ ყველაფერი კარგად უნდა ამეწონ-დამეწონა, რადგან სანამ ბანკს დაეხმარებოდა, ჯერ მე უნდა დამხმარებოდა. ჩემმა ბოსებმა შეამჩნიეს, რომ უკეთ ავაწყვეთ მუშაობა, ახლა ეს დონე უნდა შეგვენარჩუნებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავკარგავდი პრესტიჟს და მდგომარეობას გავიუარესებდი. ვიცი, ჩემი ბევრი კოლეგა რატომაც არ ცდილობს პროდუქტიულობის ამაღლებას. თუ ამას ვერ მიაღწევენ, მათ არაკომპეტენტურ ადამიანებად მიიჩნევენ, თუ მოახერხეს ამის მიღწევა, მაჩვენებლის სისტემატურად ამაღლება მოუწევთ, ასეთი სრბოლა კი ინფარქტით მთავრდება.

შემდგომი ნაბიჯი ძალიან ფრთხილად გადავდგი; არ ღირს ადამიანის დაშინება, მანამ არ გამოსტყუებ შენთვის საჭირო საიდუმლოს; ჯობს თავი მოვიკატუნო, თითქოს ვეთანხმები მის თხოვნას.

- ვეცდები, თქვენი სურვილი უფროსობას მოვახსენო. ბარსელონაში მომიხდება მათთან შეხვედრა, სწორედ ამიტომაც გიხმეთ, შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ უფრო პროდუქტიულად მუშაობა მას შემდეგ დავიწყეთ, რაც ჩვენმა თანამშრომლებმა თქვენთან ურთიერთობა გააუმჯობესეს?

- უფრო სწორად - საკუთარ თავთან. ასე უფრო ზუსტი იქნება.

- ჰო, მაგრამ ამ გაუმჯობესების მიზეზი ხომ თქვენ ხართ, ასეა არა?

- თვითონაც იცით, რომ ასეა.

- იქნებ ჩემთვის უცნობი რაიმე სახელმძღვანელო შეისწავლეთ მენეჯმენტის შესახებ.

- ასეთ წიგნებს არ ვკითხულობ და გთხოვთ, ყურადღებით მოეკიდოთ ჩემს თხოვნას.

გამახსენდა მისი შეყვარებული სკოტლანდ-იარდიდან: რომ შევპირდე და არ შევუსრულო, უსიამოვნება ხომ არ შემხვდება? შეიძლება მან ასწავლა რაღაც ტექნოლოგია, რომლითაც წარმოუდგენელი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი?

- შემიძლია, აბსოლუტურად ყველაფერი მოგიყვეთ, თუნდაც არ შეასრულოთ თქვენი დაპირება. მაგრამ არა მგონია, წარმატებას მიაღწიოთ, თუ თავად არ გააკეთებთ იმას, რასაც გასწავლით.

- „გაახალგაზრდავების ტექნიკას“ გულისხმობთ?

- დიახ.

- საკმარისი არ იქნება მხოლოდ მისი თეორიული ცოდნა?

- შესაძლოა, საკმარისიც იყოს. ვინც ეს მასწავლა, ქაღალდის სულ რამდენიმე ფურცელი ჩაუვარდა ხელთ.

კმაყოფილი დავრჩი, რომ არ მომიხდა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რაც არ შედიოდა ჩემს კომპეტენციაში და მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ჩემს პრინციპებს. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ პირადი ინტერესიც მქონდა, რადგან ვოცნებობდი, რომ, ასე ვთქვათ, ხელახლა დამემუხტა ჩემი ბატარეა. მოკლედ, შევპირდი, რომ ყველაფერს ვიღონებდი, ათენა კი მომიყვა ეზოთერულ ცეკვაზე, რომლის მიზანია - წვეროს (თუ ღერძისა, ახლა ზუსტად აღარ მახსოვს) ძიება. ერთი საათის მერე ვთხოვე, ეს საუბარი ხვალისთვის გაგვეგრძელებინა, ახლა კი ბანკის ხელმძღვანელობისთვის მოხსენება უნდა მოგვემზადებინა. საუბრისას მან ღიმილით მითხრა:

- ნუ შეგეშინდებათ ჩვენი საუბრის შესახებ რაიმეს თქმა, მე მგონია, რომ სამმართველოს წევრებიც ჩვენნაირი ადამიანები არიან და მათაც უნდა აინტერესებდეთ, რაც არ ეტევა საგანთა ჩვეულებრივ ჩარჩოებში.

ათენამ გამოცანასავით თქვა: ინგლისში ტრადიციებს სიახლეებზე გაცილებით მაღლა აყენებენ, მაგრამ რატომ არ უნდა გაგვერისკა, თუკი საფრთხე არ ელოდა ჩემს მუშაობას? თუმცა ყოველივე ეს აბსურდად მეჩვენებოდა, მაინც საჭირო იყო დასკვნის გამოტანა და ყველასათვის გასაგები ფორმით გადაცემა.

* * *

ბარსელონაში, მოხსენების დაწყებამდე, მთელ დღეს თავს ვირწმუნებდი: „ჩემმა“ პროცესმა შედეგი გამოიღო, დანარჩენი ანგარიშში ჩასაგდები არ არის-მეთქი. თავის დროზე რამდენიმე სახელმძღვანელო მქონდა წაკითხული და ვიცოდი, იმისათვის, რომ მაქსიმალური წარმატებით დანერგო ახალი იდეა, აუცილებელია, სწორად ააგო შენი მოხსენება და პირველივე სიტყვებიდან დაიპყრო აუდიტორია. ამიტომაც პირველი ფრაზა, რომელიც ფეშენებელური სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში მყოფ მაღალი თანამდებობის პირებს მოესმათ, მოციქულ პავლეს ეკუთვნოდა:

„უფალმა უწყის ზრახვანი ბრძენთანი, რამეთუ არიან ამაო“ (ვერ შევძელი, დამედგინა, აქვს თუ არა მხედველობაში მოციქულ მათეს გამონათქვამი: „...აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე რჩჳლთა“ (მათე 11:25) თუ კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი: „არამედ სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ბრძენთა, და უძლურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ძლიერთა“ (1 კორინთელთა 1:27).

როგორც კი წარმოვთქვი ეს სიტყვები, მსმენელები, მთელ დღეს გრაფიკებსა და დიაგრამებს რომ აანალიზებდნენ, გაჩუმდნენ. ვიფიქრე, რომ უკვე განთავისუფლებული ვიყავი სამსახურიდან, მაგრამ მაინც განვაგრძე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ღრმად შევისწავლე თემა, ვიცოდი, რაზეც ვლაპარაკობდი, და ნდობაც დამსახურებული მქონდა, მეორეც იმიტომ, რომ, თუმცა იძულებული ვიყავი დუმილით ამევლო გვერდი მთელ პროცესზე ათენას უდიდესი გავლენისათვის, სულ სიმართლეს ვლაპარაკობდი.

- მე შევძელი, დამედგინა, რომ სწორი მოტივაციისათვის საჭიროა რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ჩვენი ტრენინგებია. თითოეულ ჩვენგანში იმალება რაღაც შეუცნობელი და იდუმალი, და თუკი მას გამოვააშკარავებთ, შეიძლება ნამდვილი სასწაულის მოხდენა.

თითოეული ჩვენგანი რაღაც მიზეზის გამო შრომობს: უნდა გამოვკვებოთ ოჯახი, ვიშოვოთ საარსებო ფული, გავამართლოთ ჩვენი ყოფა, მოვიპოვოთ ჩვენი წილი უფლება. ამ გზაზე გვხვდება მოსაბეზრებელი ეტაპები, მაგრამ მთელი საიდუმლოება ისაა, რომ შეგვეძლოს მათი გარდაქმნა საკუთარ თავთან თუ რაღაც უფრო ამაღლებულთან შეხვედრისას.

მაგალითად: მშვენიერების ძიება ყოველთვის არაა დაკავშირებული რაღაც პრაქტიკულ მიზანთან, მაგრამ ჩვენ მაინც ვაგრძელებთ ამ ძიებას, თითქოს ამ ქვეყნად არაფერია ამაზე უფრო მნიშვნელოვანი. ფრინველები გალობენ, თუმცა ეს არ ეხმარებათ საკვების მოპოვებაში, მტაცებლებისა და პარაზიტებისაგან თავდაცვაში. დარვინს თუ ვერწმუნებით, ფრინველები მხოლოდ იმიტომ გალობენ, რომ ეს ერთადერთი ხერხია პარტნიორების მოსაზიდად და შთამომავლობის გასაგრძელებლად.

ჟენეველმა მენეჯერმა სიტყვა შემაწყვეტინა და მთხოვა, პირდაპირ საქმეზე გადავსულიყავი, მაგრამ გენერალურმა დირექტორმა არჩია, გამეგრძელებინა და ამით გამამხნევა.

დარვინის აზრით, რომლის ნაშრომმა მთელი კაცობრიობის განვითარება შეცვალა (იგულისხმება დარვინის „სახეობათა წარმოშობა“ (1871), სადაც ნაჩვენებია, რომ ადამიანი წარმოიშვა მაიმუნის ერთ-ერთი სახეობის ბუნებრივი ევოლუციის

შედეგად. - რედ. შენიშ.), ყველა, ვისაც შეუძლია საკუთარ თავში გააღვიძოს ვნება, იმეორებს იმასვე, რაც ისტორიამდელ პერიოდში ხდებოდა, როდესაც დედლების მისაზიდად რიტუალები და წეს-ჩვეულებები კაცობრიობის მოდგმის გადარჩენისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელ პირობად ითვლებოდა. არსებობს თუ არა განსხვავება ადამიანის ევოლუციასა და ბანკთა სააგენტოებს შორის? არავითარი, რადგან ორივე ერთსა და იმავე კანონს ემყარება: გადარჩება და განვითარდება უფრო ძლიერი.

აქ მომიხდა იმის თქმა, რომ ამ იდეამ ჩემს ერთ-ერთ ხელქვეით - შერინ ხალილთან - სპონტანური თანამშრომლობის წყალობით ჰპოვა განვითარება.

- შერინმა, რომელსაც მოსწონს, თავის თავს ათენას უწოდებდეს, შეძლო, სამსახურებრივ მოღვაწეობაში შეეტანა დამოკიდებულების ახალი ტიპი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვნება, ჟინი. სწორედ ამ ვნებას არასდროს არ ვითვალისწინებთ ჩვენი ბიზნეს-გეგმების შედგენისას, რენტაბელობის ამაღლებისა და დანახარჯის შემცირებისას. ჩემმა ხელქვეითებმა მუსიკა გამოიყენეს კლიენტების უკეთესი მომსახურების სტიმულად.

ისევ შემაწყვეტინეს და შემახსენეს, რომ ეს მეთოდი დიდი ხნის წინ მოიგონეს და კარგადაც იყენებენ სუპერმარკეტებშიო; ზოგი მელოდია მყიდველს საიმისოდ განაწყობს, რომ რაც შეიძლება მეტი საქონელი შეიძინოს.

- არა, მე იმას როდი ვამბობ, რომ მუსიკის მეშვეობით ვცვლით ჩვენი ბანკის ატმოსფეროს. საქმე ისაა, რომ თანამშრომლებმა სხვაგვარი ცხოვრება დაიწყეს მას შემდეგ, რაც ათენამ ასწავლა მათ, რომ სამუშაო დღის დაწყებამდე უნდა ეცეკვათ. არ შემიძლია, ზუსტად განვსაზღვრო, ამ დროს რა მექანიზმი იწყებს მოქმედებას, - მე, როგორც მმართველი, პასუხს მხოლოდ შედეგზე ვაგებ და არა თავად პროცესზე. მე თვითონ არც ერთხელ არ მიცეკვია, მაგრამ მივხვდი, რომ ამ ცეკვის წყალობით ჩემი თანამშრომლები უფრო მონდომებითა და თავდაჯერებით ეკიდებიან თავიანთ საქმეს.

დაბადებიდან თან გვდევს გამოთქმა - „დრო ფულიაო“. ყოველმა ჩვენგანმა ზუსტად იცის, რა არის ფული, მაგრამ ვინ იკისრებს „დროის“ მნიშვნელობის განსაზღვრას? დღე და ღამე ოცდაოთხი ასტრონომიული საათისა და წამებისაგან შედგება. ჩვენ უნდა შევიგრძნოთ და განვიცადოთ თითოეული მათგანი, შეგვეძლოს მათი გამოყენება ჩვენს საქმიანობაში, თუნდაც მხოლოდ ცხოვრების მდინარებას ვჭვრეტდეთ. თუ სიჩქარეს მოვუკლებთ, ამქვეყნად ყველაფერი დროის დიდ ხანგრძლივობას შეიძენს, ეს, რა თქმა უნდა, ეხება ჭურჭლის რეცხვასაც, ბალანსის დამთავრებასაც და კრედიტის დაფარვასაც, მაგრამ, ამასთან ერთად, რატომ არ უნდა ფიქრობდე რაიმე სასიამოვნოზე, რატომ არ უნდა გიხაროდეს მარტო თუნდაც ის, რომ ცოცხალი ხარ.

მენეჯერი გაკვირვებული მომჩერებოდა. ეჭვი არ მეპარება, უნდოდა, უფრო დაწვრილებით მომეთხრო ყველაფერი, რაც ათენასგან ვისწავლე, მაგრამ დანარჩენები მოუთმენლობისგან აცმუკდნენ.

- მშვენივრად მესმის, რის თქმაც გსურდათ, - მითხრა მან, - ვიცი, რომ თქვენი ქვეშევრდომები დიდი მონდომებით მუშაობენ, რადგან, ყოველ შემთხვევაში, ერთი წამით მაინც ამყარებენ კონტაქტს საკუთარ თავთან. და მინდა, მოგილოცოთ, თქვენ აღმოჩნდით იმდენად მოქნილი ხელმძღვანელი, რომ დანერგეთ სწავლების ასეთი არატრადიციული ფორმა, რომელმაც ბრწყინვალე შედეგი გამოიღო, მაგრამ რაკიღა დრო ახსენეთ, რეგლამენტს შეგახსენებთ: ხუთი წუთიღა დაგრჩათ სიტყვის დასამთავრებლად და გთხოვთ, გვითხრათ, შეძლებთ თუ არა ძირითადი პუნქტების ჩამოყალიბებას, რათა ეს პრინციპი სხვა სააგენტოებსა და ცალკეულ ფილიალებშიც დავნერგოთ.

ის მართალი იყო. ყოველივე ეს შეიძლება დახმარებოდა ჩემს კარიერას ან შეიძლება დაეღუპა კიდეც. ასე რომ, შევეცადე იმის ფორმულირებას, რაც მე და ათენამ დავწერეთ.

- პირადი დაკვირვების შედეგად, მე და შერინ ხალილმა შევძელით, გამოგვერკვია ძირითადი დებულებები, რომლებიც მინდა, გავუზიარო ყველას, ვინც დაინტერესდება. მაშასადამე:

1. ყოველ ჩვენგანში დაფარულია იდუმალი ნიჭი და ენერგია, რაც, ჩვეულებრივ, ბოლომდე აუხსნელი რჩება; შესაძლებელია იგი ჩვენს მოკავშირედ ვაქციოთ. არ შეიძლება მისი არც გაზომვა, არც აწონა ანდა სხვა ხერხით შეფასება. ამიტომაც მას არაფრად არ აგდებენ. მაგრამ ახლა მოგმართავთ თქვენ და დარწმუნებული ვარ, გამიგებთ - თუნდაც თეორიულ დონეზე.

2. ფილიალში, რომელსაც ვხელმძღვანელობ, შევძელით, ასეთი ენერგია გამოგვეაშკარავებინა ცეკვის მეშვეობით, რომელიც სრულდება მელოდიის გარკვეული რიტმის თანხლებით. თუ არ ვცდები, ის სადღაც აზიის უდაბნოში დაიბადა. თუმცა, წარმომავლობას რა მნიშვნელობა აქვს, თუკი შესაძლებელია მარტო სხეულის მოძრაობის დახმარებით გამოვხატოთ სულის ლტოლვა. ვიცი, სიტყვა „სული“ შეიძლება, არასწორად გაიგონ, ამიტომ გთავაზობთ, ეს სიტყვა შეიცვალოს „ინტუიციით“, თუკი ამანაც არ ივარგა, მაშინ შევცვალოთ „პირველადი ემოციით“ - ეს იქნება ნამდვილი მეცნიერული განსაზღვრება, თუმცა მოიცავს ცნების ნაკლებად ფართო წრეს, ვიდრე წინა ორი ტერმინი.

3. ჩემს ხელქვეითებს ვაგულიანებ, სამსახურის დაწყების წინ (სულ ცოტა, ერთი საათის მანძილზე), გიმნასტიკისა და აერობიკის ნაცვლად, იცეკვონ. ეს სტიმულს აძლევს ადამიანის სულსა და სხეულს, ამძაფრებს მათში შემოქმედებით, კრეატიულ

იმპულსს. მათ მიერ აკუმულირებული ენერგია კი შემდეგ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ხმარდება.

4. ბანკის მოსამსახურეები და კლიენტები ერთსა და იმავე სამყაროში ცხოვრობენ: ეს ისეთივე რეალობაა, როგორც ტვინის ელექტროსტიმულების ჯაჭვი, ის, რასაც გვგონია, რომ „ვხედავთ“, არის ენერგიის იმპულსების ზემოქმედება ტვინის ყველაზე ბნელ ზონაზე. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ რეალობა, თუკი მივაღწევთ სინქრონულობას, ესე იგი, ავეწყობით ერთსა და იმავე ტალღაზე. ჩემთვის გამოუცნობი მიზეზების გამო, სიხარული გადამდებია, ისევე, როგორც აღფრთოვანება და სიყვარული, ანდა როგორც მწუხარება, უგუნებობა და სიძულვილი - ყველაფერი, რაც ინტუიციურად შეიძლება აღიქვან კლიენტებმა და თანამშრომლებმა. იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ მუშაობა, აუცილებელია შეიქმნას მექანიზმი, რომელიც შეინარჩუნებს პოზიტიურ სტიმულებს.

- ეს რაღაც ეზოთერიკაა, - გამომეპასუხა კანადის საპაიო ფონდის სააგენტოს წარმომადგენელი ქალი.

მე ცოტა დავიბენი - მაშასადამე, ვერავის დარწმუნება ვერ შევძელი-მეთქი. მაგრამ თავი ისე დავიჭირე, თითქოს ამ რეპლიკისთვის ყურადღება არც მიმიქცევია, მთელ შემოქმედებით ენერგიას მოვუხმე და მოხსენება ასე დავასრულე:

- ბანკმა გარკვეული თანხა უნდა გაიღოს ამ მექანიზმის შესასწავლად. მას შეუძლია, გაზარდოს ჩვენი მოგება.

ეს ფინალი, ასე თუ ისე, იმდენად დამაკმაყოფილებელი მეჩვენა, დარჩენილი ორი წუთით აღარ ვისარგებლე. ამ მომქანცველი სემინარის დამთავრების შემდეგ, საღამოს, გენერალურმა დირექტორმა, ჩემი კოლეგების დასანახად, ვახშამზე მიმიწვია - ამით თითქოს განზრახული ჰქონდა, ყველასთვის ეჩვენებინა, რომ მხარს უჭერდა ჩემს წამოწყებას. ადრე ასეთი შესაძლებლობა არ მქონია და ახლა მინდოდა ამ შეხვედრით ყველანაირად მესარგებლა; ვესაუბრებოდი გავრცელების ზონის გაფართოებაზე, ინვესტიციებზე, აქციების ბაზარზე, მაგრამ შემაწყვეტინა, მას მარტო ის აინტერესებდა, რაც ათენასგან ვისწავლე.

ბოლოს, ჩემდა გასაკვირად, პირად ამბებზე დამიწყო საუბარი.

- მე ვიცი, რაც გქონდათ მხედველობაში, როცა დრო მოიხსენიეთ. ამ წლის დასაწყისში, შობის არდადეგებზე გადავწყვიტე, ჩემი სახლის მახლობელ ბაღში დავმჯდარიყავი. საფოსტო ყუთიდან გაზეთი ამოვიღე, მაგრამ საინტერესო არაფერი ეწერა, გარდა იმისა, რომ ჟურნალისტების აზრით, უნდა ვიცოდეთ, რისი ცოდნაა სავალდებულო და რას უნდა ვექცეოდეთ ასე ან ისე.

მინდოდა, ჩემი გარემოცვიდან ვინმესთვის დამერეკა, მაგრამ ეს აზრი აბსურდულად მომეჩვენა - უკვე ყველა ჩემს ოჯახურ წრეში იყო. ცოლთან, შვილთან და

შვილიშვილებთან ვისადილე და ჩამეძინა. დღის ორ საათზე გამეღვიძა და მივხვდი, წინ ნამდვილი უსაქმურობის კიდევ სამი დღე მედო. მიუხედავად იმისა, რომ მსიამოვნებდა ახლობლებთან ურთიერთობა, სულ მალე ვიგრძენი, რომ არავისთვის არაფერს წარმოვადგენდი.

მეორე დღეს, რაკი თავისუფალი დრო ჭარბად მქონდა, სამედიცინო გამოკვლევა გავიარე. საბედნიეროდ, არაფერი სერიოზული არ აღმომაჩნდა. შემდეგ წავედი კბილის ექიმთან, მანაც მითხრა, ყველაფერი რიგზე გაქვსო. ამას ისევ ოჯახურ წრეში სადილი მოჰყვა და ნასადილევს ძილი. გაღვიძებისთანავე კვლავ მივხვდი, რომ არანაირი საქმე არ მქონდა.

ცოტა არ იყოს, შემეშინდა - ნუთუ არაფერს არ უნდა ვაკეთებდე-მეთქი. თუმცა, რაიმე საქმის გამოჩენა რომ დამჭირვებოდა, საკმაოდ იოლად გამომივიდოდა: ეს იქნებოდა გადამწვარი ნათურის გამოცვლა, ბაღში ჩამოცვენილი ფოთლების დაწვა, რაღაც პროექტის განვითარებაზე ფიქრი, კომპიუტერის ფაილების მოწესრიგება და ათასი სხვა რამ. ამ დროს გამახსენდა რაღაც, რაც იმ წუთებში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მეჩვენა: მაგიდაზე დარჩენილი მისალოცი ღია ბარათი წამეღო და საფოსტო ყუთში ჩამეგდო, რომელიც ჩემი ქალაქგარეთა სახლიდან ლამის ერთი კილომეტრით იყო დაშორებული.

უცებ მე თვითონ გამიკვირდა: მაინცდამაინც დღეს რატომ უნდა გავგზავნო? არ შეიძლება, შინ დავრჩე და არაფერიც არ გავაკეთო?

თავში დომხალივით მიტრიალებდა აზრები. მახსენდებოდა ჯერ არმომხდარი ამბით შეწუხებული მეგობრები; თავიანთი ცხოვრების მანძილზე გამუდმებით საქმითა და საზრუნავით გართული ნაცნობები; ხანგრძლივი და უაზრო სატელეფონო საუბრები; მახსენდებოდა ჩემი დირექტორები, თავისი თანამდებობის გასამართლებლად რაღაც საქმეს რომ გამოიჩენენ ხოლმე; მახსენდებოდა მათი ხელქვეითები: რომელიმე დღეს დავალებას თუ ვერ მიიღებდნენ, შიშისაგან რომ იტანჯებოდნენ - ვაითუ ჩვენგან აღარ ელიან ხეირსა და სარგებელსო? მახსენდებოდა, როგორ იტანჯებოდა ჩემი ცოლი ჩვენი ვაჟიშვილის ოჯახის დანგრევის გამო; ჩემი ვაჟიშვილი კი - იმით, რომ ჩემმა შვილიშვილმა ორიანი მიიღო; თვითონ ჩემი შვილიშვილი კი - იმის გამო, რომ გულს სტკენდა მშობლებს. ამასთან, ყველამ ვიცოდით, რომ ნიშნები არცთუ ისე მნიშვნელოვანია.

იმისათვის, რომ ადგილიდან არ დავძრულიყავი, საკუთარ თავთან სასტიკი ბრძოლა დამჭირდა; შემოქმედებითი მუშაობის წყურვილი თანდათან ჭვრეტითმა განწყობილებამ შეცვალა. და, აი, სწორედ მაშინ მოვისმინე ხმა საკუთარი სულისა, ინტუიციისა, ანდა „პირველადი ემოციისა“, გააჩნია, რისი გჯერა შენ. ამის გამოთქმა ძალიან მინდოდა, მაგრამ ყოველთვის საქმეში ვიყავი ჩაფლული და მაგის დრო არ მქონდა.

ჩემს შემთხვევაში ცეკვა კი არა, სრული მდუმარება და უმოძრაობა დამეხმარა საკუთარ თავთან კონტაქტის დამყარებაში. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ მე მაშინ ბევრი ისეთი პრობლემის გადასაჭრელი გასაღები ვიპოვე, რაც ადრე მოსვენებას არ მაძლევდა. იმ წუთებში კი, როცა აქ ვიჯექი, სადღაც იყო გადაკარგული. მე უფალი არ მინახავს, მაგრამ ის კი გარკვევით შევიცანი, რა გადაწყვეტილებები უნდა მიმეღო.

სანამ დანახარჯს გადავიხდიდით, გენერალურმა დირექტორმა მთხოვა, ათენა დუბაიში გამეგზავნა, სადაც ჩვენმა ბანკმა ფილიალი გახსნა და რისკიც მნიშვნელოვანი იყო. როგორც პირველი კლასის მენეჯერს, ესმოდა, რომ მე უკვე ათვისებული მქონდა, რაც მომეთხოვებოდა, და ახლა ამ თანამშრომელს სხვა ადგილზე შეეძლო დიდი სარგებლობის მოტანა. მან თავადაც არ იცოდა, როგორ დამეხმარა ათენაზე მიცემული ჩემი დაპირების შესრულებაში.

ლონდონში დაბრუნებულმა ათენას უმალ შევთავაზე ახალი თანამდებობა. ისიც უყოყმანოდ დამთანხმდა, მითხრა, არაბულად თავისუფლად ვლაპარაკობო (ისედაც ვიცოდი მისი წარმომავლობა). მე ვუპასუხე, რომ მას ადგილობრივ მცხოვრებლებთან კი არა, უცხოელებთან მოუწევდა მუშაობა და მადლობა გადავუხადე დახმარებისთვის. ის ოდნავადაც არ დაინტერესებულა ჩემი ბარსელონური ლექციით, მხოლოდ ის მკითხა, როდის უნდა გამგზავრებულიყო.

დღესაც არ ვიცი, სინამდვილე იყო თუ არა, რასაც ათენა მიყვებოდა სკოტლანდ-იარდელ საქმროზე. ასე რომ იყოს, ათენას მკვლელს აქამდე დაიჭერდნენ - ერთი სიტყვისაც არ მჯერა, რასაც გაზეთები ამ დანაშაულზე წერდნენ. მე მშვენივრად ვერკვევი ფინანსურ საქმეებში, იმის თქმაც კი შემიძლია, ცეკვა ბანკის კლერკებს უკეთ მუშაობაში ეხმარება-მეთქი, მაგრამ ის კი ვერაფრით ვერ გამიგია, მსოფლიოში საუკეთესო პოლიცია რატომ იჭერს ზოგ მკვლელს და ზოგს თავისუფლად უშვებს.

თუმცა ახლა ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა.

ნაიბილ ალიაიხი

ასაკი უცნობია, ბედუინი

რა უნდა გითხრათ? სასიამოვნოა იმის გაგება, რომ ათენას ჩემი ფოტოსურათი საპატიო ადგილზე ეკიდა. მაგრამ არა მგონია, რომ ჩემი მეცნიერება რამეში გამოსდგომოდა. ის აქ, შუა უდაბნოში, სამი წლის შვილთან ერთად ჩამოვიდა. ჩანთა გახსნა, ამოიღო მაგნიტოფონი და ჩემს კარავთან დაჯდა. ვიცოდი, ქალაქელები ჩემთან აგზავნიდნენ ადგილობრივი სამზარეულოს მოყვარულ უცხოელებს, ამიტომ მაშინვე ვუთხარი, ვახშმობამდე ჯერ კიდევ დიდი დროა-მეთქი.

- მაგისთვის არ მოვსულვარ, - მიპასუხა მან, - ჩვენი ბანკის კლიენტი, თქვენი ნათესავი ჰამიდი ამბობს, რომ ბრძენი ხართ.

- ჰამიდი ახალგაზრდა და სულელია. გეუბნებათ, რომ ბრძენი ვარ, ჩემს რჩევას კი არასოდეს არ უჯერებს. წინასწარმეტყველი მუჰამედი, ნუ მოჰკლებოდეს ღმერთის კურთხევა, აი, ის იყო ჭეშმარიტად ბრძენი.

მერე მის ავტომანქანაზე მივუთითე.

- არ ღირს მანქანით უცხო ადგილებში სიარული, მით უფრო - გამცილებლის გარეშე.

პასუხის ნაცვლად მაგნიტოფონი ჩართო და მეორე წუთს მხოლოდ იმასღა ვხედავდი, როგორ დაფრინავდა ქვიშის ბარხანებზე, შვილი კი გახარებული და გაკვირვებული უყურებდა. მუსიკა თითქოს მთელ უდაბნოს ავსებდა. ცეკვა რომ დაამთავრა, მკითხა, მომეწონა თუ არა.

ვუთხარი, მომეწონა-მეთქი. ჩვენს რელიგიაში არსებობს განშტოება (ისლამის ამ განშტოებას სუფიზმი ჰქვია - რედ. შენიშ.), რომლის მიხედვით, ცეკვავენ, რათა შეხვდნენ ალაჰს, კურთხეულ იყოს მისი სახელი.

- კარგი, - მითხრა მან, - ცხოვრების პირველ დღეებში ვგრძნობდი, რომ უნდა მივახლოვებოდი ღმერთს, მაგრამ ახლა თანდათან ვშორდები. მუსიკა მასთან მისაახლოებელი ერთ-ერთი გზა იყო, თუმცა ეს საკმარისი არ არის. ყოველთვის, როცა ცეკვას ვიწყებ, ვხედავ სინათლეს და ეს სინათლე მიბრძანებს შემდგომ წინსვლას. მე უკვე აღარ შემიძლია ჩემით რაიმეს სწავლა - ახლა მჭირდება ვინმე, ვინც მასწავლის დანარჩენს, რაც არ ვიცი.

- გულმოწყალე ალაჰი მუდამ ჩვენთანაა, იცხოვრე ღირსეულად და ეს საკმარისი იქნება, - მივუგე მე.

ჩემმა სიტყვებმა ის ვერ დაარწმუნა. მაშინ ვუთხარი, ახლა არა მცალია, სადაცაა, ტურისტები მოვლენ და ვაშხამი უნდა მოვამზადო-მეთქი. მაგრამ ათენამ დაიჟინა, თანახმა ვარ, იქამდე ვიცადო, სადამდეც საჭირო იქნებაო.

- მერე ბავშვი?

- ბავშვზე ნუ შეწუხდებით.

ჩემს საქმეში გართული დროდადრო გავხედავდი ხოლმე დედა-შვილს: ისინი თანატოლებივით ერთმანეთს სირბილში ეჯიბრებოდნენ უდაბნოში, გორაობდნენ ქვიშაში, თამაშობდნენ. ამ დროს გამცილებელმა სამი გერმანელი ტურისტი მოიყვანა. ვახშმობისას მათ ლუდი მომთხოვეს. მე ავუხსენი, რომ ჩვენი რწმენა ნებას არ გვრთავს, თვითონ დავლიოთ ან სხვას დავალევინოთ სპირტიანი სასმელი. ათენაც ბავშვთან ერთად მივიწვიე ვახშამზე. ერთ-ერთი ტურისტი მეტისმეტად

გამოაცოცხლა ქალის უეცარმა გამოჩენამ. მისი თქმით, ძალიან მდიდარი იყო და აქ მიწის ყიდვას აპირებდა, რადგან სჯეროდა, აქაურობას დიდი მომავალი ექნებოდა.

- ამის მეც მჯერა, - უპასუხა ათენამ.

- იქნებ მე და თქვენ განზე გავიდეთ და ვიმსჯელოთ, შესაძლებელია თუ არა...

- არა, - შეაწყვეტინა ათენამ და თავისი სავიზიტო ბარათი გაუწოდა, - თუ მოსვლას ინებებთ, ეს ჩემი ბანკია.

ტურისტები მალე წავიდნენ. ჩვენ კარვის კართან ჩამოვსხედით. ხანგრძლივი დუმილი მისმა შეკითხვამ დაარღვია:

- რატომ მიაჩნიხართ ჰამიდს ბრძენად?

- ალბათ იმიტომ, რომ მე მასზე დიდი მოთმინება მაქვს ნაბოძები. თავის დროზე ვცდილობდი, მისთვის ჩემი ხელოვნება მესწავლებინა, მაგრამ ჰამიდს მარტო ის აინტერესებდა, როგორ ეშოვა ფული, რაც შეიძლება ბევრი და რაც შეიძლება სწრაფად. ახლა, უეჭველია, დარწმუნებულია, რომ ჩემზე ჭკვიანია: აქვს ბინა და იახტა, მე კი ვზივარ შუაგულ უდაბნოში და ვუმასპინძლდები აქ იშვიათად მოხვედრილ ტურისტებს. ის ვერ ხვდება, რომ მომწონს ჩემი საქმე.

- ვფიქრობ, ცდებით. რომ ვერ ხვდებოდეს, ყველა შემხვედრს დიდი პატივისცემით არ დაუწყებდა საუბარს თქვენზე. თქვენ კი რა მიგაჩნიათ „თქვენს ხელოვნებად“?

- დღეს გიყურებდით, როგორ ცეკვავდით. მეც იმავეს ვაკეთებ, ოღონდ სხეული კი არ მოძრაობს, მოძრაობს ასოები, - ვუპასუხე მე.

ჩემმა ნათქვამმა განაცვიფრა.

- მე ვუახლოვდები ალაჰს - კურთხეულ იყოს მისი სახელი! - კალიგრაფიის მეშვეობით. ყოველი სიტყვის სრულყოფილი აზრის ძიების მეშვეობით. ერთადერთი, მხოლოდ ერთი ასო თხოულობს, ჩავდოთ მასში არსებული მთელი ძალა ისე, თითქოსდა, ვკვეთთ ან ვაქანდაკებთ მის მნიშვნელობას. როცა წმინდა ტექსტი დაიწერება, მასში რჩება ადამიანის სული, რომელიც წერილს მთელ ქვეყანაზე ავრცელებს, და არა მარტო წმინდა ტექსტები, არამედ ყველაფერი, რასაც ქაღალდს ვანდობთ, ვინაიდან ხელი, რომელსაც ეს სტრიქონები გამოჰყავს, არის დამწერის სულის გამოხატულება.

- მასწავლით, რაც იცით?

- უპირველესად, არა ვარ დარწმუნებული, რომ ენერგიით აღსავსე ადამიანი მუყაითი და მომთმენი იქნება. გარდა ამისა, ეს ხელოვნება არ ეკუთვნის შენს სამყაროს, სადაც ჭეშმარიტება ხელით კი არ გამოჰყავთ, არამედ მანქანაზე ბეჭდავენ, თანაც, არც იმაზე ფიქრით იწუხებენ თავს, არის თუ არა ეს ჭეშმარიტება.

- მაინც მინდა, რომ ვცადო.

მერე მთელ ნახევარ წელიწადს ეს ქალი, რომელიც გეგონებოდათ, ერთი წუთითაც ვერ დაჯდებოდა მშვიდად, რადგან გრძნობებს მგზნებარედ და მძაფრად ავლენდა, ჩემთან ყოველ პარასკევს დადიოდა. მისი ბიჭუნა კუთხეში ჯდებოდა, აიღებდა ქაღალდსა და ფუნჯს და ისიც ცდილობდა თავისი ნახატებით ზეცის მიერ განგებულის გადმოცემას.

ვხედავდი, რა წარმოუდგენელ ძალისხმევად უჯდებოდა ათენას უმოძრაოდ, ერთსა და იმავე პოზაში ჯდომა. ვეკითხებოდი: „ნუთუ სხვა ვერაფერი მონახე გასართობად-მეთქი“, ის კი მპასუხობდა: „მე ეს მჭირდება, მსურს, დავიმშვიდო სული. შენ ჯერ ყველაფერი არ გისწავლებია ჩემთვის. წვეროს სინათლე მეუბნება, რომ სწავლა უნდა განვაგრძო“. მე არ მიკითხავს, რას ნიშნავდა „წვერო“. ან ეს რა ჩემი საქმე იყო.

უპირველეს ყოვლისა, ათენას უნდა ესწავლა მოთმინება და ეს ყველაზე უფრო ძნელი იყო.

კალიგრაფია მარტო აზრის გამოხატვის საშუალება როდია, ეს არის ფიქრი იმაზე, რა აზრის მატარებელია თითოეული სიტყვა. რაკიღა ვფიქრობდი, რომ ყურანი არ შეიძლება, გამოსადეგი ყოფილიყო სხვა რწმენით აღზრდილი ადამიანისთვის, ჩვენი მუშაობა დავიწყეთ ერთი არაბი პოეტის ტექსტზე. მე ვკარნახობდი ასო-ასო, რათა იგი გულისყურით მოჰკიდებოდა იმას, რასაც იმ წუთში აკეთებდა, და არ ცდილიყო, უცებ გამოეცნო სიტყვის, ფრაზისა თუ ლექსის მნიშვნელობა.

- ვიღაცამ მითხრა, რომ მუსიკა ღმერთის შექმნილია და ადამიანისთვის აუცილებელია სწრაფი მოძრაობა, რათა კონტაქტი დაამყაროს საკუთარ თავთანო, - მითხრა ერთხელ ათენამ, - წლების მანძილზე მჯეროდა, რომ ეს მართლაც, ასეა, ახლა კი თავს ვაიძულებ, გავაკეთო ყველაზე ძნელი რამ - შევანელო ნაბიჯები. რატომ არის მოთმინება ასე მნიშვნელოვანი?

- იმიტომ, რომ მოთმინება ყურადღებას გვასწავლის.

- მაგრამ მე ხომ მაშინ ვცეკვავ, როცა მხოლოდ საკუთარი სულის ძახილს ვემორჩილები, რომელიც მაიძულებს, გულისყური გადავიტანო უფრო დიდ რაღაცაზე, ვიდრე თავად ვარ, და ნებას მაძლევს, კონტაქტი დავამყარო ღმერთთან, თუკი შეიძლება აქ ეს სიტყვა ვიხმარო. ცეკვა ბევრი რამის, მათ შორის საკუთარი სამუშაოს გარდაქმნაშიც კი მეხმარებოდა. და გეკითხებით: განა სული არ არის ყველაზე მთავარი? ყველაზე მნიშვნელოვანი?

- დიახ, ასეა. მაგრამ თუკი სული შეძლებს გონებასთან დაკავშირებას, შეერთებას, გაერთიანებას, მაშინ უდიდესი გარდაქმნის უნარსაც შეიძენს.

ჩვენ გავაგრძელეთ ერთობლივი მუშაობა. ვიცოდი, დადგებოდა წუთი, როცა ათენას ვეტყოდი იმას, რის მოსასმენადაც ჯერ მზად არ იყო. ამიტომაც ვცდილობდი, მისი

სულის მომზადებისას, ფუჭად არ დამეკარგა დრო. ავუხსენი, რომ აზრი სიტყვაზე ადრე წარმოიშვა, აზრზე ადრე კი ღვთის ნაპერწკალი იყო. ამქვეყნად ყველაფერი, თითქმის ყველაფერი აზრის აღსრულებაა და ყველაზე უმცირესზე უმცირესი რამეც კი ანგარიშგასაწევია.

- ჩემს სხეულს ვასწავლე ყველაფერი ის, რასაც სული განიცდის, - მითხრა მან.

- ახლა ასწავლე მხოლოდ შენს თითებს, ისე, რომ მხოლოდ მათი მეშვეობით გამოხატო შენი სხეულის ყველა შეგრძნება. ისე, რომ შენი უჩვეულო ძალა მათში იყოს თავმოყრილი.

- თქვენ ნამდვილი მასწავლებელი ხართ.

- რა არის „მასწავლებელი“? გიპასუხებთ. ეს ის კი არაა, ვინც რაიმეს ასწავლის, არამედ ის, ვინც მოწაფეს აიძულებს მასში არსებული ყველაზე საუკეთესოს გამოვლენას, რათა აღმოაჩინოს ის, რაც მასწავლებლისთვის უკვე ცნობილია.

მე ვგრძნობდი, რომ ათენას რაღაც ისეთის განცდა ეუფლებოდა, რაც შეიძლება დიდი ხნის წინათ, ადრეულ ასაკში განეცადა. ნაწერი ამჟღავნებს ადამიანის პიროვნებას; ასე რომ, მივხვდი, იგი საყვარელი არსება იყო არა მარტო შვილისთვის, არამედ მშობლებისთვისაც და გარკვეული პერიოდის მანძილზე - მამაკაცისთვისაც. იმასაც მივხვდი, რომ ათენას ნაბოძები ჰქონდა მისტიკური ნიჭი, მაგრამ ვცდილობდი, არ გამოეყენებინა, რადგან ამას შეიძლება ღმერთთან შეეხვედრებინა, მაგრამ შეიძლება დაეღუპა კიდეც.

მე არ შემოვფარგლულვარ იმით, რომ ის მხოლოდ ტექნიკას დაუფლებოდა, ვცდილობდი, მისთვის გამემხილა კალიგრაფთა ფილოსოფიაც.

- კალამი, რომლითაც ეს ლექსები გამოგყავს - იარაღია მხოლოდ. მას არ გააჩნია საკუთარი ნება. ის მორჩილებს იმის სურვილს, ვისაც ხელთ უპყრია. ამით ჰგავს იმას, რასაც „ცხოვრებას“ ვეძახით. ბევრი ადამიანი ამქვეყნად ისე ასრულებს რაღაც როლს, იმის შეუცნობლად, რომ უჩინარი ხელი მართავს მას. ამ წუთში ხელთ კალამი გიპყრია თუ ფუნჯი, მათში თავმოყრილია შენი სულის ყველა განზრახვა. შეეცადე, შეიცნო ამის დიდი მნიშვნელობა.

- გასაგებია... იმასაც ვხედავ, რამდენად მნიშვნელოვანია მოხდენილობის შენარჩუნება, რადგან მთხოვთ, წერა გარკვეული პოზის მიღების შემდეგ დავიწყო. ამასთან, წინასწარ უნდა განვიმსჭვალო მასალისადმი პატივისცემით.

სხვაგვარად როგორ შეიძლება? რადგან, რამდენადაც დიდ პატივს მიაგებს იგი კალამსა თუ ფუნჯს, მიხვდება, რომ წერის სასწავლებლად აუცილებელია მშვიდი მოხდენილობა. სიმშვიდე კი გულიდან მოდის.

- მოხდენილობა რაღაც ზერელე რამ კი არაა, ხერხია, რათა ადამიანმა პატივი მიაგოს ცხოვრებასა და შრომას. ამიტომ, უხერხულად თუ იგრძნობ თავს ამ პოზაში, არ იფიქრო, რომ ის არაბუნებრივი და უვარგისია. ძნელი რომაა ამგვარ პოზაში ყოფნა, მისი ჭეშმარიტებაც ამაშია. ქაღალდსა და კალამსაც პოზა აიძულებს, იამაყონ, მათი გულისთვის ძალისხმევას რომ არ იშურებ. ქაღალდიც აღარა გგონია უბრალო, თეთრი, სწორი ზედაპირი, რადგან მასზე დაწერილის სიღრმეს იძენს.

მოხდენილობა სწორი პოზაა, რაც საშუალებაა იმისი, რომ ნაწერი ჩინებული გამოვიდეს. განა ასე არაა ცხოვრებაშიც? ყოველივე ზედაპირულისა და უსარგებლოს უარყოფით ადამიანი შეიცნობს უბრალოებასა და გულისხმიერებას: რაც უფრო უბრალო და რაც უფრო სადაა პოზა, საბოლოო ჯამში უფრო ლამაზია, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად უხერხულად გვეჩვენება.

დროდადრო ათენა მიყვებოდა თავის სამუშაოზე. ამბობდა, რომ ყველაფერს გატაცებით აკეთებდა, ცოტა ხნის წინათ კი წინადადება მიეღო ერთი ძლევამოსილი ემირისაგან. ემირი ბანკში ფულისთვის კი არა (ემირს საამისოდ უამრავი მსახური ჰყავს), მისი მეგობარი ბანკის ხელმძღვანელის სანახავად მისულა. საუბარში უთქვამს, რომ ეძებდა მიწის ნაკვეთების გამყიდველ სპეციალისტს და ათენასთვის უკითხავს, ხომ არ დაინტერესდებოდით ასეთი სამუშაოთიო.

ვინ მოისურვებს შუა უდაბნოში მიწის ნაკვეთისა და ნავსადგურის ყიდვას, ეს ხომ სამყაროს ცენტრი არაა? - გავიფიქრე ჩემთვის, მაგრამ გაჩუმება ვარჩიე. ახლა, უკან რომ ვიყურები, კმაყოფილი ვარ, მაშინ შენიშვნისაგან თავი რომ შევიკავე.

მამაკაცის სიყვარულზე ათენა ერთადერთხელ მესაუბრა. ჩემს კარავში მოსული ტურისტები, ათენას ნახვისას ცდილობდნენ, ასე თუ ისე, როგორმე მოეპოვებინათ მისი კეთილგანწყობა, ის კი მათ კურკურს, ჩვეულებისამებრ, ყურადღებას საერთოდ არ აქცევდა მანამდე, სანამ ერთ-ერთმა მათგანმა არ უთხრა, რომ მის შეყვარებულს იცნობდა. ათენა გაფითრდა და უმალ თავის შვილს გახედა, საბედნიეროდ, მას ეძინა და საუბარს ყურს არ უგდებდა.

- საიდან?

- ვხუმრობ, უბრალოდ, მინდოდა გამეგო, თავისუფალი ხარ თუ არა, - უთხრა ტურისტმა.

ათენას ამაზე არაფერი უპასუხია, მე კი მივხვდი, რომ მისი ცხოვრების მამაკაცი და მისი შვილის მამა სხვადასხვა ადამიანები იყვნენ.

ერთხელ ათენა ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა, მითხრა, ბანკიდან გამათავისუფლეს და ახლა მიწის ნაკვეთებს ვყიდი, ასე რომ, გაცილებით მეტი თავისუფალი დრო მაქვსო. მე ავუხსენი, ბევრი საქმე მაქვს და დანიშნულ დროზე ადრე გაკვეთილის დაწყებას მაინც ვერ შევძლებ-მეთქი.

- მე შემიძლია, გავაერთიანო ორი რამ - მოძრაობა და უძრაობა, სიხარული და კონცენტრაცია.

მან მანქანიდან მაგნიტოფონი გადმოიღო, ჩართო და ცეკვა დაიწყო. იმ დღიდან მოყოლებული, მეცადინეობის დაწყების წინ ცეკვავდა უდაბნოში, ბავშვი კი დედის გარშემო დახტოდა. როდესაც დაღლილი კალამს იღებდა, მისი ხელი ადრინდელზე გაცილებით მტკიცე იყო.

- არსებობს ორი სახეობის ასოები, - ვუხსნიდი მე, - პირველნი გამოგვყავს მონდომებით, მაგრამ უსულგულოდ, ამ შემთხვევაში, როგორ ტექნიკასაც უნდა ფლობდეს კალიგრაფი, ის მხოლოდ ოსტატობაზე ფიქრობს და სრულყოფა აკლია. ის იწყებს გამეორებებს, რჩება ერთ დონეზე და ბოლოს მიატოვებს თავის საქმიანობას, რადგან ყველაფერი სასტიკად მობეზრდება.

მეორე სახეობაა, როდესაც არსებობს მაღალი ტექნიკა, მაგრამ, ამასთან, შიგ სულიცაა ჩადებული. ამისთვის საჭიროა, რათა დამწერის განზრახვა და სიტყვები თანხმიერებაში მოდიოდეს: მაშინ ყველაზე სევდიანი ლექსიც კი ტრაგედიის სამოსით კი აღარ შეიმოსება, ცხოვრების გზაზე შეხვედრილ უბრალო ფაქტად იქცევა.

- ამ სურათებს რა უნდა უყოთ? - იკითხა ბიჭმა სუფთა არაბულ ენაზე. მას თუმცა არ გაუგია ჩვენი საუბარი, ყველანაირად ცდილობდა, მონაწილეობა მიეღო იმაში, რასაც დედამისი საქმიანობდა.

- გავყიდით.

- ჩემი სურათების გაყიდვა მეც შემიძლია?

- შეგიძლია კი არა, უნდა გაყიდო, ოდესმე ამით გამდიდრდები და დედას დაეხმარები.

ის დააკმაყოფილა ჩემმა პასუხმა და თავისი საქმიანობა განაგრძო - ნაირ-ნაირი ფერის პეპლებს დაუწყო დევნა.

- მე რაღა უნდა ვუყო ჩემს ტექსტებს? - მკითხა მაშინ ათენამ.

- შენ შეიცან ძალა, რომელიც საჭიროა იმისათვის, რათა მიიღო სწორი პოზა, დაგიმშვიდო სული, ნათელყო განზრახვა, პატივისცემით მოეკიდო თითოეული სიტყვის ასოსაც. კვლავ გააგრძელე ეს პრაქტიკა. დიდი ხნის პრაქტიკის შემდეგ მიხვდები, რომ აღარ ფიქრობ იმაზე, რა მოძრაობა უნდა გააკეთო - ეს ყველაფერი შენი ყოფის ნაწილად იქცევა. მაგრამ სანამ ამ მდგომარეობამდე მიხვიდოდე, კვლავ და კვლავ უნდა ივარჯიშო, ისევ და ისევ გაიმეორო და გაიმეორო.

დააკვირდი, როგორ კარგად ამუშავებს მჭედელი ფოლადს. უცხო თვალით, მჭედელი ერთსა და იმავე მოძრაობას აკეთებს - ურტყამს და ურტყამს ჩაქუჩს. მაგრამ ვინც გაწაფულია კალიგრაფიის ხელოვნებაში, იცის - ყოველთვის, როცა მჭედელი ჩაქუჩს

მაღლა სწევს, ძირს სხვადასხვა ძალით უშვებს, ხელი ერთსა და იმავე მოძრაობას კი აკეთებს, მაგრამ მან ჭედვისას კარგად იცის, უფრო ძლიერად უნდა დაარტყას თუ უფრო მოზომილად. ზუსტად ასეა ვარჯიშის განმეორებისასაც: ის მუდამ სხვადასხვანაირია.

დადგება დრო, როდესაც აღარ დაგჭირდება იმაზე ფიქრი, თუ რას აკეთებ. შენ თავად იქცევი ასოებად, ტუშად, ქაღალდად, სიტყვებად.

ეს დრო თითქმის ერთი წლის შემდეგ დადგა, ამ დროისთვის ათენას უკვე იცნობდნენ დუბაიში. იგი ბევრ თავის კლიენტს უწევდა რეკომენდაციას, რომ ჩემს კარავში ევახშმათ. მათი მეშვეობით შევიტყვე, რომ ათენა ბრწყინვალე კარიერას იკეთებდა: ნაჭერ-ნაჭერ ყიდდა უდაბნოს. ერთ საღამოს მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით თავად ემირი მეწვია. მოულოდნელობისაგან დავიბენი - არ ველოდი ასეთ საპატიო სტუმარს, მაგრამ მან დამამშვიდა და მადლობა გადამიხადა იმისათვის, რასაც ათენასათვის ვაკეთებდი.

- შესანიშნავი ადამიანია და მის იშვიათ თვისებებს დაემატა ისიც, რაც თქვენ ასწავლეთ. ვფიქრობ, რომ კომპანიაში წილი უნდა გამოვუყო. ამასთან, ჩემი სხვა თანამშრომლებიც გამოვაგზავნო კალიგრაფიის შესასწავლად - მით უფრო, ახლა, როცა ათენა ერთი თვით შვებულებაში მიდის.

- კალიგრაფია მხოლოდ ერთ-ერთი ხერხია, რომელიც ალაჰმა გვიბოძა, კურთხეულ იყოს მისი სახელი. ესაა ხერხი მოთმინების, აზრის აწონ-დაწონის, პატივისცემისა და მოხდენილობის სწავლებისა, მაგრამ ყოველივე ამას შეიძლება დავეუფლოთ...

- ცეკვით, - ჩაურთო სიტყვა ჩემ გვერდით მდგომმა ათენამ.

- ანდა უძრავი ქონების გაყიდვით, - დავუმატე მე.

ყველა რომ წავიდა, ბიჭი კარვის კუთხეში გაიშოტა, თვალები ებლიტებოდა, - მე ქაღალდი და კალამი მივუტანე ათენას და ვთხოვე, რამე დაეწერა, მაგრამ კალამი მალევე უკან გამოვართვი. დადგა დრო, მეთქვა ის, რაც საჭირო იყო, რომ მეთქვა. ვთხოვე, ცოტა ხნით გაგვესეირნა.

- შენ უკვე შეისწავლე ყველაფერი, რაც გჭირდებოდა. შენი ხელწერა ყოველდღიურად უფრო მეტ თავისებურებას და შენი პიროვნების თვისებებს იძენს. ეს უკვე არაა სხვების განმეორება, ეს საკუთარი შემოქმედებაა. შენ აითვისე მხატვრობის უდიდეს ოსტატთა ანდერძი: „იმისათვის, რათა წესები დაარღვიო, თავდაპირველად საჭიროა მათი ცოდნა და მათი დაცვის სწავლა“.

შენ უკვე აღარ გჭირდება ინსტრუმენტები, აღარ გჭირდება აღარც ქაღალდი, აღარც ტუში, აღარც კალამი, ვინაიდან გზა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რამაც შეგაგულიანა, დასდგომოდი გზას. ერთხელ მიამბე, რომ კაცმა, რომელმაც ცეკვა

fb.com/groups/elib

გასწავლა, მუსიკა გონებაში წარმოისახა. ასევე ზუსტად შეიძლება, გაიმეორო საჭირო რიტმიც.

- ასეც იყო.

- თუკი სიტყვები ერთმანეთს გადაებმებიან, აზრს დაკარგავენ ანდა ძნელად გასაგებნი გახდებიან. აუცილებელია მათ შორის ცარიელი სივრცე - ხარვეზები.

მან თავი დამიქნია.

- შენ კი, მართალია, სიტყვებს ფლობ, მაგრამ ჯერ არ გისწავლია ხარვეზების მართვა. გონებამოკრებილი როცა ხარ, შენი ხელი შეცდომას არ უშვებს, მაგრამ სიტყვიდან სიტყვაზე გადასვლისას იბნევი.

- როგორ მიხვდით?

- აჯობებს, მითხრა, მართალია თუ არა.

- მართალია. სავსებით მართალი. წამის რაღაც მონაკვეთში, სანამ მომდევნო სიტყვას ჩავუღრმავდები, ვიბნევი. ის, რაზედაც ფიქრი არ მსურს, ჯიუტად მებლანდება თვალებში და სურს, დამიმორჩილოს.

- და შენ მშვენივრად იცი, რაც არის ეს.

ათენამ იცოდა, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია, სანამ კარავში არ დავბრუნდით. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, თუმცა ყველანაირად ცდილობდა მათ შეკავებას.

- ემირმა მითხრა, რომ შვებულებაში აპირებ წასვლას.

მან მანქანის კარი გააღო, საჭეს მიუჯდა, დაქოქა და რამდენიმე წუთის განმავლობაში უდაბნოს სიჩუმეს მხოლოდ ძრავას ხმაური არღვევდა.

- ვიცი, რასაც მეუბნებით, - აღიარა ბოლოს, - როცა ვწერ ან ვცეკვავ, ყოველივე არსებულის შემქმნელი დედა მმართავს. როცა მძინარე ვიორელს ვუყურებ, ვხვდები, რომ ჩემმა ბიჭმა იცის: ის ნაყოფია ჩემი და მამამისის სიყვარულისა, რომელიც უკვე ერთი წელია, არ მინახავს. მე კი...

იგი დადუმდა და ეს დუმილი სიტყვათა შორის ხარვეზს ჰგავდა.

- ...მე კი არ ვიცი, ვისი ხელი მირწევდა აკვანს, ვისმა ხელმა ჩამწერა ამ ცხოვრების წიგნში.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

- თქვენი აზრით, ეს მნიშვნელოვანია?

- ყოველთვის არა. მაგრამ შენს შემთხვევაში - მანამ არ შეეხები იმ ხელებს, ვერ შეძლებ, ასე ვთქვათ, კალიგრაფიის გაუმჯობესებას.

- არა მგონია, საჭირო იყოს იმ ადამიანის მოძებნა, რომელსაც არასდროს ვყვარებივარ.

მან მიიხურა მანქანის კარი, გამიღიმა და უცებ მოწყდა ადგილიდან.

მისი ნათქვამის მიუხედავად, ვიცოდი, შემდგომში რა ნაბიჯსაც გადადგამდა.

სამირა რ. ხალილი

ათენას დედა

მეჩვენებოდა, რომ მისი პროფესიული მიღწევები, მისი უნარი ფულის შოვნისა, მისი ახალი სიყვარული, თავის პატარა შვილთან თამაშით გამოწვეული სიხარული, - ერთი სიტყვით, ყველაფერი მეორე პლანზე გადავიდა. მძიმედ მომხვდა გულზე, როცა შერინმა შემატყობინა თავისი გადაწყვეტილება - მოენახა ის, ვინც ამქვეყნად მოავლინა.

პირველ ხანებში თავს ვიმშვიდებდი: რასაკვირველია, ალბათ აღარავითარი ბავშვთა თავშესაფარი აღარ იქნება, პირად საქმეებსაც გაანადგურებდნენ, ჩინოვნიკები შეუვალნი აღმოჩნდებიან, ხელისუფლება ემხობა, საზღვრებს დაკეტავენ, მუცელი კი, რომელიც ათენას ატარებდა, ალბათ დიდი ხანია ფერფლადაა ქცეული-მეთქი, მაგრამ ეს ნუგეში დიდხანს არ გამყოლია, ვიცოდი, ჩემი შვილისთვის დაბრკოლება არ არსებობდა და რასაც მოინდომებდა, ყველაფერს შეძლებდა.

ამ თემაზე ჩვენს ოჯახში ბოლო დრომდე დუმილს ვამჯობინებდით. შერინმა იცოდა, რომ ნაშვილები იყო, რადგან ბეირუთელმა ფსიქიატრმა გვირჩია, ცოტა რომ წამოიზრდება, სიმართლე უთხარითო. მაგრამ შერინს არასდროს უკითხავს, საიდან, რომელი ქვეყნიდან იყო. მისთვის, როგორც ჩვენთვის - ჩემთვის და ჩემი ქმრისთვის, - სამშობლო ბეირუთი იყო.

ჩემი მეგობრის ნაშვილებმა ვაჟმა, დის დაბადების შემდეგ, თექვსმეტი წლისამ თავი მოიკლა. ეს სულ მახსოვდა, ამიტომ მე და ჩემს ქმარს შვილის გაჩენაზე აღარ გვიფიქრია. ყველაფერს ვაკეთებდით, რათა შერინს ეგრძნო - ის ერთადერთი იყო ჩვენი სიყვარულის, სიხარულის, მწუხარების, იმედისა თუ სასოების მიზეზი. ის კი თითქოს ამას ვერც ამჩნევდა. ო, ღმერთო ჩემო, როგორ შეუძლიათ ბავშვებს, ასეთი უმადურები იყვნენ!

კარგად ვიცნობდი ჩემს ქალიშვილს და ვიცოდი, მისთვის რაიმეს დამტკიცება უაზრობა იყო. მთელ ერთ კვირას მე და ჩემ ქმარს არ გვიძინია, ყოველ დილა-საღამოს

კი შერინი კითხვას კითხვაზე გვაყრიდა: „რა ჰქვია იმ რუმინულ ქალაქს, სადაც დავიბადე?“ ბოლოს ვიორელი ატირდებოდა, თითქოს ესმოდა, მის ირგვლივ რაც ხდებოდა.

გადავწყვიტე, კონსულტაციისთვის კვლავ ფსიქიატრისათვის მიმემართა. ვკითხე, რატომაა, რომ ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ყველაფერი აქვს, თავს მაინც მუდამ უბედურად და დაჩაგრულად გრძნობს-მეთქი.

- ყველას გვინდა, ვიცოდეთ, საიდან მოვდივართ, - მითხრა ექიმმა, - ეს ფუნდამენტურ-ფილოსოფიური საკითხია. რაც შეეხება თქვენს ქალიშვილს, მე მგონი, მისი ინტერესი თავისი წარმომავლობის შესახებ სავსებით გამართლებულია. თქვენ ეს არ დაგაინტერესებდათ?

- არა, - ვუპასუხე მე, - თითქმის პირიქითაა. მე ვიფიქრებდი, რომ სახიფათო იქნებოდა, მეძებნა ადამიანი, რომელმაც მაშინ უარმყო და მიმატოვა, როცა უსუსური ვიყავი და არ შემეძლო სიცოცხლისთვის მებრძოლა.

- იმის ნაცვლად, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ, სცადეთ, დაეხმაროთ, - დაიჟინა ფსიქიატრმა, - თუკი დაინახავს, რომ წინააღმდეგობას აღარ უწევთ, შეიძლება უარი თქვას თავის განზრახვაზე. ახლობლებისგან მოშორებით გატარებულმა წელიწადმა შეიძლება ემოციური შიმშილი გაუღვიძა, რომლის დაკმაყოფილებასაც ასეთი წვრილმანი პროვოკაციებით ცდილობს, მიზეზი კი ერთადერთია: მას სურს დარწმუნდეს, რომ იგი უყვართ.

უკეთესი იყო, შერინი თვითონ მისულიყო ფსიქიატრთან, მაშინ მივხვდებოდი მისი ქცევის მიზეზებს.

- ნდობით მოეკიდეთ, ნუ მიიჩნევთ ყოველივე ამას მუქარად. და თუ ამის შემდეგ მაინც მოისურვებს გამგზავრებას, ისღა დაგრჩენიათ, შეეგუოთ და უპასუხოთ მის შეკითხვებს. რამდენადაც ვიცი, ის ყოველთვის პრობლემური გოგონა იყო. ვინ იცის, იქნებ ამ ძიებამ უფრო გამოაწრთოს.

ფსიქიატრს შევეკითხე, ჰყავდა თუ არა შვილები. მიპასუხა არაო. მაშინ მივხვდი, რომ ტყუილად მივმართე რჩევისათვის.

იმავე საღამოს, ტელევიზორთან რომ ვისხედით, შერინმა ისევ თავიდან დაიწყო.

- რას უყურებთ?

- ახალ ამბებს!

- რატომ?

- გვაინტერესებს, რა ხდება ლიბანში, - უპასუხა ჩემმა ქმარმა.

მე მივუხვდი ხრიკს. მაგრამ უკვე გვიანი იყო, შერინმა იმწუთშივე ისარგებლა სიტუაციით.

- ხომ ხედავთ, გაინტერესებთ, რა ხდება ქვეყანაში, სადაც დაიბადეთ. თქვენ უკვე დასახლდით ინგლისში, გაიჩინეთ მეგობრები, ცხოვრობთ მშვიდად და არაფერი გიჭირთ, მამა აქ მუშაობით ბევრს შოულობს და მაინც განაგრძობთ ლიბანის გაზეთების ყიდვას, მანამდე აწკაპუნებთ პულტს, სანამ ბეირუთზე რაიმე რეპორტაჟს არ წააწყდებით. საკუთარ მომავალს წარსულზე აგებთ და შესაბამისად ვერ გაგიგიათ, რომ ეს ომი არასდროს არ დასრულდება. სხვაგვარად გეტყვით: რაკი თქვენს ძირებს მოსწყდით, გგონიათ, რომ სამყაროსთან კავშირი გაწყვიტეთ, და ნუთუ ძნელია, გამიგოთ, რას ვგრძნობ მე?

- შენ ჩვენი შვილი ხარ.

- დიახ. და მუდამ თქვენს შვილად დავრჩები. ამით ვამაყობ. გთხოვთ, ნუ შეგეპარებათ ეჭვი ჩემს თქვენდამი სიყვარულში, იმაში, თუ როგორი მადლიერი ვარ ყველაფრისათვის, რაც გამიკეთეთ. მე მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ - ნება მომეცით, მოვინახულო ჩემი ნამდვილი სამშობლო. არ შეიძლება, ვკითხო ქალს, ვინც ამქვეყნად მომავლინა, რატომ მიმატოვა? იქნებ არც ვკითხო და, უბრალოდ, თვალებში ჩავხედო. თუკი ასე არ მოვიქცევი, სიმხდალისათვის ჩემი თავი შემზიზღდება და ვერასოდეს ვეღარ ჩავწვდები ხარვეზის არსსა და აზრს.

- რა ხარვეზის?

- დუბაიში კალიგრაფიას ვსწავლობდი. მე ვცეკვავ, როგორც კი საშუალება მომეცემა, მაგრამ მუსიკა არსებობს იმიტომ, რომ არსებობს პაუზები. ფრაზები კი არსებობს მხოლოდ ხარვეზების წყალობით. რამის კეთებას რომ ვიწყებ, თავს სრულფასოვან ადამიანად ვგრძნობ, მაგრამ არავის შეუძლია მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში მოქმედება. ჰოდა, როცა ვჩერდები, მძაფრად შევიგრძნობ, რომ რაღაც მაკლია.

თქვენ ხშირად მეუბნებოდით, რომ დაბადებიდან დაუდეგარი ბუნებით გამოვირჩეოდი, მაგრამ თავად ხომ არ ამომირჩევია ქცევის ასეთი მანერა? მეც მინდა, თქვენთან ერთად ვიჯდე და ტელევიზორს ვუყურებდე, მაგრამ ეს შეუძლებელია. თავში განუწყვეტლივ დომხალი მაქვს, ხანდახან მგონია, გავგიჟდები: მინდა, გამუდმებით რამეს ვაკეთებდე - ვცეკვავდე, ვწერდე, ვყიდდე მიწის ნაკვეთებს, ვზრუნავდე ვიორელზე, ვკითხულობდე, რაც ხელთ მომხვდება. თქვენ გგონიათ, რომ ეს ნორმალური საქციელია?

- შენ ასეთი ტემპერამენტისა ხარ, - უთხრა ჩემმა ქმარმა.

ეს საუბარიც ისევე შევწყვიტეთ, როგორც ყველა წინა საუბარი. ვიორელი ატირდა, შერინი დადუმდა, მე კი ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ შვილები უმადურები

არიან მშობლების მიმართ, მშობლები კი რას არ აკეთებენ მათთვის. დილით, ყავის სმისას, ჩემმა ქმარმა საუბარი ისევ განაახლა.

- რამდენიმე ხნის წინათ, როცა შენ დუბაიში მუშაობდი, მე ბეირუთში ვიყავი, მინდოდა, გამეგო, შეიძლებოდა თუ არა სამშობლოში დაბრუნება: ჩვენი სახლი აღარ არსებობს, მაგრამ ქვეყანა აღდგენის გზაზეა, თუმცა იქ უცხოელი მეომრები დგანან და დროდადრო შემოსევებიც ხდება. გამიხარდა, ვიფიქრე, იქნებ დადგა დრო, ყველაფერი თავიდან დავიწყო-მეთქი. და სიტყვებმა - „თავიდან დავიწყო“ - სინამდვილესთან დამაბრუნეს. მივხვდი, რომ ჩემთვის უკვე ჩავლილი იყო ასეთი ფუფუნების შესაძლებლობა. ახლა მხოლოდ იმის გაგრძელება მსურს, რასაც ვაკეთებ, რაღაც ახლის დაწყების გარისკვას აღარ ვაპირებ.

ძებნა დავუწყე ადამიანებს, ვისთანაც ოდესღაც ურთიერთობა მქონდა, ვისაც ვხვდებოდი, ვისთანაც საღამოობით ვსვამდი ვისკის. უმრავლესობა აღარ არის, დარჩენილები კი სულ წუწუნებენ, რომ იტანჯებიან, რადგან ხვალინდელი დღის იმედი არა აქვთ. ნაცნობი ადგილები მოვიარე და ყველგან თავი უცხოდ ვიგრძენი - იქ აღარაფერი მეკუთვნოდა. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ ოდესღაც ჩემი მშობლიური ქალაქის ქუჩებში სიარულის ოცნება ყოველ ნაბიჯზე მკრთალდებოდა და ქრებოდა.

და მაინც ეს აუცილებელი იყო. გაძევების ჰანგი ჩემს სულში განაგრძობს ჟღერას. ვიცი, ვეღარასოდეს ვიცხოვრებ ბეირუთში, მაგრამ იქ გატარებული დღეები დამეხმარა, შემეცნო, ახლა სად ვიმყოფები და დამეფასებინა ლონდონში გატარებული ყოველი წუთი.

- რა გინდა ამით მითხრა?

- ის, რომ შენ მართალი ხარ. შეიძლება, მართლაც ღირდეს ხარვეზების აზრის გაგება. გაემგზავრე, ვიორელს ჩვენ მივხედავთ.

ის თავის კაბინეტში შევიდა, როცა უკან დაბრუნდა, ხელში მოყვითალო საქაღალდე ეჭირა, რომელშიც ნაშვილობის საბუთები ინახებოდა. მან შერინს საქაღალდე გაუწოდა, აკოცა და უთხრა, ჩემი სამსახურში წასვლის დროაო.

ჰირონ რაიანი

ჟურნალისტი

90 წლის იმ დილით სასტუმროს მეექვსე სართულიდან, ჩემი ნომრის ფანჯრებიდან, მხოლოდ მთავრობის შენობას ვხედავდი. ის-ის იყო სახურავზე სახელმწიფო დროშა აღმართეს. დროშა ზუსტად მიანიშნებდა იმ ადგილს, საიდანაც ვერტმფრენით გაიქცა

დიდების მანიით შეპყრობილი დიქტატორი, რომელსაც რამდენიმე საათის შემდეგ იმათი ხელით სიკვდილი ელოდა, ვისაც მთელ ოცდაორ წელიწადს ჩაგრავდა.

ძველი შენობები ჩაუშესკუს ბრძანებით დაანგრიეს - ის ოცნებობდა, ისეთი ახალი დედაქალაქი აეშენებინა, ვაშინგტონს მეტოქეობას რომ გაუწევდა. ბუქარესტს შეეძლო ეამაყა იმ ქალაქის სახელით, რომელიც უდიდეს ნგრევას განიცდიდა, თუმცა ეს არც სამხედრო მოქმედებით იყო გამოწვეული და არც ბუნებრივი კატასტროფით.

აქ ჩამოსვლისას თარჯიმნის თანხლებით მსურდა რუმინეთის დედაქალაქის ქუჩებში გასეირნება, მაგრამ, სიღარიბისა და დაბნეულობის გარდა, ვერაფერს ვხედავდი. ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ აქაურობას არც მომავალი ჰქონდა, არც წარსული და არც აწმყო, ხალხი კი გაურკვევლობაში ცხოვრობდა და ხეირიანად არ იცოდნენ, რა ხდებოდა მათ ქვეყანაში ან დანარჩენ მსოფლიოში. ათი წლის შემდეგ იქ დაბრუნებულმა ფერფლიდან აღდგენილი ქვეყანა რომ ვიხილე, მივხვდი, ადამიანს ყოველგვარი სიძნელის გადალახვა შეუძლია - რუმინელმა ხალხმა ეს დიდებულად დაადასტურა.

მაგრამ იმ გაცრეცილ დილას, უბადრუკი სასტუმროს მრუმე ჰოლში მდგომს, მარტო ის მაწუხებდა, შეძლებდა თუ არა თარჯიმანი ავტომანქანისა და ბენზინის საკმაო მარაგის შოვნას, რათა გამეგრძელებინა ბი-ბი-სის მიერ შეკვეთილი დოკუმენტური ფილმისათვის მასალების შეგროვება. თარჯიმანი იგვიანებდა, მე კი ეჭვი მიპყრობდა - ინგლისში ხელცარიელს ხომ არ მომიწევს-მეთქი დაბრუნება. უკვე საკმაო ფული მქონდა დახარჯული ისტორიკოსებთან დადებულ კონტრაქტებზე, სცენარსა და რამდენიმე ინტერვიუს გადაღებაში. მაგრამ სანამ ტელეკომპანია საბოლოო ხელშეკრულებას ხელს მოაწერდა, მოითხოვა, ჩავსულიყავი ადგილზე და მენახა, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა რომელიღაც ციხე-დარბაზი. მოგზაურობა გაცილებით ძვირი მიჯდებოდა, ვიდრე ვვარაუდობდი.

ვცადე ჩემი მეგობარი ქალისთვის დამერეკა, მაგრამ ტელეფონისტმა შემატყობინა, რომ ერთ საათზე ადრე ვერ დამაკავშირებდა. თარჯიმანი შეიძლება წუთიწუთზე გამოჩენილიყო მანქანით. დროის დაკარგვა არ ღირდა, მეც გადავწყვიტე, არ გამერისკა.

ამაოდ ვცადე რაიმე ინგლისურენოვანი გაზეთის შოვნა. ლოდინი რომ გამეხალისებინა, რაც შეიძლება შეუმჩნევლად დავიწყე აქეთ-იქით ყურება. ჰოლში მსხდომ ხალხს, ჩაის რომ შეექცეოდნენ, უეჭველია, არავითარი კავშირი არა ჰქონდათ გასულ წელს აქ მომხდარ ამბებთან, როცა დაიწყო სახალხო აჯანყება, როცა ტიმიშოარში გულგრილად ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, როცა ქუჩებში მრისხანე „სეკურიტატებთან“ მიმდინარეობდა ბრძოლები , გააფთრებით რომ ცდილობდნენ ხელისუფლების შენარჩუნებას. შევათვალიერე სამი ამერიკელი, ერთი საკმაოდ მიმზიდველი ქალი, რომელიც თვალს არ წყვეტდა მოდების ჟურნალს, და მაგიდასთან მსხდომი, ჩემთვის გაუგებარ ენაზე მოსაუბრე ადამიანთა ჯგუფი.

ლამის მეათასედ ვაპირებდი სასტუმროს კართან მისვლას და გარეთ გახედვას - მოვიდა თუ არა-მეთქი ჩემი თარჯიმანი; სწორედ ამ დროს შემოვიდა ის. მომეჩვენა, რომ ასე, ოცი წლისა იქნებოდა (რუმინეთში გამგზავრებისას ათენა 23 წლისა იყო. - რედ. შენიშ.). იგი მიუჯდა მაგიდას, საუზმე შეუკვეთა და გავიგონე, რომ ინგლისურად ლაპარაკობდა. მამაკაცებიდან არავის მიუქცევია მისთვის ყურადღება, იმ ქალმა კი, ჟურნალს რომ კითხულობდა, თავი ასწია.

არ ვიცი, მოუსვენრობისაგან შეწუხებულმა თუ ამ სასტუმროთი დასევდიანებულმა, მოვიკრიბე გამბედაობა და მის მაგიდას მივუახლოვდი, რაც საერთოდ არ მჩვევია და რაღაც უმნიშვნელო რამეზე გავუბი საუბარი.

მან გამიღიმა და თავისი სახელი მითხრა. მე ყურები ვცქვიტე. მეძავია? ის ინგლისურად უაქცენტოდ ლაპარაკობდა, თანაც, ძალზე სადად ეცვა. გადავწყვიტე, მისთვის არაფერი მეკითხა და საკუთარ თავზე დავუწყე საუბარი. ამასობაში შევამჩნიე, რომ მეზობელ მაგიდასთან მჯდომმა ქალმა ჟურნალი გადადო და ჩვენ მოგვაყურადა.

- მე დამოუკიდებელი ტელეჟურნალისტი ვარ, ბი-ბი-სისათვის ვმუშაობ და ახლა ვცდილობ, როგორმე ტრანსილვანიაში ჩავაღწიო.

ამ სიტყვებზე მას თვალები გაუბრწყინდა.

- ...რათა შევაგროვო მასალები ვამპირზე ფილმის გადასაღებად, - დავამთავრე სათქმელი და ვიცდიდი, რაკიღა მჯეროდა, რომ ეს ადამიანებს ყოველთვის აღუძრავდა ცნობისმოყვარეობას. ამჯერად პირიქით მოხდა: ვახსენე თუ არა გამგზავრების მიზეზი, მის თვალებში დაინტერესების ნაპერწკალი გაქრა.

- დაჯდებით ავტობუსში და სულ ეგაა, - მიპასუხა მან, - თუმცა, არა მგონია, იქ იპოვოთ ის, რასაც ეძებთ. თუკი დრაკულაზე უფრო მეტის გაგება გსურთ, წაიკითხეთ წიგნი, რომლის ავტორი, სხვათა შორის, არასდროს ყოფილა იქ, სადაც თქვენ მიემგზავრებით.

- თქვენ ყოფილხართ ტრანსილვანიაში?

- არ ვიცი...

ეს არ იყო პასუხი: ნამდვილი ინგლისელივით კი ლაპარაკობს, მაგრამ შეიძლება საჭირო სიტყვა ვერ მონახა.

- ...მაგრამ სწორედ იქ მივემგზავრები, რასაკვირველია, ავტობუსით.

ტანსაცმლის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ძნელად თუ მიიჩნევდით თავგადასავლების მაძიებლად, რომელიც ქვეყნიერებას უვლის ეგზოტიკური ადგილების მოსანახულებლად. ისევ ამეკვიატა აზრი, შეიძლება, მეძავი იყოს-მეთქი; - იქნებ ყველაფერი ჩემს დასაინტერესებლად დასჭირდა?

- შეიძლება, მე წაგიყვანოთ?

- ბილეთი უკვე აღებული მაქვს.

მაინც მოვინდომე დაყოლიება, მეგონა, უბრალოდ, კეკლუცობდა. ის არ დამეთანხმა, ირწმუნებოდა, მარტოს მსურს მოგზაურობაო. მაშინ შევეკითხე, სადაური იყო, და შევატყვე, როგორ შეყოყმანდა, სანამ მიპასუხებდა.

- ხომ გითხარით, ტრანსილვანიიდან-მეთქი.

- მთლად ასე არ გითქვამთ, მაგრამ, ასეა თუ ისე, შეგიძლიათ, დამეხმაროთ გადასაღები ნატურის შერჩევაში.

შინაგანი ხმა მეუბნებოდა, რომ უკან დახევა არ შეიძლებოდა - კიდევ ერთხელ უნდა მეცადა: თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ საქმე მაინც მეძავთან მქონდა და ძალიან მომინდა, ასეთი თანამგზავრი ჩამეგდო ხელში. მაგრამ მან თავაზიანი, ამასთან, მტკიცე უარი მითხრა ჩემს თხოვნაზე. ამ დროს მას გამოელაპარაკა ჩვენს მეზობელ მაგიდასთან მჯდომი ქალი, როგორც მომეჩვენა, იმ მიზნით, რათა ჩემი თანამოსაუბრე დაეცვა. დაძალება უხერხული იყო, მეც შევეშვი.

მალე აქოშინებული თარჯიმანიც გამოჩნდა და შემატყობინა, ყველაფერი მოვაგვარე, მაგრამ ნავარაუდევზე ცოტა ძვირი დაჯდებაო (ასეც ვიცოდი!). ავედი ჩემს ნომერში, ავიღე წინასწარ გამზადებული ჩემოდანი. ჩავჯექი რუსულ, დაფეხვილ მანქანაში, რომელიც ნაწილ-ნაწილ იშლებოდა, და დავადექით ფართო პროსპექტს. მოძრაობა თითქმის არ იყო. თან მიმქონდა პატარა ფოტოაპარატი, ბარგი, მინერალური წყალი, სენდვიჩი და სახე, რომელიც ამიერიდან აღარ მომცილდებოდა.

შემდგომ დღეებში, სანამ სცენარის შექმნას ვცდილობდი დრაკულაზე, როგორც ისტორიულ პერსონაჟზე, და სანამ ამ მითის შესახებ ადგილობრივი გლეხებისა და ინტელიგენტებისგან ავიღებდი ინტერვიუებს (ამ საუბრებიდან, როგორც ვვარაუდობდი, ნაკლები ხეირი იყო), მივხვდი, რომ მე იმდენად არ ვფიქრობდი ბრიტანეთის ტელევიზიისათვის დოკუმენტური სურათის მომზადებაზე, რამდენადაც ვოცნებობდი ბუქარესტის სასტუმროში გაცნობილ ქალიშვილთან ახალ შეხვედრაზე, რომელიც ქედმაღალი და უკმეხი ჩანდა და ყოველი სიტყვითა თუ ჟესტით თვითრჯულობას ავლენდა. ის ახლა აქ, სადღაც ჩემს ახლოს უნდა იყოს. მასზე არაფერი ვიცოდი სახელის გარდა, მაგრამ ვამპირის მსგავსად მთელ ენერგიას მწოვდა.

ეს რაღაც სისულელე და უაზრობა იყო; რაღაც ისეთი, რაც დაუშვებელი და შეუძლებელია ჩემს სამყაროში და ჩემ გვერდით მყოფთა სამყაროშიც.

დეიდრა ონილი

იგივე ედა

- არ ვიცი, აქ რის გაკეთებას აპირებთ, მაგრამ რასაც უნდა აპირებდეთ, ბოლომდე უნდა მიიყვანოთ.

მან გაკვირვებით შემომხედა.

- ვინ ხართ?

მაშინ ქალთა ჟურნალზე დავუწყე საუბარი, ჩემ წინ რომ იდო. მეზობელ მაგიდასთან მჯდომმა კაცმა ერთხანს შეიცადა, მერე ადგა და გავიდა. ახლა უკვე შემეძლო, მეთქვა, ვინც ვიყავი.

- თუ ჩემი პროფესია გაინტერესებთ, რამდენიმე წლის წინათ დავამთავრე სამედიცინო ფაკულტეტი, მაგრამ, არა მგონია, ასეთი პასუხის მოსმენა გსურდეთ.

ერთხანს გავჩუმდი და დავუმატე:

- შემდეგ თქვენ შეეცდებით მარჯვედ დასმული შეკითხვებით შეიტყოთ, აქ რას ვაკეთებ. აქ, ამ ქვეყანაში, რომელმაც ეს-ესაა, თავი დააღწია მრავალწლიანი ტანჯვის უღელს.

- არა, პირდაპირ გეკითხებით: აქ რას აკეთებთ?

მე შემეძლო, მეპასუხა, რომ ჩემი მასწავლებლის დაკრძალვაზე ჩამოვედი, რადგან, ვფიქრობ, ის ამისი ღირსი იყო. მაგრამ ამის თქმა არაკეთილგონივრული იქნებოდა: მართალია, ვამპირისადმი არავითარი ინტერესი არ გამოიჩინა, მაგრამ სიტყვა „მასწავლებელს“ შეიძლება მისი ყურადღება მიეპყრო. მე კი, რაკი ფიცი მქონდა დადებული, არ მეცრუა, ნახევარსიმართლე ვუთხარი:

- მინდა, მოვინახულო სახლი, სადაც ცხოვრობდა მწერალი მირჩა ელიადე, რომლის შესახებაც, ალბათ, არაფერი გსმენიათ. სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მან საფრანგეთში გაატარა და მითოლოგიის სფეროში მსოფლიო ავტორიტეტი იყო.

გოგონამ საათს დახედა და ისეთი სახე მიიღო, ვითომ ჩემი სიტყვები არ აინტერესებდა.

- ლაპარაკი ვამპირზე კი არა, ადამიანებზეა, რომლებიც... ასე ვთქვათ, იმავე გზით მიდიან, რა გზითაც თქვენ.

ფინჯნისკენ გაწვდილი ხელი შუა გზაზე გაუშეშდა.

- თქვენ რა, ხელისუფლების წარმომადგენელი ხართ? თუ ჩემმა მშობლებმა დაგავალეს ჩემი თვალთვალი?

ამ დროს ვიფიქრე, ხომ არ შემეწყვიტა საუბარი - მისმა აგრესიულობამ უცნაური შთაბეჭდილება დატოვა. მაგრამ ვხედავდი მის აურას და ნაღველს. ის ძალიან მგავდა მე, როცა მისი ტოლი ვიყავი. სულიერმა ჭრილობებმა თავის დროზე მედიცინის შესწავლისაკენ მიბიძგა, რათა ადამიანები ფიზიკურადაც განმეკურნა და სულიერადაც სწორ გზაზე დამეყენებინა. მინდოდა, მეთქვა: „შენი ჭრილობები დაგეხმარება, გოგონი“, მერე ამეღო ჟურნალი და წავსულიყავი.

ასე რომ მოვქცეულიყავი, ვინ იცის, ათენას სულ სხვა გზა აერჩია და დღეს ცოცხალი ყოფილიყო - იქნებოდა საყვარელი ადამიანების გვერდით, გაზრდიდა შვილს, მერე შვილიშვილებს, გამდიდრდებოდა, შესაძლოა, უძრავი ქონების კომპანიის მფლობელიც გამხდარიყო. მას ყველაფერი ჰქონდა, აბსოლუტურად ყველაფერი საიმისოდ, რომ წარმატებებისთვის მიეღწია: მან იმ ზომამდე შეიცნო ტანჯვა, რომ შეეძლო, სულიერი ნაიარევები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, იმისათვის კი, რათა ჩაეყუჩებინა მუდმივი სულიერი ფორიაქი და წინ წასულიყო, მხოლოდ დრო იყო საჭირო, სხვა არაფერი.

აბა, რაღა მაკავებდა მაგიდასთან და მაიძულებდა საუბრის გაგრძელებას? პასუხი მარტივია - ცნობისმოყვარეობა. ვერ გამეგო, ეს ელვარე შუქი უცებ რატომ აკიაფდა აქ, ბუქარესტის სასტუმროს ცივ ჰოლში?

მე განვაგრძე:

- მირჩა ელიადე უცნაური დასახელების წიგნებს წერდა: „მმართველობა და კულტურული მიმდინარეობები“, ან, მაგალითად, „საღმრთო და საერო“. ჩემი მასწავლებელი... ეს სიტყვა უნებურად წამომცდა, მაგრამ მას არ გაუგონია, ანდა ისე დაიჭირა თავი, თითქოს არ გაუგონია, - ...ძალიან აფასებდა მის შემოქმედებას. მე კი, რაღაც ისე მგონია, რომ ეს შენთვისაც არ უნდა იყოს სულერთი.

მან ისევ საათზე დაიხედა.

- ჩემი ავტობუსი ერთი საათის შემდეგ გადის, სიბიუში მივდივარ. ვეცდები - იქ ვიპოვო ჩემი ნამდვილი დედა, - თუკი ამას მეკითხები, ვმუშაობ ახლო აღმოსავლეთის რიელტერის ფირმაში, მყავს ოთხი წლის ბიჭი, განქორწინებული ვარ. მშობლები ლონდონში ცხოვრობენ, რასაკვირველია, დედობილი და მამობილი. მე კი მიგდებული ვარ.

მან ნამდვილად მიაღწია აღქმის ძალზე მაღალ სტადიას - იმდენად მაღალს, რომ საკუთარ თავთან გამაიგივა, თუმცა თავად ამას ანგარიშს არ უწევდა.

- სწორედ ამის გაგება მსურდა.

- ღირდა კი განა ამ სიშორეზე ჩამოსვლა ვიღაც მწერლის შემოქმედების შესასწავლად? სადაც ცხოვრობთ, ნუთუ იქ არ არსებობს ბიბლიოთეკები?

- სინამდვილეში ის რუმინეთში უნივერსიტეტის დამთავრებამდე ცხოვრობდა. მის შემოქმედებაზე ცნობების შეკრება რომ მდომებოდა, გავემგზავრებოდი პარიზში, ლონდონში ანდა ჩიკაგოში, სადაც გარდაიცვალა. ასე რომ, ჩემს მოგზაურობას არაფრით არ შეიძლება, ვუწოდოთ შემოქმედების შესწავლა. უბრალოდ, მინდოდა, მენახა ქვები, რაზედაც ის აბიჯებდა. მინდოდა, მეგრძნო, რამ შთააგონა ის, რაც შექმნა - მან კი ძალიან ძლიერად იმოქმედა ჩემს ცხოვრებაზე და ჩემთვის პატივსაცემ ადამიანთა ცხოვრებაზე.

- მედიცინაზედაც წერდა?

უმჯობესია, არ ვუპასუხო. ახლა მივხვდი, რომ სიტყვა „მასწავლებელი“ შეუმჩნეველი არ დარჩენია, ოღონდ, გოგონამ იგი პროფესიული მნიშვნელობით გაიგო.

ის წამოდგა. მგონი, იგრძნო, სინამდვილეში რაზედაც ვლაპარაკობდი. მე დავინახე, როგორ მკვეთრად აკიაფდა მისგან მომავალი შუქი. ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ მაშინ ვვარდები, როცა მათ გვერდით ვიმყოფები, ვინც ძალიან მგავს.

- ხომ არ გაგიძნელდებათ, სადგურამდე რომ გამაცილოთ? - მკითხა მან.

არანაირად. ჩემი თვითმფრინავი საღამოს მიფრინავს და წინ კიდევ მთელი დღეა - უსასრულო და ნაღვლიანი. ყოველ შემთხვევაში, ვინმეს გამოველაპარაკები მაინც.

ის გავიდა და მალე ჩემოდნით ხელში და გონებაში დაგროვილი უამრავი კითხვით დაბრუნდა უკან. კითხვების დასმა მაშინვე დაიწყო, როგორც კი სასტუმროდან გავედით.

- ვინ იცის, შესაძლოა, ვეღარასოდეს შეგხვდეთ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩვენ შორის არის რაღაც საერთო, და რაკიღა ამჟამად ამაზე საუბრის ერთადერთი შესაძლებლობა გვაქვს, გთხოვთ, გულახდილი იყოთ.

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

- რაკი ეს წიგნები წაგიკითხავთ, მითხარით - გჯერათ, რომ ცეკვის წყალობით შეიძლება ტრანსში ჩავარდნა და რაღაც სინათლის დანახვა? სინათლისა, რომელიც არაფერს გვიმხელს, თუკი არა ვართ სევდიანები ან ბედნიერები.

საკითხი არსებითია!

- რა თქმა უნდა, მაგრამ არა მხოლოდ ცეკვის წყალობით; ყველაფერი, რაზედაც გვიხდება მთელი ყურადღების მიჯაჭვა, სულსა და ხორცს განცალკევების ნებას რთავს. ასეთებია, მაგალითად, იოგა, ლოცვა ანდა ბუდისტური მედიტაცია.

- ან კალიგრაფია.

- ამაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია. იმ წამს, როცა სხეული ათავისუფლებს სულს, იგი სივრცეში ლივლივებს ანდა ქვესკნელში ვარდება - იმაზეა

დამოკიდებული, როგორ მდგომარეობაში იმყოფება ადამიანი. ამ დროს სული იძენს მისთვის საჭირო ჩვევას - ან გაანადგუროს თავისი მოყვასი, ან განკურნოს იგი. მაგრამ მე უკვე მომბეზრდა ამ გზით მარტო სიარული, ახლა დამხმარე მჭირდება... მისმენ?

- არა.

ის შეჩერებულიყო და შუა ქუჩაში მდგომ პატარა გოგონას უმზერდა. ჯიბისაკენ წაიღო ხელი.

- ეგ არ ქნა! - შევძახე ხმამაღლა, - გახედე, მეორე მხარეს დგას ქალი... მას ცუდი თვალები აქვს. მან ბავშვი განგებ მიატოვა, რათა...

- ეგ სულ არ მაინტერესებს.

ამ სიტყვებთან ერთად მან ჯიბიდან რამდენიმე მონეტა ამოიღო. მე ხელი დავუჭირე.

- აჯობებს, ბავშვს საჭმელი შევთავაზოთ.

ბავშვი შევიყვანეთ მახლობელ ბარში, ვუყიდე სენდვიჩი და გავუწოდე. გოგონამ გამიღიმა, მადლობა გადამიხადა, იმ ქალს კი, შორიდან რომ გვითვალთვალებდა, სიძულვილით აენთო თვალები. ჩემ გვერდით მდგომი გოგონას ნაცრისფერი თვალები კი ჩემს საქციელს აშკარად იწონებდნენ.

- ჰო, რას მეუბნებოდით?

- არა აქვს მნიშვნელობა. იცით, რა მოხდა რამდენიმე წუთის წინ? თქვენ შეიძლება ტრანსში ჩავარდნილიყავით ყოველგვარი ცეკვის გარეშე.

- ცდებით.

- დარწმუნებული ვარ, რაღაცამ შეძრა თქვენი შეუცნობელობა. შეიძლება, ამ გოგონას ადგილზე დაინახეთ საკუთარი თავი და წარმოიდგინეთ, რა გზით წავიდოდა თქვენი ცხოვრება, რომ არ ეშვილებინეთ. ამ წუთში თქვენმა ტვინმა შეწყვიტა რეაგირება - სული ჯოჯოხეთის უფსკრულისკენ გაექანა და იქ შეხვდა შენი წარსულის ბოროტ სულებს. ამიტომაც ვერ დაინახეთ ქუჩის მეორე მხარეს მდგომი ქალი - თქვენ ტრანსში იყავით - ქაოტურ, დეზორგანიზებულ ტრანსში, რომელმაც შეგაგულიანათ, გაგეკეთებინათ რაღაც კარგი - თეორიულად კარგი, მაგრამ პრაქტიკულად - აბსოლუტურად უაზრო. თქვენ თითქოს იმყოფებოდით...

- ასოთა შორის ცარიელ სივრცეში, იმ მოკლე შუალედში, როცა ერთი ნოტი დადუმდება, მეორე კი ჯერ არ აჟღერებულა.

- სწორია. ტრანსი კი, რომელშიც ასე ვარდები, შეიძლება, საშიში გამოდგეს.

კინაღამ დავუმატე, რომ „ამ სახის ტრანსი შიშითაა გამოწვეული: ის ადამბლავებს ადამიანს, სხეული წყვეტს რეაგირებას, სული კი გცილდება. თქვენ თავზარს

დაგცემდათ ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ბედს ამ გზაზე შენი მშობლები რომ არ შეეხვედრებინა“. მაგრამ მან ჩემოდანი ძირს დადგა და პირდაპირ თვალებში მომაშტერდა.

- ვინა ხართ თქვენ? რატომ მეუბნებით ყოველივე ამას?

- ჩემმა კოლეგა ექიმებმა და ჩემმა პაციენტებმა იციან, რომ მქვია დეიდრა ონილი. თქვენ რა გქვიათ?

- ათენა. პასპორტით - შერინ ხალილი.

- ვინ დაგარქვათ ეს სახელი?

- ვინც უნდა იყოს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ მე არ მიკითხავს, რა გქვიათ- მეთქი. მინდა, ვიცოდე, ვინა ხართ, რატომ მოხვედით ჩემთან, მეც რატომ გამიჩნდა თქვენთან აუცილებელი საუბრის სურვილი. შეიძლება, იმიტომ, რომ სასტუმროს კაფეში, ჩვენ გარდა, ქალი არავინ იყო? არა, არ მჯერა. თანაც, თქვენ ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვან რამეზე საუბრობთ.

მან ისევ აიღო ჩემოდანი და ჩვენ ავტოსადგურისკენ წავედით.

- მეც მქვია მეორე სახელი - ედა. მაგრამ ის ჩემთვის შემთხვევით არ დაურქმევიათ, როგორც ჩვენ არ შევხვედრივართ ერთმანეთს შემთხვევით.

გამოჩნდა ავტოსადგურის შენობა. შედიოდა და გამოდიოდა ხალხი - სამხედროები, გლეხები, ორმოცდაათი წლის წინანდელ მოდაზე ჩაცმული ლამაზი ქალები.

- შემთხვევით თუ არა, მაშინ რა?

მისი ავტობუსის გამგზავრებამდე კიდევ ნახევარი საათი რჩებოდა, ასე რომ, შემეძლო, მეპასუხა. „რა“ კი არა „ვინ“. დედა. რჩეული სულები განსაკუთრებულ შუქს ასხივებენ, ამიტომაც ისინი უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. და შენ, ათენა თუ შერინ, ერთ-ერთი მათგანი ხარ, მაგრამ ბევრი უნდა იშრომო, რომ ეს ენერგია სიკეთეს მოახმარო.

მე შემეძლო, ამეხსნა, რომ კლასიკური ჯადოქრის გზას მივყვებოდი, რომელიც საკუთარი პიროვნების მეშვეობით ეძებს კავშირს ამქვეყნიურ და ზეციურ სამყაროსთან, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად ინგრევს საკუთარ ცხოვრებას. ის სხვებს ემსახურება, ენერგიას გამოსცემს და უკან ვეღარასოდეს იბრუნებს.

მე შემეძლო, ამეხსნა, რომ მართალია, ყველა თავისი გზით მიდის, მაგრამ აუცილებლად დადგება ისეთი ეტაპი, როცა ადამიანები ერთიანდებიან, ერთად დღესასწაულობენ, ერთობლივად მსჯელობენ თავიანთ სიძნელეებზე და თავს იმზადებენ დედის აღორძინებისათვის. შემეძლო, ამეხსნა, რომ ღვთაებრივ

სინათლესთან კავშირი - ეს უდიდესი მოვლენაა მოკვდავი ადამიანის ცხოვრებაში. მაგრამ ეს კავშირი არ დამყარდება განცალკევებით დგომისას, რადგან წლებისა და ასწლეულების დევნამ ბევრი რამ გვასწავლა.

- სანამ ავტობუსს ვუცდით, ყავა ხომ არ დაგველია?

მე არ მოვისურვე. ვცდილობდი, ბოლომდე მეთქვა სათქმელი, თუმცა, ვიცოდი, რომ ჩემს სიტყვებს არასწორად გაიგებდა.

- არიან ადამიანები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში, - მითხრა მან, - მაგალითად, ჩემი ბინის პატრონი ან კალიგრაფისტი, რომელიც დუბაის მახლობლად, უდაბნოში გავიცანი. შესაძლოა, რასაც თქვენ მიყვებით, მათ გავუზიარო და ამით ავუნაზღაურო გაწეული შრომა.

მაშასადამე, მის ცხოვრებაში უკვე ყოფილან მასწავლებლები. მშვენიერია! მისი სული მომწიფებულია! ახლა საჭიროა, სწავლა განაგრძოს, სხვაგვარად ის, ბოლოს და ბოლოს, დაკარგავს ყველაფერს, რაც შეიძინა. მაგრამ ვარ კი მისი ბედისწერის მიერ გამორჩეული ადამიანი?

რაღაც მომენტში დედას შევთხოვე შთავეგონებინე. პასუხი არ მიმიღია. არც გამკვირვებია, ის ყოველთვის ასე იქცევა, როცა საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება მაქვს მისაღები.

გოგონას სავიზიტო ბარათი გავუწოდე და ვთხოვე, თავისი მოეცა. ათენამ მიკარნახა დუბაის მისამართი, მე კი ისიც არ ვიცოდი, სად იყო დუბაი.

გადავწყვიტე, მეხუმრა, თანაც გამომეცადა იგი.

- სამი ინგლისელი შევხვდით ბუქარესტის ბარში... საინტერესო დამთხვევაა, არა?

- იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც თქვენს სავიზიტო ბარათზეა აღნიშნული, თქვენ შოტლანდიელი ხართ, ის ახალგაზრდა ინგლისში კი მუშაობს, მაგრამ არ ვიცნობ, - მიპასუხა მან.

მერე ოხვრით დაამატა:

- მე კი... რუმინელი ვარ.

ვუთხარი, ახლა სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე სასტუმროში და ჩემოდანი ჩავალაგო-მეთქი.

მან უკვე იცოდა, სად შეიძლებოდა მოვენახე და თუ ეს წინასწარ დასახული იყო, ჩვენ კვლავ შევხვდებოდით ერთმანეთს. არ შეიძლება, ბედი დავაბრკოლოთ, რომ ცხოვრების მსვლელობაში ჩაერიოს და გადაწყვიტოს, რა იქნება ყველასთვის უმჯობესი.

ვოშო „ბუშალო“

65 წლისა, რესტორნის მფლობელი

ეს ევროპელები ჩამოდიან ჩვენთან, ყოვლისშემძლე ჰგონიათ თავი და ფიქრობენ, ყველაზე საუკეთესო მომსახურებას იმსახურებენ; ჰგონიათ, რომ უფლება აქვთ, დაგვაყარონ კითხვები, ჩვენ კი ვალდებულნი ვართ, ვუპასუხოთ. მეორე მხრივ, დაგვარქვეს „მომთაბარე ხალხი“, „რომი“ და რაღაც იკლიკანტური სახელები და ფიქრობენ, რომ ადრე ჩადენილ შეცდომას ასწორებენ.

რატომ ძველებურად აღარ გვეძახიან ბოშებს და ცდილობენ, ბოლო მოუღონ ლეგენდებს, რომელთა მიხედვით, მთელი მსოფლიოს თვალში შეჩვენებულ ტომად ვითვლებით? ჩვენზე ამბობენ, თითქოს ქალისა და თავად ეშმაკის უკანონო კავშირის ნაყოფნი ვართ. გვადანაშაულებენ, რომ ერთ-ერთმა ჩვენგანმა გამოჭედა ის ლურსმნები, რომლებითაც ჯვარზე მიაჭედეს იესო; რომ ვიპარავთ პატარა ბავშვებს, ამიტომაც სადმე გარეუბანში ჩვენი ბანაკი რომ გამოჩნდება, დედებს თვალი უნდა ეჭიროთ შვილებზე.

ამიტომაც გვერეკებოდნენ, გვდევნიდნენ, შუა საუკუნეებში ჯადოქრებთან და კუდიანებთან ერთად კოცონზე გვწვავდნენ, გერმანიაში კი რამდენიმე ასწლეულის მანძილზე სასამართლოში მოწმედ არ გვიშვებდნენ. მე მაშინ მოვევლინე ქვეყნიერებას, როცა ევროპაში ნაციზმის ქარმა დაბერა. მამაჩემს გულზე დამამცირებელი შავი სამკუთხედი დააკრეს და სადღაც პოლონეთის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. ნახევარი მილიონი ბოშასგან, მონურად რომ ამუშავებდნენ, მხოლოდ ხუთი ათასი გადარჩა, რათა ეს ამბავი ეამბნათ.

თუმცა მათი მოსმენა არავინ ისურვა.

ამ მიყრუებულ კუთხეში, სადაც ჩვენი ტომის უმრავლესობამ გადაწყვიტა დასახლება, ჩვენი კულტურა, ჩვენი ენა და რწმენა აკრძალული იყო. ადგილობრივ მცხოვრებლებს რომ ჰკითხო, რას ფიქრობთ ბოშებზეო, დაუფიქრებლად გეტყვიან, რომ ყველანი ქურდები არიან. როგორ არ ვეცადეთ, ნორმალურად გვეცხოვრა, მიგვეტოვებინა მომთაბარეობა და იქ დავსახლებულიყავით, სადაც ცოტათი მაინც გაგვიგებდნენ, მაგრამ რასიზმი ყველგან ცოცხლობდა. სკოლაში ჩვენს ბავშვებს მხოლოდ ბოლო მერხებზე სხამენ და დღე არ გავა, ვინმემ შეურაცხყოფა არ მოგვაყენოს.

მერე კიდევ ჩივიან, რომ კითხვაზე პირდაპირ არ ვპასუხობთ; გულჩახვეულები და ორჭოფულები რომ ვართ, რომ საკუთარ წარმომავლობაზე არასოდეს ვმსჯელობთ. რა საჭიროა? - ბოშები ისედაც გამოირჩევიან, ყველამ იცის, როგორ „დაიცვან თავი“ ჩვენი „ბოროტი ჯადოებისგან“.

როცა ეს ახალგაზრდა ინტელექტუალი გამოჩნდა და ღიმილით დამიწყო საუბარი, რომ ეკუთვნის ჩვენს ხალხს, ჩვენს კულტურას, უმალ ყური ვცქვიტე. ის, ადვილი შესაძლებელია, იმ ცალტვინა დიქტატორის, „კარპატების გენიოსის“, ხალხის ბელადის საიდუმლო პოლიციის „სეკურიტატების“ აგენტი აღმოჩნდეს-მეთქი. მართალია, ამბობენ, გაასამართლეს და დახვრიტესო, მაგრამ მე არა მჯერა. მისმა შვილმა ხომ შეინარჩუნა ხელისუფლება, თუმცა, ახლა სადღაც გაქრა.

ეს ჩამოსული კი დაჟინებით ამტკიცებს და ღიმილით ირწმუნება, - თითქოს ძალიან თავშესაქცევ რამეზე ლაპარაკობდეს, - რომ დედამისი ბოშაა და მის საძებნელადაა ჩამოსული. მან იცის დედის სრული სახელი. მერე, განა შეიძლება ამისთანა ცნობების მოპოვება საიდუმლო პოლიციის დაუხმარებლად?

ასე რომ, აჯობებს, ტყუილად არ გავაღიზიანო ხალხი, ვისაც ასეთი კავშირები აქვს ხელისუფლებასთან. ვუპასუხე, არაფერი არ ვიცი-მეთქი, მე, აიღე-დაიღე, ერთი უბრალო ბოშა ვარ, რომელმაც პატიოსანი ცხოვრება გადაწყვიტა-მეთქი. ის კი ჯიუტად მაინც თავისას იმეორებდა, დედაჩემი მინდა მოვძებნოო. იმ ქალს ვიცნობ, ვიცი, რომ ოციოდე წლის წინათ გააჩინა ბავშვი, რომელიც მაშინვე ობოლთა თავშესაფარში ჩააბარა. ეს არის და ეს. ჩვენ იძულებულნი გავხდით, ის ჩვენს წრეში მაინც მიგვეღო ერთი მჭედლის გამო, რომელსაც თავი ცხოვრების სრულუფლებიან ბატონ-პატრონად და მსოფლიოს მბრძანებლად მიაჩნდა. მაგრამ თავდებად ვინ დაუდგება, რომ ეს გოგო, ყველანაირ მეცნიერულ სიტყვებს რომ ხმარობს, - ნამდვილად ლილიანას შვილია? მანამ დედის კვალის ძებნას დაიწყებდა, ჯერ ჯობდა, ჩვენი ჩვეულებებისთვის ეცა პატივი და არ ჩაეცვა წითელი კაბა - თხოვდება თუ რა? ქვედა კაბაც უფრო გრძელი უნდა ეცვას, მამაკაცები რომ არ მიიზიდოს.

თუკი მას ახლანდელი დროით ვიხსენიებ, ეს იმიტომ, რომ ჩვენი მოხეტიალე ხალხისთვის დრო საერთოდ არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სივრცე. ჩვენ შორი მხრიდან მოვდივართ, ზოგი ამბობს - ინდოეთიდანო, ზოგნიც ამტკიცებენ, რომ ჩვენი ფესვები ეგვიპტეშია. ასეა თუ ისე, წარსულს თან დავატარებთ, თითქოს ყველაფერი გუშინ მომხდარიყოს. დევნა კი ისევ გრძელდება.

გოგოს უნდა, თავი მომაწონოს, ცდილობს, მაჩვენოს, რომ იცნობს ჩვენს კულტურას, მარტო ამას კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, - მთავარია, ჩვენი წეს-ჩვეულებები იცოდეს.

- ქალაქში მითხრეს, თქვენ „ბოშათა ბარონი“, ტომის მეთაური ყოფილხართ. აქ მოსვლამდე ჩვენს ისტორიაზე ბევრი რამ წავიკითხე.

- თუ შეიძლება, ნუ ამბობთ „ჩვენს ისტორიაზეო“, ეს ჩემი ისტორიაა, ჩემი და ჩემი ცოლისა, ჩემი შვილებისა და შვილიშვილების, ჩემი ტომის ისტორიაა. თქვენ კი სხვა ხართ. თქვენთვის ქუჩაში ქვები არასდროს უსვრიათ, როგორც ჩემთვის - ხუთი წლის ბიჭისთვის.

- მე მგონი, ახლა ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ.

- ყველაფერი მუდამ უკეთესობისკენ იცვლება, რათა მერე უარესით შეიცვალოს.

ის მაინც იღიმება და ვისკის უკვეთავს. ჩვენი ქალები კი ამას არასდროს იზამენ.

აქ დასალევად ან ვინმეს გასაცნობად რომ შემოსულიყო, კლიენტივით მოვექცეოდი. მე ვიცი, ყურადღებიანი, თავაზიანი და ელეგანტური უნდა ვიყო, რადგან ამას ჩემი საქმიანობა მოითხოვს. ჩემს რესტორანში მოსულებს ბოშებზე უფრო მეტის გაგება როცა სურთ, მე მათ ვუყვები რაიმე თავშესაქცევ ამბავს, ვაფრთხილებ, რომ მალე მუსიკოსები დაიწყებენ დაკვრას, ჩვენს ყოფასა და ცხოვრების ყაიდაზედაც დაწვრილებით მოვუთხრობ ორიოდე შემთხვევას და ისინიც მიდიან იმ გრძნობით, თითქოს ბოშებზე ყველაფერი იციან.

მაგრამ ეს გოგო ტურისტი არაა; ირწმუნება, რომ ისეთივეა, როგორებიც ჩვენა ვართ.

აი, ის კვლავ მაჩვენებს ოფიციალურ ქაღალდს - დაბადების მოწმობას. ვიცი, სახელმწიფო ხალხს ხოცავს, ძარცვავს, ატყუებს, მაგრამ საბუთების გაყალბებას ჯერ ვერ რისკავს. ამიტომაც ეს გოგო ნამდვილად ლილიანას შვილი იქნება, რადგან შავით თეთრზე წერია მისი სრული სახელი და დაბადების ადგილი. ტელევიზორში ერთხელ თქვეს, რომ კარპატების გენიოსი, ხალხის მამა, დიდი ბელადი, სწორედ ის, ვინც გვაშიმშილებდა და საზღვარგარეთ გაჰქონდა ყველაფერი, სწორედ ის, ვინც თავის სასახლეში მოოქრული ჭურჭლიდან ჭამდა, როცა ხალხი შიმშილისაგან დაუძლურებული იხოცებოდა, მოკლედ, სწორედ ამ კაცმა, თავის ცოლთან ერთად, წყეული იყოს მისი სახელი, თავის მცველებს უბრძანა, ობოლთა თავშესაფრიდან შეერჩიათ ბავშვები და სახელმწიფოს დაქირავებული მკვლელები გაეზარდათ.

მხოლოდ ბიჭები მიჰყავდათ. გოგონებს ტოვებდნენ. შეიძლება, ეს ერთ-ერთი მათგანი იყოს.

ვუყურებ დაბადების მოწმობას და ვფიქრობ, ვუთხრა თუ არა, სად არის ახლა დედამისი. ლილიანა იმსახურებს, შეხვდეს ამ ახალგაზრდა ინტელექტუალს. ჰო, ლილიანა ღირსია იმისა, რომ ნახოს შვილი. მე ვფიქრობ, მას სრულად მიეზღო იმის სამაგიერო, თავის ხალხს რომ უღალატა და შეარცხვინა მშობლები, როცა გადამთიელ კაცთან დაწვა. შესაძლოა, დროა, შეწყდეს მისი წამება, რადგან მისი შვილი გადარჩენილა და, ყველაფრიდან ჩანს, ცხოვრებაც კარგად აუწყვია - იმდენად კარგად, რომ შეუძლია, დედა სიღარიბიდან ამოიყვანოს.

სიმართლეს თუ შევატყობინებ, შეიძლება, აქედან ცოტაოდენი რამე მეც მერგოს, მომავალში კი ჩვენმა ტომმაც იხეიროს, რადგან არეულ დროს ვცხოვრობთ - ყველა ირწმუნება, კარპატების გენიოსი მოკლულიაო, ფირიც კი გვაჩვენეს, რაზედაც მისი დახვრეტაა ასახული, მაგრამ ვაითუ ხვალ ცოცხალი გამოჩნდეს და გაირკვეს, რომ

ყველაფერი ინსცენირება იყო, უბრალოდ, უნდოდა გაეგო, ვინ იყო სინამდვილეში მისი ერთგული და ვინ - მოღალატე.

მალე მუსიკოსები მოვლენ, ასე რომ, დროა, საქმეზე ვილაპარაკოთ.

- ვიცი, სადაც ცხოვრობს ეს ქალი და შემიძლია, მიგიყვანოთ მასთან.

ახლა მეც რბილად და გულითადად ველაპარაკებოდი.

- მაგრამ, მე მგონია, ეს ცნობა რაღაცად ღირს.

- მზად ვარ, გადაგიხადოთ, – მიპასუხა მან და გამომიწოდა გაცილებით მეტი, ვიდრე ვვარაუდობდი.

- ეს ხომ ტაქსის ფულადაც არ გვეყოფა!

- ამდენივეს მიიღებთ, როცა მიზანს მივაღწევ.

ხმაში ყოყმანი დაეტყო, ჩანს, ეშინოდა მოვლენების შემდგომი განვითარებისა. მე დახლიდან უმალ ავიღე ფული.

- ხვალ წაგიყვანთ ლილიანასთან.

გოგოს ხელები უკანკალებდა: ერთი ულუფა ვისკი კიდევ მომთხოვა, მაგრამ ამ დროს ბარში ვიღაც კაცი შემოვიდა და ქალი მის შესახვედრად წავიდა. მივხვდი, დიდი ხნის ნაცნობები არ უნდა ყოფილიყვნენ - შეიძლება, წინადღითაც კი გაიცნეს ერთმანეთი, თუმცა, ძველი მეგობრებივით საუბრობდნენ. კაცის თვალებში დაუფარავი ვნება იკითხებოდა, გოგო ამას მშვენივრად გრძნობდა და უფრო ცეცხლს უკიდებდა. კაცმა ღვინო შეუკვეთა. ისინი მაგიდას მიუსხდნენ და დედის ამბავი თითქოს დავიწყებას მიეცა.

მე კი ფულის დარჩენილი ნახევრის მიღებაც მინდოდა, ამიტომ ღვინო რომ მივუტანე, ვკითხე, რომელ სასტუმროში გაჩერდით-მეთქი, და შევპირდი, მეორე დილით, ათი საათისთვის მივიდოდი.

ჰირონ რაიანი

ჟურნალისტი

ჭიქიდან ღვინო მოსვა თუ არა, ათენამ მაუწყა - თუმცა, მე, რა თქმა უნდა, არაფერი მიკითხავს, – რომ ჰყავდა მეგობარი - სკოტლანდ-იარდის თანამშრომელი. უეჭველია, ცრუობდა, რადგან ჩემი თვალების გამომეტყველება რომ შეამჩნია, შეეცადა, თავიდან მოვეშორებინე.

მეც მაშინვე ვუპასუხე, მეც მყავს-მეთქი შეყვარებული, და ბარიბარში გამოვედით.

მუსიკის აჟღერებიდან ათი წუთის შემდეგ იგი წამოდგა. აქამდე ძალიან ცოტას ვლაპარაკობდით და მხოლოდ ზოგად თემებზე, ერთმანეთს ვუზიარებდით ბუქარესტის შთაბეჭდილებებს, ვწუწუნებდით საშინელ გზებზე. ჩემს ძიებებზე სიტყვაც არ თქმულა. მაგრამ საკმარისი იყო, ფეხზე წამომდგარიყო, რომ ჩემ წინ - და ყველას წინაშე, ვინც კი ამ დროს რესტორანში იმყოფებოდა, - წარმოსდგა ქალღმერთი მთელი თავისი დიდებულებით, ანგელოზებისა და ეშმაკების შემლოცველი ქურუმი.

თვალები დახუჭული ჰქონდა და თითქოს ვეღარ გრძნობდა, სად იმყოფებოდა, ვინ იყო, რას ეძებდა სამყაროში, ჰაერში ლივლივებდა და წარსულს იძახებდა, ავლენდა აწმყოს და ჭვრეტდა მომავალს. მის ცეკვაში უცნაურად ირეოდა ხორციელი ვნება, უბიწო უმანკოება, თავაწყვეტილობა და ზეშთაგონება, ჰიმნი - ერთდროულად ღმერთისა და ბუნების სადიდებელი.

იქ მყოფთ ჭამა შეწყვიტეს და მზერად იქცნენ. ახლა უკვე ის კი არ მოძრაობდა მუსიკის ტაქტზე, მუსიკოსები ცდილობდნენ, აჰყოლოდნენ მის მოძრაობას. სიბიუს ქუჩაზე მდებარე რესტორნის ძველი შენობის სარდაფი ეგვიპტის ტაძრად გადაიქცა, სადაც ისიდას კულტის მიმდევრები თავიანთ საიდუმლოს ასრულებდნენ. ღვინისა და შემწვარი ხორცის სუნი შეიცვალა კეთილსურნელებით, რაც ყველას ტრანსში გვაგდებდა და იმ წამს ყველა ჩვენგანმა განვიცადეთ, როგორია ამ სამყაროს მიტოვება და შესვლა ახალ, იდუმალ განზომილებაში.

გიტარებმა და საყვირებმა დაკვრა შეწყვიტეს, მხოლოდ დასარტყამ საკრავთა რიტმული ხმა ისმოდა. ათენა განაგრძობდა ცეკვას - თითქოს აქ, ჩვენ შორის აღარ იმყოფებოდა: შუბლი ოფლის წვეთებმა დაუფარა, შიშველ ქუსლებს მაგრად ურტყამდა ხის იატაკს. ვიღაც ქალი წამოდგა და მოცეკვავეს ყელზე მზრუნველობით, დროულად მოახვია თავსაფარი, რადგან საცაა, ბლუზა მხრებიდან გადაუცურდებოდა და შიშველი მკერდი გამოუჩნდებოდა. მაგრამ ათენას ეს თითქოს არ შეუმჩნევია, რადგან სხვა სამყაროში იყო.

მაყურებელმა მუსიკის ტაქტს ტაში ააყოლა და ათენამ, თითქოს ამ ტაშისკვრამ მეტი ენერგია შესძინაო, მოძრაობა უფრო ააჩქარა, ტრიალებდა და ტრიალებდა, წონასწორობას იცავდა სიცარიელეში და თითქოს ყველაფერს გვტაცებდა, რაც ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, შეგვეძლო შეგვეთავაზებინა უზენაესი ღვთაებისათვის.

ანაზდად ადგილზე გაშეშდა. მუსიკოსების ჩათვლით ყველა გაჩუმდა. მას თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა, მაგრამ ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა. ხელები ცისკენ აღაპყრო და დაიყვირა:

- როცა მოვკვდები, ფეხზემდგომარე დამმარხეთ - მთელი ცხოვრება ისედაც მუხლებზე დაჩოქილმა გავატარე.

ყველა დუმდა. ათენამ თვალები გაახილა, თითქოს ღრმა ძილიდან გამოფხიზლდა, მერე, ვითომ აქ არაფერიო, მაგიდისკენ გამოემართა. კვლავ დაუკრა ორკესტრმა, საცეკვაო მოედანი რამდენიმე წყვილმა შეავსო, მაგრამ მხიარულება აღარ გაგრძელდა. რესტორანში ვითარება საოცრად შეიცვალა, სულ მალე ყველამ, ერთიმეორის მიყოლებით, ანგარიში მოითხოვა და რესტორანი დატოვეს.

- როგორ ხარ? - ვკითხე, როცა სული მოითქვა.

- საშინლად. უცებ მივხვდი, როგორ შეიძლება ისეთ ადგილზე აღმოვჩნდე, სადაც არ მსურს ყოფნა.

- გინდა, გაგაცილო?

მან თავი დამიქნია. მაგრამ მაინც მკითხა, რომელ სასტუმროში ცხოვრობო. მეც ვუპასუხე.

რამდენიმე დღის შემდეგ დავასრულე ფილმისთვის მასალების შეგროვება, თარჯიმანი ბუქარესტში გავგზავნე არენდით აღებული მანქანით, მე კი სიბიუში დავრჩი მხოლოდ იმიტომ, რომ კვლავ მენახა ათენა. თუმცა, ყოველთვის ლოგიკით ვხელმძღვანელობ და მგონია, რომ სიყვარული შეიძლება არამარტო შეგეყაროს, შეიძლება, შენ თვითონაც ააგო. მივხვდი: თუ მას ვეღარ ვნახავდი, ჩემი ცხოვრების რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი სამუდამოდ ჩაიკარგებოდა ტრანსილვანიის ამ მიყრუებულ ნაწილში. როგორც შემეძლო, ვუმკლავდებოდი სულის შემაწუხებელ მონოტონურობას: რამდენჯერმე შევიარე ავტოსადგურში და შევამოწმე ბუქარესტამდე მიმავალი ავტობუსების განრიგი. ბი-ბი-სის რედაქციაში და ჩემს შეყვარებულთან ტელეფონით საუბარში დავხარჯე გაცილებით მეტი, ვიდრე ამის უფლებას მაძლევდა ჩემი მცირე ხელფასი. მათ ვუხსნიდი, რომ მასალები ჯერ მზად არ იყო; რომ კიდევ მომიხდებოდა ერთი დღე ან ერთი კვირა აქ დარჩენა; რომ ადგილობრივ ხალხთან საქმის დაჭერა ძნელი იყო: მათ გულთან ახლოს მიაქვთ, როცა ვიღაცები მათ საყვარელ ტრანსილვანიას სისხლიანი მონსტრის, დრაკულას სამშობლოდ წარმოსახავენ. ბოლოს და ბოლოს, შევძელი პროდიუსერების დარწმუნება და ნება დამრთეს, რამდენიც საჭირო იქნებოდა, იმდენ ხანს დავრჩენილიყავი.

მე და ათენა ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით, საბედნიეროდ, ქალაქში ერთადერთი სასტუმრო იყო. ერთხელაც ის გამოჩნდა ჰოლში: უეჭველია, მასაც ახსოვდა ჩვენი პირველი შეხვედრა. ამჯერად თვითონ შემომთავაზა, სადმე გაგვევლო და სიხარული ძლივს დავფარე - შეიძლება მეც რაღაცას წარმოვადგენ-მეთქი მისთვის.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ შევიტყვე, რომ ფრაზა, რომელიც ათენამ ცეკვის დამთავრების შემდეგ წარმოთქვა და რომელმაც ასე განმაცვიფრა, - ძველი ბოშური გამონათქვამი ყოფილა.

ლილიანა

მკერავი, ასაკი და გვარი უცნობია

ვლაპარაკობ აწმყოს დროით, ვინაიდან ჩვენთვის დრო საერთოდ არ არსებობს - არსებობს მხოლოდ სივრცე. ამიტომაც მგონია, თითქოს ეს ყველაფერი გუშინ მოხდა.

ერთადერთხელ დავარღვიე ჩვენი ტომის კანონები, რომელიც გვიბრძანებს, რომ ბავშვის ამქვეყნად მოვლინებისას მამა ახალშობილის გვერდით უნდა იყოს. ბებიაქალები მაინც მოვიდნენ, თუმცა იცოდნენ, რომ ბოშასგან არ ვიყავი ფეხმძიმედ. მოვიდნენ, თმა გამიშალეს, გადაჭრეს ჭიპლარი, რამდენჯერმე გამოკვანძეს და გადმომცეს ჩვილი. ადათი გვიბრძანებს, რომ ბავშვი მამის ტანსაცმელში უნდა გაიხვიოს, მე კი მისგან მხოლოდ ზეწარი დამრჩა, რომელსაც კიდევ შემორჩენოდა მისი სურნელი. ხანდახან სახესთან მიმქონდა, რომ კვლავ მეგრძნო იგი. ახლა ამ ძლივსშესამჩნევ სურნელს გაქრობა ეწერა.

ახალშობილი ზეწარში გავახვიე და პირდაპირ იატაკზე დავაწვინე, რათა დედამიწის ენერგია მიეღო. გვერდით მივუჯექი, არ ვიცოდი, რას ვგრძნობდი, რაზე უნდა მეფიქრა, რადგან გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა.

მითხრეს - ამოურჩიე სახელი, მაგრამ არავის გაანდო, მისი წარმოთქმა მხოლოდ ბავშვის მონათვლის შემდეგ შეიძლებაო. მომცეს ნაკურთხი ზეთი და ავგაროზი, რომელიც ორი კვირის შემდეგ ბავშვისთვის კისერზე უნდა ჩამომეკიდა. ერთმა ბებიაქალმა მითხრა, ნურაფრისა ნუ გეშინია, მთელი ბანაკი იზრუნებს ახალშობილზე, ყურადღებას ნუ მიაქცევ მითქმა-მოთქმას და ჭორაობას, მალე ყველაფერი დავიწყებას მიეცემაო. კიდევ მირჩიეს, მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე ქუჩაში არ გამოვსულიყავი, რადგან შეიძლება, ცინვარები - ბოროტი სულები - თავს დამსხმოდნენ და უბედურება მოეტანათ.

ერთი კვირის შემდეგ, ადრიანად, ინათა თუ არა, წავედი სიბიუს ბავშვთა თავშესაფარში, ბავშვი მის კართან დავაწვინე და იქვე ვიცდიდი, ვიღაცის მადლიანი ხელი როდის აიყვანდა. ამ დროს ერთმა ძიძამ ხელი მტაცა და შიგნით შემათრია, ათასნაირი შეურაცხყოფა მომაყენა, ირწმუნებოდა, თითქოს პირველად არ უნახავს მსგავსი რამ, ეს ბევრჯერ მომხდარაო, ამ ბავშვს თავს ასე უბრალოდ ვერ დააღწევ: როგორც გააჩინე, ისე დაარჩინეო.

- თუმცა, სხვას რას უნდა ელოდე ბოშასგან...

შემავსებინეს უამრავგრაფიანი რაღაც ქაღალდები. მაგრამ რაკი წერა არ ვიცი, ჩემ მაგივრად მათ შეავსეს, თან იმეორებდნენ: „აბა, ბოშასგან სხვას რას უნდა ელოდე...

ჩვენი მოტყუება არ გაბედო, თორემ ციხეში ამოგაყოფინებთ თავსო“. შევშინდი და ტყუილი არც მიფიქრია - ყველაფერი ისე ჩავაწერინე, როგორც არის.

უკანასკნელად რომ შევხედე გოგონას, მხოლოდ ამის გაფიქრება მოვასწარი: „ჩემო უსახელო გოგონავ! ღმერთმა ცხოვრებაში ნუ მოგაკლოს სიყვარული, ბევრი სიყვარული“.

მერე წავედი და რამდენიმე საათს ტყეში დავეხეტებოდი. ვიხსენებდი, როგორ ვატარებდი მუცლით, როგორ მეჯავრებოდა და თან მიყვარდა ისიც და ის მამაკაციც, რომლისგანაც დავორსულდი.

როგორც ყველა ქალიშვილი, მეც ზღაპრულ პრინცთან შეხვედრაზე ვოცნებობდი; ვოცნებობდი გათხოვებასა და სახლის შვილებით გავსებაზე და, როგორც ჩემნაირთა უმრავლესობას, შემიყვარდა ისეთი ადამიანი, რომელსაც ჩემთვის არაფრის მოცემა არ შეეძლო, მაგრამ მასთან დაუვიწყარი წუთები გავატარე. ჩემი ბავშვისთვის ეს გაუგებარი გახდებოდა, რადგან, ჩვენს ტომში სამუდამოდ უმამოდ დარჩენილს, გადამთიელის დამღა საფლავის კარამდე გაჰყვებოდა. ამიტომაც არ მინდოდა, ჩემს შვილს წამების ისეთივე გზა გაევლო, რაც ბედმა მე მარგუნა მას შემდეგ, რაც მივხვდი, რომ ორსულად ვიყავი.

...ვქვითინებდი, სახეს ვიკაწრავდი, ვიმედოვნებდი, რომ ეს ტკივილი ფიქრებს გამიფანტავდა და მაიძულებდა, დავბრუნებოდი ცხოვრებასა და იმ სირცხვილს, ბანაკში რომ მელოდა. ვიღაც გაზრდიდა ჩემს შვილს, მე კი მასთან შეხვედრის იმედით ვიცხოვრებდი.

დავემხე მიწაზე, ხეს მოვეჭიდე და ცრემლები ღვარად წამომივიდა. მაგრამ ანაზდად, ცრემლებმა და სისხლმა ხეს რომ მიაღწიეს, რაღაც უცნაური სიმშვიდე დამეუფლა, თითქოს ვიღაცის ხმა ჩამჩურჩულებდა: „ნურაფერზე ნუ წუხხარ, შენმა ცრემლებმა და შენმა სისხლმა განბანა შენი გოგონას გზა“. მას შემდეგ, როცა კი სასოწარკვეთა მიპყრობდა, ეს ხმა მესმოდა, რაც ჩემს სულს ტანჯვას უმსუბუქებდა.

ამიტომაც არ გამკვირვებია, როცა ჩვენმა ბარონმა ის მომიყვანა, ყავა მომთხოვა, დამცინავად ჩაეღიმა და უკანვე გაბრუნდა. ხმა ჩამჩურჩულებდა, რომ ვნახავდი ჩემს შვილს, და აი, ისიც, დგას ჩემს წინ, ლამაზი, მამის ალი-კვალი, და არ ვიცი, თვითონ რას გრძნობს - ეგებ ზიზღს, რომ მივატოვე. მე არ დავუწყებ იმის ახსნას, რამ ჩამადენინა ეს - სულერთია, ამას ქვეყნად ვერავინ გაიგებს.

თითქოს მთელი საუკუნეა, ვდგავართ და ხმაამოუღებლივ ვუყურებთ ერთმანეთს - არ ვტირით, არ ვიცინით, მხოლოდ ერთმანეთს მივჩერებივართ. არ ვიცი, აინტერესებს მას თუ არა, რას ვგრძნობ ამ წუთში.

- გშია?

ინსტინქტი. ყველაზე უწინ ინსტინქტი ჩნდება. ის თავს მიქნევს. შევდივართ პატარა ოთახში - ის ერთდროულად ჩემი საძინებელიც არის, სამზარეულოცა და სახელოსნოც. ჩემი შვილი შეცბუნებული იყურება აქეთ-იქით. მე თავს ვიკატუნებ, თითქოს ვერაფერს ვამჩნევ. ორ მათლაფაზე ვასხამ მწვანილითა და ქონით შეკაზმულ შეჭამადს, შემდეგ ვამზადებ მაგარ ყავას, შაქრის ჩაყრა რომ დავაპირე, გაისმა მისი პირველი სიტყვები:

- მე - უშაქროდ. არ ვიცოდი, რომ ინგლისურად ლაპარაკობდი.

მინდოდა, მეპასუხა: „მამაშენის წყალობით-მეთქი“, მაგრამ თავი შევიკავე. ტრაპეზისას ორივე ვდუმვართ. თანდათან მეჩვენება, რომ ამაში არაფერია განსაკუთრებული: „ჰო, მე ვსადილობ ჩემს შვილთან ერთად. მან მთელი ქვეყანა მოიარა და ახლა დაბრუნდა, შეიცნო ათობით გზა, მაგრამ მაინც სახლისკენ მომავალი არჩია. ვიცი - ეს ილუზიაა მხოლოდ, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ისეთი მკაცრი სინამდვილე იყო, რატომ არ შეიძლებოდა, ცოტათი დავმშვიდებულიყავი გამონაგონით?

- ვინ არის ეს წმინდანი? - მიუთითა ჩემმა გოგომ კედელზე დაკიდებულ სურათზე.

- წმინდა სარა. ბოშების მფარველი. სულ მინდოდა მისი ეკლესიის ნახვა საფრანგეთში, მაგრამ აქედან ძნელია გაღწევა - საჭიროა პასპორტი, ნებართვა...

უნდა მეთქვა, ამასთან, ფული-მეთქი, მაგრამ გავჩუმდი. შეიძლება, ჩემს შვილს ეფიქრა, რომ ფულს ვთხოვდი.

- თანაც, ბევრი სამუშაო მაქვს.

ისევ სიჩუმე ისადგურებს. ის თეფშს განზე სწევს და სიგარეტს ეწევა. მისი გამოხედვა არაფერს, არავითარ გრძნობას არ გამოხატავს.

- გიფიქრია, რომ ოდესმე მნახავდი?

თავს უსიტყვოდ ვუქნევ. გუშინ ბოშების ბარონისაგან შევიტყვე, რომ ის მათ რესტორანში იყო.

- ქარიშხალი ახლოვდება, არ გინდა, დაწვე და ცოტა გამოიძინო?

- არაფერი მესმის. ქარი ისევ უწინდებურად ქრის. ჯობია, ვისაუბროთ.

- დამიჯერე, სალაპარაკო დრო კიდევ გვექნება: მთელი ცხოვრება, რამდენიც უნდა იყოს დარჩენილი, მე შენ გვერდით ვიქნები.

- ამას ახლა არ უნდა ამბობდე.

- ...მაგრამ ახლა დაღლილი ხარ, - ისევ ვაგრძელებ საუბარს, თითქოს მისი შენიშვნა არ გამეგონოს. ვგრძნობ, ახლოვდება ქარიშხალი. როგორც ყველა ქარიშხალს, მასაც

თან მოაქვს ნგრევა, მაგრამ, ამასთან, რწყავს მინდორს და წვიმის წყალთან ერთად ჩვენზე გადმოდის ზეციური სიბრძნე. როგორც ყველა ქარიშხალი, ისიც გადაივლის, და რაც უფრო მძაფრი იქნება, მით უფრო მალე ჩადგება.

მადლობა ღმერთს, ვისწავლე ქარიშხალთან შეხვედრა. და თითქოს ზღვის ყველა წმინდანმა მისმინა, თუთიის სახურავზე ეცემა წვიმის პირველი წვეთები. ჩემი გოგონა მოწევას ამთავრებს, მე ხელს ვკიდებ და მიმყავს თავის საწოლთან. ის წვება და თვალებს ხუჭავს.

არ ვიცი, რამდენ ხანს ეძინა: ვიჯექი და თვალმოუშორებლივ ვუყურებდი. იგივე ხმა, ტყეში რომ მომესმა, მიჩურჩულებდა, ყველაფერი კარგად იქნება, არ არის საჭირო მღელვარებაო. ცვლილებები, რასაც ბედი გვიმზადებს, სასიკეთო იქნება, თუკი შევძლებთ მათი ფარული არსის შეცნობასო. არ ვიცი, ვინ წაიყვანა ჩემი შვილი ობოლთა თავშესაფრიდან, ვინ გაზარდა, ვინ ასწავლა და აქცია დამოუკიდებელ და წარმატებულ ქალად - ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. მე ვლოცულობ ამ ადამიანებზე - ისინი დაეხმარნენ ჩემს შვილს, გადარჩენოდა სიკვდილს და არ დაღუპულიყო, - მაგრამ უცებ ეჭვიანობის ტკივილი ვიგრძენი, მერე - სასოწარკვეთა, მერე - სინანული და შევწყვიტე წმინდა სარასთან საუბარი. შეიძლება, მან ტყუილად მოიყვანა აქ ჩემი შვილი: იმას, რაც დავკარგე, ვეღარასოდეს დავიბრუნებ.

მაგარამ ჩემ წინ ჩემი ხორცშესხმული სიყვარული იდგა. გონებაში უმალ იმ დღეების ხსოვნა გამიცოცხლდა, როცა ხან თვითმკვლელობას ვცდილობდი, ხან აბორტის გაკეთებას ვაპირებდი, ხან - აქაურობის მიტოვებასა და სამუდამოდ უგზო-უკვლოდ ხეტიალს. სწორედ მაშინ დავინახე, ჩემი ცრემლები და სისხლი როგორ ეღვრებოდა ხეს, და თავად ბუნების ხმა მომესმა, რომელიც იმ დღის შემდეგ აღარ დადუმებულა, პირიქით, უფრო და უფრო მკაფიო ხდებოდა. ჩვენი ბანაკიდან ვიღაც-ვიღაცებმა ეს იცოდნენ. ჩემი უბედურების გაგება კი მხოლოდ ჩემს დამცველსა და მფარველს შეეძლო - იმას, ვინც მაშინ ტყეში მიპოვა, მაგრამ ის მალე მოკვდა.

„სინათლე მერყევია, მას ქარი აქრობს, ელვა ხელახლა გაიელვებს, მაგრამ არასდროს იქნება იგი ისეთივე მანათობელი, როგორიც მზეა - თუმცა, ის ღირს იმად, რომ მისთვის იბრძოლო“, - ხშირად მიმეორებდა იგი.

ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც არ უარმყო და დანარჩენებიც დაარწმუნა, რომ კვლავ შემეძლო, დამემკვიდრებინა ჩემი ადგილი ბოშათა სამყაროში. მხოლოდ მისი უდავო ავტორიტეტის გამო არ მომიკვეთეს.

და, საუბედუროდ, ის ერთადერთია, ვინც ვერ ნახავს ჩემს ქალიშვილს, ვერ გაიცნობს მას. მე ვტიროდი, ჩემი შვილი კი გაუნძრევლად იწვა ჩემს ღარიბულ საწოლზე, რომელიც მისთვის, უეჭველია, მოუხერხებელი და მაგარი იყო - ახლა ის ხომ კომფორტსაა შეჩვეული! ათასი კითხვა მიტრიალებდა თავში - რას საქმიანობენ მისი დედობილ-მამობილი, სად ცხოვრობდა, სწავლობდა თუ არა უნივერსიტეტში,

უყვარდა თუ არა ვინმე, შემდგომში რის გაკეთებას აპირებს... მაგრამ მე ხომ არ გამომევლო ნახევარი მსოფლიო მის მოსაძებნად, ამიტომაც კითხვების დასმის უფლება არა მქონდა, მე მხოლოდ კითხვებზე პასუხი უნდა გამეცა.

მან თვალები გაახილა. მინდოდა, თავზე ხელი გადამესვა და მთელი ამ წლების მანძილზე ჩემს სულში დაგროვილი სინაზე მეჩუქებინა, მაგრამ არ ვიცოდი, ამას როგორ მიიღებდა, და თავი შევიკავე.

- აქ, უეჭველია, იმის გასაგებად მოხვედი, რატომ...

- არა, მე არ მინდა, ვიცოდე, რატომ ტოვებს დედა თავის შვილს. ამის მიზეზი არ შეიძლება, არსებობდეს.

მისმა სიტყვებმა გული დამიფლითა, მაგრამ არ ვიცოდი, რა მეპასუხა.

- ვინ ვარ? ვისი სისხლი დის ჩემში? გუშინ რომ შევიტყვე, შეიძლება, მეპოვე, შევძრწუნდი, საიდან უნდა დამეწყო? ასე არ არის? შენ ბოშა ხარ, მაშასადამე, კარტით მკითხაობაც შეგეძლება. მითხარი, რა მელის?

- ჩვენ მხოლოდ სხვებს ვუმკითხავებთ ხოლმე, ამით სარჩოს ვშოულობთ. ჩვენი ტომის ადამიანებს არ ვუმკითხავებთ არც ხელისგულზე, არც კარტით, შენ კი...

- ...ტომის ნაწილი ვარ, თუმცა, ქალმა, ამქვეყნად რომ მომავლინა, მოუსავლეთში გამგზავნა.

- დიახ.

- მაშ, აქ რაღას ვაკეთებ? მე ვნახე შენი სახე, ახლა შემიძლია, ლონდონში დავბრუნდე, მით უმეტეს, რომ შვებულება მითავდება.

- არ გინდა, მამაშენზე მკითხო რამე?

- სულაც არ მაინტერესებს.

იმ წუთში მივხვდი, რითაც შემეძლო, დავხმარებოდი, და თითქოს ჩემდა უნებურად წარმოვთქვი:

- შენ შეგიძლია, გაიგო, როგორი სისხლი დის ჩემს ძარღვებში და შენს გულში.

ჩემი ბაგეებით ჩემი განსვენებული მასწავლებელი მეტყველებდა. ჩემმა შვილმა თვალები ისევ დახუჭა და მთელ თორმეტ საათს თითქმის გადაბმულად ეძინა.

მეორე დღეს სიბიუს შემოგარენში წავიყვანე, სადაც მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გახსნეს. მანამდე კი ჩემს სიცოცხლეში პირველად სიამოვნებით ვასაუზმე. მან დაისვენა, ცოტა მოლბა და დამიწყო შეკითხვები ბოშებზე. ჩემს ცხოვრებაზე სიტყვაც არ უთქვამს. ძუნწად მომიყვა თავისი ამბები და შევიტყვე, რომ ბებია გავმხდარვარ,

არაფერი უთქვამს არც ქმარზე, არც დედობილ-მამობილზე, ის მითხრა კიდევ, რომ მიწის ნაკვეთებს ყიდის შორეულ ქვეყანაში, მაგრამ მალე ლონდონში უნდა დაბრუნდეს.

მინდოდა, შემეთავაზებინა: „გინდა, გასწავლო ავგაროზის გაკეთება ავი თვალისგან თავის დასაცავად-მეთქი.“ მაგრამ ვიცი, ეს არ დააინტერესებდა. სამკურნალო ბალახებზე კი სიტყვა რომ ჩამოვარდა, მთხოვა, მესწავლებინა, როგორ გაგვერჩია სხვა ბალახებისგან. ზუსტად ბაღის მახლობლად მივდიოდით, ასე რომ, შემეძლო, ჩემი ცოდნა გადამეცა, თუმცა ვიცოდი, თავიდან მაშინვე გამოუფრინდებოდა, როგორც კი მშობლიურ მხარეს, ლონდონს დაუბრუნდებოდა.

- ჩვენ კი არა ვფლობთ მიწას, ის გვფლობს ჩვენ. უწინ ჩვენ შეუჩერებლივ დავხეტიალობდით და ირგვლივ ყველაფერი ჩვენ გვეკუთვნოდა - წყალიც, ბალახიც, მინდორიც, რომელზედაც დადიოდა ჩვენი საზიდარები. ჩვენი კანონები ბუნების კანონები იყო - გადარჩება ძლიერი - ჩვენ კი სუსტები და მუდმივად დევნილები, ვსწავლობთ, დავმალოთ და დავფაროთ ჩვენი ძალა და იგი გამოვიყენოთ მაშინ, როცა ამისი დრო დადგება. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთს არ შეუქმნია სამყარო. ღმერთი თავად სამყაროა და ჩვენ ვიმყოფებით მასში, ის კი - ჩვენში, თუმცა...

გავჩუმდი, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე, დამემთავრებინა, რათა ამით პატივი მიმეგო ჩემი მასწავლებლის ხსოვნისთვის:

- თუმცა, ჩემი აზრით, მას ქალღმერთს, დედას უნდა ვეძახდეთ. იმას კი არა, ვინც თავის ახალშობილ ბავშვს ობოლთა თავშესაფრის კართან მიაგდებს, არამედ იმას, ვინც ჩვენში ცოცხლობს და გვიფრთხილდება განსაცდელის ჟამს. ის ყოველთვის ჩვენთან არის, როცა სიყვარულითა და სიხარულით ვასრულებთ ჩვენს ყოველდღიურ საქმეს, იმის შეცნობით, რომ ქვეყნად სატანჯველი არაფერია - ყველაფერი მხოლოდ ხერხია არსის სადიდებლად.

ათენამ - უკვე ვიცოდი მისი სახელი - თვალი შეავლო ბაღში მდგარ სახლებს და მკითხა:

- ეს რა, ეკლესიაა?

მის გვერდით გატარებული საათები ნებას მაძლევდა, ძალა მომეკრიბა და მეკითხა, ხომ არ ისურვებდა სხვა რამეზე საუბარს. პასუხის გაცემამდე ჩაფიქრდა:

- მე მინდა, ყველაფერი მოვისმინო, რის თქმაც გინდა, მაგრამ რამდენადაც მივხვდი, ყველაფერი, რაზეც მელაპარაკები, ეწინააღმდეგება ბოშების ზნე-ჩვეულებებსა და რწმენას.

- ეს ყველაფერი ჩემმა მასწავლებელმა მასწავლა. მან იცოდა ისეთი რამეები, რაც ბოშებმა არ იციან. სწორედ მან აიძულა ბანაკი, კვლავ მივეღე უკან... მასთან სწავლით

შევძელი, ჩავწვდომოდი დედის ძლევამოსილებას - მე, რომელმაც უარვყავი დედობის მადლი.

ხელი მოვკიდე დაბალ ჩირგვს:

- თუ ოდესმე შენს შვილს სიცხე აუწევს, დააყენე ნორჩი მცენარეების გვერდით და ფოთლები შეარხიე - სიცხე მათზე გადავა. გულზე ნაღველი თუ შემოგაწვა - იგივე გააკეთე.

- ჯობია, ისევ შენს მფარველზე მიამბო რამე.

- ის ამბობდა, რომ თავდაპირველად ქმნილება მარტოდმარტო იყო, მაშინ მან ამქვეყნად მოავლინა ის, ვისთანაც შეეძლო ლაპარაკი. მათი სიყვარულით დაიბადა მესამე, მერე კი - ათასები და მილიონები. შენ მეკითხებოდი ეკლესიაზე - მე არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, ეს რა ეკლესიაა, რომელ ღმერთზე ლოცულობენ იქ, როდის ააგეს. ჩემი ტაძარი ეს ბაღია, ეს ცაა, ამ ტბისა და მდინარის წყლები, ეს მასაზრდოებელი ტბა. ჩემი თვისტომნი კი არიან ისინი, რომლებიც ჩემსავით აზროვნებენ და იმავეს გრძნობენ, რასაც მე, და არა ისინი, ვინც ჩემი სისხლით ნათესავნი არიან; ჩემი საიდუმლოა - ვიყო მათთან, ვადიდო, რაც ჩვენს ირგვლივაა. როდის აპირებ შინ დაბრუნებას?

- ხვალამდე დავრჩები. თუ არ შეგაწუხებ.

კიდევ ერთი დარტყმა შიგ გულში... მაგრამ რა უნდა მეპასუხა?

- აქ იმდენ ხანს შეგიძლია დარჩე, რამდენსაც მოისურვებ. მე მხოლოდ იმიტომ გკითხე, რომ მინდოდა, შენი ჩამოსვლა აღმენიშნა. თუ წინააღმდეგი არ იქნები, ამ საღამოსვე მოვაწყობთ.

მან არაფერი მიპასუხა: დუმილი თანხმობის ნიშანია. შინ დავბრუნდით. დავაპურე. მითხრა, რომ სიბიუს სასტუმროში თავისი ბარგის წამოსაღებად უნდა წასულიყო. მის დაბრუნებამდე ყველაფერი მოვამზადე. ავედით ერთ-ერთ გორაკზე ქალაქის სამხრეთ გარეუბანში, კოცონთან დავსხედით, ვმღეროდით, ვცეკვავდით, ვყვებოდით ათასგვარ ამბავს. ათენა გვესწრებოდა, მაგრამ არ მონაწილეობდა, თუმცა ბოშათა ბარონმა თქვა, რომ გაწაფული მოცეკვავეა. მთელი ამ წლების მანძილზე გულით პირველად ვიმხიარულე, რადგან შევძელი, ჩემი შვილისთვის მომეწყო ეს ცერემონია და მასთან ერთად მეზეიმა, რომ ორივე ცოცხალი, ჯანმრთელი და დიდი დედისადმი სიყვარულით აღვსილნი ვართ. სასწაული არ არის?

დასასრულს მითხრა, ღამეს სასტუმროში გავათევო. ვკითხე - ვშორდებით-მეთქი ერთმანეთს? არა, ხვალ დავბრუნდებიო.

მთელი ერთი კვირის მანძილზე ჩვენ ერთად ვეთაყვანებოდით სამყაროს. ერთ საღამოს მან თავისი მეგობარი მოიყვანა, მაგრამ წინასწარ ამიხსნა, რომ ის არც მისი

შეყვარებული იყო და არც ბავშვის მამა. ამ კაცმა, ათენაზე ათი წლით უფროსი მაინც რომ იქნებოდა, მკითხა, რის პატივსაცემად მოაწყვეთო ცერემონია. მე ვუპასუხე, რომ ჩემი მასწავლებლის აზრით, ვინმესთვის თაყვანისცემა იმას ნიშნავს, რომ ის ჩვენი სამყაროს გარეთ დააყენო. ჩვენ თაყვანს არ ვცემთ, ჩვენ ვეზიარებით შექმნილს.

- მაგრამ თქვენ ხომ ლოცულობთ?

- პირადად მე წმინდა სარაზე ვლოცულობ, მაგრამ აქ ჩვენ მხოლოდ მთლიანის ნაწილი ვართ, ამიტომაც კი არ ვლოცულობთ, ვდღესასწაულობთ.

მომეჩვენა, რომ ათენას მოეწონა ჩემი პასუხი, მე კი მხოლოდ ჩემი მასწავლებლის სიტყვები გავიმეორე.

- ამას ყველა ერთად რატომღა აკეთებთ? ხომ შეიძლება, სამყაროსთან კავშირი ყველამ ცალ-ცალკე იდღესასწაულოთ?

- იმიტომ, რომ სხვები - ეს მე ვარ, მე კი - ეს სხვები არიან.

ამ დროს ათენამ შემომხედა, ვიგრძენი, რომ დადგა დრო, მეც დამეფლითა მისი გული.

- ხვალ მივემგზავრები.

- გამგზავრების წინ დედასთან გამოთხოვება არ დაგავიწყდეს.

მთელი ამ დღეების მანძილზე პირველად წარმოვთქვი ეს სიტყვა. ხმა არ ამთრთოლებია, თვალს არ ვაშორებდი და ვიცოდი, რაც უნდა ყოფილიყო, ჩემს წინაშე იდგა ჩემი ხორცი ხორცთაგანი, ჩემი მუცლის ნაყოფი. თავი პატარა გოგოსავით მეჭირა, რომელიც ამ წუთში მიხვდა, რომ სამყარო, როგორც უფროსები ამტკიცებენ, შემზარავი მოჩვენებებით კი არ არის სავსე, არამედ სავსეა სიყვარულით, არა აქვს მნიშვნელობა, როგორ და რაში გამოიხატება იგი; სავსეა იმ სიყვარულით, ყველა ცოდვის გამოსყიდვა და ყველა შეცდომის გამოსწორება რომ შეუძლია.

ათენა ჩამეხუტა და ასე იყო ერთხანს, მერე თავსაფარი გამისწორა - მიუხედავად იმისა, რომ ქმარი არა მყავს, ქალიშვილიც არა ვარ, ჩვენი ტრადიციით, თავშიშველამ არ უნდა ვიარო. რას უნდა ველოდე ხვალინდელი დღისგან, გარდა იმისა, რომ უნდა დავშორებულიყავი მას, ვინც ასე მიყვარდა და ვისიც მეშინოდა.

მეორე დღეს ყვავილების თაიგულით მოვიდა. მორთო ოთახი და მითხრა, დროა, სათვალე შეიძინოო - გამუდმებული კერვით თვალები გავიფუჭე. მკითხა, უსიამოვნება ხომ არ შეხვდებოდათ მათ, ვინც ჩვენს ზეიმში მონაწილეობდა - ბანაკი ხომ არ განსჯიდა მათ. ვუპასუხე, არა-მეთქი; ჩემი მასწავლებელი პატივსაცემი ადამიანი იყო და ისეთი რამეები გვასწავლა, რაც ბევრმა ჩვენგანმა არ იცოდა. მისი მოწაფეები მთელ ქვეყანაზე არიან მიმოფანტულები. იქვე დავუმატე, რომ ის ცოტა ხნის წინ მოკვდა.

- ერთხელ საიდანღაც გამოჩნდა კატა, მივიდა მასთან და ფეხებზე მიეფერა. ჩვენთვის ეს სიკვდლის მაუწყებელი იყო. ყველანი შევშფოთდით, თუმცა ვიცით, როგორ ავირიდოთ ბოროტი ჯადო - არსებობს მასზე განსაკუთრებული ზემოქმედების საშუალება.

მაგრამ ჩემმა მასწავლებელმა თქვა, რომ დროა, გზას გაუდგეს; რომ მას სურს, იხეტიალოს იმქვეყნად, რომლის არსებობასაც მხოლოდ მიხვედრილი იყო; სურს, აღორძინდეს ბავშვად, მაგრამ მანამდე დედის კალთაში უნდა განისვენოს. უბრალოდ დავასაფლავეთ, საფლავი მახლობელ ტყეში გავუთხარეთ - ხალხი კი ბევრი მოვიდა.

- მათ შორის ხომ არ იყო შავთმიანი ოცდათხუთმეტი წლის ქალი?

- ზუსტად არ მახსოვს, შეიძლება იყო... მერე რა?

- ჩემი სასტუმროს ჰოლში შევხვდი ერთ ქალს, მითხრა, მეგობრის დაკრძალვაზე ჩამოვედიო. ვფიქრობ, შენს მოძღვარზე იყო საუბარი.

ათენამ მთხოვა, კიდევ რამე მომეთხრო ბოშებზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მან ისედაც ყველაფერი იცოდა. საქმე ისაა, რომ ჩვენ თვითონ არაფერი ვიცით ჩვენს ისტორიაზე, გარდა ადათისა და წეს-ჩვეულებებისა. მე ვთხოვე, თუ ოდესმე საფრანგეთში ყოფნა მოუხდებოდა, ჩასულიყო პატარა ქალაქ სენტ-მარი-დე-ლა-მერში და ჩემი სახელით წმინდა სარასთვის ქვედაბოლო მიერთმია.

- აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ვგრძნობდი, ცხოვრებაში რაღაც მაკლდა. მინდოდა, შემევსო ჩემი ხარვეზები და ვფიქრობდი, ამისათვის მხოლოდ შენი სახის ნახვა იქნებოდა საკმარისი, მაგრამ არა... აღმოჩნდა, რომ იმაშიც უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ აქ ვინმეს ვუყვარვარ.

- შენ აქ ყველას უყვარხარ.

მე რაღაც გაწელვით ვუპასუხე - მინდოდა ჩემს სიტყვაში ჩამედო ის, რისი გამოთქმაც მსურდა იმ წუთებიდან, რაც ათენამ გამგზავრება გადაწყვიტა.

- მინდა, რაღაც გთხოვო.

- რაც გენებოს.

- მინდა, მაპატიო.

მან ტუჩები მოიკვნიტა და განაგრძო:

- ზომა არაფერში არ ვიცი. ძალიან ბევრს ვმუშაობ, ვმეგობრობ ჩემს შვილთან, გადარეულივით ვცეკვავ... ვისწავლე კალიგრაფია, დავდიოდი რიელტერის კურსებზე, სულმოუთქმელად ვკითხულობდი... ყველაფერ ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ ყოველ წამს რაღაცით ვყოფილიყავი დასაქმებული, რადგან ეს ხარვეზები რაღაც

საშინელი სიცარიელის გრძნობას მინერგავდნენ, სადაც სიყვარულს საზღვარი არა აქვს. ჩემმა მშობლებმა ყველაფერი მომცეს, მე კი, ვფიქრობ, მათ იმედები გავუცრუე.

მხოლოდ აქ, როდესაც ერთად ვიყავით, როცა დიდი დედის პატივსაცემად ბუნების ზეიმი მოვაწყვეთ, მივხვდი, რომ ხარვეზები ივსება. ისინი თანდათან პაუზებად იქცევიან - იქცევიან იმ წამად, როდესაც ადამიანი დოლიდან ხელს იღებს, სანამ ხელახლა დაარტყამდეს მას. ვფიქრობ, ახლა შემიძლია წასვლა. თუმცა, არცთუ სულდამშვიდებულს, რადგან ჩემი ცხოვრება კვლავ იმ შეჩვეულ რიტმს მოითხოვს. მაგრამ სულში სიმწარეს აღარა ვგრძნობ. ყველა ბოშას სჯერა დიდი დედისა?

- შენს შეკითხვაზე არც ერთი მათგანი არ გეტყვის, „დიახო“. ჩვენ ვითვისებთ იმ ხალხის ადათებსა და რწმენას, რომელთა შორისაც ვსახლდებით. და მაინც ყველა ჩვენგანს გვაერთიანებს ბოშობა; სადაც უნდა ცხოვრობდნენ, ისინი თაყვანს სცემენ წმინდა სარას, და თითოეული მათგანი ვალდებულია, ცხოვრებაში ერთხელ მაინც მივიდეს მის საფლავზე სენტ-მარი-დე-ლა-მერში. ზოგნი მას „კალი სარას“ ანუ „შავ სარას“ უწოდებენ, ზოგნი კი - ბოშების უწმინდეს ქალწულს.

- ცოტა ხნის შემდეგ უნდა წავიდე, ჩემი მეგობარი გამაცილებს, ოდესმე გაგაცნობ, - თქვა მან.

- ის, მგონი, კარგი ადამიანი უნდა იყოს...

- შენ დედასავით ლაპარაკობ.

- ვარ კიდეც შენი დედა.

- მე კი შენი შვილი.

ის მომეხვია, ამჯერად თვალებში ცრემლები ედგა. გულში ჩაკრულს თმაზე ვეფერებოდი - ავისრულე ნატვრა, რომელიც თან მდევდა იმ დღიდან, როდესაც ბედისწერამ - თუ ჩემმა სულმოკლეობამ - გაგვყარა ერთმანეთს. ვთხოვე, გაუფრთხილდი-მეთქი თავს, მან კი მიპასუხა, რომ აქ ბევრი რამ ისწავლა.

- უფრო მეტს ისწავლი, ვინაიდან მართალია, დღეს ბოშები სახლებში, სამსახურებში თუ ქალაქებში ვართ გამოკეტილები, მაგრამ ჩვენს უძველეს სისხლს კიდევ ახსოვს უსასრულო ხეტიალი. ახსოვს ანდერძიც, რაც დიდმა დედამ გადასარჩენად დაგვისახა. შენ ბევრ რამეს ისწავლი, თუკი ხალხთან იქნები, ცხოვრებისეული ძიებისას არაფერია მარტოობაზე უარესი - თუ არასწორ ნაბიჯს გადადგამ, შენ გვერდით არავინ აღმოჩნდება, რათა მის გამოსწორებაში დაგეხმაროს.

ის ზედ მეკვროდა და ტიროდა. კინაღამ ვთხოვე, დარჩენილიყო. ჩემს მფარველს შევთხოვე, ცრემლი არ გადმომვარდნოდა, რადგან ათენასათვის ბედნიერება მსურდა, მისი ბედნიერება კი წინსვლა იყო. აქ, ტრანსილვანიაში, ჩემი სიყვარულის გარდა ის ვერაფერს მიიღებდა, და თუმცა ვფიქრობ, რომ სიყვარულს ყველაფრის გამართლება

შეუძლია, მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ არა მქონდა უფლება, მეთხოვა, ჩემთან დარჩენისათვის გაეწირა თავისი მომავალი.

ათენამ შუბლზე მაკოცა და წავიდა, არ დამემშვიდობა. შეიძლება, იფიქრა, რომ ოდესმე დაბრუნდებოდა. ყოველ შობაზე იმდენ ფულს მიგზავნიდა, შეკვეთები რომც არ ამეღო, მთელ წელიწადს მეყოფოდა, მაგრამ არასდროს წავსულვარ ბანკში ამ ჩეკებით ფულის მისაღებად - ბანკში ყველა ფიქრობდა, რომ ნამდვილი სულელივით ვიქცეოდი.

ექვსი თვის შემდეგ გზავნილები შეწყდა. ალბათ, ათენა მიხვდა, რომ ჩემთვის კერვა აუცილებელი იყო, რათა ამომევსო, როგორც ის ამბობდა, ხარვეზები.

ძალიან მინდა, კიდევ ერთხელ ვნახო, მაგრამ ვიცი, ის აღარასდროს დაბრუნდება, ახლა, ალბათ რაიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა უკავია, გათხოვდა იმაზე, ვინც უყვარდა და საფიქრებელია, რომ, შვილიშვილებიც გამიმრავლდა. ჩემი სისხლი ამქვეყნად არ დაიშრიტება და ჩემი შეცდომებიც მომეტევება.

სამირა რ. ხალილი

დიასახლისი

ათენა გახარებული რომ შემოვარდა სახლში, ხელში აიტაცა, ცოტა არ იყოს, შემკრთალი ვიორელი და გულში ჩაიკრა, მივხვდი, ყველაფერმა მოსალოდნელზე უკეთ ჩაიარა. ჩანს, უფალმა შეისმინა ჩემი ვედრება - ათენას თავის თავში აღარაფერი აქვს აღმოსაჩენი და შეიძლება, ამის შემდეგ მაინც, სხვების მსგავსად, ნორმალურად იცხოვროს-მეთქი - აღზარდოს შვილი, ხელახლა გათხოვდეს და, რაც მთავარია, დაიშოშმინოს სულიერი მღელვარება, რის გამოც ხან გადარეულივით მხიარულობდა, ხან კი საშინელი ნაღველი იპყრობდა.

- დედა, მიყვარხარ!

ახლა ჩემი ჯერი დადგა და გულში მაგრად ჩავიკარი. მანამ წასული იყო, სულ მაწამებდა იმაზე ფიქრი, რომ ვინმეს გამოგზავნიდა ვიორელის წასაყვანად და მათ ვეღარასოდეს ვნახავდით.

ჭამისა და აბაზანის მიღების შემდეგ მომიყვა თავის მშობელ დედასთან შეხვედრაზე, ამიწერა ტრანსილვანია (მე და ჩემი ქმარი რომ ვიყავით, ობოლთა თავშესაფრის გარდა, არაფერი დამმახსოვრებია), ვკითხე, დუბაიში როდის აპირებ-მეთქი დაბრუნებას.

- ერთი კვირის შემდეგ, მანამდე შოტლანდიაში უნდა წავიდე და შევხვდე...

„მამაკაცს!“ - გამიელვა თავში.

- ერთ ქალს, - დაამთავრა ათენამ, - უეჭველია, შენიშნა ჩემი ეშმაკური ღიმილი, - მე ვგრძნობდი ჩემს მოწოდებას. სიცოცხლისა და ბუნების პატივსაცემად დღესასწაული რომ მოვაწყვეთ, ისეთი რამეები აღმოვაჩინე, რის არსებობას არც კი ვეჭვობდი. იმას, რასაც მხოლოდ ცეკვაში ვპოულობდი, არის ყველგან და ყველაფერში. მას ქალის სახე აქვს, მე ვნახე იგი...

შემეშინდა. ვუთხარი, რომ მისი მოწოდებაა - გაზარდოს შვილი, იზრუნოს კარიერაზე, იშოვოს ფული, ხელახლა გათხოვდეს და ისეთ ღმერთს სცეს თაყვანი, როგორიც ვიცით...

მაგრამ შერინი არ მისმენდა.

- ეს იქ, ტრანსილვანიაში მოხდა, საღამოთი, როდესაც კოცონის ირგვლივ ვისხედით, ვსვამდით, ვყვებოდით თავშესაქცევ ამბებს და ვუსმენდით მუსიკას. თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას რესტორანში, მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც იქ ვიყავი, ცეკვის აუცილებლობა არ მიგრძნია - თითქოს ენერგიას სხვა წყაროდან ვიძენდი. იქ, კოცონთან, ვიგრძენი, რომ ჩემს ირგვლივ ყველაფერი ცოცხალია, ყველაფერი სუნთქავს, ირხევა. მე თავი ქმნილებასთან ერთ მთლიანობაში ვიგრძენი და სიხარულისგან ავტირდი, როდესაც ცეცხლის ალის მოცეკვავე ენებმა ქალის სახე მიიღო - ის გამოხატავდა თანაგრძნობას და მიღიმოდა.

ტანში გამცრა - ნათელია, ბოშური ჯადოა. ერთდროულად ისიც გამახსენდა, რომ შერინი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას ამბობდა, „თეთრსამოსიანი ქალი“ ვნახეო.

- ნუ დაუჯერებ მაგას - ეგ მზაკვრობაა. შენ გვერდით მუდამ კარგი მაგალითი გქონდა, რატომ არ შეგიძლია, უბრალოდ, ნორმალურად ცხოვრება, როგორც ყველა ცხოვრობს?

ეჰ, ეტყობა, ავჩქარდი დასკვნის გამოტანისას, რომ ნამდვილ დედასთან შეხვედრამ შერინზე სასიკეთოდ იმოქმედა-მეთქი. თუმცა ამას მოსალოდნელი განრისხება არ მოჰყოლია - ის ღიმილით განაგრძობდა:

- რას ეძახი „ნორმალურ ცხოვრებას“? რატომ აგრძელებს მამა ასე თავგამოდებით მუშაობას, როცა ფული სამი თაობის სამყოფი აქვს? ის პატიოსანია, დაიმსახურა ის, რაც აქვს, მაგრამ სიამაყით იმეორებს, რომ დატვირთულია სამუშაოთი. რატომ? რის მიღწევას ცდილობს?

- ის ღირსეული ადამიანია, მთელი ცხოვრება მუშაობდა.

- თქვენთან რომ ვცხოვრობდი, მამა სამსახურიდან მოსვლისთანავე, მეკითხებოდა, მოვამზადე თუ არა გაკვეთილები, მერე მიხსნიდა, რა მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის ის, რასაც ის აკეთებდა, მერე რთავდა ტელევიზორს და ლიბანში განვითარებულ

fb.com/groups/elib

მოვლენებს კომენტარს უკეთებდა, დაძინების წინ კი რაღაც სპეციალურ ლიტერატურას კითხულობდა... ის მუდამ საქმეში იყო ჩაფლული.

შენც ასევე - სკოლაში ყველაზე კარგად ჩაცმული დავდიოდი, დაგყავდი დღესასწაულებზე, თვალყურს ადევნებდი, რომ სახლში ყველაფერი სუფთად და თადარიგზე ყოფილიყო, ჩემთან ყოველთვის ალერსიანი იყავი, სამაგალითოდ აღმზარდე. მაგრამ ახლა, სიბერის ზღვარზე მყოფმა მითხარი: როგორ აპირებ ცხოვრებას? მე ხომ უკვე გავიზარდე და დამოუკიდებელი გავხდი.

- ვიმოგზაურებთ, მსოფლიოს მოვივლით, დამსახურებული დასვენებით დავტკბებით.

- რატომ არ დაიწყებთ ამას ახლავე, როცა შენ და მამა ჯერ კიდევ მხნედ და ჯანმრთელად ხართ?

მე თვითონაც ვეკითხებოდი ამას ჩემს თავს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემს ქმარს სჭირდებოდა თავისი სამყარო - ფულისთვის კი არა, იმისათვის, რომ საჭირო ადამიანად ეგრძნო თავი. დაემტკიცებინა, რომ ემიგრანტებიც სიამაყით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. შვებულებას როცა იღებდა და ქალაქში რჩებოდა, ყოველთვის იმის სურვილი ჰქონდა, შეევლო ოფისში, დალაპარაკებოდა კოლეგებს და მიეღო რაღაც გადაწყვეტილება, თუმცა საჩქარო არაფერი იყო. მე ძალით დამყავდა თეატრში, კინოში, მუზეუმებში და ის, რასაც ვეუბნებოდი, ყველაფერზე მეთანხმებოდა - მაგრამ ვგრძნობდი, ამას ნაძალადევად აკეთებდა, რადგან მას, სინამდვილეში, მხოლოდ ფირმა, საქმე და მუშაობა აინტერესებდა.

ჩემს შვილთან პირველად ვსაუბრობდი, როგორც მეგობართან, და ვცდილობდი, მისთვის გასაგებ ენაზე მელაპარაკა.

- მაშ, გინდა, თქვა, რომ მამაშენიც ცდილობს, შეავსოს ის რაღაც, რასაც შენ „ხარვეზებს“ უწოდებ?

- ეჭვი ნუ გეპარება. იმ დღეს, პენსიაზე რომ გავა, – ვფიქრობ, ეს დღე არასოდეს დადგება - ის ნამდვილ დეპრესიაში ჩავარდება. რა უნდა უყოს ასეთი გამასავათებელი შრომით მოპოვებულ თავისუფლებას? ყველა შეაქებს ბრწყინვალე კარიერისთვის, იმისთვის, რომ მან ოჯახს საკმაო მემკვიდრეობა დაუტოვა; რომ ასე მარჯვედ ხელმძღვანელობდა თავის კომპანიას, მაგრამ მისთვის აღარავის ეცლება, ვინაიდან სხვებისთვის ცხოვრება ძველებური დარჩება, ისევ ისე იქნებიან მასში ჩაფლულნი. მამა კი თავს ისევ ლტოლვილად იგრძნობს - მაგრამ ამჯერად გასაქცევი არსაით ექნება.

- კარგი და, შენ რა აზრის ხარ ამის შესახებ?

- მე ყოველთვის ერთ აზრზე ვდგავარ - არ მინდა, მეც ასეთი ხვედრი მერგოს. ცუდად არ გამიგო - მე სულაც არ გადანაშაულებთ იმ მაგალითისთვის, რასაც მაძლევთ, მაგრამ მე მისი შეცვლა მინდა. თანაც, დაუყოვნებლივ.

დეიდრა ონილი

იგივე ედა

ის სრულ სიბნელეში იჯდა.

ბიჭი, რასაკვირველია, მაშინვე გავარდა ოთახიდან: ღამე საშინელებათა სამეფოა და იმ წარსულის შემზარავ მოჩვენებებს აცოცხლებს, როდესაც ჩვენ მთელ მსოფლიოში დავეხეტებოდით ბოშებივით, ჩემი ყოფილი მასწავლებელივით - დალოცოს დედამ მისი სული და მეორედ მოსვლამდე ნუ მოჰკლებოდეს მისი მზრუნველობა.

სინათლის ჩაქრობის მერე ათენამ არ იცოდა, რა გაეკეთებინა. მან შვილზე მკითხა, და ვუპასუხე, „ნუ გეშინია, ეგ მე მომანდე-მეთქი“. გამოვედი, ტელევიზორში მულტფილმი მოვძებნე, ხმას ჩავუწიე და ბიჭი თვალმოუშორებლივ მიაშტერდა ეკრანს. პრობლემა გადაწყვეტილია. გავიფიქრე, ნეტა ადრე, როცა არ იყო ტელევიზია, როგორ მონაწილეობდნენ რიტუალებში შვილიანი ქალები, ან რას აკეთებდნენ მაშინ მასწავლებლები?

თუმცა, ეს ჩემი საქმე არ არის.

მე ათენაში იგივე გრძნობა უნდა აღვძრა, რასაც ახლა მისი შვილი განიცდის: ტელეეკრანი მისთვის სხვა რეალობის კარია. ყველაფერი ძალიან მარტივია, მაგრამ, ამავე დროს, რთულიც. მარტივია იმიტომ, რომ საკმარისია, მხოლოდ დამოკიდებულება შევიცვალო და ჩემს თავს ვუთხრა, „ბედნიერების ძიებას აღარ დავიწყებ-მეთქი“, რომ იმავე წამიდან თავისუფალი და დამოუკიდებელი ვხდები, და სამყაროს ვუყურებ არა სხვისი, არამედ საკუთარი თვალით და ბედნიერების ძიების ნაცვლად თავგადასავლების ძებნას ვიწყებ.

რთული კი იმიტომაა, რომ ხალხმა ჩამაგონა: ბედნიერება - ეს ერთადერთი მიზანია, რომლისკენ სწრაფვაც ღირს. როგორ არ უნდა ეძიებდე მას? რატომ უნდა დაადგე სახიფათო ბილიკს, რომელზე სიარულსაც სხვები ვერ რისკავენ?

რა არის, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერება?

სიყვარული, - მპასუხობენ მე. მაგრამ სიყვარულს არ მოაქვს და არც არასოდეს მოუტანია ბედნიერება. უფრო პირიქითაა: სიყვარული კაეშანი და ღელვაა,

ორთაბრძოლაა, ესაა უძილო ღამეები, როდესაც კითხვებით თავს იწამებ, სწორად იქცევი თუ არა. ჭეშმარიტი სიყვარული ექსტაზი და აგონიაა.

კარგი. სიყვარული არა. მშვიდობა. მაგრამ თუ დედას დავაკვირდებით, მას არასოდეს უდგას მშვიდობა. ზამთარი ებრძვის ზაფხულს, მზე ვერასოდეს შეხვდება მთვარეს, ვეფხვი დევნის ადამიანს, ვისაც ეშინია ძაღლისა, ძაღლი დევნის კატას, რომელიც დევნის თაგვს, რომელიც აშინებს ადამიანს.

ფულს ბედნიერება მოაქვსო. კეთილი. ვისაც საკმარისი ფული აქვს, რათა უმაღლეს დონეზე უზრუნველყოს თავისი ცხოვრება, შეუძლია აღარ იმუშაოს. მაგრამ მაინც მუშაობენ, მუშაობენ გამალებულნი, თითქოს ყველაფრის დაკარგვისა ეშინიათო. ფულს მოაქვს... ფული და არა ბედნიერება. სიღატაკემ შეიძლება უბედურება მოიტანოს, მაგრამ პირიქით - სარწმუნო არაა.

მთელი ჩემი ცხოვრება ბედნიერებას ვეძებდი - ახლა კი მხოლოდ სიხარული მინდა. სიხარული სექსის მაგვარია - ის იწყება და მთავრდება. მე მსურს ტკბობა, სიამოვნება. ბედნიერება? არა, მე ამ მახეში აღარ გავებმები.

რამდენიმე ადამიანს შორის რომ ვიმყოფები, მსურს მათი გამოწვევა და ვუსვამ ჩვენი ყოფის ერთსა და იმავე კითხვას. ისინი მპასუხობენ: „მე ბედნიერი ვარ“.

მე ვაგრძელებ: „მაგრამ ნუთუ არა გსურთ მეტის მიღება? „რა თქმა უნდა, გვინდა“, - ერთხმად მპასუხობენ ისინი.

„მაშ ბედნიერები არა ყოფილხართ“, - ვეუბნები მე და ჩემი თანამოსაუბრეები საუბრის თემის შეცვლას ამჯობინებენ.

უნდა დავბრუნდე იმ ოთახში, სადაც ახლა ათენაა. იქ ბნელა. მას ესმის ჩემი ნაბიჯების ხმა. აი, ასანთმა გაიელვა და სანთელი აინთო.

- ყველაფერი, რაც ჩვენ ირგვლივაა - მსოფლიო სურვილია. ეს ბედნიერება კი არა, სურვილია. სურვილი კი ყოველთვის რაღაცით ნაკლულია. რადგან თუ აღსრულდა, ის აღარაა სურვილი. ასე არ არის?

- სად არის ჩემი შვილი?

- ის კარგად არის, ტელევიზორს უყურებს. მე მინდა, რომ დააკვირდე ამ სანთელს - უსიტყვოდ და ხმაამოუღებლად, ოღონდ, გჯეროდეს.

- რისი უნდა მჯეროდეს?

- ხომ გითხარი, ჩუმად იყავი-მეთქი. უბრალოდ - გჯეროდეს; ანუ ნურაფერში დაეჭვდები. შენ ცოცხალი ხარ და ეს სანთელი ერთადერთი წერტილია შენს სამყაროში. გჯეროდეს ეს. ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყე, თითქოს გზა მიზნის მიღწევის საშუალებაა, სინამდვილეში, მიზანი ყოველ ნაბიჯზე მიიღწევა. ყოველ

დილით გაიმეორე: „მე მოვედი“, და ნახავ, როგორ გაგიადვილდება კონტაქტის დამყარება შენი ყოფის ყოველ წამთან.

მე გავჩუმდი.

- სანთლის შუქი აცისკროვნებს შენს სამყაროს. ჰკითხე მას: „ვინ ვარ-თქო?“

ოდნავ შევყოვნდი და გავაგრძელე:

- წინასწარ ვიცი შენი პასუხი: „მე ვარ ესა და ეს, გადამხდა ესა და ეს; მყავს ვაჟიშვილი, ვცხოვრობ დუბაიში“. ახლა კვლავ ჰკითხე სანთელს: „ვინ არ ვარ-თქო მე“.

ცოტა ხანს ისევ შევიცადე.

- შენ უნდა უპასუხო: „ბედნიერი ადამიანი, ოჯახის ტიპიური დედა, ვინც მხოლოდ ქმარ-შვილზე ფიქრობს და კიდევ იმაზე, როგორ იყიდოს ეზოიანი სახლი, სადაც მთელი ზაფხულის გატარებას შეძლებს“. მართალი ვარ?

- მართალია.

- ეტყობა, სწორ გზას ვადგავართ. შენ, ჩემსავით დაუკმაყოფილებელი ადამიანი ხარ. შენი „ყოფა“ ცუდად ეთვისება სხვა ადამიანების „ყოფას“ და გეშინია, რომ იგივე ბედი არ ეწიოს შენს შვილს. მართალია?

- მართალია. მეშინია.

- მიუხედავად ამისა, იცი, რომ შეჩერება არ შეგიძლია. შენ იბრძვი, მაგრამ ვერ ახერხებ შენი დაეჭვების დაძლევას. ყურადღებით შეხედე სანთელს: ამ წამში იგი შენი სამყაროა. მან მიიჯაჭვა შენი ყურადღება და ოდნავ ანათებს, რაც მის ირგვლივაა. ღრმად ჩაისუნთქე, რაც შეიძლება დიდხანს გააჩერე ჰაერი ფილტვებში, მერე ამოისუნთქე. ეს გაიმეორე ხუთჯერ.

ის დამემორჩილა.

- ეს ვარჯიში სულს დაგიმშვიდებს. ახლა გაიხსენე ჩემი სიტყვა - გჯეროდეს! გჯეროდეს, რომ შენ ძალა შეგწევს! რომ მოხვედი იქ, საითაც ისწრაფვოდი. გახსოვს, ჩაის რომ ვსვამდით, მიყვებოდი, შევძელი ბანკში ჩემი თანამშრომლების ქცევის შეცვლა, რადგან მათ ცეკვა ვასწავლეო. მაგრამ ეს ასე არ არის.

შენ შეცვალე ყველაფერი - ცეკვით შენ სინამდვილე გარდაქმენი. შენ დაიჯერე წვეროს ამბავი, რამაც მეც დამაინტერესა, თუმცა, ამისთანა რამ ადრე არასდროს მსმენოდა. შენ მოგწონს ცეკვა, შენ ირწმუნე იმისი, რასაც აკეთებ. არ შეიძლება, გჯეროდეს ის, რაც არ მოგწონს, გასაგებია?

ათენამ სანთლის შუქზე თვალმიშტერებულმა დამიქნია თავი.

- რწმენა სურვილი არაა. რწმენა ნებისყოფაა. სურვილი სიცარიელეა, რომელიც ყოველთვის ითხოვს შევსებას. ნებისყოფა კი ძალაა. ნებისყოფა ცვლის ჩვენს ირგვლივ სივრცეს ისევე, როგორც შენ შეცვალე ბანკში მუშაობა, მაგრამ ამისათვის აუცილებელი იყო შენი სურვილი. თუ შეიძლება სანთელს დააშტერდი!

შენი შვილი აქედან გავიდა და ტელევიზორს უყურებს, რადგან სიბნელემ შეაშინა. რა არის ამის მიზეზი? სიბნელეში ჩვენ შეგვიძლია ყველაფრის პროეცირება, უფრო ხშირად კი შიშისა. ეს დამახასიათებელია ბავშვებისთვისაც და დიდებისთვისაც.

- ნელა ასწიე მარჯვენა ხელი.

ხელი ასწია. ვთხოვე, ახლა მარცხენა აეწია. მკერდზე შევხედე - მას ჩემს მკერდზე გაცილებით ლამაზი მკერდი ჰქონდა.

- ახლა დაუშვი ხელები, ოღონდ - ნელა. დახუჭე თვალები, ღრმად ჩაისუნთქე. ვანთებ სინათლეს. მზადაა! ჩვენი რიტუალი დამთავრებულია. შევიდეთ ოთახში.

ის ძლივს წამოდგა - ჩემ მიერ ნაკარნახევ ერთ პოზაში დიდხანს ყოფნით ფეხები დაბუჟებოდა.

ვიორელს დასძინებოდა. ტელევიზორი გამოვრთე და სამზარეულოში გავედით.

- რა საჭირო იყო ყოველივე ეს? - მკითხა მან.

- თუნდაც იმისათვის, რათა ყოველდღიური სინამდვილიდან გამომეყვანე. ყურადღება შეიძლება ყველაფერზე მიაჯაჭვო, მაგრამ მე სიბნელესა და სანთლის შუქს ვამჯობინებ. თუმცა, შენ იმის გაგება გსურს, საით მივემართები, ასეა, ხომ?

ათენამ მიპასუხა, რომ ბავშვთან ერთად, მატარებლით სამ საათს მოდიოდა, რომ ბარგი უნდა ჩაელაგებინა, რადგან სინათლისათვის ცქერა შინაც შეეძლო და ამისათვის სულაც არ იყო საჭირო შოტლანდიაში ჩამოსვლა.

- სწორედ რომ საჭირო იყო, - შევედავე მე, - საჭირო იყო იმიტომ, რომ მიხვდე - შენ მარტო არა ხარ, არიან სხვა ადამიანებიც, რომლებიც კონტაქტს ამყარებენ იმასთან, რასთანაც შენ. საკმარისია, ამას მიხვდე, რომ დაიჯერებ.

- რას დავიჯერებ?

- იმას, რომ სწორ გზას ადგახარ. და როგორც გითხარი, ყოველი შენი გადადგმული ნაბიჯი მიზნის მიღწევაა.

- რა გზაზე მელაპარაკები?! ვფიქრობდი, რუმინეთში დედას რომ მივაგნებ, ჩემთვის ასე საჭირო სულიერ სიმშვიდეს მოვიპოვებ-მეთქი, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. შენ რა გზაზეღა მელაპარაკები?

- მე არაფერი ვიცი. ამას თავად მიაკვლევ, როდესაც სხვების განსწავლას დაიწყებ. დაბრუნდი დუბაიში, აიყვანე მოწაფე, გინდ ქალი, გინდ კაცი.

- რა უნდა ვასწავლო? ცეკვა თუ კალიგრაფია?

- ერთსაც და მეორესაც სრულყოფილად ფლობ. შენ ის უნდა ასწავლო, რაც თვითონ არ იცი. ის, რასაც დედა მოისურვებს, რომ შენი მეშვეობით გაუმხილოს ადამიანებს.

მან ისე შემომხედა, როგორც დამთხვეულს.

- ჰო, ჰო, - დაბეჯითებით გავუმეორე, - როგორ ფიქრობ, რატომ გთხოვე, ხელები აგეწია და ღრმად გესუნთქა?

იმიტომ, რომ გეფიქრა, თითქოს ჩემთვის ცნობილია რაღაც ისეთი, რაც შენ არ იცი. მაგრამ ეს ასე არ არის; ეს მხოლოდ ჩვეული სამყაროს საზღვრებიდან შენი გამოსაყვანი საშუალება იყო. მე არ გთხოვ, მადლობა გადაუხადო დედას, ამტკიცო, რა სასწაულებს ახდენს იგი, ამბობდე, როგორ წარმოიქმნება მისი საოცარი სახე ცეცხლის ალის მოცეკვავე ენებს შორის. მე მხოლოდ უაზრო, სულელური რაღაცის გაკეთება გთხოვე - ხელები აგეწია ზევით, დაშტერებოდი სანთლის შუქს. ეს საკმარისია, რათა ყოველ მარჯვე შემთხვევაში გააკეთო რაღაც ისეთი, რაც არ ეთანხმება ჩვენ ირგვლივ არსებულ სინამდვილეს.

როცა შენი მოწაფისთვის რიტუალებს მოიფიქრებ, იგრძნობ, რომ ვიღაც წინ გიძღვება, და სწორედ მაშინ დაიწყება შეგირდობა, - ასე ამბობდა ჩემი მასწავლებელი. დაუჯერებ ჩემს სიტყვებს - ძალიან კარგი, არ დაუჯერებ და - როგორც გიცხოვრია, ისე იცხოვრე. ბოლოს და ბოლოს, კედელზე თავის ხლას დაიწყებ, ამის სახელი კი „დაუკმაყოფილებლობაა.“

ტაქსი გამოვიძახე, ცოტაოდენი კიდევ ვიქაქანეთ უმნიშვნელო რამეებზე - მოდაზე და კაცებზე, და ათენა გაემგზავრა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ათენა დამიჯერებდა: არ არსებობდა ადამიანი, რომელსაც ეს გამოწვევა არ მიეღო.

- ასწავლე ადამიანებს, რომ განსხვავებულები იყვნენ! სხვა არაფერია საჭირო! - მივაძახე მიმავალ მანქანას.

ამას ჰქვია „სიხარული“. ვინაიდან, ბედნიერება კმაყოფილდება იმით, რაც უკვე გაქვს, ეს იქნება სიყვარული, ბავშვი თუ სამუშაო, მაგრამ ასეთი ცხოვრებისთვის არ მოვლენილვართ ამქვეყნად მე და ათენა.

ჰირონ რაიანი

ჟურნალისტი

ცხადია, არ შემეძლო ჩემი თავისთვის ათენას შეყვარების უფლება მიმეცა. ამ დროს უკვე არსებობდა ქალი, რომელიც მიყვარდა, ვინც მავსებდა და ჩემთან იყოფდა ჭირსა თუ ლხინს.

ის, რაც სიბიუში მოხდა, მხოლოდ მორიგი სამივლინებო თავგადასავალი იყო. ასე მომხდარა ადრეც, როცა კი სადმე გავმგზავრებულვარ. ადამიანები თავიანთი ჩვეული სამყაროდან რომ მიდიან, როდესაც ყველა ცრურწმენა და დაბრკოლება უკან რჩება, განიცდიან ახალი, მძაფრი შეგრძნებისადმი ლტოლვას.

ინგლისში დაბრუნებისთანავე განვაცხადე, რომ გრაფ დრაკულაზე, როგორც ისტორიულ პიროვნებაზე, დოკუმენტური ფილმის გადაღება სრული უაზრობაა - აგებულია იმაზე, თუ როგორ შექმნა ვიღაც ცალტვინა ირლანდიელმა ტრანსილვანიის - მსოფლიოს ამ ულამაზესი კუთხის - საზიზღარი სახე. ჩემი სიტყვები არაფრით არ ეჭაშნიკათ პროდიუსერებს, მაგრამ მე მათ მოსაზრებებთან უკვე აღარაფერი მესაქმებოდა - ტელევიზიიდან მაშინვე წამოვედი და მუშაობა დავიწყე მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი გაზეთის რედაქციაში.

მალე მივხვდი, რომ კვლავ მინდოდა ათენას ნახვა.

დავურეკე, ვთხოვე შევხვედროდით. ისიც დამთანხმდა და მითხრა, ლონდონი უნდა დაგათვალიერებინოთო.

...ჩვენ დავსხედით გაჩერებაზე მოსულ პირველსავე ავტობუსზე ისე, რომ არც გვიკითხავს, რა მარშრუტით მოძრაობდა. ალალბედზე ავირჩიეთ ვიღაც ქალი და მოვილაპარაკეთ, იმ ქალთან ერთად ჩავსულიყავით. ასე აღმოვჩნდით ტემპლში. გვერდით ჩავუარეთ მათხოვარს, რომელიც მოწყალებას თხოულობდა, ჩვენ არ გავიკითხეთ, ისე გავაგრძელეთ გზა. მერე გვესმოდა, უკან როგორ მოგვყვებოდა მისი ლანძღვა-გინება, ჩვენი ვარაუდით, ეს ურთიერთობის დამყარების ერთგვარი ხერხი იყო.

დავინახეთ, ვიღაც როგორ ცდილობდა ტელეფონის ჯიხურის დამტვრევას. პოლიციის გამოძახება მოვინდომე, მაგრამ ათენამ შემაჩერა: ვინ იცის, ეს „ვიღაც“ შეიძლება ეს-ესაა დაშორდა თავის შეყვარებულს და ახლა ჯავრის გადმონთხევას ცდილობსო. ან იქნებ არ შეუძლია, ვინმეს დაელაპარაკოს და არ სურს, მოითმინოს დამცირება, როცა ხედავს, სხვები როგორ რეკავენ საქმეზე თუ სიყვარულზე სასაუბროდ.

მერე მიბრძანა, თვალები დამეხუჭა და ზუსტად ამეწერა ჩვენი ტანსაცმელი. ჩემდა გასაკვირად, მხოლოდ რამდენიმე დეტალი დავასახელე.

ამის შემდეგ მკითხა, რა აწყვია შენს საწერ მაგიდაზეო.

- ქაღალდების გროვა, რომლის წესრიგში მოყვანაც მეზარება.

- არ გიფიქრია, რომ ეს ქაღალდებიც ცოცხლობენ, რაღაცას გრძნობენ, რაღაცას გთხოვენ და რაღაცის მოყოლა სურთ? მე მგონი, შენ არ აქცევ ცხოვრებას ისეთ ყურადღებას, როგორსაც იმსახურებს.

შევპირდი, ხვალ რედაქციაში მივალ თუ არა, ვნახავ, რა არის ჩემს კაბინეტში-მეთქი.

უცხოელმა ცოლ-ქმარმა, ხელში გაშლილი რუკა რომ ეჭირათ, გვკითხეს, როგორ უნდა მისულიყვნენ ამა და ამ ძეგლთან. ათენამაც აუხსნა - ძალზე გასაგებად და დაწვრილებით, მაგრამ...

- შენ ხომ ისინი საწინააღმდეგო მხარეს გააგზავნე!

- ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ისინი დაიბნევიან და ეს საუკეთესო საშუალებაა რამე საინტერესოს მისაგნებად. ეცადე, თავს ძალა დაატანო და შენი ცხოვრება ცოტაოდენი ფანტაზიით შეავსო. ჩვენ თავს ზემოთ ზეცაა, რომელსაც კაცობრიობა ათასწლეულების მანძილზე შეჰყურებს და მრავალი ჭკვიანური ახსნაც მოუძებნა მას. დაივიწყე ყველაფერი, რაც ვარსკვლავების შესახებ იცი და მაშინ ისინი ხელახლა გარდაიქმნებიან ანგელოზებად, ბავშვებად ან იმად, რისი დაჯერებაც ამ წუთში გსურს. და ამით არ გახდები იმაზე სულელი, რაც ხარ. ეს მხოლოდ თამაშია, მაგრამ მას შეუძლია შენი ცხოვრება უფრო გაამდიდროს.

დილით რედაქციაში რომ მივედი, გულმოდგინედ დავალაგე თითოეული ფურცელი, თითქოს დაწესებულების კი არა, პირადად ჩემს სახელზე ყოფილიყოს გამოგზავნილი. შუადღისას რედაქციის მდივანს ველაპარაკე და შევთავაზე, დამეწერა წერილი ბოშების ქალღმერთზე. იდეა მომიწონეს და სენტ-მარი-დე-ლა-მერში - „ბოშების მექაში“ - მიმავლინეს.

დაუჯერებელია, მაგრამ ათენამ ჩემთან წამოსვლის მცირეოდენი სურვილიც კი არ გამოამჟღავნა, მითხრა, რომ მისი მეგობარი - სწორედ ის ყალბი პოლიციელი, რომელსაც ეფარებოდა, რათა ჩემგან თავი შორს დაეჭირა, – უკმაყოფილო დარჩებოდა, თუ გაიგებდა, რომ ის სხვა მამაკაცთან ერთად გაემგზავრა.

- ხომ შეჰპირდი დედაშენს, რომ წმინდანს ქვედა ბოლოს მიართმევდი!

- შევპირდი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გზად გავივლიდი. ის ქალაქი სულ სხვა მხარესაა. ოდესმე ახლომახლო თუ ვიმოგზაურე, აღთქმას მაშინ შევასრულებ.

მომავალ კვირას დუბაიში უნდა დაბრუნებულიყო, ამიტომ შვილთან ერთად შოტლანდიაში გაემგზავრა იმ ქალის სანახავად, ბუქარესტის სასტუმროს რესტორანში რომ ვნახეთ. თუმცა, მე არავითარი ქალი არ მახსოვდა, და გადავწყვიტე, ისიც მისი წარმოსახვის ისეთივე ნაყოფი იყო, როგორც სკოტლანდ-იარდელი შეყვარებული. საბაბია და მეტი არაფერი. მეც ძალა აღარ დამიტანებია, თუმცა, ეჭვმა გამკრა, – მან სხვა მამაკაცი მამჯობინა-მეთქი.

მე თავად გამაკვირვა ამ გრძნობამ. გავიფიქრე, თუ ახლო აღმოსავლეთში გავფრინდებოდი, დავწერდი სტატიას უძრავი ქონების ბუმზე, რის შესახებაც მიყვებოდნენ ეკონომიკის განყოფილების თანამშრომლები, ჩავუჯდებოდი წიგნებს და შევისწავლიდი ყველაფერს, რაც ეხებოდა მიწას, მრეწველობას, ნავთს, პოლიტიკას - მხოლოდ ეს თუ დამეხმარებოდა ათენასთან დაახლოებაში.

სტატია სენტ-მარი-დე-ლა-მერზე მშვენიერი გამოვიდა. ლეგენდების მიხედვით, წმინდა სარა ბოშა იყო და პატარა ზღვისპირა ქალაქში ცხოვრობდა. ამ დროს აქ თავი შეაფარეს რომაელთა დევნას გამოქცეულებმა, რომელთა შორის იყო იესოს დეიდა მარიამ-სალომეა. სარა დაეხმარა მათ, მერე კი ქრისტიანად მოინათლა.

ზეიმს დავესწარი და ვნახე, როგორ ამოიღეს ტაგრუციდან საკურთხევლის ქვეშ დაკრძალული ორივე ქალის წმინდა ნაწილები - ამართეს მთელი ევროპიდან ჩამოსული ჭრელი, ხმაურიანი, ხალხმრავალი ბრბოს თავზე. შემდეგ ლამაზ საბურველშემოხვეული სარას ქანდაკება გამოიტანეს ეკლესიის გვერდით მდგარი მისი ტაძრიდან (ვატიკანს იგი წმინდანად არასდროს შეურაცხავს) და ვარდებით მოფენილი ქუჩებით მიიტანეს ზღვის ნაპირას. ტრადიციულ კოსტიუმებში გამოწყობილმა ოთხმა ბოშამ რელიკვია ყვავილებით მორთულ ნავში მოათავსა, წყალში შესულებმა ლტოლვილთა გამოჩენისა და სარასთან შეხვედრის სცენა გაიმეორეს. მერე მუსიკამ იქუხა, დაიწყო მოლხენა, ჯომარდები ხარების შებმით ვაჟკაცობის დემონსტრირებას შეუდგნენ.

ადგილობრივმა ისტორიკოსმა ანტუან ლოკადურმა საინტერესო ცნობა მაუწყა ქალის ღვთაებრიობაზე. დუბაიში ჩვენი გაზეთის ტურისტული განყოფილებისთვის დაწერილი ორი გვერდი გავაგზავნე. პასუხად მოკლე და თავაზიანი წერილი მივიღე, რომელშიც მხოლოდ მადლობა იყო ნათქვამი ყურადღებისთვის.

რას იზამ, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც დადასტურდა, რომ მისამართი სწორია.

ანტუან ლოკადური

74 წლისა, ისტორიკოსი

ძნელი არაა სარას იდენტიფიცირება მსოფლიოში გავრცელებულ მრავალრიცხოვან შავ ქალწულთან. სარა-კალი, გადმოცემის თანახმად, წარმოშობით დიდგვაროვანთა მოდგმას ეკუთვნოდა და სამყაროს საიდუმლოებას ფლობდა. რამდენადაც ვიცი, იგი შემქმნელი ქალღმერთის ან დიდი დედის ერთ-ერთ განსახიერებას წარმოადგენდა.

სულაც არ მიკვირს, რომ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ავლენს წარმართული სარწმუნოებისადმი ინტერესს. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ მამა-ღმერთი

ასოციაციით ყოველთვის კულტის მკაცრ მოწესრიგებას უკავშირდება, ქალღმერთი დედა, პირიქით, ჩვენთვის ცნობილ ყოველგვარ აკრძალვასა და ტაბუზე მაღლა აყენებს სიყვარულს.

ეს ფენომენი ახალი არაა: როგორც კი რელიგია თავის დოგმებს ამკაცრებს, ხალხის უმრავლესობა სულიერი კონტაქტების განხორციელების მეტი თავისუფლების ძიებისაკენ ისწრაფვის. ასე მოხდა შუა საუკუნეებში, როცა კათოლიკურმა ეკლესიამ გადასახადები შემოიღო და მდიდრული მონასტრების მშენებლობა დაიწყო. როგორც ამისი რეაქცია, წარმოიქმნა მოვლენა, რასაც „ჯადოქრობა“ ეწოდა. მას დაუნდობლად ებრძოდნენ, მაგრამ ბოლომდე მისი ამოძირკვა მაინც ვერ შეძლეს და საუკუნეების მანძილზე ცოცხლობდა.

წარმართული სარწმუნოების მიხედვით, ბუნების ძალების თაყვანისცემა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წმინდა წიგნების პატივისცემა. ქალღმერთი ყველაფერშია და ყველაფერი არის ქალღმერთის შემადგენელი ნაწილი. მთელი სამყარო მხოლოდ მისი სიკეთის გამოვლინებაა. ბევრი ფილოსოფიური სისტემა - მაგალითად, ბუდიზმი და დაოსიზმი, - უარყოფენ შემოქმედსა და შექმნილს შორის განსხვავების იდეას. ადამიანები აღარ ცდილობენ ცხოვრების საიდუმლოებების ახსნას, ისინი მხოლოდ ბუნების ნაწილად გადაქცევისკენ ისწრაფვიან. ბუდიზმშიც და დაოსიზმშიც, თუმცა ქალურ საწყისზე არაფერია ნათქვამი, ძირითადი პრინციპი ამტკიცებს, რომ „ყველაფერი არის ერთი“.

დიდი დედის კულტში „ცოდვა“ აღარ აღიქმება თვითნებურად დაკანონებული მორალური ნორმების დარღვევად: ქცევები გაცილებით თავისუფალი ხდება, ვინაიდან სექსი აღიქმება, როგორც ბუნების ნაწილი და არა როგორც ბოროტების ნაყოფი.

ნეოწარმართობა გვიჩვენებს, რომ ადამიანს შეუძლია იცხოვროს რელიგიის დოგმების გარეშე, ამავე დროს, არ შეწყვიტოს სულიერი ძიებანი, რომელიც მის არსებობას გაამართლებს. თუ ღმერთქალს ვაღიარებთ, საჭირო იქნება მასთან შეერთება და გარკვეული რიტუალების შესრულება, რომელსაც შეუძლია, დააკმაყოფილოს მისი ქალური სული, და ამ რიტუალის ელემენტებად იქცევა ცეცხლი, წყალი, ჰაერი, დედამიწა, ცეკვა, სიმღერა, მუსიკა, ყვავილები და სილამაზე.

ბოლო წლებში ეს ტენდენცია მეტისმეტად გაძლიერდა. შეიძლება ჩვენ კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვანი მომენტის კარიბჭესთან ვიმყოფებით, როცა სული შეუერთდება მატერიას; როცა ისინი გამთლიანდებიან და გარდაქმნიან ერთიმეორეს. ამასთან, წინასწარ ვხედავ რა მძვინვარე უკმაყოფილებას გამოიწვევს ეს ოფიციალურ რელიგიურ ორგანიზაციებში, რადგან სამართლიანად დაშინდებიან, რომ ეკლესია თანდათან დაკარგავს თავის მრევლს.

მე, როგორც ისტორიკოსი, იმით შემოვიფარგლები, რომ ვკრებ მონაცემებს და ვაანალიზებ დაპირისპირებას სხვადასხვა სახის რელიგიურ თაყვანისცემას სამყაროს მმართველ ღმერთსა და ქალღმერთს შორის; დაპირისპირებას, რომელიც ამ სამყაროს ნაწილს შეადგენს; დაპირისპირებას იმ ადამიანთა ჯგუფს შორის, რომლებიც ერთიანდებიან და, უეცარ სულიერ სურვილს აყოლილნი, ადიდებენ ღვთაებას, და მათ შორის იმათაც, ვიწრო წრეში რომ ჩაკეტილან და საკუთარ თავსა და სხვებსაც შთააგონებენ, როგორ უნდა მოიქცნენ.

მინდა, ოპტიმისტი ვიყო და მჯეროდეს, რომ ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, მოძებნის თავის გზას სულიერი სამყაროსაკენ. მაგრამ, ამ მხრივ, არცთუ დამაიმედებელი ნიშნებია: ფუნდამენტალიზმის თავგამოდებული ქომაგებისა და დამცველების დევნას შეუძლია, როგორც ადრე ხდებოდა, გაანადგუროს დედის კულტი.

ანდრეა მაკკეინი

მსახიობი

ძნელია, შეინარჩუნო მიუკერძოებლობა, როცა ჰყვები ამბავს, აღტაცებით რომ იწყება და მწარე სინანულით მთავრდება. მაგრამ ვეცდები, პატიოსნად აღვწერო ათენასთან შეხვედრა, როცა ის პირველად ვიქტორია-სტრიტზე, თავის ბინაში ვნახე.

ათენა ახალი დაბრუნებული იყო დუბაიდან ფულით და სურვილით - ყველასთვის გაეზიარებინა ის, რაც მაგიის საიდუმლოებასთან დაკავშირებით იცოდა. ამჯერად ახლო აღმოსავლეთში მან სულ ოთხ თვეს დაჰყო: ყიდდა მიწის ნაკვეთებს მშენებლობისათვის - იქ უნდა აეგოთ ორი უზარმაზარი სუპერმარკეტი - და მან მიიღო ისეთი საკომისიოები, რომლებიც, მისი ვარაუდით, მას და მის შვილს სამ წელიწადს მაინც უნდა ჰყოფნოდათ უზრუნველი ცხოვრებისათვის. რიელტერის პროფესიით მას ყოველ წუთს შეეძლო, უკან დაბრუნება, ჯერჯერობით კი დღევანდელი დღით სურდა ცხოვრება, სურდა, დამტკბარიყო ახალგაზრდობის უკანასკნელი წლებით და სხვებისთვისაც ესწავლებინა ის, რაც თავად შეეცნო.

მე არცთუ ისე თბილად მიმიღო.

- რა გნებავთ?

- მე მსახიობი ვარ, ვდგამთ პიესას ღმერთის ქალური სახის შესახებ. ერთ-ერთი ჩემი მეგობარი ჟურნალისტისგან შევიტყვე, რომ უდაბნოში და ბალკანეთში ყოფილხართ და ბოშებს შეხვედრიხართ. შეგიძლიათ, კონსულტაცია გამიწიოთ?

- თქვენ გინდათ, დიდი დედის ჭეშმარიტება მხოლოდ სპექტაკლის გამო შეიცნოთ?

- თქვენ რიღას გამო შეიცანით?

ათენამ თვალით ამწონ-დამწონა და უეცრად გაეცინა.

- მართალი ხართ. ეს ჩემთვის პირველი გაკვეთილი იქნება: ასწავლე მათ, ვისაც სწავლა სურს, არა აქვს მნიშვნელობა, რის გამო.

- რა? - ჩავეკითხე მე.

- არაფერი.

- თეატრი იწყებოდა, როგორც მღვდელმსახურება, ის წარმოიშვა საბერძნეთში ღვინისა და ნაყოფიერების ღმერთის, დიონისეს პატივსაცემად. მაგრამ იმ უძველესი ეპოქიდან ხალხი, რიტუალებში მონაწილეობისას, თავს სხვა ადამიანებად წარმოიდგენდა და ამ ხერხით ეძებდა კავშირს წმიდათაწმიდასთან.

- გმადლობთ. მეორე გაკვეთილია.

- ვერ გამიგია, აქ მე სწავლისთვის მოვედი და არა იმიტომ, რომ გასწავლოთ.

„დამცინის“, - გავიფიქრე გულმოსულმა.

- ჩემი მფარველი...

- მფარველი?

- ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ოდესმე ყველაფერს აგიხსნით. მოკლედ, ჩემი მფარველი ამბობდა, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება, რაიმე ასწავლო, როცა იგი პროვოცირებულია ამისთვის. რაც დუბაიდან დავბრუნდი - პირველი ხართ, ვინც მოვიდა, რათა ეს დაენახვებინა. ახლაღა მივხვდი მისი სიტყვების მნიშვნელობას.

მე ავუხსენი, რომ როლის მომზადებისას რამდენიმე მასწავლებელთან ვიყავი, მაგრამ მათ რჩევა-დარიგებაში ვერაფერი განსაკუთრებული ვერ ვპოვე, გარდა იმისა, რომ, რაც უფრო მეტად ვუღრმავდები მასალას, მით უფრო მიღვივდება ცნობისმოყვარეობა. იქვე დავამატე, ადამიანები როგორც კი შეიტყობენ, რა თემას ეძღვნება სპექტაკლი, მაშინვე იბნევიან და არ იციან, როგორ მოიქცნენ.

- მაგალითად, რასთან დაკავშირებით?

მაგალითად, სექსის მიმართ. იგი სადღაც უსიტყვოდ იყო აკრძალული, სადღაც კი, არა თუ დაშვებული იყო, ნამდვილ ორგიებშიც გადაიზრდებოდა. ათენამ მთხოვა, დაწვრილებით მომეთხრო ამის შესახებ, მე კი ჩემთვის გავიფიქრე - ნეტა მცდის თუ სინამდვილეში არ იცის, რა ხდება-მეთქი.

მანამ ვუპასუხებდი, განაგრძო:

- ცეკვისას თუ აჰყოლიხართ გულისთქმას? გიგრძნიათ თუ არა, რომ თქვენ ირგვლივ ენერგიას ათავისუფლებთ? დაგიკარგავთ თუ არა საკუთარი თავის შეგრძნება?

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. სიმართლე რომ ითქვას, დისკოთეკებზე, კლუბებში თუ სტუმრობისას ცეკვები ყოველთვის გაჯერებული იყო გრძნობებით - მიყვარდა მამაკაცების გაღიზიანება, როცა ვიჭერდი მათ ხარბ მზერას, მაგრამ საღამოს მსვლელობისას ჩემთვის სულერთი ხდებოდა, ვინმე მოვხიბლე თუ არა.

- თეატრი თუ რიტუალია, ასევეა ცეკვაც, - მითხრა ათენამ, - თანაც, ის პარტნიორებთან დაახლოების სამყაროსავით ძველისძველი ხერხიცაა. სამყაროსთან ჩვენი კავშირი შიშისა და ცრურწმენებისაგან გვათავისუფლებს. ცეკვისას ადამიანი თავს თავისთავადობის ფუფუნებას ანიჭებს.

მე პატივისცემით ვუსმენდი.

- მერე ისეთებივე ვხდებით, როგორნიც ვიყავით - მფრთხალები, და გვსურს, რომ უფრო მნიშვნელოვანნი ვიყოთ, ვიდრე სხვას ვგონივართ.

ის თითქოს ჩემზე ლაპარაკობდა. ან ეგებ ყველას იგივე სჭირს.

- საყვარელი გყავთ?

გამახსენდა ერთ ადგილას, სადაც „გეას“ ტრადიციების შესასწავლად ვიყავი, ერთ-ერთმა „დრუიდმა“ როგორ მთხოვა, მათ წინაშე სიყვარულის აქტი შემესრულებინა. რა შემაძრწუნებელი სისულელეა! როგორ შეუძლიათ ამ ადამიანებს, ჩვენი სულიერი ძიებანი თავიანთი სულმდაბალი მიზნებისათვის გამოიყენონ.

- გყავთ თუ არა? - ჩამაცივდა იგი.

- მყავს.

ათენას არაფერი უთქვამს, მხოლოდ თითი მიიდო ტუჩებზე და მანიშნა, ჩუმად ვყოფილიყავი.

ანაზდად ვიგრძენი, რომ ძალზე მიძნელდებოდა უხმოდ ჯდომა წუთის წინ გაცნობილი ადამიანის წინაშე. ჩვენთან ხომ წესადაა დადებული, რომ მუდამ რაღაცაზე უნდა ვსაუბრობდეთ - ამინდზე, ქუჩის საცობებზე, იმაზე, თუ რომელი რესტორანია უკეთესი... ჩვენ ვისხედით დივანზე, მის სასტუმრო ოთახში, სადაც ყველაფერი თეთრი იყო, იდგა მუსიკალური ცენტრი და მაგიდა კომპაქტ-დისკებისათვის. წიგნები არსად შემინიშნავს, არც სურათები ეკიდა კედლებზე. მე თავადაც მომივლია ქვეყნები და მეგონა, რომ რაიმე ახლოაღმოსავლურ სუვენირს ვნახავდი.

ოთახი ცარიელი იყო. თანაც, ახლა აქ დუმილი მეფობდა.

ნაცრისფერი თვალები ჩაციებით მომშტერებოდა, მაგრამ მეც ნებისყოფა გამოვიჩინე და თვალი არ მომიშორებია. უეჭველია, ძველი ინსტინქტი ამოქმედდა იმის საჩვენებლად, რომ არ მეშინოდა და ვიღებდი გამოწვევას. მაგრამ ამ ოთახის

სითეთრისა და დუმილისაგან, რომელსაც მხოლოდ ფანჯრებიდან შემოსული მანქანების ხმაური არღვევდა, უცებ ყველაფერი რაღაც ირეალურად მეჩვენა. კიდევ როდემდე ვისხდებით ასე ხმაამოუღებლად?

დავიწყე გახსენება, რატომ მოვედი აქ. ჩემი პიესის მასალების მოსაპოვებლად? თუ იმისათვის, რათა შემეძინა ცოდნა, სიბრძნე... ძლიერება? არ შემეძლო, გამერკვია, რამ მომიყვანა ამ... ვისთან... - ამ ჯადოქართან?

თვალწინ დამიდგა ჩემი სიყმაწვილის დროინდელი ოცნებები - ახალგაზრდობისას რომელ ჩვენგანს არ ნდომებია ნამდვილ ჯადოქართან შეხვედრა? მაგიის ხელოვნების დაუფლება და მეგობრებისთვის პატივისცემისა და მოკრძალების შთაგონება? ვის არ უგრძნია შეურაცხყოფა ქალის მრავალსაუკუნოვანი ჩაგვრის გამო და არ უოცნებია, რაღაც ჯადოთი დაებრუნებინა დაკარგული პიროვნება? რატომაა, რომ, როცა ეს ეტაპი უკვე კარგა ხნის გავლილი მაქვს, უკვე დამოუკიდებელი ვარ, ვიქცევი ისე, როგორც მომეპრიანება, ვაკეთებ საყვარელ საქმეს, როგორიც თეატრია, სადაც ასე მკვეთრად მჟღავნდება მეტოქეობა, მაინც ვერაფრით დავმშვიდებულვარ და მუდამ ვესწრაფვი, დავიკმაყოფილო... ცნობისმოყვარეობა?!

ჩვენ, ალბათ, თანატოლები ვართ... შეიძლება, უფროსიც ვიყო. ჰყავს ნეტავ, საყვარელი?

ათენა ჩემკენ მოიწია. ახლა ჩვენ ერთმანეთთან ხელის გაწვდენაზე ვისხედით. უცებ შემეშინდა - ვაითუ ლესბოსელია-მეთქი.

თვალს არ ვაშორებდი, მაგრამ მახსოვდა, სად იყო კარი, და შემეძლო, ყოველ წუთს გავსულიყავი. არავის არ დაუძალებია აქ მოსვლა და ამ უცხო ქალთან შეხვედრა, რომ ტყუილად დამეკარგა დრო, ხმაამოუღებლივ ვმჯდარიყავი და არაფერი შემეცნო. რა სურს, ნეტავ?

შესაძლებელია, ეს სიჩუმე... ვიგრძენი, როგორ დამეძაბა კუნთები. ვგრძნობდი მარტოობასა და უილაჯობას. საშინლად მინდოდა სიჩუმის დარღვევა, რომ ტვინს შეეწყვიტა მოსალოდნელ საშიშროებაზე ფიქრი. როგორ შეეძლო მიხვედრილიყო, ვინ ვარ? ჩვენ ხომ ეს-ესაა გავიცანით ერთმანეთი.

თუმცა, ხომ გამომკითხა ჩემს ცხოვრებაზე, ხომ გაიგო, მყავს თუ არა საყვარელი? ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი მომეთხრო პიესაზე, მაგრამ ვერ შევძელი. მთელი ეს ამბავი კი მისი ბოშური წარმომავლობის და ვამპირების ქვეყანაში - ტრანსილვანიაში - მოგზაურობის ბრალია?

თავში საშინლად მერეოდა ფიქრები - რა დამიჯდება ეს კონსულტაცია? წინასწარ რატომ არ გავიგე ფასი? ვაითუ იმდენი აღმოჩნდეს, რომ მისი გადახდა ვერ შევძლო? რა უნდა ვქნა მაშინ? ის მომაჯადოებს და ბოლოს გამანადგურებს?

სურვილი მომეძალა, ავმდგარიყავი, მადლობა გადამეხადა და მეთქვა, აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ ხმაამოუღებლად ვიჯდე-მეთქი. ფსიქიატრთან რომ მიდიხარ - უყვები საკუთარ თავზე; ეკლესიაში რომ დადიხარ - ლოცვებს კითხულობ, ჯადოქარს რომ მიაკითხავ - მიდიხარ მოძღვართან, რომელიც გიხსნის, როგორაა სამყარო მოწყობილი, და გაჩვენებს რიტუალებს. მაგრამ დუმილი? ანდა ასე რატომ მაშფოთებს ეს დუმილი?

კითხვები ერთმანეთს ებმებოდა და არ შემეძლო ამ ჯაჭვის გაწყვეტა. არ შემეძლო იმ მიზეზების ძიებისათვის თავის დაღწევა, რის გამოც ხმაამოუღებლად ვისხედით ორნი. და უცებ, ხუთი თუ ათი წუთის შემდეგ, რაც საუკუნოდ მომეჩვენა, მან გამიღიმა.

მეც გავუღიმე და დაძაბულობა ცოტა მომეხსნა.

- ეცადე სხვა გახდე, მეტი არაფერია საჭირო.

- არაფერია საჭირო? ხმაამოუღებლად ჯდომა სხვად ყოფნას ნიშნავს? დარწმუნებული ვარ, ახლა ლონდონში ათასობით ადამიანს კლავს ვინმესთან გამოლაპარაკების საშინელი სურვილი, თქვენ კი მეუბნებით, რომ დუმილი შემცვლის?

- ამ წუთში, როცა ლაპარაკობთ, ამითაც სამყაროს გარდაქმნით, თქვენ, ბოლოს და ბოლოს, დაირწმუნეთ თავი, რომ მართალი ხართ, მე კი - არა. მაგრამ თქვენ თვითონ ხომ მიხვდით: მდუმარედ ყოფნა - ეს სულ სხვა რაღაცაა.

- ეს უსიამოვნოა. თანაც, არაფერს არ გასწავლის.

მან, მგონი, ჩემს სიტყვებს ყურადღება სულ არ მიაქცია.

- რომელ თეატრში მუშაობთ?

როგორც იქნა, დააინტერესა ჩემმა ცხოვრებამ!

მე კვლავ დავიბრუნე ნორმალური ადამიანის სტატუსი, რომელსაც აქვს პროფესია და ყველაფერი დანარჩენი! მე ის ჩემს სპექტაკლზე მივიწვიე, რადგან სამაგიეროს გადახდის ერთადერთ შესაძლებლობას ამაში ვხედავდი - მისთვის უნდა მეჩვენებინა ჩემი შესაძლებლობები. იძულებითმა დუმილმა კი პირში დამცირების მწარე გემო დამიტოვა.

მკითხა, შეიძლება თუ არა, ბავშვი მოვიყვანოო, მე ვუპასუხე - არა, პიესა დიდებისთვისაა-მეთქი.

- რას იზამ, მაშინ ბებიასთან დავტოვებ... თეატრში დიდი ხანია, არ ვყოფილვარ.

კონსულტაციისთვის არაფერი გამოურთმევია. დადგმის სხვა მონაწილეებს რომ მოვუყევი ამ შეხვედრაზე, ყველას საშინლად მოუნდა ამ გამოუცნობი არსების ნახვა, რომელიც პირველი შეხვედრისას მხოლოდ მდუმარედ ჯდომას ითხოვდა.

დანიშნულ დღეს ათენა თეატრში მოვიდა. სპექტაკლის შემდეგ ჩემს საგრიმიოროში შემოვიდა, მომილოცა, მაგრამ მოეწონა თუ არა, არ უთქვამს. ჩემმა კოლეგებმა იგი ბარში მიიწვიეს და იქ თვითონ დაიწყო იმაზე საუბარი, რაც ჩვენი პირველი შეხვედის დროს უპასუხოდ დატოვა:

- არავინ, თვით დიდი დედაც კი არასოდეს ისურვებდა, რომ ღვთაების სადიდებლად გამოიყენებოდეს სუფთა სექსი. მას აუცილებლად თან უნდა ახლდეს სიყვარული. თქვენ თქვით, რომ ამისთანა ადამიანები შეგხვედრიათ? ფრთხილად იყავით...

ჩემმა მეგობრებმა ვერაფერი გაიგეს, მაგრამ თემა მოეწონათ და კითხვები დააყარეს. მის პასუხებზე ყურადღება დავძაბე: იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თავად მას ამ საქმეში დიდი გამოცდილება არ ჰქონდა. ის ლაპარაკობდა ცდუნებაზე, აღწერდა ნაყოფიერების დღესასწაულების რიტუალებს, თავისი თხრობა კი ბერძნული მითით დაამთავრა - უეჭველია, იმიტომ, რომ ჩვენი პირველი შეხვედრისას მე გავიხსენე თეატრის ძველბერძნული ფესვები. ეტყობა, მთელი კვირა ემზადებოდა, რათა ებრწყინა თავისი ცოდნით.

- მამაკაცის ათასწლეულობით მბრძანებლობის შემდეგ, ჩვენ ვუბრუნდებით დიდი დედის კულტს, ბერძნები მას გეას უწოდებდნენ და, მითის თანახმად, იგი სამყაროში არსებული ქაოსიდან დაიბადა. მასთან ერთად ქვეყანას მოევლინა სიყვარულის ღმერთი ეროსი, მერე კი გეამ შვა ცა და ზღვა.

- ვისგან? - იკითხა ვიღაცამ.

- არავისგან. ბიოლოგიაში არსებობს ცნება, რომელსაც ჰქვია „პართენოგენეზი“, ანუ, შთამომავლობის გაჩენა მამაკაცის მონაწილეობის გარეშე. არსებობს, აგრეთვე, მისტიკური გაგება, რომელსაც უფრო მიჩვეულნი ვართ - უბიწოდ მუცლად ღება.

გეადან წარმოსდგნენ დანარჩენი ღმერთები და ქალღმერთები, რომლებიც მოგვიანებით ოლიმპოზე დასახლდნენ, მათ შორის - ჩვენი საყვარელი დიონისე - თქვენი კერპი. მაგრამ ქალაქი-სახელმწიფოების შექმნის შემდეგ გეას კულტი შეავიწროვა აპოლონის, არესის, ზევსის კულტებმა - ყველა ეს ღმერთი მშვენივრად ერკვეოდა თავის საქმეში, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ნაბოძები ისეთი მომხიბვლელობა, რაც დამახასიათებელი იყო მთელი ხმელეთის დედისთვის.

ამის შემდეგ ათენა ჩვენი მუშაობით დაინტერესდა. რეჟისორმა ჰკითხა, ხომ არ ისურვებდა ჩვენთვის რამდენიმე ლექციის წაკითხვასო.

- რაზე?

- ყველაფერზე, რაც თქვენ იცით.

- სიმართლე რომ გითხრათ, ყველა ცნობა თეატრზე წიგნებიდან ამოვიკითხე ამ კვირას. ცოდნა საჭიროების მიხედვით უნდა შეიძინო, - ასე მირჩია ედამ.

ჩემი ვარაუდი დადასტურდა!

- სამაგიეროდ, შემიძლია, გაგიზიაროთ სხვა რამ, ის, რაც ცხოვრებამ მასწავლა.

ყველა დათანხმდა. არავის უკითხავს, ვინ იყო ედა.

დეიდრა ონილი

იგივე ედა

არაერთხელ მითქვამს ათენასთვის: არ ღირს, მთელ დროს აქ მხოლოდ იმიტომ ატარებდე, რომ მათ სულელურ კითხვებს პასუხობდე-მეთქი. თუკი ადამიანების რაღაც ჯგუფმა გადაწყვიტა, მიეღოთ იგი მასწავლებლად, რატომ არ უნდა ესარგებლა ამ შანსით და ნამდვილად არ უნდა გამხდარიყო მასწავლებელი?

- გააკეთე ის, რასაც ყოველთვის ვაკეთებდი მე.

შეეცადე, მოიპოვო სულიერი წონასწორობა იმ წუთებშიც კი, როდესაც არაფრის მაქნისად მიგაჩნია თავი. არ ირწმუნო, რომ ეს ცუდია: დაე, დედა ჩასახლდეს შენს სხეულსა და სულში, იგი გაცხადდება შენს ცეკვაში, ან დუმილში, ანდა ყოველდღიურ, რუტინულ საქმიანობასა და ქცევაში - მაგალითად, ვახშმის მომზადებაში, ბავშვის სკოლაში წაყვანასა თუ სახლის დალაგებაში. ყველაფერი ეს დედის თაყვანისცემაა, თუკი იმ მომენტისათვის მის იქ ყოფნაზე შეგიძლია ყურადღების გამახვილება.

არავინ არაფერში არ დაარწმუნო. როცა რაღაც არ იცი - იკითხე ან ეცადე, შენ თვითონ მიაგნო. მაგრამ ჩადენილ საქციელში, მდუმარედ მიმდინარე მდინარეს რომ ემსგავსება, ჩნდება ენერგია. გჯეროდეს - ეს ჩვენი პირველი შეხვედრისას გითხარი - უბრალოდ, გჯეროდეს!

გჯეროდეს, რომ შეგიძლია.

თავიდან დაიბნევი და აფორიაქდები, მერე დაასკვნი: ყველანი ფიქრობენ, თითქოს მოტყუებულნი არიან, ყველა ადამიანს, ვინც კი დედამიწაზე ცხოვრობს, მიდრეკილება აქვს უარესი ფიქრებისკენ: ყველას ეშინია ავადმყოფობისა, თავდასხმისა, სიკვდილისა. ეცადე, დაუბრუნო მათ ყოფას დაკარგული სიხარული.

იქმნას ნათელი.

საკუთარი თავი ისე დააპროგრამე, რომ ყოველ წუთში ისეთი აზრები მოგდიოდეს, რაც გაგზრდის. თუ გამძვინვარდი ან ძრწოლა შეგიპყრობს, ეცადე, შენს თავს შენ თვითონ დასცინო. იცინე, იხარხარე ამ შეწუხებულ, დათრგუნულ, დარდს აყოლილ

ქალზე, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი პრობლემები უმნიშვნელოვანესია. დასცინე ამ აბსურდულ სიტუაციას, რადგან შენ გამოვლენა ხარ დედისა. კიდევ, გჯეროდეს, რომ ღმერთი წესების მიმდევარი ადამიანია. ფაქტიურად, ჩვენი პრობლემების დიდი ნაწილიც ამას - წესების დაცვის აუცილებლობას ემთხვევა.

ყურადღება მოიკრიბე.

თუკი ვერაფერს იპოვი ისეთს, რაზედაც შეიძლება გონება შეაჩერო, დააკვირდი შენს სუნთქვას; შენი ნესტოები დედის ნათელმოსილ მდინარეს ატარებს. ყური უგდე შენს გულისცემას. მიჰყევი შენი აზრის თავისუფალ მდინარებას, რომლის გაკონტროლებაც არ შეგიძლია, გააკონტროლე შენი სურვილი, რათა დაუყოვნებლივ ადგე და გააკეთო რაიმე „სასარგებლო“. ყოველდღე რამდენიმე წუთი იჯექი, არაფერი არ გააკეთო და ეცადე, ამ უქმად ყოფნიდან რაც შეიძლება მეტი შეიძინო.

ჭურჭელს რომ რეცხავ, ილოცე. მადლობა თქვი, რომ გაქვს თეფშები, რომელსაც რეცხვა სჭირდება: ეს იმას ნიშნავს, რომ მასზე დააწყვე საჭმელი, რომ ვიღაც გამოკვებე, რომ იზრუნე ახლობელზე, მოუმზადე საჭმელი და გაუწყე სუფრა. იფიქრე იმაზეც, ახლა ამ წუთებში რამდენ მილიონს არა აქვს საჭმელი და არც ვინმესთვის სუფრის გაშლა შეუძლია.

რასაკვირველია, ბევრი ქალი ამბობს: არ გავრეცხავ ჭურჭელს, ნება იბოძოს, ქმარმა გარეცხოსო. რას იზამ, თუ უნდა, დაე, გარეცხოს, ოღონდ ეს არ უნდა მივიღოთ თანასწორობის პირობად. არაფერია არასწორი იმაში, რომ აკეთო მარტივი, უბრალო საქმე - თუმცა, ხვალ ჩემი აზრი სტატიით რომ გამოვაქვეყნო, იტყვიან, ფემინიზმის იდეის წინააღმდეგ გამოდისო.

რა სისულელეა! თითქოს ის, რომ ჭურჭელს ვრეცხავ ან ლიფს ვიცვამ, ანდა ვაღებ და ვხურავ კარს, ჩემს ქალურ ღირსებას ლახავდეს. სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან მსიამოვნებს, როცა კარს მამაკაცი მიღებს. ეტიკეტის მიხედვით, ეს ნიშნავს: „ქალი საჭიროებს ასეთ მოპყრობას, რადგან ის ნაზია“. ჩემს სულში კი სულ სხვა სიტყვებია აღბეჭდილი: „მე მეთაყვანებიან, როგორც ქალღმერთს, მექცევიან, როგორც დედოფალს“.

მე არ დავიცავ ფემინიზმის პრინციპებს, ვინაიდან მამაკაციც, ისევე, როგორც ქალი, დიდი დედის, ღვთიური ერთიანობის გამოხატულების არსია. ამაზე უფრო მაღლა ქვეყნად არაფერია.

ძალიან მინდა ვნახო, როგორ ასწავლი სხვებს იმას, რაც შენ შეიცანი. სხვებისთვის გამჟღავნებაშია ცხოვრების მიზანიც. შენ გადაიქეცი არხად. უსმენ საკუთარ თავს და გიკვირს, რამდენი შეგძლებია. გახსოვს, როგორ მუშაობდი ბანკში? ალბათ, ვერ ხვდებოდი, რომ მაშინ ენერგია მოდიოდა შენი სხეულიდან, შენი თვალებიდან და ხელებიდან.

შენ მიპასუხებ: „მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ეს ხომ ცეკვა იყო“.

ცეკვა კი, უბრალოდ რიტუალია. რა არის რიტუალი? ესაა ცოდნა იმისა, რომ მონოტონური და უფერული რაღაც რიტმულად, მშვენიერებად გადააქციო; უნარი იმისა, რომ ეს იქცეს გამაერთიანებელ არხად. ამიტომაც გთხოვ დაჟინებით: იყავი სხვა მაშინაც კი, როდესაც ჭურჭელს რეცხავ, დაე, შენი ხელები ისე მოძრაობდნენ, რომ არ იმეორებდნენ ერთსა და იმავე ჟესტს, მაგრამ, ამასთან, რიტმს მაინც იცავდნენ.

თუკი ეს დაგეხმარება, გამოიხმე ყვავილების, ფრინველების, ხეების მხედველობითი ხატებანი. ეცადე, ცალკე საგანზე კი არ იფიქრო, როგორც იმ სანთელზე, როცა ყურადღება მხოლოდ მასზე გქონდა მიჯაჭვული - არამედ ყველაფერზე ერთობლივად, და იცი, მალე რას შეამჩნევ? არ შეგეძლება აზრების გამორჩევა.

მოგიყვან მაგალითს: წარმოიდგინე, ცაში ფრინველთა გუნდი მიფრინავს. რამდენს ხედავ? თერთმეტს, ცხრამეტს, ხუთს? შენ გექნება ზოგადი წარმოდგენა, მაგრამ ზუსტი რიცხვი არ გეცოდინება, საიდან გიჩნდება ეს აზრი? ვიღაცამ ჩაგიდო იგი თავში. იმან, ვისთვისაც უტყუარადაა ცნობილი ფრინველების, ხეების, ქვების, ყვავილების რაოდენობა. იმან, ვინც ამ წამის მეასედში მოასწრო შენზე ზრუნვა და გიჩვენა თავისი ძალმოსილება.

შენ ისეთი ხარ, როგორადაც გწამს.

არ ღირს, იმეორებდე, სხვებივით, ვისაც სწამს „პოზიტიური აზროვნება“, იმეორებდე, რომ შენ ხარ საყვარელი, ძალითა და შესაძლებლობებით სავსე. არ არის საჭირო შენს თავს ამას უმტკიცებდე, რადგან ეს უამისოდაც იცი. და თუ უცებ დაეჭვდები - ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ეჭვი საკმაოდ ხშირად გაგიჩნდება - გააკეთე ის, რაც შემოგთავაზე. იმის ნაცვლად, რომ თავი დაირწმუნო, რომ შენ უკეთესი ხარ, ვიდრე გგონია, უბრალოდ, გაიღიმე. დასცინე შენს საზრუნავსა და შიშს, შენს თავში დაურწმუნებლობას. იუმორით შეხვდი სევდის შემოტევას. თავიდან გაგიძნელდება, მაგრამ მერე მიეჩვევი.

ახლა წადი იმათ შესახვედრად, ვისაც ჰგონია, რომ ყველაფერი იცი. თავი დაირწმუნე, რომ ისინი მართლები არიან, ვინაიდან ყველამ ყველაფერი ვიცით, ოღონდ ეს უნდა დავიჯეროთ.

გჯეროდეს.

ჯგუფები ძალიან მნიშვნელოვანია-მეთქი, გითხარი ბუქარესტში ჩვენი პირველი შეხვედრისას. ისინი გვაიძულებენ სრულყოფას, ვინაიდან მარტოს შენ მხოლოდ საკუთარი თავის დაცინვა შეგიძლია, ერთად კი დაცინვაც შეგეძლება და მოქმედებაც. ჯგუფები ცდილობენ ჩვენს გამოწვევას. ჯგუფები ნებას გვრთავენ, ჩვენი გატაცებისა და მიდრეკილების შესაბამისად შევიკრიბოთ. ჯგუფები ქმნიან კოლექტიურ ენერგიას და იოლად მიიღწევა ექსტაზი, რადგან თითოეული „ასნებოვნებს“ ყველა დანარჩენს.

რა თქმა უნდა, ჯგუფებს, კოლექტივებსაც შეუძლიათ ჩვენი განადგურება, მაგრამ ესაა ყოფის შემადგენელი ნაწილი, „კაცობრიობის არსებობის პირობა“: იცხოვრო სხვებს შორის, სხვასთან ერთად. და თუ ადამიანს არ ძალუძს საკუთარ თავში სრულად განავითაროს გადარჩენის ინსტინქტი, გამოდის, რომ მას არაფერი აუთვისებია დედის სიტყვებიდან.

ბედი გქონია, გოგონი. ეს-ესაა, ჯგუფმა გთხოვა, ასწავლო რამე. ეს შენ მასწავლებლად გაქცევს.

ჰირონ რაიანი

ჟურნალისტი

მსახიობებთან პირველი შეხვედრის წინ ათენა ჩემთან მოვიდა. სარაზე დაწერილი ჩემი სტატია რომ წაეკითხა, რატომღაც ეფიქრა, რომ მე მესმოდა მისი სამყარო, რაც სიმართლეს ნამდვილად არ შეეფერებოდა; ჩემი ერთადერთი მიზანი მისი ყურადღების მიქცევა იყო. თუმცა იმასაც ვცდილობდი, სათანადოდ მიმეღო რაღაც უხილავი რეალობის არსებობა, რაც შეძლებდა ჩვენს ცხოვრებაში ჩარევას, რომლის ერთადერთი მამოძრავებელი მოტივიც სიყვარული იყო. მე კი სიყვარულის აღიარება არ მსურდა, თუმცა ეს ოდნავადაც არ აფერხებდა მის გამძაფრებას და ჩემზე თანდათანობით, შეუმჩნევლად გამანადგურებელი ზეგავლენის მოხდენას.

მე კმაყოფილი ვიყავი ჩემი სამყაროთი და არაფრის შეცვლას არ ვაპირებდი, თუნდაც რაიმეს ებიძგებინა ამისკენ.

- მეშინია, - თქვა ათენამ, გადმოაბიჯა თუ არა ჩემი კარის ზღურბლს, - მაგრამ მაინც უნდა გადავდგა შემდგომი ნაბიჯი, - გავაკეთო, რასაც მთხოვენ. მჭირდება, რომ მწამდეს.

- შენ ხომ უდიდესი გამოცდილება გაქვს. სწავლობდი ბოშებთან, უდაბნოში დევრიშთან...

- ეს სულ სხვა რამეა... რას ნიშნავს „სწავლა“? ცოდნის გაღრმავებას თუ საკუთარი ცხოვრების გარდაქმნას?

შევთავაზე სადმე წავსულიყავით საღამოს სავახშმოდ და საცეკვაოდ. პირველზე დამთანხმდა, მეორეზე უარი მითხრა.

- მაინც მიპასუხე, - დაჟინებით იმეორებდა იგი, თან ჩემს ოთახს ათვალიერებდა, - ნიშნავს თუ არა სწავლა იმას, რომ ყველაფერს თაროებზე ვაწყობთ, თუ პირიქით -

უარს ვამბობთ ყველაფერზე, რაც არ გვჭირდება, რათა უბარგოდ მივსდიოთ ჩვენს გზას?

თაროებზე კი ეწყო წიგნები, რომლებსაც ვეძებდი, ვყიდულობდი, ფანქრით ხელში ყურადღებით ვკითხულობდი, ფურცლებზე ჩემს მოსაზრებას ვინიშნავდი. თაროებზე ეწყო ჩემი ჭეშმარიტი დამრიგებლები, ჩემი პიროვნებად ჩამომყალიბებლები.

- რამდენი წიგნი გაქვს? ალბათ, ათასზე მეტი. და მათ უმეტესობას აღარასოდეს აღარ გადაშლი, შენ მათ ინახავ, რადგან არა გწამს.

- რა არა მწამს?

- უბრალოდ, არა გწამს. ვისაც სწამს, წაიკითხავს ისე, როგორც მე ვკითხულობდი, როცა მსახიობებთან სასაუბროდ ვემზადებოდი. მერე, რაც მთავარია - უნდა წარმოვიდგინოთ, რომ დიდი დედა ლაპარაკობდა შენი პირით და გული გადაშალა ამ სიტყვებით. მერე შენ უნდა შეავსო ხარვეზები, რომლებსაც მწერლები განგებ ტოვებენ მკითხველის წარმოსახვის გასაღვივებლად. და აი, მაშინ, ამ სიცარიელეს რომ ამოავსებ, ირწმუნებ შენს შესაძლებლობებს.

რამდენ ადამიანს ენდომება ამ წიგნების წაკითხვა, მაგრამ, უფულობის გამო, არ შეუძლიათ მათი შეძენა. შენ კი აქ აკავებ უმოძრაოდ მყოფ ენერგიას, იმიტომ, რომ გინდა, შთაბეჭდილება მოახდინო შენს სტუმრებზე, ანდა იმიტომ, რომ არა გჯერა, რამე თუ ისწავლე მათი წყალობით, და ფიქრობ, რომ კიდევ დაგჭირდება რაღაც ცნობების მისაკვლევად დაიწყო შიგ ჩხრეკა.

ის მკაცრად ლაპარაკობდა, მაგრამ, აი, საოცრება - მე მხიბლავდა.

- შენ გგონია, რომ ბიბლიოთეკა არ მჭირდება?

- მე მგონია, რომ წიგნი ცხრაკლიტულში კი არ უნდა იყოს ჩაკეტილი, უნდა წაიკითხო. მოდი, დავურიგოთ ხალხს, ვინც რესტორნის გზაზე შეგვხვდება. თუ შენთვის ეს მეტისმეტად თამამი იდეაა?

- არა, წიგნები, უბრალოდ, ჩემს მანქანაში არ ჩაეტევა.

- დავიქირაოთ საბარგო მანქანა.

- მაშინ, ჩვენი ვახშამი განუსაზღვრელი დროით გადაიდება. გარდა ამისა, შენ ხომ აქ შენი მერყეობის დასაძლევად მოხვედი და არა იმიტომ, რომ ჩემი წიგნების ბედი გადამეწყვიტა. ამ წიგნების გარეშე შიშველს დავემგვანები.

- შენ გინდოდა, გეთქვა, უბირსო.

- უფრო მართალი იქნებოდა, ჩემთვის „უკულტურო“ გეწოდებინა.

- მაშასადამე, შენი კულტურა გულში კი არა, წიგნების თაროებზეა.

საკმარისია-მეთქი, გავიფიქრე და დავრეკე რესტორანში, შევუკვეთე მაგიდა, ავუხსენი, რომ თხუთმეტ წუთში მივიდოდით. ათენას აშკარად სურდა იმის გადავადება, რისთვისაც მოვიდა - თავის თავში დაურწმუნებლობამ, იმის ნაცვლად, რომ საკუთარ სულში ჩაეხედა, იძულებული გახადა, მე დამსხმოდა თავს, მას გვერდით მამაკაცი უნდა ჰყოლოდა, და, - ვინ იცის? - გამოიყენა ოდინდელი ქალური ფანდი და შემამოწმა, რამდენად შორს წავიდოდი და რისი გაკეთება შემეძლო მისი გულისთვის.

ყოველთვის, როცა კი მის გვერდით ვიყავი, ჩემი არსებობა მუდამ გამართლებული მეჩვენებოდა. შეიძლება მას ჩემგან ამის მოსმენა სურდა? თუ არა, საამისო დრო კიდევ გვექნება ვახშამზე. მე ყველაფერზე თანახმა ვიყავი, იმაზედაც კი, რომ ჩემს შეყვარებულს დავშორებოდი, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმაზე არა, რომ ჩემი წიგნები ქუჩაში დამერიგებინა.

ტაქსიში ხელახლა წამოვიწყეთ საუბარი მსახიობებთან სავარაუდო შეხვედრაზე, თუმცა, სიყვარულზე საუბარი მერჩივნა; ეს თემა ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მარქსი, იუნგი, ლეიბორისტული პარტია ანდა ის პრობლემები, რომლებსაც რედაქციაში ყოველდღე ვაწყდებოდი.

- ნურაფრისა ნუ გეშინია, - ვუთხარი და ძლივს დავძლიე მის ხელზე შეხების სურვილი, - ყველაფერი კარგად იქნება, ისაუბრე კალიგრაფიაზე, ცეკვაზე, იმაზე, რაც იცი.

- შენს რჩევას რომ მივყვე, ვერასოდეს ვერ აღმოვაჩენ იმას, რაც არ ვიცი. როდესაც მათ წინაშე წარვდგები, მე ისე უნდა მოვიქცე, რომ ჩემი გონება დუმდეს და ლაპარაკობდეს გული. მაგრამ ეს ხომ პირველად ხდება, ამიტომაც მეშინია.

- გინდა, წამოგყვე?

ის დამეთანხმა. შევედით რესტორანში, შევუკვეთეთ ღვინო, დავიწყეთ სმა. მე - იმიტომ, რომ გამბედაობა მომეკრიბა და მელაპარაკა სიყვარულზე, რომლითაც, როგორც მეჩვენებოდა, სავსე ვიყავი. თუმცა, მესმოდა, რომ სისულელეა, გიყვარდეს ადამიანი, ვისაც ხეირიანად არც კი იცნობ. ათენა კი სვამდა იმიტომ, რომ უცნობ თემაზე უნდა ელაპარაკა, ამიტომ სურდა, შიში გადაელახა.

მეორე ჭიქაზე ვიგრძენი, როგორ ჰქონდა ნერვები დაძაბული. ხელზე ხელი მოვკიდე, მაგრამ ათენამ თავაზიანად გამაშვებინა.

- მე არ შემიძლია, მეშინოდეს.

- ძალიანაც შეგიძლია! რამდენჯერ გამომიცდია შიში! მაგრამ სულერთია - როცა საჭირო იყო, მაინც წინ მივდიოდი, ვპასუხობდი ყოველგვარ გამოწვევას.

მე თვითონაც ნერვებდაძაბული და აღელვებული ვიყავი. ჭიქები ისევ შევავსე. ოფიციანტი ყოველ წუთს მოდიოდა საკითხავად, რას შევჭამდით, მე კი ყოველ მოსვლაზე ვპასუხობდი, მოგვიანებით შეგიკვეთთ-მეთქი.

დაბნეულად და უთავბოლოდ ვლაპარაკობდი ყველაფერზე, რაც თავში მომდიოდა. ათენა თავაზიანად მისმენდა, მაგრამ ეტყობოდა, სადღაც შორს, მოჩვენებებითა და ფანტაზიით დასახლებულ ბნელ სამყაროში დაქროდა მისი გონება. მერე უცებ შოტლანდიელ ქალსა და მის რჩევებზე დაიწყო ლაპარაკი. მე დავეჭვდი, როგორ შეიძლება, ასწავლო ის, რაც თავად არ იცი-მეთქი.

- შენთვის როდისმე უსწავლებიათ სიყვარული?

ნუთუ ჩემს აზრებს კითხულობს?

- არა, არ უსწავლებიათ, მაგრამ შენ, როგორც ყოველ ადამიანს, აღმოგაჩნდა უნარი, ჩასწვდომოდი ამ მეცნიერებას. როგორ? არც როგორ. შენ ირწმუნე, დაიჯერე და ამის მერე შეიყვარე.

- ათენა...

მე ენა დამება, მაგრამ მაინც შევძელი ფრაზის დამთავრება, თუმცა, სულ სხვა რამის თქმას ვაპირებდი.

- მგონი, დროა, რამე ავირჩიოთ და ვჭამოთ.

მივხვდი, ჯერ კიდევ მზად არ ვიყავი იმის სათქმელად, რაც სულს მიფორიაქებდა. მოვუხმე ოფიციანტს, რაღაც-რაღაცები და კიდევ ერთი ბოთლი ღვინო შევუკვეთე - რაც უფრო დიდხანს ვივახშმებდით, მით უკეთესი იქნებოდა.

- უცნაური ხარ... გეწყინა ჩემი სიტყვები წიგნების უსარგებლობაზე? როგორც გინდა, ისე მოიქეცი, მე შენი სამყაროს შეცვლას არ ვაპირებ.

რამდენიმე წამის წინათ მე სწორედ ამაზე ვფიქრობდი.

- ათენა, მინდა, სიბიუს ბარში მომხდარ ამბავზე გესაუბრო. გახსოვს? ბოშური მუსიკა ჟღერდა...

- ბარში კი არა, რესტორანში.

- ჰო. დღეს წიგნებზე ვსაუბრობთ, თაროებზე უქმად რომ აწყვია და ადგილს იკავებენ. შეიძლება, მართალი ხარ, არის რაღაც ისეთი, რაც უნდა მეთქვა იმ წუთების შემდეგ, როცა გნახე, როგორ ცეკვავდი... ყოველდღიურად ეს „რაღაც“ სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება.

- არ მესმის, რას მეუბნები.

- მშვენივრად გესმის. მე სიყვარულზე გელაპარაკები. რომლის განადგურებასაც მის გამომჟღავნებამდე მთელი ძალით ვცდილობ. მინდა, ეს მიიღო ჩემგან; ესაა ის მცირედი, რაც ჩემშია, ჩემგან შექმნილი და რასაც ვერა ვფლობ. ის მთლიანად შენ არ გეკუთვნის, რადგან ჩემს ცხოვრებაში არის მეორე ადამიანიც, მაგრამ ბედნიერი ვიქნებოდი, თუკი შეძლებდი რაღაცნაირად მის მიღებას.

შენმა თანამემამულემ, არაბმა პოეტმა ჯიბრალ ხალილმა თქვა: „კარგია გაცემა, როდესაც გთხოვენ, მაგრამ ბევრად ჯობია მიენდო იმას, ვინც არაფერს გთხოვს“. დღეს საღამოს რომ არ მეთქვა ყოველივე ის, რაც გითხარი, დავრჩებოდი მხოლოდ იმის მოწმედ და მეთვალყურედ, რაც ხდება - და არა ცხოვრების მონაწილედ.

სათქმელი რომ ამოვთქვი, შვებით ამოვისუნთქე; ღვინომ გამათამამა.

ათენამ ბოლომდე გამოცალა თავისი ჭიქა, მეც. მოვიდა ოფიციანტი სინით ხელში და მოჰყვა საუბარს ჩვენ მიერ შეკვეთილი კერძების განსაკუთრებულობაზე, ინგრედიენტებზე, მომზადების წესებზე. ის ლაპარაკობდა, მე და ათენა კი ერთმანეთს პირდაპირ თვალებში მივჩერებოდით. ანდრეამ მითხრა, რომ ათენასათვის, რომელიც ასევე მოჰქცევია მას პირველი შეხვედრისას, ეს თანამოსაუბრის დაბნევის ხერხიაო.

დუმილი დამთრგუნველი გახდა. მე თითქმის ვხედავდი, როგორ წამოდგა იგი, რაღაც თქვა თავის ყბადაღებულ სკოტლანდ-იარდელ მეგობარზე და იმაზე, რომ, თითქოს, ყველაფერი სასიამოვნო იყო, მაგრამ ხვალინდელი შეხვედრისათვის უნდა მომზადებულიყო.

- „განა ქვეყნად არსებობს რაიმე ისეთი, რისი შენახვაც შეიძლება? ყველაფერი, რასაც ვფლობთ, ოდესღაც წაგვერთმევა, ხეები ნაყოფს იძლევიან, ვინაიდან მათი შენარჩუნებით ზღვარს დაუდებენ საკუთარ ყოფას“.

მისმა ხმამ, ჩუმად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად რომ ისმოდა, ჩვენ ირგვლივ დუმილით შებოჭა ყველაფერი.

- „და უფრო მეტი დამსახურება იმას კი არა აქვს, ვინც სთავაზობს, არამედ იმას, ვინც ღებულობს და მოვალედ არ მიიჩნევს თავს. ცოტას გასცემს მხოლოდ ნივთობრივი გამცემი, ბევრს - საკუთარი თავის შემწირველი“.

მან ცოტა ღვინო კიდევ მოსვა. მეც. ახლა მე უკვე აღარ მჭირდებოდა მეკითხა, მიიღო ჩემი საჩუქარი თუ უარყო. სულში სიმშვიდე ვიგრძენი!

- შენ, ალბათ, მართალი ხარ, საჯარო ბიბლიოთეკას ვაჩუქებ წიგნებს. შინ მხოლოდ რამდენიმეს დავიტოვებ, რომლებსაც ხანდახან გადავიკითხავ.

- ნამდვილად გინდა ამაზე ლაპარაკი?

- არა, მაგრამ სხვაგვარად არ ვიცი, როგორ გავაგრძელოთ საუბარი.

- მაშინ, საკადრისი მივუზღოთ აქაურ სამზარეულოს, მგონი, ეს კარგი აზრია, არა?

არა, მე ასე არ მიმაჩნდა, სულ სხვა რამის გაგონება მინდოდა, და წინააღმდეგობა მაინც ვერ გავუწიე, საუბარი დავიწყე ბიბლიოთეკებზე, წიგნებზე, პოეტებზე. მწარედ ვნანობდი, რომ საჭმელი შევუკვეთე. მინდოდა, ავმდგარიყავი და თავქუდმოგლეჯილი გავქცეულიყავი, რადგან არ ვიცოდი, როგორ გამეგრძელებინა ჩვენი პაემანი.

ბოლოს სიტყვა ჩამომართვა, რომ თეატრში მის პირველ მეცადინეობაზე მივიდოდი. ეს ჩემთვის სიგნალად იქცა. მას ვჭირდები, ის ღებულობს იმას, რის შეთავაზებაზეც შეუცნობლად ვოცნებობდი მას შემდეგ, რაც პირველად ვნახე ტრანსილვანიის რესტორანში მისი ცეკვა, მაგრამ მხოლოდ დღეს საღამოს მივხვდი ამას.

ანუ, როგორც ათენა იტყოდა: უნდა გწამდეს.

ანდრეა მაკკეინი

მსახიობი

დიახ, დამნაშავე ვარ! მე რომ არ ვყოფილიყავი, ათენა იმ დილით თეატრში არ მოვიდოდა, არ შეგვყრიდა ერთად, არ დაგვაწვენდა პირდაპირ სცენის იატაკზე და არ დაგვიწყებდა: მოდუნდით, სწორად ისუნთქეთ, შეიგრძენით სხეულის ყოველი ნაწილიო.

„ახლა - თეძოს კუნთები...“

ჩვენ ყველანი - თუმცა ეს ვარჯიში ასჯერ მაინც გვქონდა გაკეთებული, - სიტყვაშეუბრუნებლად ვემორჩილებოდით, თითქოს ჩვენ წინაშე იდგა ქალღმერთი, ძლიერი არსება, რომელმაც იცოდა უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ ყველამ ერთად. ყველას სურდა, გაეგო, რა მოჰყვებოდა ამ სიტყვებს „...ახლა მოადუნეთ სახის კუნთები, ღრმად ჩაისუნთქეთ“ და ასე შემდეგ.

ნუთუ მართლა ჰგონია, რომ რაიმე ახალს გვასწავლის? ჩვენ კი რაღაც ლექციას თუ სემინარ-საუბარს ველოდით. მე თავი უნდა შევიკავო. ვუბრუნდებით წარსულს, ისევ ვდუნდებით - და კვლავ ისადგურებს სიჩუმე, რამაც ყველა ჩვენგანს თავგზა აუბნია. მერე ამას რომ ვიხსენებდით, გავარკვიე, რომ მაშინ ყველას ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს მეცადინეობა დამთავრდა და უნდა ავმდგარიყავით, მაგრამ არავინ ამდგარა. ჩვენ გაუნძრევლად ვიწექით, თითქოს რაღაც იძულებითი მედიტაციის მდგომარეობაში ვიმყოფებოდით და ეს თხუთმეტ უსასრულო წუთს გაგრძელდა.

მერე ისევ გაისმა მისი ხმა:

- თქვენ დრო გქონდათ, ეჭვი შეგეტანათ ჩემში. ზოგმა მოუთმენლობა გამოამჟღავნა, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ: სამამდე რომ დავითვლი, წამოდექით და სხვად იქეცით.

მე არ მითქვამს: სხვა ადამიანად, ცხოველად თუ სახლად იქეცით-მეთქი. ეცადეთ, არ გააკეთოთ ის, რაც თეატრალურ კურსებზე გისწავლიათ. მე არა გთხოვთ, მსახიობები იყოთ და გამოავლინოთ თქვენი ნიჭი. გიბრძანებთ, შეწყვიტოთ ადამიანური არსებობა და იქცეთ რაღაც გამოუცნობად.

ვიწექით იატაკზე თვალდახუჭულნი და არ ვიცოდით, ვინ როგორ რეაგირებდა ამ სიტყვებზე. ამაზე ააგო ათენამ თავისი ქმედება.

- ახლა ვიტყვი რაიმე სიტყვას და ეცადეთ იპოვოთ მასთან ასოცირებული მხედველობითი გამოსახულება. გახსოვდეთ - თქვენ მოწამლული ხართ ყოველდღიური აზრებით, და თუ ვიტყვი „ბედს“, ალბათ, წარმოიდგენთ თქვენს მომავალ ცხოვრებას. ვიტყვი „წითელს“ - დაიწყებთ ფსიქოანალიტიკურ მსჯელობებს. მე ეს არ მინდა. საჭიროა, რომ სხვად იქცეთ.

მან ხეირიანად ვერც კი ახსნა თავისი მოთხოვნა. არავინ შეჰპასუხებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ არავის სურდა, უზრდელი გამოჩენილიყო. მას აღარავინ მოიწვევს, მეც გულუბრყვილობაში დამდებენ ბრალს - რა საჭირო იყო მისი მოძებნა და აქ მოყვანაო.

- მაშ ასე, პირველი სიტყვა: „წმიდათაწმიდა“.

ჯავრისგან რომ არ მოვმკვდარიყავი, გადავწყვიტე, დავმორჩილებოდი თამაშის წესებს და წარმოვიდგინე დედა, საყვარელი, მომავალი ბავშვები, ბრწყინვალე კარიერა.

- გააკეთე ამ სიტყვის შესატყვისი მოძრაობა.

მე გულხელი დავიკრიფე, თითქოს ყველა ჩემი გულით საყვარელს ვეხვეოდი. მერე გავიგე, რომ უმრავლესობას ფართოდ გაეშალა ხელები, ერთ გოგოს კი - ფეხებიც გაეშალა, თითქოს უხილავ პარტნიორს უნდა დანებდესო.

- მოდუნდით, დაივიწყეთ ყველაფერი. თვალები დახუჭეთ. არავის ვკიცხავ, მაგრამ, თქვენი ჟესტების მიხედვით, ცდილობთ, „წმიდათაწმიდის“ გაგებას რაღაც ფორმა მისცეთ. მე ეს არ მითხოვია. მინდოდა, რომ თქვენ არ ცდილიყავით, სიტყვა გაგესაზღვრათ ისე, როგორც ამ სამყაროშია დამკვიდრებული. გახსენით თქვენი არხები, დაე, მათი მეშვეობით მოგშორდეთ სინამდვილის ინტოქსიკაცია. უარი თქვით ყველა კონკრეტულზე, მხოლოდ მაშინ შეხვალთ იმ სამყაროში, სადაც მიმყავხართ.

ბოლო სიტყვები ისეთი შეუვალი მბრძანებლობით გაისმა, რომ ვიგრძენი, როგორ იცვლებოდა დარბაზში ენერგია. ეს ხმა იმ ადამიანს ეკუთვნოდა, რომელმაც იცოდა, საით მივყავდით. ეს ლექტორისა კი არა, მასწავლებლის ხმა იყო.

- დედამიწა!

ანაზდად მივხვდი, რაც სურდა. ჩემი წარმოსახვა უკვე არაფერ შუაში არ იყო - მე თავად ვიქეცი დედამიწად.

- გააკეთეთ ისეთი მოძრაობა, რომელიც, შეიძლება, დედამიწას გამოსახავდეს.

მე არ გავნძრეულვარ, თითქოს სცენის საფენად ვიქეცი.

- მშვენიერია, - თქვა ათენამ, - ყველა უძრავად დარჩით. და ყველამ პირველად გამოსცადეთ ერთი და იგივე გრძნობა. იმის ნაცვლად, რომ აგეწერათ დედამიწის რამენაირი გაგება, თქვენ თავად იქეცით დედამიწად.

მომეჩვენა, რომ კიდევ ხუთწუთიანი სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენ, ცოტა არ იყოს, დავიბენით, რადგან ვერ გაგვეგო - ჩვენმა მასწავლებელმა არ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა, თუ ფიქრადაც არ მოსდიოდა, რა ინტენსიურად ვმუშაობთ რეპეტიციებზე.

- ახლა წარმოვთქვამ მესამე სიტყვას.

პაუზა.

- ცენტრი!

მე ვიგრძენი, მთელი ჩემი სასიცოცხლო ენერგია როგორ მიიმართა სადღაც ჭიპის მიდამოსკენ, სადაც თითქოს რაღაც მოყვითალო შუქი წარმოიქმნა. ამის გამო შემეშინდა და ამ დროს ვინმე რომ შემხებოდა, ალბათ, მოვკვდებოდი.

- მოძრაობით მიანიშნეთ! - გაისმა მისი მკვეთრი ხმა.

და მე, თავს შეუცნობლად რომ ვიცავდი, ხელები მუცელზე დავიდე.

- მშვენიერია, შეგიძლიათ, წამოსხდეთ.

თვალი რომ გავახილე, დავინახე, ჩემ თავს ზემოთ როგორ ქრებოდა სოფისტების შორეული შუქი. სახეზე ხელისგული მოვისვი, წამოვდექი, შევამჩნიე ჩემი ამხანაგების გაკვირვებული სახეები.

- ეს იყო ლექცია? - იკითხა რეჟისორმა.

- შეიძლება, ლექცია უწოდოთ, თუ თქვენ ასე მოგწონთ.

- გმადლობთ, რომ მოხვედით. ახლა კი, ბოდიში, რეპეტიცია უნდა დავიწყოთ.

- მაგრამ მე ჯერ არ დამიმთავრებია.

- დანარჩენი სხვა დროისთვის იყოს.

რეჟისორის ასეთმა რეაქციამ ცოტათი ყველა შეგვაცბუნა. მე თავდაპირველი ეჭვები გამეფანტა და ვიფიქრე, რომ ათენას მეცადინეობა მოგვეწონა. ასეთი რამ ადრე არ გვენახა - ეს იმას არ ჰგავს, რომ უნდა წარმოსახო საგნები და ადამიანები, წარმოადგინო სანთელი ან ვაშლი, ისხდეთ წრეში ხელიხელჩაკიდებულნი და თავს ისე აჩვენებდე, თითქოს წმინდა რიტუალს ასრულებ. ეს იყო რაღაც აბსურდი და უბრალოდ გვინდოდა, გვცოდნოდა, ამის შემდეგ რას იზამდა.

ათენას სახე სრულ გულგრილობას გამოხატავდა. იგი დაიხარა თავისი ჩანთის ასაღებად და სწორედ ამ წუთში გაისმა პარტერიდან ვიღაცის შეძახილი.

- გასაოცარია!

ეს ჰირონი აღმოჩნდა, ის ათენასთან ერთად მოვიდა. რეჟისორს შეეშინდა ჟურნალისტისა - მას ხომ ფართო ურთიერთობა ჰქონდა გამომცემლობებთან და თეატრალურ კრიტიკოსებს შორის მეგობრებიც ჰყავდა.

- თქვენ შეწყვიტეთ პიროვნებად ყოფნა და იქეცით შიშველი იდეის მატარებლად! სამწუხაროა, რომ რეპეტიცია გაქვთ, მაგრამ შენ ნუ იდარდებ, ათენა, ჩვენ მოვნახავთ სხვა ჯგუფს და მაინც გავიგებ, რით დასრულდება შენი ლექცია. ამას ჩემ თავზე ვიღებ.

მე ისევ მახსოვდა ჩემს სხეულზე მცოცავი და ჭიპთან გარინდებული შუქი. მაინც ვინ არის ეს ქალი? საინტერესოა, ჩემმა კოლეგებმაც იგივე განიცადეს, რაც მე?

- ერთი წუთით, - თქვა რეჟისორმა, თან შეათვალიერა თავისი მსახიობების გაკვირვებული სახეები, - იქნებ როგორმე გადაგვეწია რეპეტიცია და...

- არ არის საჭირო. მე ახლავე მივდივარ რედაქციაში და წერილს ვწერ ამ ქალზე. თქვენ იმასვე გააკეთებთ, რასაც ყოველთვის აკეთებდით, მე კი გასაოცარი სიუჟეტი ვიპოვე.

შეიძლება, ათენა თვალყურს ადევნებდა, რით დასრულდებოდა ეს კამათი, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. ჩამოვიდა სცენიდან, მივიდა ჰირონთან. დარბაზიდან გავიდნენ თუ არა, ჩვენ რეჟისორს შემოვეხვიეთ და ვკითხეთ, რატომ მოიქცა ასე.

- ათენასადმი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი საუბარი სექსზე, - ხომ გახსოვთ მაშინ რესტორანში? - გაცილებით საინტერესო იყო, ვიდრე მთელი ეს სისულელეები, რასაც ახლა ვაკეთებდით. გახსოვთ, ის უცებ დიდი ხნით რომ გაჩუმდა? მან, უბრალოდ, აღარ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა!

- მე კი საოცარი შეგრძნება მქონდა, - თქვა ერთმა, შედარებით ხანდაზმულმა მსახიობმა, - როცა მან წარმოთქვა სიტყვა „ცენტრი“, მომეჩვენა, რომ მთელმა ჩემმა სასიცოცხლო ძალამ თავი მოიყარა ჭიპთან. ადრე ამისთანა რამ არასოდეს განმიცდია.

- მართლა..? დარწმუნებული ხარ? - ისე შეეკითხა მსახიობი ქალი, რომ აშკარა იყო, იგივე შეგრძნება ეწვია მასაც.

- ეს ქალი ჯადოქარს ჰგავს, - თქვა რეჟისორმა და საუბარი შეწყდა, - მოდით, ვიმუშაოთ.

ჩვენ დავიწყეთ გაჭიმვით, გახურებით, მედიტაციით - როგორც სახელმძღვანელოშია აღნიშნული. ამას მოჰყვა ეტიუდები, მერე ახალი პიესის კითხვას შევუდექით. თანდათანობით ათენას იქ ყოფნა მკრთალდებოდა და, ყველაფერი ისევ ძველებურად რჩებოდა - თეატრად, რიტუალებად, რომელიც ათასწლეულების წინათ შეიქმნა, სადაც ჩვენ, ჩვეულებისამებრ, სხვებად მოვაჩვენებდით თავს.

მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ წარმოდგენაში. სხვა იყო ათენა და მე მტკიცედ გადავწყვიტე, რომ მას აუცილებლად კიდევ ვნახავდი. ამაში არცთუ მცირე როლი ითამაშეს რეჟისორის სიტყვებმა.

ჰირონ რაიანი

ჟურნალისტი

ჩემდა შეუმჩნევლად, მეც იმავე მოქმედებებს ვასრულებდი, რასაც ათენა მსახიობებს სთავაზობდა, ანუ, ვასრულებდი ყველა მის მოთხოვნას - იმ განსხვავებით, რომ თვალები არა მქონდა დახუჭული და ვუყურებდი, რა ხდებოდა სცენაზე. იმ წამს, როდესაც მან წარმოთქვა: „მოძრაობით მიანიშნეთო“, მე ხელი მუცელზე დავიდე, და, ჩემდა გასაკვირად, ყველამ, რეჟისორის ჩათვლით, იგივე მოძრაობა გააკეთა. რას შეიძლება, ნიშნავდეს ეს?

იმ დღეს უნდა დამეწერა არასასიამოვნო სტატია - ნამდვილი სავარჯიშო სიბეჯითის გამოსამუშავებლად - ერთ-ერთი ქვეყნის ლიდერის დიდ ბრიტანეთში ჩამოსვლაზე. შესვენებისას გასართობად კოლეგებს დავუწყე გამოკითხვა, რა მოძრაობას გააკეთებდნენ, თუკი ვთხოვდი, მიეთითებინათ „ცენტრი“. უმრავლესობამ ხუმრობაში გამიტარა, რაღაცას ამბობდნენ პოლიტიკურ პარტიებზე. ერთმა ხელი გულზე მიიდო. მეორემ თითი ქვემოთ, დედამიწის ცენტრისკენ მიაშვირა და არავის არ მიუჩნევია ჭიპი რაიმეს ცენტრად.

ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთმა, ვისთანაც იმ დღეს მომიხდა საუბარი, რაღაც-რაღაცები ამიხსნა.

შინ დაბრუნებულმა ანდრეამ შხაპი გადაივლო, სუფრა გაშალა და სავახშმოდ ლოდინი დამიწყო. ძალზე ძვირფასი ღვინის ბოთლი გახსნა, ჭიქები ღვინით შეავსო და ერთი მე გამომიწოდა.

- აბა, როგორ ჩაიარა გუშინდელმა ვახშამმა?

რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს, შეეგუოს სიცრუეს? მე არ მსურდა ჩემ წინ მჯდარი ქალის დაკარგვა: მძიმე წუთებში, როდესაც ვგრძნობდი, რომ აღარ შემწევდა უნარი ჩემი ცხოვრების აზრის საპოვნელად, ის მუდამ ჩემ გვერდით იყო. მე ის მიყვარდა, მაგრამ იმ გადარეულ სამყაროში, რომლის მორევში, ჩემდა შეუცნობლად, აღმოვჩნდი, თითქოს გული გამიცივდა მის მიმართ, რადგან ვცდილობდი შევგუებოდი იმას, რაც შესაძლოა, ვიცოდი, მაგრამ მისი მიღება არ შემეძლო: ერთ-ერთი პარტნიორის დიდება მეორესაც დიდებას ჰფენს.

რამდენადაც ყოველთვის დღევანდელ კვერცხს ვამჯობინებდი, ვცადე, რესტორნის ამბავი ისე წარმომესახა, როგორც სრულიად უმნიშვნელო რამ. მით უმეტეს, იქ, მართლაც, არაფერი ყოფილა განსაკუთრებული, თუ არად მივიჩნევთ იმას, რომ ერთმანეთს სიყვარულისგან გატანჯული არაბი მწერლის სტრიქონებს ვუკითხავდით.

- ათენა რთული და ძნელად შესაგუებელია.

ანდრეას გაეცინა.

- სწორედ ამიტომაც იქნება მამაკაცებისთვის მეტისმეტად მიმზიდველი: ის აღვივებს დამცველის ინსტინქტს, რომელიც ყველა მამაკაცში არსებობს, მაგრამ ხშირად გამოუყენებელი რჩება.

ჯობდა, თემა შემეცვალა. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ქალები მამაკაცის სულის შეცნობის ზებუნებრივ უნარს ფლობენ. ყველა ქალი ჯადოქარია.

- მასალებს ვკრებ იმაზე, რაც გუშინ თეატრში მოხდა. შეიძლება, არ იცი, მე თვალგახელილი ვიჯექი პარტერში.

- შენი პროფესიის ადამიანისთვის სხვაგვარად არც შეიძლებოდა. შენ ილაპარაკებ ისეთ მომენტებზე, რომლის დროსაც შესაბამისად იქცევიან. გუშინ ამაზე დიდხანს ვიმსჯელეთ ბარში, რეპეტიციის შემდეგ.

- ნაცნობი ისტორიკოსი მომიყვა, რომ ერთ უძველეს ბერძნულ ტაძარში, სადაც მომავალს წინასწარმეტყველებდნენ (აპოლონის ტაძარი დელფოში. - რედ. შენიშ.), იდგა მარმარილოს ქვის ნატეხი, რომელსაც „ჭიპს“ უწოდებდნენ. მაშინდელი წარმოდგენით, სწორედ იქ იმყოფებოდა პლანეტის ცენტრი. ძველ გაზეთებში ვიქექებოდი და, აი, რა აღმოვაჩინე: იორდანიის ქალაქ პეტრაში არის კიდევ ერთი „კონუსისებური ჭიპი“, რომელიც უკვე მთელი მსოფლიოს ცენტრის სიმბოლოდ

მიიჩნევა. პირველიც - დელფოში, და მეორეც ცდილობენ, გამოსახონ ღერძი, რომელზედაც გადის მსოფლიოს ენერგია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხილულად აქციონ ის, რაც უხილავად ითვლება. იერუსალიმსაც „დედამიწის ჭიპად“ მოიხსენიებენ, როგორც რომელიღაც კუნძულს წყნარ ოკეანეში.

- ცეკვა!

- რა?

- არა, არაფერი.

- მივხვდი, რასაც გულისხმობ: აღმოსავლურ მუცლით ცეკვას, რომელიც მოხსენიებულთა შორის უძველესია. შენ არ გინდოდა ამაზე საუბარი, რადგან მოგიყევი, ტრანსილვანიაში როგორ ვნახე ათენას ცეკვა. ის ჩაცმული იყო, მაგრამ...

- ...მაგრამ მოძრაობა იწყებოდა ჭიპიდან და მერე ვრცელდებოდა მთელ სხეულზე.

ანდრეა მართალი იყო.

მართლაც, აჯობებდა, თემა შეგვეცვალა, გვესაუბრა თეატრზე, იმაზე, თუ ხანდახან როგორი გულისამრევია ჟურნალისტიკა, მერე ცოტა დაგველია და ფანჯრებს მიღმა წვიმა რომ წამოვიდოდა, საღამო ლოგინში დაგვემთავრებინა. ...შევატყვე, რომ ორგაზმის დროს ანდრეას სხეული თითქოს ჭიპიდან გამომავალ უჩინარ ღერძზე ტრიალებდა. ეს უამრავჯერ მინახავს, მაგრამ ადრე ამისთვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია.

ანტუან ლოკადური

ისტორიკოსი

ჰირონმა, ალბათ, გვარიანი ხარჯი გასწია, საფრანგეთში ამდენს რომ მირეკავდა და მთხოვდა, კვირის ბოლომდე მეშოვა ყველა მასალა, განსაკუთრებული დაჟინებით კი - ჭიპთან დაკავშირებულ ამბავზე. პირადად მე ეს ძალზე არარომანტიკულად და სრულიად უინტერესოდ მეჩვენა. მაგრამ ინგლისელები სამყაროს სხვაგვარად უყურებენ, ვიდრე ჩვენ, ფრანგები, ამიტომაც უმჯობესად მივიჩნიე, არაფერი მეკითხა და შემეგროვებინა ყველაფერი, რასაც მეცნიერება ამბობს ამის თაობაზე.

მალე ნათელი გახდა, რომ უკვე არსებული ისტორიული ცნობები საკმარისი არ იყო: შევამჩნიე ამ საკითხებში სხვადასხვა ძველი ცივილიზაციის თანხვდომა, უფრო მეტიც - წმინდად მიჩნეული ადგილის განსასაზღვრავად ერთი და იმავე სიტყვის ხმარება. ადრე ამისთვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია, ახლა კი დავინტერესდი. აღმოვაჩინე თუ არა ამ დამთხვევის კანონზომიერება, დავიწყე დამატებითი

მასალების მოძიება, რომელიც ადამიანის ქცევისათვის და მისი რწმენისათვის ნათელის მოფენას შეძლებდა.

პირველი და ყველაზე უფრო ლოგიკური ახსნა - ჭიპლარის საშუალებით ვღებულობთ საკვებ ნივთიერებებს და ამიტომაც ჭიპი ცხოვრების ცენტრად უნდა მივიჩნიოთ - მაშინვე უარყოფილ იქნა. ფსიქოლოგმა ამიხსნა, რომ ეს თეორია ყოველგვარ აზრსაა მოკლებული, ვინაიდან, რამდენადაც ჭიპლარი აუცილებლად გადაიჭრება, ცენტრალურად სწორედ რომ გაყოფის მოტივი იქცევა, ხოლო უფრო მნიშვნელოვან სიმბოლოებად ტვინი და გული იქცევიან.

კარგა ხანია შემჩნეულია, რომ როდესაც რაიმეთი ვართ გატაცებულნი, გვგონია, ირგვლივ ყველაფერი, ასე თუ ისე, უკავშირდება ჩვენი ინტერესის საგანს (მისტიკოსები ამ მოვლენას უწოდებენ „ნიშანს“, სკეპტიკოსები - „დამთხვევას“, ფსიქოლოგები - „ასოციაციურ დომინანტს“, ისტორიკოსების მიერ ხმარებული ტერმინი კი ჯერჯერობით გასარკვევი მაქვს). ერთ საღამოს ჩემი ქალიშვილი - მოზარდი გოგონა, - სახლში ჭიპგახვრეტილი გამოცხადდა - ანუ პირსინგით.

- ეგ რატომ ქენი?

- მომწონს და იმიტომ.

რას იზამ, ახსნა-განმარტება უაღრესად ბუნებრივად ჟღერდა მეცნიერ-ისტორიკოსისთვისაც კი, რომელიც ცდილობს, ყველაფრის მოტივი და მიზეზი იპოვოს. ქალიშვილის ოთახში რომ შევედი, კედელზე გაკრული მისი საყვარელი პოპ-მომღერლის პლაკატი დავინახე, რა თქმა უნდა, შიშველი მუცლით და ჭიპით, რომელიც თითქოსდა სამყაროს ცენტრად ჩანდა.

დავურეკე ჰირონს და ვკითხე, რატომ იყო დაინტერესებული ამ ამბით. მაშინ ის მომიყვა თეატრში მომხდარ ამბავს, ადამიანებმა როგორ სპონტანურად და მოულოდნელი რეაგირებით უპასუხეს ბრძანებას. იმედი გადამეწურა, რომ ქალიშვილისგან რაიმე ახსნა-განმარტებას მივიღებდი და გადავწყვიტე, სპეციალისტებისგან მიმეღო კონსულტაცია.

ეს პრობლემა არავის არ აინტერესებდა, მაგრამ შემთხვევამ შემახვედრა ინდოელ ფსიქოლოგ ფრანსუა შეპკას (სახელი და ეროვნება შეცვლილია თავად მეცნიერის თხოვნით. - რედ. შენიშ.), რომელიც ხელახლა საფუძვლიანად განიხილავდა მკურნალობის არსებულ მეთოდებს. მისი აზრით, ბავშვობაში დაბრუნების მეთოდი, როგორც სულიერი ტრავმებისაგან განკურნების საშუალება, სრულიად არაეფექტურია - ბევრი პრობლემა, უკვე თავად ცხოვრებამ რომ გადაწყვიტა, იბრუნებს თავის პირვანდელ ძალას და მოწიფული ადამიანები მშობლებს ადანაშაულებენ თავიანთ ფრუსტრაციასა და მარცხში. შეპკას გააფთრებული პოლემიკა ჰქონდა ფრანგ ფსიქოანალიტიკოსებთან და საუბარი ისეთ სულელურ თემაზე, როგორც ჭიპია, ჩემი ვარაუდით, მას ართობდა და ამშვიდებდა.

მანვე მიამბო, რომ ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ფსიქოანალიტიკოსის, კარლ გუსტავ იუნგის, თეორიით, ყველა ჩვენგანი ერთი წყაროდან ვსვამთ. ამას იგი „სამყაროს სულს“ უწოდებს. თუმცა თითოეული ჩვენგანი ცდილობს, დამოუკიდებელი იყოს, ყველა ჩვენგანის მეხსიერების ნაწილი მაინც საერთოა: ჩვენ ყველანი იდეალს ვეძებთ სილამაზეში, ცეკვაში, მუსიკაში, ღვთაებაში.

საზოგადოება კი თვითონვე კისრულობს პასუხისმგებლობას იმის გამო, სინამდვილეში როგორ იქნება ეს იდეალები გამოხატული. ჩვენს დროში, მაგალითად, სილამაზის იდეალი გამხდარი, ტანკენარი ქალია, თუმცა, ათასობით წლის წინათ ქალღმერთები ხორცსავსენი და ფუმფულები იყვნენ. ასევე ხდება ბედნიერების გაგებისასაც. არსებობს რაღაც წესების კოდი და თუ არ მიჰყვები მას, შენი ცნობიერება არ აღიარებს, რომ მისი მატარებელი ბედნიერია.

იუნგი ინდივიდუალურ პროგრესს ოთხ ეტაპად ყოფდა. პირველია - „პიროვნება“, ნიღაბი, რომელსაც მუდამ ვატარებთ და გვჯერა, რომ სამყარო ჩვენზეა დამოკიდებული; რომ ჩვენ შესანიშნავი მშობლები ვართ, შვილები კი ვერ გვიგებენ; რომ ჩვენი პატრონები უსამართლოდ გვექცევიან; რომ ყველა ადამიანი ოცნებობს, არასოდეს იმუშაოს და ცხოვრება მოგზაურობაში გაატაროს. ბევრი შეიცნობს, რომ აქ რაღაც შეუსაბამობა იმალება, მაგრამ არ უნდა არაფრის შეცვლა და ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა ამოიგდონ თავიდან ეს აზრი. მხოლოდ ერთეულები ლამობენ, ჩასწვდნენ ამ შეუსაბამობის არსს, რის შედეგადაც „ჩრდილს“ იძენენ.

„ჩრდილი“ - ეს ჩვენი ბნელი მხარეა, რომელიც გვკარნახობს, როგორ უნდა ვიმოქმედოთ, როგორ მოვიქცეთ. პიროვნებიდან განთავისუფლების მსურველნი, ჩვენს სულში სინათლეს ვანთებთ და იქ ვხედავთ აბლაბუდას, სულმოკლეობასა და მეწვრილმანეობას. ჩრდილი იმისთვის არსებობს, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს ჩვენს წინსვლას და, როგორც წესი, იგი ამას აღწევს: ჩვენ სწრაფად ვუბრუნდებით იმ მდგომარეობას, რომელშიც მანამდე ვიმყოფებოდით, სანამ დაეჭვებას დავიწყებდით. ზოგიერთნი მაინც ახერხებენ, გაუძლონ ამ შეჯახებას: „დიახ, მაქვს ნაკლი, მაგრამ მე ღირსეული ადამიანი ვარ და მინდა, წინ მივისწრაფოდე“.

ამ წამში ჩრდილი ქრება და ჩვენ კონტაქტს ვამყარებთ სულთან.

„სულის“ გაგებაში იუნგი არ დებს რაიმე რელიგიურს. ის საუბრობს სამყაროს სულთან, შემეცნების წყაროსთან დაბრუნებაზე. ინსტინქტები უფრო გამახვილებულნი ხდებიან, ემოციები - რადიკალურნი, ნიშნები - ლოგიკაზე უფრო მნიშვნელოვანნი, რეალობის აღქმა - არცთუ ისე განსაზღვრული. ჩვენ ბრძოლას ვიწყებთ იმასთან, რასაც არა ვართ მიჩვეულნი, და ვიწყებთ რეაგირებას ჩვენთვის მოულოდნელი წესით.

და აღმოვაჩენთ, რომ თუკი მოვახერხებთ მუდმივი ენერგიის ამ მძლავრი ნაკადის განსაზღვრული კალაპოტით მიმართვას, მაშინ შევძლებთ მყარი ცენტრის შექმნას,

რომელსაც იუნგი „ბრძენ მოხუცს“ უწოდებს, თუ საუბარია მამაკაცებზე და „დიდ დედას“ - თუკი საუბარია ქალებზე.

ამის სააშკარაოზე გამოტანა საკმაოდ სახიფათოა. როგორც წესი, ვინც ამ ეტაპამდე მიდის, თავის თავს უკვე წმინდანად, წინასწარმეტყველად და სულთა მბრძანებლად მიიჩნევს. დიდი სულიერი სიმწიფეა საჭირო ბრძენი მოხუცისა და დიდი დედის ენერგიასთან ურთიერთქმედებისათვის.

- იუნგი გაგიჟდა, - თქვა ჩემმა მეგობარმა, როცა ჩამომითვალა შვეიცარიელი ფსიქოანალიტიკოსის მიერ აღწერილი ოთხი ეტაპი. - მას შემდეგ, რაც კონტაქტი დაამყარა თავის ბრძენ მოხუცთან, ირწმუნებოდა, ამიერიდან მმართავს სული, რომლის სახელია ფილემონიო.

- ...ბოლოს, ჩვენ ვუახლოვდებით ჭიპის სიმბოლურ მნიშვნელობას. ოთხ ეტაპს გადის არა მარტო ადამიანი, არამედ საზოგადოებაც. დასავლურ ცივილიზაციაში არის პიროვნება, ანუ იდეალები, რომლებიც გვმართავენ.

ცვლილებებთან შეგუების მცდელობისას პიროვნება ურთიერთქმედებს ჩრდილთან: ჩვენ ვხედავთ გრანდიოზულ მასობრივ მანიფესტაციებს, რომლის მსვლელობაშიც კოლექტიური ენერგია შეიძლება სასიკეთოდაც გამოიყენო და სავაგლახოდაც. უეცრად, ამა თუ იმ მიზეზის გამო, პიროვნება ან ჩრდილი აღარ აკმაყოფილებთ ადამიანებს და მაშინ ნახტომისებურად ხდება შეუცნობელი შეერთება სულთან. იწყება ახალი ღირებულებების გაჩენა.

- მე შევამჩნიე ღმერთის ქალური იპოსტასის კულტის აღორძინება.

- მშვენიერი მაგალითია. ამ პროცესის ბოლოს, ახალი ღირებულებების დასამკვიდრებლად, მთელი რასა სიმბოლოებთან იწყებს ურთიერთქმედებას დაშიფრულ ენაზე, რომლის მეშვეობითაც თანამედროვე თაობებს შეუძლიათ, ურთიერთობა იქონიონ უძველეს სიბრძნესთან. აღორძინების ერთ-ერთი ასეთი სიმბოლო არის ჭიპი. შექმნისა და ნგრევის გამგებელი ინდური ღვთაების ვიშნუს ჭიპში ზის ღმერთი, რომელიც განვითარების ყოველ ციკლში განაგებს სამყაროს. იოგები მას ერთ-ერთ ჩაკრად - ადამიანის სხეულის წმინდა წერტილად მიიჩნევენ. პირველყოფილი ტომები ქანდაკებებს ისეთ ადგილებში აგებდნენ, სადაც, მათი აზრით, დედამიწის ჭიპი იმყოფებოდა. სამხრეთ ამერიკელები, ტრანსში ჩავარდნილები ირწმუნებიან, ადამიანი სინამდვილეში მანათობელ კვერცხს წარმოადგენს და სხვა პიროვნებასთან მისი ჭიპიდან გამომავალი განსაკუთრებული ძაფით არის დაკავშირებულიო.

მანდალა - ნახატი, მედიტაციისკენ მასტიმულირებელი ხერხი, - არის ამის სიმბოლური ხორცშესხმა.

დადგენილ ვადას აღარ დავუცადე და ყველა ეს ცნობა ინგლისში გავგზავნე. მივწერე, რომ ქალი, რომელსაც შეუძლია ადამიანების მთელ ჯგუფში გამოიწვიოს ერთნაირი და ერთნაირად აბსურდული რეაქცია, უნდა ფლობდეს კოლოსალურ ენერგიას, და არ გამიკვირდება, თუ შევიტყობ, რომ მას ნაბოძები აქვს პარანორმალური ნიჭი. იქვე დავუმატე, კარგი იქნებოდა ამ ქალის უფრო საფუძვლიანი შესწავლა-მეთქი.

ამის მეტი ამაზე აღარ მიფიქრია და შევეცადე, ყველაფერი დაუყოვნებლივ დამევიწყებინა; ჩემი გოგონა მეუბნებოდა, რა არის, რომ ასე უცნაურად იქცევი, მარტო შენს თავზე ფიქრობ, სულ საკუთარი ჭიპის ცქერაში ხარ გართულიო!

დეიდრა ონილი

იგივე ედა

- ასე არ არის ყველაფერი! მიკვირს, როგორ მოახერხე, ჩაგეგონებინა ჩემთვის, თითქოს რაიმეს სწავლება შემეძლოს?! რაში გჭირდებოდა, დაგემცირებინე სხვების თვალში?! უნდა დავივიწყო შენი არსებობა. ცეკვას რომ მასწავლიდნენ, ვცეკვავდი, ასოების გამოყვანას როცა მასწავლიდნენ, ვწერდი, შენ კი, რაღაც უკუღმართი სიჯიუტით, მთხოვ იმას, რაც ჩემს ძალას აღემატება! აი, ამიტომ ჩავჯექი მატარებელში და მოვედი აქ, რათა დაინახო, როგორ მძულხარ!

ის გაუჩერებლად ტიროდა. „კიდევ კარგი, ბავშვი მშობლებთან დატოვა," გავიფიქრე, რადგან მეტისმეტად ხმამაღლა ლაპარაკობდა, თანაც აშკარად ასდიოდა სპირტის სუნი. ვთხოვე, შინ შემოსულიყო - ჩემი სახლის ზღურბლზე მოწყობილ სკანდალს, არა მგონია, გაეუმჯობესებინა ჩემი გაფუჭებული რეპუტაცია: მეზობლები უამისოდაც ირწმუნებოდნენ, რომ სახლში ქალებს და კაცებს ვღებულობდი და სატანის სახელით გრანდიოზულ ორგიებს ვაწყობდი.

ის კი ადგილიდან მაინც არ იძვროდა და ყვირილს განაგრძობდა:

- ყველაფერში შენ ხარ დამნაშავე! შენ დამამცირე!

გაიღო ერთი ფანჯარა, - მერე მეორე. რას იზამ, ის, ვისაც განზრახული აქვს, გადააბრუნოს სამყარო და დედამიწა მოწყვიტოს თავის ღერძს, მზადაც უნდა იყოს, აიტანოს მეზობლების უკმაყოფილება. მივუახლოვდი ათენას და გავაკეთე სწორედ ის, რასაც ელოდა - მოვეხვიე.

ის კიდევ დიდხანს ტიროდა ჩემს მხარზე. ფრთხილად მოვკიდე ხელი, მივეხმარე კიბეზე ასვლაში და შინ შევიყვანე. მოვუმზადე ჩაი რეცეპტით, რომელსაც არავის ვუმხელ, რადგან ეს ჩემმა მასწავლებელმა გამანდო. ფინჯანი წინ დავუდგი, ათენამ ჩაი ერთბაშად დალია, ასე მანიშნა, რომ ჩემს მიმართ ისევ ჰქონდა ნდობა.

fb.com/groups/elib

- რატომ ვარ ასეთი?

ვიცოდი, რომ ალკოჰოლის მოქმედება გაივლიდა.

- არის მამაკაცი, ვისაც ვუყვარვარ. მყავს შვილი, რომელიც მაღმერთებს და მისაბაძ ადამიანად მიმიჩნევს, მყავს დედობილ-მამობილი, რომლებსაც მშობლებად მივიჩნევ და რომლებიც მზად არიან ჩემთვის თავი გაწირონ. ნამდვილი დედის მოძებნით ჩემი წარსულის ხარვეზებიც შევავსე. მაქვს ფული, რომლითაც სამ წელიწადს შემიძლია უზრუნველად ვიცხოვრო. მაგრამ მაინც უბედური ვარ!

გარიყულად, დანაშაულით დამძიმებულად ვგრძნობ თავს, რადგან ღმერთმა დამანათლა ტრაგედიები, რომლის გადატანაც სასწაულებით შევძელი, სასწაულებით, რომლებსაც ღირსეული ხარკი გადავუხადე. მაგრამ ყველაფერი მეცოტავება! უფრო მეტი მინდა! არ უნდა წავსულიყავი იმ თეატრში და ჩემი გამარჯვებების სიისთვის ეს დამარცხება არ უნდა მიმემატებინა.

- ფიქრობ, რომ არასწორად მოიქეცი?

ის გაინაბა და შეშინებულმა შემომხედა:

- რატომ მეკითხები ამას?

მე ჩუმად ველოდებოდი პასუხს.

- არა, სწორად მოვიქეცი. ერთ ჟურნალისტთან ერთად შევედი დარბაზში და ოდნავი წარმოდგენაც არ მქონდა, რა უნდა გამეკეთებინა. უცებ, ყველაფერმა თითქოს არაფრისგან იწყო წარმოშობა: ვიგრძენი დიდი დედის ჩემ გვერდით ყოფნა, ვიგრძენი, რომ ის მმართავდა, მარიგებდა, თან მაიძულებდა, რომ ჩემი ხმა მტკიცე ყოფილიყო, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ სიმტკიცე მაკლდა.

- აბა, რაღაზე წუხხარ?

- იმაზე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო.

- ნუთუ ეს ასე მნიშვნელოვანია? იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ჩამოქანებულიყავი შოტლანდიაში და სახალხოდ მოგეყენებინა ჩემთვის შეურაცხყოფა?

- რასაკვირველია, მნიშვნელოვანია! თუკი მაქვს ყველაფრის უნარი, თუკი ვიცი, რომ სწორად ვიქცევი, მაშინ რატომ არ უნდა ვგრძნობდე ჩემს მიმართ სიყვარულსა და პატივისცემას?!

აი, რაში ყოფილა საქმე. ხელი გავუყარე და ათენა იმ ოთახში შევიყვანე, სადაც რამდენიმე კვირის წინათ სანთელს უყურებდა. ვთხოვე, დამჯდარიყო და დამშვიდებულიყო, თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩაი აუცილებლად სასიკეთოდ იმოქმედებდა. მერე გავედი ჩემს ოთახში, ავიღე მრგვალი სარკე და ათენას წინ დავდგი.

- შენ ყველაფერი გაქვს. იბრძვი შენი ტერიტორიის თითოეული მტკაველისათვის. ახლა შეხედე შენს ცრემლებს. შეხედე სახეს და დაინახავ, რა ტანჯვაა მასზე აღბეჭდილი. დააკვირდი სარკეში ქალის სახეს და ეცადე, გაუგო მას.

ცოტა ხანს შევიცადე, რათა ათენას მოესწრო, მიჰყოლოდა ჩემს დარიგებას. როცა შევატყვე, ტრანსში ვარდებოდა, გავაგრძელე:

- რა არის ცხოვრების ამოცანა? ჩვენ ამას ვეძახით „წყალობას“, „დალოცვას“. ყველა ცდილობს, დაკმაყოფილდეს იმით, რაც აქვს, ჩემ გარდა. ჩვენ გარდა - ერთი მუჭა ადამიანების გარდა, ვინც, სამწუხაროდ, უნდა გაიღონ გარკვეული მსხვერპლი რაღაც დიდის სახელით.

ჩვენი წარმოსახვა ჩვენს გარემომცველ სამყაროზე უფრო დიდია და ჩვენ გამოვდივართ ჩვენთვის დაწესებული საზღვრებიდან. ძველად ამას ჯადოქრობას ეძახდნენ. კარგია, რომ დრო შეიცვალა, თორემ მე და შენ კოცონზე დაწვა არ აგვცდებოდა. სასჯელები რომ შეწყდა, მეცნიერებამ ამას ახსნა მოუძებნა და „ქალის ისტერიად“ მონათლა, და თუმცა ამ სნეულებას კოცონზე დაწვა აღარ ემუქრება, მაინც ჩნდება მთელი რიგი პრობლემები, განსაკუთრებით - სამუშაოზე.

- ნუ გეშინია, მალე ამას „სიბრძნეს“ დაარქმევენ. ჩაიხედე სარკეში. ვის ხედავ იქ?

- ქალს.

- კიდევ?

ათენა ცოტა შეყოყმანდა. ჩავაჯინდი და ბოლოს პასუხი მივიღე:

- სხვა ქალს, ის ჩემზე ჭკვიანი და გულწრფელია, ეს - სულივითაა, რომელიც მე არ მეკუთვნის, მაგრამ ჩემი არსების ნაწილია.

- დიახ, ასეა. ახლა გთხოვ, წარმოიდგინო ალქიმიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლო - გველი, რომელიც ჭამს საკუთარ კუდს. შეგიძლია წარმოიდგინო?

მან თავი დამიქნია.

- ასე ცხოვრობენ შენი და ჩემი მსგავსი ადამიანები. ისინი მუდმივად ნადგურდებიან და მერე ახლად ჩნდებიან. ასე არის მთელი შენი ცხოვრებაც: მარტოობიდან - შეხვედრამდე, განქორწინებიდან - ახალი სიყვარულისკენ, ბანკის ოფისიდან - უდაბნოსკენ. ერთადერთი რამაა ხელშეუხებელი - ეს შენი შვილია. ის - გზამკვლევი ძაფია მთელი შენი ყოფისა, ამას პატივით მოეპყარი.

ის ისევ ატირდა, მაგრამ ეს უკვე სხვაგვარი ცრემლები იყო.

- შენ ჩემთან იმიტომ მოხვედი, რომ ცეცხლის ალში ქალის სახე დაინახე. იგივე, რაც ახლა - სარკეში. ეცადე, პატივი სცე მას. არ უსმინო სხვების ლაპარაკს, ვინაიდან

რამდენიმე წლის ან ათწლეულების, თუნდაც, საუკუნის შემდეგ, ეს აზრი შეიცვლება. იცხოვრე ამჟამად იმით, რითაც ადამიანები მხოლოდ შორეულ მომავალში იცხოვრებენ.

რა გსურს? გინდა, ბედნიერი იყო? არა, ეს ძალზე უბრალო და მოსაბეზრებელი რამაა. ერთი სიყვარული? ეს შეუძლებელია. აბა, რა გსურს? შენი ცხოვრების გამართლება: გინდა, რომ შენი ცხოვრება რაც შეიძლება სისხლსავსე იყოს. ეს ერთდროულად მახეცაა და ექსტაზიც. ეცადე, ყურადღებით იყო საფრთხის წინაშე; ეცადე, იგრძნო სიხარული იმის გამო, რომ იქეცი იმ ქალად, ვის გამოსახულებასაც სარკეში ხედავ.

ათენამ თვალები დახუჭა, ვიცოდი - ჩემი სიტყვები სულში ჩასწვდა და იქ დიდხანს დარჩებოდა.

- თუ გარისკავ და სწავლებას გააგრძელებ - კარგია! თუ არ გინდა იცოდე, რომ ადამიანების უმრავლესობაზე ბევრად შორს წახვედი.

სხეული მოეღვენთა. მე ხელი შევაშველე, რომ არ დაცემულიყო, მან თავი მკერდზე დამადო და ჩაეძინა.

ვცდილობდი, რაღაც ჩამეჩურჩულებინა, მე ხომ გავლილი მქონდა იგივე ეტაპი და ვიცოდი, რა ძნელია ეს გზა. ასე მეუბნებოდა ჩემი მფარველიც, ეს საკუთარ ტყავზე გამომიცდია. მაგრამ იმიტომ, რომ ეს გამოცდილება ძნელია, ამით სულაც არ ხდება ნაკლებად საინტერესო.

რა არის მისი არსი? ის, რომ იცხოვრო, როგორც ადამიანმა და როგორც ღვთაებამ. დაძაბულობიდან გადადიოდე მოდუნებაში. მოდუნებიდან - ტრანსში. ტრანსიდან - ადამიანებთან ყველაზე სისხლსავსე ურთიერთობაში. აქედან - ისევ დაძაბულობაში და ასე შემდეგ, საკუთარი კუდის მჭამელი გველის მსგავსად.

ეს არ არის ადვილი - უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ისეთ სიყვარულს მოითხოვს, როდესაც აღარაა საშიში არც ტანჯვა, არც დანაკარგი და არც უსიამოვნებანი.

მაგრამ ვინც ერთხელ მაინც იგემებს ამ წყალს, ვეღარასოდეს შეძლებს სხვა წყაროდან წყურვილის მოკვლას.

ანდრეა მაკკეინი

მსახიობი

ერთხელ გეაზე მესაუბრებოდი, საკუთარი თავიდან იშვა, მერე კი უმამაკაცოდ ქვეყნად ვაჟიშვილი მოავლინაო. ამასთან, სრული სიმართლე თქვი, რომ დიდმა

დედამ თანდათანობით ადგილი მამაკაც ღმერთს დაუთმო, მაგრამ დაგავიწყდა ჰერა, შენი საყვარელი ქალღმერთის ერთ-ერთი შვილიშვილი.

ჰერას ღმერთთა არეოპაგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან კავშირი აქვს ადამიანთა პრაქტიკულ საჭიროებებთან. ის მბრძანებლობს ცასა და დედამიწას, წელიწადის ყველა დროსა და ქარიშხლებს. ძველ ბერძნებს თუ დავუჯერებთ, ირმის ნახტომი, რომელსაც ცაზე ვხედავთ - ჰერას მკერდიდან დაღვრილი რძეა. სხვათა შორის, მშვენიერი მკერდიდან, რადგან ყოვლადძლიერი ზევსი ფრინველად მხოლოდ იმიტომ იქცა, რათა მას კოცნისას ჩახუტებოდა და არ ყოფილიყო უარყოფილი.

ჩვენ ერთად ვსეირნობდით ნაითსბრიჯის უზარმაზარ სავაჭრო ცენტრში. მე დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე, რადგან მასთან საუბარი მინდოდა. ათენამ კი აქ მომიწვია - თუმცა უკეთესი იქნებოდა, ჩაი დაგველია ერთად ან სადმე წყნარ, პატარა რესტორანში გვესადილა.

- არ გეშინია, ამდენ ხალხში შენი ბიჭი რომ დაიკარგოს?

- მაგაზე ნუ წუხხარ. გააგრძელე.

- ჰერამ გაუგო ეს ფანდი და აიძულა მასზე დაქორწინებულიყო. თუმცა, ქორწინების შემდეგ მალევე ზევსის - ოლიმპიელი ფლეიბოის გატაცებად ყველა ქალღმერთისა და გზად შემხვედრი ყველა ლამაზი მოკვდავი ქალის მოხიბვლა იქცა. ჰერა მისი ერთგული რჩებოდა; იმის ნაცვლად, რომ მეუღლე დაედანაშაულებინა, ამბობდა, ქალები სხვაგვარად უნდა იქცეოდნენო...

- განა ჩვენ ყველა ასე არ ვიქცევით?

მე გავაგრძელე, თითქოს მისი სიტყვები არც გამეგონოს.

- ...ჯერჯერობით ვერ გადაეწყვიტა, ქმრისთვის სამაგიერო გადაეხადა - ეპოვა ღმერთი ან ადამიანი და თავის საწოლში შეეთრია... ეგებ შევჩერებულიყავით და სადმე ყავა დაგველია?

მაგრამ ათენა უკვე თეთრეულის მაღაზიაში იყო.

- ლამაზია, არა? - მეკითხებოდა და თან მაქმანებით გაწყობილ ხორცისფერ ტრუსსა და ლიფს მიჩვენებდა.

- ძალიან. მაგრამ ეგ რომ ჩაიცვა, ვინმე თუ დაინახავს?

- რასაკვირველია. თუ გგონია, რომ წმინდანი ვარ? ჰო, რას მელაპარაკებოდი ჰერაზე?

- ზევსს შეეშინდა მეუღლის საქციელისა, მაგრამ ჰერა, რაკი დამოუკიდებლობა მოიპოვა, თავის ქორწინებაზე ნაკლებად ფიქრობდა... შენ გყავს საყვარელი?

ათენამ განზე გაიხედა, დარწმუნდა, რომ მისი შვილი არ გვისმენდა და მოკლედ მომიჭრა:

- მყავს.

- არასდროს მინახავს.

მან თეთრეულის კომპლექტის ფასი გადაიხადა და პაკეტი ჩანთაში ჩაიდო.

- ვიორელს ალბათ, მოშივდა, და დარწმუნებული ვარ, არ აინტერესებს ბერძნული მითები. მომიყევი, რა ჩაიდინა ჰერამ.

- ფინალი სულელურია: ზევსს შეეშინდა საყვარელი მეუღლის დაკარგვისა და თავი მოაჩვენა, თითქოს ხელახლა აპირებდა დაქორწინებას. ეს რომ გაიგო, ჰერა მიხვდა, შორს შეტოპა - მას საყვარლების ატანა შეეძლო, მაგრამ გაყრისა - არა.

- ჩვეულებრივი ამბავია.

- ჰერამ ზეიმზე მისვლა და სკანდალის მოწყობა გადაწყვიტა - მხოლოდ ადგილზე მისულმა გაიგო, რომ ზევსი ქანდაკებას სთხოვდა ხელს.

- რა ქნა ჰერამ?

- გადაიხარხარა. ამან ყინული გაალღო და ის კვლავ გახდა ღმერთებისა და ადამიანების დედოფალი.

- მშვენიერია. მსგავსი რამ შენ რომ დაგემართოს...

- რა, მაგალითად?

- შენი ქმარიც სხვას თუ მოიყვანს, გაცინება არ დაგავიწყდეს.

- მე ხომ ქალღმერთი არა ვარ. ისე კი, ნამდვილად ამას არ ვიკმარებ. რატომ არასდროს არ მინახავს შენი შეყვარებული?

- იმიტომ, რომ ძალიან მოუცლელია.

- სად გაიცანი?

- იმ ბანკში ჰქონდა ანგარიში, სადაც ვმუშაობდი. ახლა კი ბოდიში, ვიორელი მელოდება. მართალი ხარ, შეიძლება ამდენ ხალხში დაიკარგოს... მომავალ კვირას ჩემთან, სახლში, რაღაც შეხვედრა ეწყობა, შენ, რასაკვირველია, მოწვეული ხარ.

- მე ისიც ვიცი, ვინ ხელმძღვანელობს ამას.

ათენამ მოჩვენებითი ალერსით დამიკოცნა ორივე ლოყა და წავიდა. ჩემი ქარაგმა მისთვის ალბათ გასაგები უნდა ყოფილიყო.

დღისით კი, თეატრში რომ მივედი, რეჟისორმა მითხრა, აღშფოთებული ვარ, ჯგუფი შეგიდგენია, რომელიც ათენას სახლში უნდა ეწვიოსო. ავუხსენი, ეს იდეა მე კი არა, ჰირონს ეკუთვნის-მეთქი, მას ისე მოეწონა ჭიპთან დაკავშირებული ამბავი, რომ მთხოვა, მსახიობებიდან იქნებ ვინმემ მოისურვოს შეწყვეტილი ლექციის გაგრძელებაო.

- მერე, შენ რა, სულ მის ჭკუაზე დადიხარ?

რასაკვირველია, არა, მაგრამ ამქვეყნად ყველაზე ნაკლებად მისი ათენასთან მარტო გაშვება მსურდა.

მსახიობები უკვე შეიკრიბნენ, რეჟისორმა კი ახალი პიესის კითხვის ნაცვლად, პროგრამის შეცვლა გადაწყვიტა.

- მოდით, დღეს ფსიქოდრამა გავითამაშოთ (ფსიქოდრამა - თერაპიული ჯგუფური პროცესი, როდესაც პაციენტის შინაგანი სამყაროს შესასწავლად, ინსტრუმენტის სანაცვლოდ დრამატული იმპროვიზაცია გამოიყენება. - რედ. შენიშნ).

- შეიძლება, მე დავასახელო თემა?

ყველა მე მომიბრუნდა, რეჟისორი, ეტყობა, ამან გააკვირვა.

- ეს რა - ბუნტია?

- მომისმინეთ. მოდით, შევქმნათ ასეთი სიტუაცია: კაცმა, რომელმაც მრავალი სიძნელე გადალახა, შეძლო, შეეკრიბა ადამიანთა ჯგუფი მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად - ვთქვათ, მოსავალთან დაკავშირებით. ამასობაში, სოფელში გამოჩნდება ვიღაც უცხოელი ქალი: ის ისეთი ლამაზია და ისეთი ლეგენდები დადის მასზე, თითქოს ქალღმერთია და მოკვდავი ქალის გარეგნობა მიიღო; კეთილი კაცის მიერ შედგენილი ჯგუფი უეცრად გაიფანტა და ყველა იმ ქალის შესახვედრად გაეშურა, იმის ნაცვლად, რომ თემის ტრადიციებისათვის აებათ მხარი.

- ამას ხომ არავითარი კავშირი არა აქვს იმ პიესასთან, რაზეც ვმუშაობთ! - წამოიძახა ერთ-ერთმა მსახიობმა ქალმა.

რეჟისორი, სხვათა შორის, მიხვდა ჩემს ჩანაფიქრს.

- მშვენიერი იდეაა. შეგვიძლია, დავიწყოთ, - ჩემკენ შემობრუნებულმა კი დაუმატა: - ანდრეა, შენ იქნები ის უცხოელი. მე კი იმ ყმაწვილკაცის როლს ვითამაშებ, რომელიც საუკეთესო განზრახვით ცდილობს ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების შენარჩუნებას. ჯგუფი შედგება ცოლქმრული წყვილებისაგან - ისინი ერთად დადიან ეკლესიაში, შაბათობით იკრიბებიან და ერთმანეთს ეხმარებიან...

დავსხედით იატაკზე. მოვდუნდით და დავიწყეთ არცთუ ისე ძნელი ვარჯიში: მთავარი პერსონაჟი (ამ შემთხვევაში - მე) ქმნის სიტუაციებს, დანარჩენები კი მათზე რეაგირებენ.

რელაქსაცია რომ შევასრულე, მე ათენად ვიქეცი. წარმოვიდგინე, სატანის მსგავსად როგორ დაქრის მთელ ქვეყანაზე და თავისი სამეფოსათვის ერთგულ ქვეშევრდომებს ეძებს, ამასთან, ღებულობს ყოვლისმცოდნე, ყოველგვარი სიცოცხლის შემქმნელის - გეას - სახეს. თხუთმეტ წუთში შეიქმნა „ცოლ-ქმართა წყვილები“: ისინი ერთმანეთს ეცნობოდნენ და ჰყვებოდნენ გამოგონილ ამბებს: თავიანთ ოჯახებზე, შვილებზე, მეურნეობებზე. საუბრობდნენ ურთიერთგაგებასა და მეგობრობაზე. ვიგრძენი თუ არა, რომ მათი სამყარო შეიქმნა, სცენის კუთხეში დავჯექი და სიყვარულზე დავიწყე ლაპარაკი.

- მაშ, ასე, ჩვენ ვიმყოფებით პატარა სოფელში. თქვენ მე უცხოელი გგონივართ, ამიტომ გაინტერესებთ, რა შეიძლება, გაგანდოთ. თქვენ არასოდეს გიმოგზაურიათ, არ იცით, რა ხდება მთებს გადაღმა, მაგრამ მე შემიძლია, გითხრათ: „აუცილებელი სულაც არ არის, დაამუშაოთ მიწა! ის მაინც მუდამ გულუხვი იქნება თქვენი თემისთვის. უფრო მნიშვნელოვანია, გარდაქმნათ ადამიანის სული. როდესაც ამბობთ, გვიყვარს მოგზაურობაო, არ ხმარობთ სათანადო სიტყვას, რადგან სიყვარული ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულებაა.

გსურთ, მოსავალი უხვი და ბარაქიანი იყოს და ამის გამო შეიყვარეთ მიწა? ახალი სისულელეა: სიყვარული არაა სურვილი, არც შეცნობა, არც აღფრთოვანება. სიყვარული გამოწვევაა, ის უხილავი ცეცხლია. ამიტომ თქვენ ცდებით, თქვენს მხარეში მოხვედრილი უცხოელი რომ გგონივართ. არა, ჩემთვის აქ ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია, რადგან მოვედი ძალმოსილი ცეცხლის ალის გამონაშუქად. წავალ თუ არა, თქვენ ყველანი ისეთები აღარ იქნებით, როგორებიც იყავით. მე ჭეშმარიტი სიყვარულის მატარებელი ვარ, სიყვარულისა, რომელიც სულაც არ ჰგავს წიგნებში წაკითხულსა და ზღაპრად გაგონილს.

ერთ-ერთი ქალის „ქმარმა“ უცნაურად დამიწყო თვალიერება. „ცოლი“ დაიბნა.

რეჟისორმა, უფრო სწორად, თემის თავმა „კეთილმა კაცმა“ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რათა აეხსნა თანამემამულეებისთვის, თუ როგორი მნიშვნელოვანია ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნება, მიწის დამუშავება: უნდა ეთხოვათ მისთვის, რათა ამ წელიწადსაც ისეთივე გულუხვი ყოფილიყო, როგორც ადრე. მე კი დაჟინებით მხოლოდ სიყვარულზე ვლაპარაკობდი.

- ის გარწმუნებთ, რომ მიწას რიტუალები უყვარს? მე კი გპირდებით: თუ ძლიერ გეყვარებათ ერთმანეთი, ბარაქიან მოსავალს აიღებთ, ვინაიდან სიყვარული ყველაფრის გარდამქმნელი გრძნობაა. მაგრამ რას ვხედავ? მეგობრობას. ვნება დიდი ხანია დაშრეტილა და გაუჩინარებულა, რადგან მიჩვეული ხართ ერთმანეთს.

ამიტომაც მიწა თქვენთვის ზუსტად იმდენს გამოიმეტებს, რამდენიც შარშან მოგეცათ. არც იმაზე მეტსა და არც იმაზე ნაკლებს. ამავე მიზეზით სულის ბნელ კუნჭულებში ინახავთ ცხოვრების უსიტყვო სამდურავს, რომ თქვენს ცხოვრებაში არაფერი იცვლება. რატომ? იმიტომ, რომ ცდილობთ, ყველაფერი ყველაფრის გარდამქმნელი ძალით მართოთ. რისთვის? იმისათვის, რომ ძველებურად აბუჩად აღარ აგიგდონ.

„კეთილმა კაცმა“ მიპასუხა:

ჩვენმა თემმა გაძლო იმიტომ, რომ პატივს სცემდა კანონებს და სიყვარულიც ამით იმართებოდა. ის, ვინც ვნებას აჰყვება, არ გაითვალისწინებს საერთო კეთილდღეობას, სიცოცხლეს დარდსა და ძრწოლაში გაატარებს. იმის შიშით, რომ ტკივილს მიაყენებს თავის ადრინდელ რჩეულს და გააბოროტებს ახალ მეგობარს, დაკარგავს ყველაფერს, რაც მანამდე აუშენებია და მოუპოვებია. უცხოელი - თავისუფალი ყოველგვარი ბორკილებისა და წარსულისაგან, - ადვილად ლაპარაკობს, რაც მოეპრიანება. მან არ უწყის, რა სიძნელეები გადავლახეთ, სანამ აქ აღმოვჩნდებოდით, სადაც დღეს ვიმყოფებით; არ იცის, რა მსხვერპლი გავიღეთ ჩვენი ბავშვების გამო. ვერ ხვდება, რომ მუხლჩაუხრელად იმიტომ ვშრომობთ, რათა მიწამ გულუხვობა გამოიჩინოს, ჩვენს სახლებში მშვიდობა დამყარდეს და შავი დღისთვის სურსათის მარაგი გვქონდეს.

ერთი საათის განმავლობაში ვიცავდი ყოვლისმშთანთქმელ ვნებას, „კეთილი კაცი“ კი ლაპარაკობდა იმ გრძნობაზე, მშვიდობასა და მყუდროებას რომ მოაქვს. ბოლოს გაჩუმდა. ყველა გარს შემოეხვია. გამეფებულ სიჩუმეში მხოლოდ ჩემი ხმა ისმოდა.

ჩემი როლი რწმენითა და აღფრთოვანებით შევასრულე, მაგრამ ჩემი განსახიერებული უცხოელი სტუმარი მაინც ისე წავიდა სოფლიდან, რომ ვერავინ აიყოლია.

მე კი ამის გამო ძალიან, ძალიან გახარებული ვიყავი.

ჰირონ რაიანი

ჟურნალისტი

ერთი ჩემი ძველი მეგობარი ხშირად ამბობდა: „ცოდნის მეოთხედს მასწავლებლებისგან ვღებულობთ, მეოთხედს - საკუთარი თავის მოსმენით, მეოთხედს მეგობრები გვჩუქნიან, კიდევ ერთ მეოთხედს კი - განვლილი წლებიო“. მაგრამ იმ დღეს, როცა პირველად შევიკრიბეთ ათენას სახლში, რათა მას თეატრში შეწყვეტილი ლექცია დაესრულებინა, ყველა ჩვენგანი ვსწავლობდით... მერწმუნეთ, მიძნელდება ამის თქმა.

დიასახლისმა და მისმა შვილმა პატარა, თეთრ, ცარიელ სასტუმრო ოთახში მიგვიღეს, სადაც მხოლოდ ტუმბოები იდგა, ზედ მუსიკალური ცენტრითა და კომპაქტ-დისკებით. ბიჭის იქ ყოფნამ გამაკვირვა - მას, ალბათ, მობეზრდება-მეთქი, - გავიფიქრე და დავიწყე ლოდინი, რომ ათენა ლექციას შეწყვეტილი ადგილიდან გააგრძელებდა. მაგრამ მას თურმე სულ სხვა განზრახვა ჰქონდა: გამოგვიცხადა, ჩავდებ დისკს, რომელზედაც ციმბირული მუსიკაა ჩაწერილი და თქვენ, უბრალოდ, მოისმინეთო.

მეტი არაფერი.

- მედიტაცია ჩემზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენს, - თქვა მან, - სასაცილოა იმის ყურება, როგორ სხედან ადამიანები თვალდახუჭულნი, პირზე ღიმილდაფენილები, სერიოზული სახეებით, ქედმაღლური გამომეტყველებით ჩაღრმავებიან, კაცმა არ იცის, რას, - უფრო სწორად, არაფერს და სავსებით დარწმუნებულნი არიან, რომ კონტაქტს ამყარებენ ღმერთთან ან ქალღმერთთან. ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ერთად მოვუსმენთ მუსიკას.

ისევ მომეჩვენა, რომ ათენა სულ არ უწევდა ანგარიშს თავის მოქმედებას. მასთან თავი მოეყარა თითქმის მთელ დასს, რეჟისორის მეთაურობით. ანდრეას თუ დავუჯერებდი, რეჟისორი აქ მტრის ბანაკის მსტოვრად იყო მოსული.

მუსიკა დადუმდა.

- ახლა იცეკვეთ, მაგრამ ისეთი რიტმით, რასაც არავითარი კავშირი არ ექნება მელოდიასთან.

მან ხელახლა ჩადო დისკი, ხმას აუწია და მისი სხეული არცთუ ისე მოხდენილად ამოძრავდა. დამსწრეთაგან მის მაგალითს მიჰბაძა მხოლოდ ერთმა ხანდაზმულმა მსახიობმა, რომელიც პიესაში მთვრალი მეფის როლს თამაშობდა. სხვები არც განძრეულან. - ყველა რაღაც უხერხულობას გრძნობდა, ერთ-ერთმა მსახიობმა ქალმა საათზე დაიხედა, ჯერ სულ რაღაც ათი წუთი იყო გასული.

ათენა გაჩერდა, ყველას თვალი მოავლო.

- რას უდგახართ?

- მე... მე მგონია, სისულელეა ამის გაკეთება... - მოკრძალებით თქვა ერთ-ერთმა მსახიობმა ქალმა, - ჩვენ ხომ ჰარმონიის მიღწევას ვცდილობთ და არა - პირიქით.

- მაინც გააკეთეთ, რასაც გეუბნებით. გსურთ, თეორიული დასაბუთება? კი ბატონო: ცვლილებები ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იმის საპირისპიროდ მივდივართ, რასაც მიჩვეულნი ვართ.

„მეფეს“ მიუბრუნდა.

- თქვენ რატომ გადაწყვიტეთ, ტაქტს აუყოლიებლად ცეკვა?

- ძალიან უბრალოდ - საერთოდ არ გამაჩნია რიტმის გრძნობა.

ყველამ გაიცინა და მტრობის ღრუბლები გაიფანტა.

- რას იზამ, დავიწყებ თავიდან, თქვენ კი შეგიძლიათ, ან მომბაძოთ, ან წახვიდეთ - ამჯერად მე გადავწყვეტ, როდის დავამთავრებ ლექციას. ყველაზე აგრესიული რამ, რაც შეიძლება, ადამიანმა ჩაიდინოს, ისაა, რომ სილამაზის წინააღმდეგ წავიდეს. სწორედ ამით ვართ ახლა დაკავებულნი. ჩვენ ცუდად უნდა ვიცეკვოთ. ჩვენ, ყველამ!

ეს მხოლოდ მორიგი ვარჯიში იყო და დიასახლისი უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩაგვეყენებინა, ყველანი დავემორჩილეთ. ჩემს თავს ვებრძოდი, არ ავყოლოდი დასარტყამ საკრავთა ამ შესანიშნავ, მომაჯადოებელ რიტმთა ცდუნებას. მეჩვენებოდა, რომ თავს ვესხმოდი მელოდიის შემსრულებელ მუსიკოსებს და მის შემქმნელ კომპოზიტორს. მაგრამ ჩემი სხეული გამუდმებით ეწინააღმდეგებოდა ამ დისჰარმონიას და იძულებული იყო, ჩემს ნება-სურვილს დამორჩილებოდა. ჩვენთან ერთად ცეკვავდა ვიორელიც, თან გულიანად იცინოდა, მაგრამ უცებ გაჩერდა და იატაკზე დაჯდა - მეტისმეტად დიდ ძალისხმევად დაუჯდა მას ეს ცეკვა.

შუა აკორდზე მუსიკა შეწყდა.

- დაიცადეთ.

ჩვენც ვიცდიდით.

- ახლა ვაკეთებ ისეთ რამეს, რაც ადრე არასოდეს გამიკეთებია.

ათენამ თვალები დახუჭა და სახეზე ხელები მიიფარა.

- მე არასოდეს მიცეკვია ურიტმოდ.

ეტყობა, ეს გამოცდა მისთვის გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე ყველა ჩვენგანისთვის.

- ცუდად ვარ...

ყველანი, რეჟისორის ჩათვლით, წამოვხტით. ანდრეამ გაშმაგებით შემომხედა, მაგრამ მაინც მივიდა ათენასთან. სანამ ის ხელს შეახებდა, ათენამ ყველას გვითხრა, დავბრუნებულიყავით ჩვენ-ჩვენს ადგილზე.

- ვინმეს სურს აზრის გამოთქმა? – დასუსტებული ხმა უკანკალებდა, სახეზე კვლავინდებურად ხელები ჰქონდა დაფარებული.

- მე მინდა.

ეს ანდრეა იყო.

- ოღონდ, ჯერ ჩემი ბიჭი აიყვანე და უთხარი, რომ კარგად ვარ... ცოტა ხანს ასე მინდა, ვიყო...

ვიორელი, მართლაც, შეშინებული ჩანდა. ანდრეამ მუხლებზე დაისვა და დამშვიდება დაუწყო.

- რა გინდოდა, გეთქვა?

- არაფერი. გადავიფიქრე.

- ბავშვმა გაიძულა, გადაგეფიქრებინა. გააგრძელე.

ათენამ ხელები ნელა მოიშორა სახიდან, თავი ასწია, მის სახეს ვეღარ იცნობდით.

- აღარა მსურს.

- როგორც გენებოს. შენ კი, - მიანიშნა მოხუც მსახიობს, - ხვალვე წადი ექიმთან, მთელ ღამეს რომ არ გძინავს და წარამარა დადიხარ ტუალეტში - ეს სერიოზული ამბავია. შენ პროსტატის კიბო გაქვს.

მსახიობი გაფითრდა.

- შენ კი, - ახლა რეჟისორს მიუბრუნდა, - გაარკვიე შენი ორიენტაცია. ნუ გეშინია, თავს გამოუტყდი, რომ მამაკაცები გიზიდავენ.

- რას ამბობ!..

- ნუ მაწყვეტინებ. ამას ათენას გამო არ გეუბნები. მე მხედველობაში მაქვს შენი სექსუალური ორიენტაცია. შენ გიყვარს მამაკაცი და ამაში ცუდი არაფერია.

როგორ უნდა გავიგოთ „ათენას გამო“, თვითონ ხომ ათენა არის?

- შენ კი, - უკვე მე მეუბნება, - მოდი ჩემთან. უფრო ახლოს! დაიჩოქე.

მეშინოდა ანდრეას გაბრაზებისა, მრცხვენოდა დანარჩენებისა, მაგრამ მაინც დავემორჩილე.

- თავი დაღუნე. კეფაზე ხელი მომაკიდებინე.

ვგრძნობდი, თითებით ოდნავ როგორ მაწვებოდა თავზე - მეტს არაფერს. ერთ წუთზე ნაკლები იყო გასული, რომ მიბრძანა, ავმდგარიყავი და ჩემს ადგილს დავბრუნებოდი.

- აღარასოდეს დაგჭირდება ძილის წამლები. დღეიდან დაივიწყებ, რა არის უძილობა.

მე ანდრეას შევხედე, ვიფიქრე, რაიმე რეპლიკას წამოიძახებს-მეთქი, მაგრამ ჩემზე უარესად ის იყო გაშტერებული.

ხელი ასწია ახალგაზრდა მსახიობმა გოგონამ.

- შეიძლება მე?.. მაგრამ მინდა, ვიცოდე, ვის მივმართავ?

- აია-სოფია დამიძახე.

- მინდა, გკითხოთ...

ასაკით დასში ის ყველაზე უმცროსი იყო. დარცხვენით მოავლო თვალი იქ მყოფთ, რეჟისორმა ანიშნა, გაეგრძელებინა.

- მინდა გკითხოთ, კარგად არის თუ არა დედაჩემი?

- ის შენ გვერდითაა. მან ისე მოახერხა, რომ გუშინ სახლიდან გასვლისას ჩანთა დაგვიწყებოდა. უკან დაბრუნდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შინ ვერ შეხვიდოდი - გასაღები შიგნით დაგრჩენოდა. მთელი ერთი საათი დაგეკარგა ზეინკლის ძებნაში, არადა, დანიშნული გქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრა ადამიანთან, ვისაც შეეძლო, კარგ სამუშაოზე მოეწყე. მაგრამ თუ ისე მოხდებოდა, როგორც შენ ვარაუდობდი, ნახევარი წლის შემდეგ ავიაკატასტროფაში დაიღუპებოდი. დავიწყებულმა ჩანთამ შენი ცხოვრება შეცვალა.

გოგონა ატირდა.

- ვის სურს კიდევ შეკითხვა?

რეჟისორმა ხელი ასწია.

- იმ კაცს თუ ვუყვარვარ?

მაშასადამე, მართალი ყოფილა?! დავიწყებულმა ჩანთის ამბავმა დიდი ემოცია გამოიწვია.

- ეს არასწორი კითხვაა. თქვენ სხვა რამის გაგება გნებავთ - შეგიძლიათ თუ არა, ისე შეიყვაროთ, როგორც მას სჭირდება? არა აქვს მნიშვნელობა, რა გამოვა აქედან. გქონდეთ ნიჭი იმისა, რომ გიყვარდეთ - ეს უკვე საკმარისია. ის თუ არ იქნება, იქნება ვიღაც სხვა. ვინაიდან თქვენ აღმოაჩინეთ წყარო, გადააგორეთ ქვა და ამოხეთქილი ჭავლი წალეკავს თქვენს სამყაროს. ნუ ეცდებით, შორს დაიჭიროთ თავი, რათა ხედავდეთ, როგორ განვითარდება მოვლენები და ნურც წინასწარ ირწმუნებთ, რომ თქვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი სწორი იქნება. რასაც გასცემთ - იმას მიიღებთ, თუმცა, ხანდახან არა იქიდან, საიდანაც ელოდებით.

ეს სიტყვები მეც მეხებოდა. ათენა - თუ ვიღაც უცნობი ქალი - ანდრეას მიუბრუნდა.

- შენ?

ვიგრძენი, სისხლი როგორ გამეყინა ძარღვებში.

- მოემზადე იმისათვის, რომ დაკარგავ შენ მიერ შექმნილ სამყაროს.

- რა არის „სამყარო“?

- ეს ისაა, რასაც შენ უკვე არსებულად მიიჩნევ. შენ შებორკე შენი სამყარო, მაგრამ იცი, რომ ის უნდა გაათავისუფლო. ვიცი, გესმის, რაზეც გელაპარაკები, თუმცა, აჯობებდა, ეს არასოდეს გსმენოდა.

- გასაგებია.

დარწმუნებული ვიყავი, ჩემზე იყო საუბარი. ნუთუ ათენამ ეს სპექტაკლი ჩემ გამო მოაწყო?

- ამით ვამთავრებ, - წარმოთქვა მან, - მომიყვანეთ ბავშვი.

დედის სახეცვლილებით შეშინებული ბავშვი გაძალიანდა, მაგრამ ანდრეა მოეფერა, ხელი ჩაჰკიდა და დედას მიჰგვარა.

ათენამ - თუ აია-სოფიამ, თუ შერინმა, არა აქვს მნიშვნელობა, რა ერქვა, - ბიჭს კეფაზე ხელი მოუსვა ზუსტად ისე, როგორც მე - რამდენიმე წუთის წინათ.

- ნუ შეგეშინდება, შვილო, იმისა, რაც აქ ნახე. ნუ ეცდები, უკუაგდო ის, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, თავისით გაივლის. ეცადე, რაც ძალა შეგწევს, მოუხმო ანგელოზებს. ახლა შენ გეშინია, მაგრამ ისე არა, როგორც უნდა გეშინოდეს, რადგან ამ ოთახში ჩვენ მარტონი არა ვართ. შენ შეწყვიტე სიცილი და ცეკვა, როცა დაინახე, როგორ მოვეხვიე დედაშენს და ვთხოვე, ნება დაერთო, მისი ბაგეებით მელაპარაკა. იცოდე, რომ მან ამის ნება დამრთო - სხვაგვარად არაფერი არ გამოვიდოდა. მე ყოველთვის სინათლის სახით ვჩნდებოდი, ახლაც იმად ვრჩები, მაგრამ დღეს გადავწყვიტე ავლაპარაკებულიყავი.

ბავშვი დედას მოეხვია.

- შეგიძლიათ, წახვიდეთ. დამტოვეთ მასთან მარტო.

ჩვენ კარისკენ გავემართეთ. დარჩა დედა-შვილი. ტაქსიში ვცადე ანდრეასთან დალაპარაკება, მაგრამ მან მთხოვა - თუ აუცილებლად გინდა ჩემთან საუბარი, ნუ შეეხები იმას, რაც ახლახან ჩვენ თვალწინ მოხდაო.

მეც გავჩუმდი. სული სავსე მქონდა კაეშნით - ანდრეას დაკარგვა ძალიან ძნელი იქნებოდა ჩემთვის, - ამასთან, საოცარი სიმშვიდეც ვიგრძენი: ახლახან მომხდარმა ამბავმა ყველაფერი შეცვალა, გამათავისუფლა საეჭვო სიამოვნებისგან, გამოვტეხოდი ქალს, რომელიც ასე მიყვარდა, რომ სხვაზე ვიყავი შეყვარებული.

ასე რომ, ამ შემთხვევაში გაჩუმება ვამჯობინე. შინ რომ დავბრუნდით, მე ტელევიზორი ჩავრთე, ანდრეა აბაზანაში შევიდა. თვალები დავხუჭე, როცა გავახილე, ოთახი სინათლით იყო სავსე - აღმოჩნდა, ათ საათს მძინებოდა. ანდრეას

წერილი დაეტოვებინა - არ მინდოდა, გამეღვიძებინე, თეატრში წავედი, ყავა მოგიდუღეო... წერილი რომანტიკულად იყო მორთული პატარა გულებით და სქლად შეღებილი ტუჩების ანაბეჭდით.

მივხვდი, ის სულაც არ აპირებდა „თავის სამყაროს“ დათმობას უბრძოლველად. ის საბრძოლველად ემზადებოდა. ჩემი ცხოვრება კი ნამდვილ ჯოჯოხეთს ემსგავსებოდა.

მოსაღამოებულზე ანდრეამ დამირეკა. მისი ხმა ძველებურად ჟღერდა. მომითხრო, რომ მოხუცი მსახიობი ექიმთან იყო და წინამდებარე ჯირკვლის ანთება აღმოაჩნდაო. სისხლის ანალიზმა აჩვენა პსა-ს შემადგენლობის მომატება (პსა - პროსტატული სპეციფიკური ანტიგენი, ცილის ბუნების ნივთიერება, რომელიც წინამდებარე ჯირკვლის უჯრედებში გამომუშავდება). ბიოფსია უნდა გაიკეთოს, მაგრამ, კლინიკური სურათის მიხედვით, ავთვისებიანი სიმსივნის დიდი ალბათობაა.

- ექიმმა უთხრა: ბედი გქონია, ვითარება ყველაზე არაკეთილსასურველი ვარიანტით რომც განვითარდეს, შესაძლოა ოპერაციის გაკეთება, რის შედეგადაც სრული გამოჯანმრთელების შანსი 100-დან 99%-მდე გაქვსო.

დეიდრა ონილი

იგივე ედა

რომელი აია-სოფია?! ის ისევ ადრინდელი ათენა იყო, მაგრამ ათენა, რომელიც შეეხო იმ მდინარის სიღრმეს, სულში რომ გადის, ანუ კავშირი დაამყარა დედასთან.

მან ჩაიხედა სხვა რეალობაში და ნახა, რაც იქ ხდებოდა - ეგ არის და ეგ. ახალგაზრდა მსახიობის დედა მოკვდა და იმყოფება იქ, სადაც დრო არ არსებობს, ამიტომაც შეუძლია ვითარების ვექტორის გადაწევა. ჩვენ, ცოცხლები კი, აწმყოს შეცნობით შემოვიფარგლებით. სხვათა შორის, ეს არც ისე ცოტაა: ხრწნადი ავადმყოფობის გამოცნობა, სანამ უფრო შორს წავიდოდეს, ნერვულ ცენტრზე შეხებით ენერგიის გათავისუფლება - ეს ყველაფერი ჩვენ შეგვიძლია.

რა თქმა უნდა, ბევრი დაიწვა კოცონზე, ბევრს გაძევება ელოდა, ბევრი იმალებოდა და თავიანთ სულში დიდი დედის ნაპერწკალი ჩააქრეს. მე ათენა არასოდეს შემიგულიანებია, კონტაქტი დაემყარებინა ძალმოსილთან. ეს თვითონ გადაწყვიტა, ვინაიდან დედამ ნიშანი მისცა - ხან სინათლის სახით მოევლინა, როცა ათენა ცეკვავდა, ხან ასოებად გადაქცევით, როდესაც ის კალიგრაფიას სწავლობდა, ხან სანთლის შუქში ეჩვენებოდა, ხან - სარკის სიღრმეში. ჩემმა მოწაფემ არ იცოდა, როგორ შესთვისებოდა მას, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ მისი ერთი საქციელის გამო ერთმანეთს არ წაეწყო მთელი ეს ამბები.

ათენა ყველას და ყოველთვის უმტკიცებდა სხვად გადაქცევის აუცილებლობას, მაგრამ, არაფრით განსხვავდებოდა სხვა მოკვდავთაგან. ის ცხოვრებაში თავისი რიტმით, ასე ვთქვათ, „კრეისერული სიჩქარით“ მოძრაობდა. სხვებზე უფრო ცნობისმოყვარე იყო? შესაძლებელია. უნარი შესწევდა გადაელახა თავისი ცხოვრებისეული სიძნელეები და არ დათანხმებულიყო მსხვერპლად მიეჩნია თავისი თავი? უეჭველად. განიცდიდა იმის აუცილებლობას, რომ სხვებისთვისაც გაეზიარებინა შეძენილი ცოდნა - იქნებოდნენ ისინი ბანკის თანამშრომლები თუ მსახიობები - ამას ხან თვითონ სჩადიოდა, ხან მე ვუბიძგებდი ამისკენ, რადგან ადამიანი მარტოობისთვის არ არის მოწოდებული და საკუთარი თავის სხვისი თვალით მაცქერალი უკეთესად სწვდება თავის არსს.

ამით ამოიწურებოდა ჩემი ჩარევა.

ვინაიდან იმ საღამოს დედამ თავად მოისურვა, უჩინრად გამოსცხადებოდა ათენას და, შესაძლებელია, რაღაც ამდაგვარი რამ ჩასჩურჩულა: „...წადი ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც იცი და რაც შეგიძლია. შენ გასაოცრად ფლობ რიტმს - გააკეთე ისე, რომ მან შენს სხეულზე გაიაროს, მაგრამ არ დაემორჩილო“. ამიტომაც სთხოვა ათენამ მსახიობებს ამ ვარჯიშის შესრულება: მისი სფერო შეუცნობლად უკვე მზად იყო დედასთან ურთიერთობისათვის, მაგრამ თავად ის მუდამ ერთსა და იმავე ტალღაზე იყო მომართული, და ეს გარეგნულ ელემენტებს არ აძლევდა გამოვლენის შესაძლებლობას.

მეც რაღაც ამდაგვარი დამემართა. ყველაზე საუკეთესო ხერხი მედიტაციაში ჩასაღრმავებლად, სინათლესთან კონტაქტის დასამყარებლად, ქსოვაა. ქსოვა კი ჯერ კიდევ ბავშვობაში მასწავლა დედამ. შემეძლო, თვლების დათვლით, ჩხირების მოძრაობით, ამ ერთფეროვანი ჰარმონიის განმეორებით შემექმნა ლამაზი რამეები. მაგრამ ერთხელ ჩემმა მფარველმა მთხოვა, სულ სხვანაირად მექსოვა - უაზროდ, არარაციონალურად! რაკი ნასწავლი მქონდა და მიჩვეული ვიყავი მოთმინებით, აკურატულად, მუყაითად მუშაობას, ეს ჩემთვის ალესილი დანასავით იყო. მაგრამ მფარველმა მაიძულა, ეს საძაგელი სამუშაო შემესრულებინა.

ორსაათიანი თავის ტკივილით გაბრუებულს, ეს სისულელედ და უაზრობად მეჩვენებოდა, ვერ წარმომედგინა, ჩხირებს როგორ უნდა ემართათ ჩემი ხელები და არა - პირიქით. რატომ უნდა მოეთხოვათ ჩემგან ის, რაც ყველას არ შეუძლია? იმიტომ, რომ მან იცოდა - შეპყრობილი ვიყავი გეომეტრიული სიზუსტისა და სრულყოფილების ჟინით.

და, აი, ერთხელ ანაზდად ასე მოხდა - ჩხირები გაირინდნენ, მე რაღაც საშინელი შინაგანი სიცარიელე ვიგრძენი, ამასთან, მაშინვე ავივსე თბილი, სიყვარულით სავსე, სურნელოვანი, გულითადი თანაყოფნით. ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა და ისეთი რამეების თქმა მომინდა, რის თქმასაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში ვერ გავბედავდი.

არა, მე იგივე დავრჩი, თუმცა - დავუშვათ ასეთი პარადოქსი - უკვე აღარ ვიყავი ის ადამიანი, რომელიც ამდენ ხანს უჩინარ გარსში ცხოვრობდა.

საკუთარი გამოცდილებით აღჭურვილს, შემიძლია, „დავინახო“, რა მოხდა იმ საღამოს: ათენას სული მუსიკის ხმებს მიჰყვებოდა, მისი სხეული კი სააწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ სული მოსცილდა სხეულს და დედამ შეძლო ღია სივრცეში შეღწევა.

უფრო სწორად - იქ გაჩნდა დედის ნაპერწკალი. უხნესი, მაგრამ ახალგაზრდა იერიანი, ბრძენი, მაგრამ არა - ყოვლისშემძლე. განსაკუთრებული, მაგრამ ყოველგვარ ქედმაღლობას მოკლებული. შეიცვალა სამყაროს აღქმა და მან შეიძინა იმავეს დანახვის უნარი, რასაც ოდესღაც ბავშვობაში არჩევდა - ესაა ამ ადამიანთა სამყაროს პარალელური დასახლების დანახვის უნარი. ასეთ წუთებში ჩვენ შეგვიძლია არა მხოლოდ ადამიანის ფიზიკური გარსის, არამედ მათი გრძნობების დანახვაც. ამბობენ, - და მე მჯერა ამისი, - ასეთ თვისებებს ფლობენ კატებიც.

მატერიალურ და სულიერ სამყაროებს შორის არის ფარდისმაგვარი რაღაც, რომელიც იცვლის ფერს, სიმტკიცეს და განათებას. მისტიკოსები მას „აურას“ უწოდებენ. როდესაც ეს ფარდა მოიხსნება, ყველაფერი უბრალოვდება: აურა გვიყვება ყველაფერზე, რაც ხდება. იმ საღამოს შემთხვევით ათენასთან რომ მივსულიყავი, ის ჩემი სხეულის ირგვლივ დაინახავდა რამდენიმე დიდ ყვითელლაქიან იისფერ ნათებას, და ეს იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ წინ კიდევ დიდი გზა მიდევს; რომ ჯერ არ შემისრულებია ამქვეყნად ჩემი დანიშნულება.

არის კიდევ რაღაც, რასაც ადამიანები „აჩრდილებს“ უწოდებენ. ასე იყო იმ ახალგაზრდა მსახიობის დედის შემთხვევაში. სხვათა შორის, ერთადერთი შემთხვევა, როცა ბედი უნდა შეცვლილიყო. მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ გოგონამ, სანამ კითხვას დასვამდა, მანამდე იცოდა, რომ დედა მის გვერდით იყო. ერთადერთი, რამაც გააკვირვა - ჩანთის ამბავია.

ათენას სტუმრები, სანამ რიტმისა და ტექსტის საწინააღმდეგო ცეკვას დაიწყებდნენ, უხერხულობას გრძნობდნენ. რატომ? იმიტომ, რომ მიეჩვივნენ „ყველაფერი აკეთონ, როგორც წესი და რიგია“, არავის არ მოსწონს მარცხი და შეცდომები, განსაკუთრებით, როცა ჩვენ თვითონ ვაცნობიერებთ რომ შეცდომა დავუშვით. არავის არ მოსწონს და არც ათენაა გამონაკლისი: მისთვის ძნელი იყო ისეთი წინადადების შეთავაზება, რაც მისთვის ძვირფასს ეწინააღმდეგებოდა.

ძალიან მიხარია, რომ იმ წამში დედამ გაიმარჯვა. ერთი კიბოს გადაურჩა, მეორემ, ბოლოს და ბოლოს, გაარკვია თავისი სექსუალური ორიენტაცია, მესამემ შეძლო ძილის წამლების გადაყრა. ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ ათენამ დაანგრია ჩვეული რიტმი და იმ წამს დაამუხრუჭა, როცა უკიდურესი სისწრაფით მიქროდა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

დავუბრუნდეთ ჩემს ქსოვას: ამ საქმიანობით ერთხანს კიდევ ვსარგებლობდი, სანამ არ ვისწავლე ჩემში ამ თანაყოფნის გამოწვევა ისე, რომ არ მიმემართა რაიმე ხრიკისთვის. მე იგი ვცანი და შევეჩვიე. ასევე დაემართა ათენასაც - როგორც კი შევიტყობთ, სად იმყოფება „აღქმის კარიბჭე“, ძნელი აღარაა მისი გაღება. ეგ არის მხოლოდ, საჭიროა ჩვენს „უცნაურ“ საქციელთან შეგუება.

ისღა დამრჩენია, დავამატო, რომ ამის შემდეგ უფრო სწრაფად და უკეთესად დავიწყე ქსოვა. ისევე, როგორც ათენამ - ბარიერების დანგრევის შემდეგ - ცეკვას შემატა სული და გრაცია.

ანდრეა მაკკეინი

მსახიობი

ამ ამბავმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა - ის ტყის ხანძარივით გავრცელდა. რეპეტიციებიდან და სპექტაკლებიდან თავისუფალ დროს ყველანი ათენას სახლში ვიყრიდით თავს, თან მეგობრებიც მიგვყავდა. ის კვლავ გვაიძულებდა, გვეცეკვა ისე, რომ ყურადღება არ მიგვექცია რიტმისთვის და არ ავყოლოდით ტაქტს. თითქოს კოლექტიური ენერგია აია-სოფიასთან შესახვედრად სჭირდებოდა. მისი ბიჭი ახლაც აქ იყო და მას ყურადღებას მე ვაქცევდი. ბავშვი დივანზე დაჯდა თუ არა, მუსიკა შეწყდა და დაიწყო ტრანსი.

შემდეგ ამას კითხვები მოჰყვა. როგორც მოსალოდნელი იყო. პირველი სამი კითხვა სიყვარულს ეხებოდა - იცხოვრებს იგი ჩემთან თუ არაო, ვუყვარვარ თუ არაო, ხომ არ მღალატობსო. ათენა დუმდა, მეოთხემ, უპასუხო შეკითხვის შემდეგ, მაინც დაუწყო გამოკითხვა:

- მაინც, რა ხდება - მღალატობს თუ არა?

- მე - აია-სოფია - მსოფლიო სიბრძნე ვარ. მე შევქმენი სამყარო მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის დახმარებით. მე ვარ საწყისის საწყისი, ჩემამდე არაფერი არსებობდა, ქაოსის გარდა.

ამიტომ, თუ რომელიმე თქვენგანს სურს მმართველობა, ქაოსის დაძლევა და მასზე გამარჯვება, ნურაფერს მკითხავთ. ჩემთვის სიყვარული ყველაფრის საწყაოა. ის არ შეიძლება, სასურველი იყოს - იმიტომ, რომ თავის თავში ატარებს თავის დასასრულს. არ შეუძლია ღალატი, რადგან უცხოა მისთვის რაიმეს ფლობა. არ შეიძლება სიყვარულის ძალით დაკავება, ვინაიდან მდინარესავით ლახავს ყველა დაბრკოლებას. იმას, ვისაც სურს სიყვარულზე მბრძანებლობა, გადაეკეტება მისი

მასაზრდოებელი წყარო და მერე ნუღარ იწუწუნებს, რომ წყალი, რომლის შეგროვებასაც მოახერხებს, დამყაყებული აღმოჩნდება.

მან თვალი მოავლო ყველა დამსწრეს - მათი უმრავლესობა აქ პირველად იყო, და დაიწყო იმის ჩამოთვლა, რაც მათ თვალებში ამოიკითხა: ავადმყოფობის შიში, პრობლემები სამუშაოზე, ბავშვებთან უთანხმოება, სექსუალურობა, განუხორციელებელი შესაძლებლობანი, გამოუყენებელი ნიჭი. მახსოვს, როგორ მიმართა ოცდაათიოდე წლის ქალს:

- მამაშენმა თავი გამოგიჭედა, როგორ უნდა მართო საქმე, როგორ უნდა გეჭიროს თავი. ყოველთვის ცხოვრობდი შენი ოცნებების საწინააღმდეგოდ, არასოდეს გამოგიმჟღავნებია შენი „მინდა“, მას ცვლიდა „საჭიროა“, „აუცილებელია“, ანდა - ლოდინი. შენ ხომ შესანიშნავად მღერი, ერთი წლის მეცადინეობით შეგიძლია შეცვალო შენი ბედი.

- მე ქმრიანი ვარ... ბავშვი მყავს.

- ათენასაც ჰყავს ვაჟიშვილი. შენი ქმარი თავიდან წინააღმდეგი კი წავა, მაგრამ მერე ამას მიიღებს აუცილებლობად. და საჭირო სულაც არ არის, იყო აია-სოფია, რათა ეს იწინასწარმეტყველო.

- გვიანია ჩემთვის სიმღერის სწავლა..

- თვითონვე უარს ამბობ, შენი თავი მიიღო ისეთად, როგორიც სინამდვილეში ხარ. ეს უკვე ჩემი საქმე არ არის. მე ჩემი სათქმელი გითხარი.

ყველა, ვინც კი ამ პატარა ოთახში იდგა - რადგან დასაჯდომი არსად იყო, - ოფლში იწურებოდა, თუმცა ჯერ კიდევ ზამთარი იყო: ისინი, ვისაც თავიდან ყველაფერი სრულ უაზრობად მიაჩნდათ, რიგრიგობით ღებულობდნენ რჩევა-დარიგებებს აია-სოფიასგან.

მე სულ ბოლო ვიყავი.

- თუ გინდა, დარჩი, რათა შენი არსი ორად აღარ იყოფოდეს.

დღეს ვიორელი არა მჭერია ხელში - ის ინტერესით უყურებდა ყველაფერს და მომეჩვენა, რომ წინა შეხვედრისას დედის ნათქვამი სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა, რათა შიში დაეძლია.

მე თავი დავუქნიე. ეს შეხვედრა არ ჰგავდა პირველ შეხვედრას, როცა, მისი თხოვნით, ყველანი წავედით და შვილთან მარტო დავტოვეთ, ამჯერად აია-სოფია რიტუალის დასასრულამდე იძლეოდა რჩევა-დარიგებებს.

- თქვენ აქ იმიტომ არ ხართ, რათა მიიღოთ ერთმნიშვნელოვანი პასუხები; ჩემი დანიშნულება ისაა, რომ გაგიღვიძოთ კითხვების დასმის სურვილი. ძველად

მმართველნი და ქვეშევრდომნი ეკითხებოდნენ წინასწარმეტყველებს, სთხოვდნენ მომავლის გამოცნობას. მაგრამ მომავალი თავქეიფა და ცვალებადია, ვინაიდან მას მართავს ამ წუთას, აწმყოში მიღებული გადაწყვეტილებები. შეუჩერებლივ ატრიალეთ პედალი, რადგან ველოსიპედი თუ გაჩერდა, გადმოვარდებით.

ახლა ისინი, ვინც იატაკზე სხედხართ, ისინი, ვინც აია-სოფიასთან მხოლოდ სასიამოვნო და საჭირო ჭეშმარიტების დასადასტურებლად მოხვედით, გთხოვთ, აქ აღარ მოხვიდეთ. ბედისწერა ულმობელია იმ ადამიანების მიმართ, ვისაც სურს იცხოვროს უკვე არარსებულ სამყაროში.

ახალი სამყარო სიყვარულთან ერთად მოვლენილ ცის, მიწისა და წყლის გამყოფ დიდ დედას ეკუთვნის. ვინც იწამა, რომ დამარცხდა, ყოველთვის დამარცხებული იქნება. ვინც გადაწყვიტა, რომ სხვაგვარად აღარ შეუძლია მოქმედება, რუტინით განადგურდება. ვინც წინ აღუდგება ცვლილებებს, ფერფლად იქცევა. დაწყევლილნი იქნებიან ისინი, ვინც არ ცეკვავენ და სხვებსაც უშლიან ცეკვას!

მას თვალები უელავდა.

- ახლა წადით.

ყველა კარისკენ გაემართა, ზოგი დაბნეული იყო. ისინი ნუგეშისცემისთვის მოვიდნენ და ლამის შეურაცხყვეს. ისინი მოვიდნენ იმის გასაგებად, როგორ ემართათ სიყვარული, ამის ნაცვლად ის მოისმინეს, რომ ყოვლისმშთანთქმელი ცეცხლი არასდროს შეწყვეტს გარშემო ცეცხლის გაჩენას. მათ სურდათ საკუთარი საქციელის სისწორის დადასტურება - ვინაიდან მათი ცოლები, ქმრები და უფროსები მათით კმაყოფილნი იყვნენ - ამის მაგივრად, კი ეჭვები ჩაუნერგეს.

თუმცა ზოგიერთი იღიმებოდა. მათ შეიცნეს, რა მნიშვნელოვანი ყოფილა ცეკვა, და ახლა, უეჭველია, ამ საღამოდანვე ისინი უფლებას მისცემდნენ თავს, მთელი სულით და გულით მინდობოდნენ ცეკვას - თუნდაც ამისთვის, როგორც ხდება ხოლმე, ფასი გადაეხადათ.

ოთახში დავრჩით მხოლოდ ბავშვი, აია-სოფია, ჰირონი და მე.

- შენთან მარტოს მინდოდა მელაპარაკა.

ჰირონმა ხმაამოუღებლად აიღო თავისი პალტო და ოთახიდან გავიდა.

აია-სოფია მომჩერებოდა. ჩემს თვალში იგი თანდათან ათენად იქცა. მხოლოდ ერთი ხერხი არსებობს ამ გარდაქმნის ასაწერად: წარმოიდგინეთ რაღაცით გულნატკენი და განაწყენებული ბავშვი. მაგრამ აი, ის მშვიდდება და იმის კვალობაზე, სიბრაზე როგორ წყვეტს მისი სახის ნაკვთების დამახინჯებას, გვეჩვენება, რომ ჩვენ წინაშე სრულიად სხვა არსებაა. ადრინდელი კი სადღაც ჰაერში გალღვა გულისხმიერებადაკარგულ გრძნობასთან ერთად.

ის ძალზე დაქანცული ჩანდა.

- ჩაი მომიმზადე!

მბრძანებლობს კიდეც! ახლა ვხედავდი არა მსოფლიო გონების განსახიერებას, არამედ ქალს, ვისითაც გატაცებული თუ არა, ძალზე დაინტერესებული იყო ჩემი საყვარელი.

გადავწყვიტე, რომ ჩაის მომზადება არ შემილახავდა თავმოყვარეობას, შევედი სამზარეულოში, ავადუღე წყალი, მოვხარშე გვირილა და დავბრუნდი ოთახში. ვიორელს დედის მკლავებზე ეძინა.

- შენ მე არ მოგწონვარ.

მე ხმა არ ამომიღია.

- არც მე მომწონხარ, - განაგრძო მან, - შენ კარგი გარეგნობა გაქვს, ელეგანტური ხარ, გაქვს მსახიობის დიდი ნიჭი, ვერც კულტურით, ვერც განათლებით ვერ შეგედრები, თუმცა ჩემმა ოჯახმა თავის დროზე ამაზე დიდი ენერგია დახარჯა. ამავე დროს ამპარტავანიც ხარ, ეჭვიანი და შენ თავში დაურწმუნებელი. როგორც აია-სოფიამ თქვა, შენში ერთდროულად ორი არსებაა შერწყმული.

- არ მეგონა, თუ დაიმახსოვრებდი ტრანსის დროს წარმოთქმულ სიტყვებს, რადგან ამ შემთხვევაში შენშიც ორი არსებაა - ათენა და აია-სოფია.

- შეიძლება, ორი სახელი მქვია, მაგრამ მე ერთიანი ვარ. ანდა ჩემში განსხეულებულია ქვეყნიერებაზე არსებული ყველა ადამიანი. ამიტომაც ის ნაპერწკალი, რომელიც ტრანსის დროს ინთება ჩემში, ზუსტ მითითებებს მაძლევს. დიახ, მე თითქმის უგრძნობლად ვარ ხოლმე, მაგრამ ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვები მოდის ჩემს სიღრმეში არსებული რაღაც უჩინარი წერტილიდან, თითქოსდა დიდ დედას გამოვეკვებო თავისი რძით - იმით, რაც ჩვენი სულებიდან მოდის და რაც მთელ პლანეტაზე ავრცელებს ცოდნას.

წინა კვირას, როცა ახალ თვისებაშეძენილმა პირველად დავამყარე მასთან კონტაქტი, პირველი, რაც მითხრა, სრულ სისულელედ მომეჩვენა; მან მიბრძანა, მესწავლებინა შენთვის.

ცოტა შეიცადა და დაუმატა:

- რა თქმა უნდა, ვიფიქრე, რომ ვბოდავდი, რადგან შენ მიმართ არავითარ სიმპათიას არ ვგრძნობდი.

ისევ გაჩუმდა. ამჯერად - დიდი ხნით.

- მაგრამ დღეს წყარომ იგივე გამიმეორა. ასე რომ, არჩევანი შენზეა.

- რატომ უწოდებ მას აია-სოფიას?

- ეს ჩემი იდეა იყო. ეს არის სახელი წიგნში ნანახი წარმოუდგენლად ლამაზი მეჩეთისა. თუკი გსურს, შეგიძლია ჩემი მოწაფე გახდე. ეგებ ამ სწრაფვამ მოგიყვანა აქ? ჩემი ცხოვრების მთელი ეს ახალი ვითარება, აია-სოფიას აღმოჩენის ჩათვლით, იქიდან დაიბადა, რომ ერთხელ მოხვედი ჩემს კართან და მითხარი: „მე მსახიობი ვარ, ვდგამთ პიესას ღმერთის ქალური სახის შესახებ. ერთ-ერთი ჩემი მეგობარი ჟურნალისტისგან შევიტყვე, რომ უდაბნოში და ბალკანეთში ყოფილხართ, ბოშებს შეხვედრიხართ. შეგიძლიათ, კონსულტაცია გამიწიოთო?“

- ყველაფერს მასწავლი, რაც თავად იცი?

- ყველაფერს, იმასაც, რაც არ ვიცი. მე გასწავლი მოვლენებში ჩაწვდომასაც. ასე გითხარი ჩვენი პირველი შეხვედრისას და ახლაც გიმეორებ. მას შემდეგ კი, როცა გასწავლი, რასაც საჭიროდ მივიჩნევ, ორივე ჩვენგანი თავ-თავის გზას გაჰყვება.

- მერე შეგიძლია, ასწავლო იმას, ვინც არ მოგწონს?

- შემიძლია, მიყვარდეს და პატივს ვცემდე იმას, ვინც არ მომწონს. ორჯერ, როცა ტრანსში ჩავვარდი, გავარჩიე შენი აურა - არასოდეს შემხვედრია ასეთი ძლიერი აურა. შენ შეგიძლია, შეცვალო ეს სამყარო, თუკი მიიღებ ჩემს წინადადებას.

- აურის გარჩევასაც მასწავლი?

- თვითონაც არ ვიცოდი, რომ ამ უნარს ვფლობდი, სანამ პირველად არ მოხდა ეს. თუ ამ გზას გაჰყვები - შენთვის ეს გზაც ხსნილი იქნება.

მივხვდი, რომ მეც შემეძლო, მყვარებოდა ადამიანი, რომელიც არ მომწონდა, და ვუთხარი: „დიახ“.

- მაშინ, მოდი, შენი თანხმობა რიტუალად ვაქციოთ. რიტუალი გადაგიყვანს იდუმალ სამყაროში, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იმასთან, რაც იქ იმყოფება, ხუმრობა არ შეიძლება. არ კმარა დამეთანხმო და თქვა - „დიახ“. აუცილებელია საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, ამასთან, დაუფიქრებლად. თუ შენ მართლაც ისეთი ხარ, როგორადაც წარმომიდგენიხარ, შენ არ დაიწყებ: „მინდა, ცოტა მოვიფიქროო“. შენ იტყვი...

- მე მზად ვარ. მოდი, დავიწყოთ. შენ სად ისწავლე ეს რიტუალი?

- მე ახლა ვსწავლობ. აღარ მჭრდება ჩემი ჩვეული რიტმის დანგრევა ჩემში დიდი დედის ნაპერწკლის გასაღვივებლად - უკვე ვიცი კარი, რომელიც უნდა გავაღო, თუმცა იგი დაკეტილია. მხოლოდ ის მინდა, რომ დუმდე.

ისევ დუმილი!

ჩვენ გავირინდეთ, როგორც სასიკვდილო ორთაბრძოლის წინ. ერთმანეთს არ ვაშორებდით ფართოდ გახელილ თვალებს. რიტუალები! ზოგიერთ მათგანს მე ჯერ კიდევ მანამ ვასრულებდი, სანამ ათენას კარის ზარს თითს დავაჭერდი. ყველაფერს ვაკეთებდი იმის გამო, რათა, ბოლოს და ბოლოს, ცოტათი მაინც მივახლოვებოდი იმ კარს, რომელიც ყოველთვის ჩემი მხედველობის არეში იმყოფებოდა, მაგრამ რომლის გაღება არ შემეძლო. რიტუალები!

ათენამ სულ ცოტა მოსვა ჩემი მომზადებული ჩაი.

- რიტუალი შესრულებულია, გთხოვე, რაღაც გაგეკეთებინა ჩემთვის და შენ ეს გააკეთე. ახლა შენი ჯერია, მთხოვე რამე.

პირველად აზრად ჰირონი მომივიდა, მაგრამ ეს აზრი თავიდან მოვიშორე - მაგის დრო არ იყო!

- გაიხადე.

მას არ უკითხავს, რატომო. დახედა თავის შვილს, დარწმუნდა, რომ ეძინა და მაშინვე შეუდგა სვიტერის გახდას.

- არ გინდა, - შევაჩერე იგი, - თავადაც არ ვიცი, ეს რატომ გთხოვე.

მაგრამ ის მაინც განაგრძობდა გახდას. გაიხადა ბლუზა, ჯინსი, ლიფი - ამ მკერდზე უფრო ლამაზი მკერდი ჯერ არ მენახა. ბოლოს ტრუსიც გაიხადა და ისე გაიმართა, თითქოს თავის სიშიშვლეს მთავაზობდა.

- დამლოცე, - წარმოთქვა ათენამ.

დავლოცო ჩემი „მასწავლებელი“? მაგრამ პირველი ნაბიჯი გადადგმული იყო და შუა გზაზე შეჩერება არ შეიძლებოდა - თითები ჩაიში დავისველე და სხეულზე ვაპკურე.

- როგორც ეს მცენარე იქცა სასმელად, როგორც ეს წყალი შეერია ბალახს, ასევე გლოცავ და ვთხოვ დიდ დედას, არასოდეს დაშრეტილიყოს წყარო ამ წყლისა, რათა დედამიწა, რომლისგანაც აღმოცენდება ეს მცენარე, მუდამ გულუხვი და ნაყოფიერი იყოს.

თვითონაც გამიკვირდა, საიდან მოვიტანე ეს სიტყვები: ისინი ჩემს ბაგეებს კი არ წყდებოდნენ, არც გარედან ისმოდა. თითქოს ყოველთვის ვიცოდი ეს სიტყვები, თითქოს უამრავჯერ დამელოცოს.

- შეგიძლია, ჩაიცვა.

მაგრამ ის შიშველი იდგა და ტუჩებზე გესლიანი ღიმილი დაჰფენოდა. რა უნდა? თუ აია-სოფია აურას ხედავს, უნდა იცოდეს - მე არავითარი მიდრეკილება არა მაქვს ერთსქესიანი სიყვარულისკენ.

- ერთი წუთით.

მან ხელში აიყვანა მძინარე შვილი, საძინებელ ოთახში გაიყვანა და მაშინვე უკან დაბრუნდა.

- შენც გაიხადე.

ვინ მთხოვს ამას? აია-სოფია, რომელიც მელაპარაკებოდა ჩემს ძლიერ პოტენციაზე, აია-სოფია, ვისი გულმოდგინე მოწაფეც ვიყავი? თუ ჩემი ნახევრად ნაცნობი ათენა, ვინც, ეტყობა, ყველაფერს იკადრებს, ვისაც ცხოვრებამ ასწავლა, რომ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შესაძლოა და მართებულიც - ყოველგვარი ჩარჩოდან გამოსვლა?

მაგრამ ჩვენ ორთაბრძოლა დავიწყეთ, სადაც უკან დახევა არ შეიძლებოდა, და მეც თავისუფლად და იოლად, მისგან თვალმოუშორებლად, სახეზე ღიმილშენარჩუნებულმა გავიხადე ტანსაცმელი.

მან ხელზე ხელი მომკიდა და დივანზე დავსხედით.

შემდგომ ნახევარ საათში გამოჩნდნენ ათენა და აია-სოფია: მათ სურდათ, გაეგოთ, როგორი იქნებოდა ჩემი შემდგომი ნაბიჯი. და იმის მიხედვით, როგორ და რას მეკითხებოდნენ, შევიგნე, რომ ყველაფერი მართლაც ჩაწერილი იყო აქ, ჩემში. კარი კი ნიადაგ იმიტომ იყო დაკეტილი, რომ მე ვერ შევიცან: ამქვეყნად არავის ჰქონდა მისი გაღების ნება. ეს შემეძლო მხოლოდ მე. მე ერთადერთს.

ჰირონ რაიანი

ჟურნალისტი

რედაქციის მდივანი ვიდეოკასეტას მაწვდის და მივდივართ იქ, სადაც მის ნახვას შევძლებთ.

ის გადაღებული იყო 1986 წლის 26 აპრილს. ფირზე აღბეჭდილია ჩვეულებრივი ქალაქის ნორმალური ცხოვრება. მამაკაცი კაფეში მაგიდას მისჯდომია, ქუჩაში დედა-შვილი მიდის. შეფიქრიანებული გამვლელი სამუშაოზე მიიჩქარის. ორიოდე ადამიანი ავტობუსის გაჩერებაზე დგას. მოედანი. სკამი. კაცს გაზეთი უჭირავს.

მაგრამ აი, ეკრანზე გამოჩნდა ჰორიზონტალური ხაზები. ვდგები, რათა თითი დავაჭირო ღილაკს, მაგრამ მდივანი მაკავებს.

- არაფერია. გააგრძელეთ ყურება.

ერთმანეთს ცვლის პროვინციული ქალაქის კადრები. არაფერია ღირსშესანიშნავი, ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრებაა.

- შესაძლებელია, ამ ადამიანებიდან ვიღაცამ იცის აქედან ორი კილომეტრის მანძილზე მომხდარი კატასტროფის შესახებ. შესაძლოა, ისიც იციან, რომ ოცდაათი კაცი დაიღუპა. ეს - ბევრია, მაგრამ არასაკმარისი იმისათვის, რათა ქალაქის მცხოვრებლების მყუდროება დაარღვიოს.

ეკრანზე სკოლის ავტობუსებია. ისინი ადგილზე დიდხანს რჩებიან. ძალზე საძაგელი გამოსახულებაა.

- არა, ეს დაზიანებული ფირი არაა, ეს რადიაციაა. ეს ვიდეო გადაიღო კგბ-მ, საბჭოთა კავშირის საიდუმლო პოლიციამ.

26 აპრილს ღამით, 1:25 წუთზე უკრაინის ქალაქ ჩერნობილში საშინელი ტექნოგენური კატასტროფა მოხდა. აფეთქდა ატომური ელექტროსადგურის ერთ-ერთი რეაქტორი და რადიაციის დონემ ოთხმოცდაათჯერ გადააჭარბა იმას, რაც ხიროსიმაში იყო. საჭირო იყო მოსახლეობის დაუყოვნებლივი ევაკუაცია, მაგრამ ამ ამბავზე ხმაც არ ამოუღიათ, რადგან ხელისუფლება, როგორც ცნობილია, „შეცდომებს“ არ უშვებს. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, ადგილობრივი გაზეთის უკანასკნელ გვერდზე მოთავსებული იყო ხუთსტრიქონიანი შენიშვნა, სადაც, მიზეზის დაუსახელებლად, იუწყებოდნენ ატომური ელექტროსადგურის ოპერატორების სიკვდილს. ზუსტად იმ დღეს მთელ საბჭოთა კავშირში აღნიშნავდნენ პირველ მაისს და უკრაინის დედაქალაქ კიევშიც ხალხი დემონსტრაციაზე გამოვიდა. მათ არ იცოდნენ, რომ ჰაერი უხილავი სიკვდილით იყო განზავებული.

მდივანმა დაასრულა:

- მინდა, იქ წახვიდეთ და გააკეთოთ რეპორტაჟი ჩერნობილში განვითარებული მოვლენების შესახებ. დღეიდან სპეციალური კორესპონდენტი ხართ, თქვენი ანაზღაურება 20 პროცენტით გაიზრდება და უფლება გეძლევათ, სტატიის ჟანრი თვითონვე შემოგვთავაზოთ.

სიხარულით უნდა მეხტუნა, მე კი საშინელმა ნაღველმა შემიპყრო, რაც უნდა დამეფარა. აბა, ხომ ვერ დავიწყებდი იმის ახსნა-განმარტებას, რომ ჩემს ცხოვრებაში ორი ქალი იყო, რომ არ შემეძლო ლონდონის მიტოვება და რომ საფრთხეში ვაგდებდი სიცოცხლესაც და სულიერ წონასწორობასაც. ვკითხულობ, როდის უნდა გავფრინდე-მეთქი, პასუხი მესმის - რაც შეიძლება მალე, რადგან ხმები დადის, რომ სხვა ქვეყნები მნიშვნელოვნად ზრდიან ატომური ენერგიის წარმოებასო.

მაინც ვნახულობ თავის დასაძვრენს: ჯერ სპეციალისტებისგან მინდა კონსულტაციების მიღება, საკითხის არსის საფუძვლიანი შესწავლა და როგორც კი ყველა აუცილებელი მასალა მექნება, დაუყოვნებლივ წავალ-მეთქი.

შეფი მეთანხმება - ხელს მართმევს და მილოცავს დაწინაურებას. ანდრეასთან ლაპარაკს ვერ ვახერხებ. შინ ვბრუნდები, ანდრეა კი ისევ თეატრშია. ძილი მართმევს თავს. დილით რომ ვიღვიძებ, მაგიდაზე მხვდება ანდრეას ალერსიანი წერილი და ყავა.

მივდივარ სამსახურში და ვცდილობ შეფის, „ჩემი ცხოვრების ხარისხის ამმაღლებლის“, გახარებას, ვურეკავ ატომური ენერგეტიკისა და ბირთვული ფიზიკის სპეციალისტებს. ირკვევა, რომ მთელ მსოფლიოში ეს კატასტროფა პირდაპირ 9 მილიონ ადამიანს შეეხო, მათ შორის 3-4 მილიონი ბავშვია. პირველ ოცდაათ დაღუპულს, ჯონ გოფმანსის აზრით, მოჰყვა 475 ათასი ადამიანი, რომელებიც დაავადდნენ კიბოს განუკურნებელი ფორმით. ერთი ამდენი გადარჩა, მაგრამ დაინვალიდდნენ.

ორი ათასამდე ქალაქმა და სოფელმა არსებობა შეწყვიტა. ბელორუსიის ჯანმრთელობის სამინისტროს პროგნოზის თანახმად, 2005 წლიდან 2010 წლამდე მოსალოდნელია ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი დაავადებულთა რიცხვის მკვეთრი მატება. კიდევ ერთმა ექსპერტმა ამიხსნა, რომ გარდა ამ 9 მილიონისა, ვინც უშუალოდ განიცადა დასხივება, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კიდევ 65 მილიონი ადამიანი დაზარალდა რადიაციით მოწამლული პროდუქტითა და წყლით.

ეს სერიოზული ამბავია, რომელიც სერიოზულ მიდგომას საჭიროებს. საღამოთი რედაქციის მდივანს შევატყობინე, რომ ჩერნობილის მონახულებას ავარიის წლისთავისათვის შევძლებდი, მანამდე კი მოვიძიებდი მასალებს, მოვუსმენდი ექსპერტების აზრს და ვნახავდი, რა ზომებს მიიღებდა ბრიტანეთის ხელისუფლება. შეფი დამეთანხმა.

ვურეკავ ათენას, მან იმდენჯერ მითხრა, ჩემი შეყვარებული სკოტლანდ-იარდში მსაუხრობსო, რომ ახლა, ბოლოს და ბოლოს, დადგა დრო მისთვის დახმარება მეთხოვა, მით უმეტეს, საიდუმლო გრიფი კატასტროფის მასალებს უკვე მოხსნილი აქვს და სსრკ აღარ არსებობს. ათენა დამპირდა, რომ მოელაპარაკებოდა თავის „მეგობარს“, მაგრამ გამაფრთხილა, წარმატების იმედს ვერ მოგცემო.

მერე მითხრა, ხვალ შოტლანდიაში მივემგზავრები და მხოლოდ ჯგუფის შესაგროვებლად ჩამოვალო.

- რა ჯგუფის?

ჯგუფისო, მპასუხობს ის. ნუთუ ყველაფერი ეს მისი ცხოვრების მუდმივ გზად იქცა? როდისღა შევხვდებით, როდის ვისაუბრებთ და გავარკვევთ ყველაფერს.

მან ტელეფონი გათიშა. შინ დავბრუნდი. მარტომ ვივახშმე. ახალ ამბებს ვუყურე, მერე ანდრეასთან წავედი თეატრში. სპექტაკლი ჯერ არ იყო დასრულებული, რომ, ჩემდა განსაცვიფრებლად, სცენაზე იმ ქალში ძლივსღა ვიცანი ის, ვისთანაც თითქმის ორი

წელი ვცხოვრობდი. მის მოძრაობაში ჩანდა რაღაც მომაჯადოებელი, მის წარმოთქმულ სიტყვებს კი არაჩვეულებრივი ძალა შეეძინათ. გულჩათხრობილი მივჩერებოდი ამ უცნობ ქალს და ვხვდებოდი, რომ მსურდა, ის ჩემ გვერდით ყოფილიყო. გამახსენდა: ის ხომ ისედაც ჩემ გვერდით იყო!

- როგორ ჩაიარა შენმა საუბარმა ათენასთან? - ვეკითხები შინ მიმავალი.

- კარგად. რა ამბავია შენს სამსახურში?

არ უნდა, რომ მიპასუხოს. თემას ცვლის. მე მოვუყევი ჩემი დაწინაურების, ჩერნობილში მივლინების ამბები, მაგრამ ის უინტერესოდ მისმენდა. მომეჩვენა, რომ ძველ სიყვარულს ვკარგავდი, ახალი კი ჯერ ვერ მოვიხელთე, თუმცა, ყველაფერი ძველი ჩვეულების მიხედვით ხდებოდა: დაბრუნებისას შხაპის ერთად მიღება შემომთავაზა. მერე კი საწოლში აღმოვჩნდით. მაგრამ მანამდე მან მთელი ხმით ჩართო ათენასთან მოსმენილი რიტმული მუსიკა და მიბრძანა, მეზობლებზე ნუ შეწუხდები - ადამიანები ისედაც ძალზე შეწუხებულნი არიან თავიანთი ახლობლების გამო და ამიტომ ცხოვრობენ ასე დაძაბულებიო.

ის, რაც შემდეგ მოხდა, ჩემთვის აუხსნელი დარჩა. ნუთუ ქალმა, რომელიც არნახული, ველური ვნებით მესიყვარულებოდა ხოლმე, ბოლოს და ბოლოს, თავისი სექსუალურობის ნამდვილი ბუნება შეიცნო და ამაში მას სხვა ქალი დაეხმარა?

ის, ჩემთვის მანამდე უცნობი, გაშმაგებით ჩამებღაუჭა და ერთსა და იმავეს მიმეორებდა:

- დღეს მე შენი მამაკაცი ვარ, შენ კი - ჩემი ქალი.

ასე გრძელდებოდა თითქმის ერთ საათს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისეთი რამ შევიცან, რასაც ადრე ვერასდროს წარმოვიდგენდი. რაღაც წამებში შემრცხვა და თავი ძლივს შევიკავე, მეთხოვა, შეჩერებულიყო, მაგრამ ის მაინც არ მომისმენდა, რადგან ამას შეგნებულად აკეთებდა. მე ისღა დამრჩენოდა, დავმორჩილებოდი, რადგან არჩევანი არ მქონდა. სამაგიეროდ, ეს ძალზე საინტერესო იყო.

საბოლოოდ მე დავიქანცე, ანდრეა კი - ენერგით იყო აღსავსე.

- სანამ დაიძინებდე, მინდა, იცოდე, თუ წინ წახვალ, სექსი ნებას მოგცემს, ტრფიალებით დაუკავშირდე ღმერთსაც და ქალღმერთსაც. დღეს ეს შენს თავზე გამოსცადე. ახლა დაიძინე. იცოდე, მე შენში მთვლემარე დედა გავაღვიძე:

მინდოდა, მეკითხა: „ეს ათენამ გასწავლა-მეთქი?“, მაგრამ თავი შევიკავე.

- გამოტყდი - ამ ღამეს მოგეწონა ქალად ყოფნა.

- მომეწონა. არ ვიცი, შემდეგ როგორ იქნება, მაგრამ დღეს შიშსაც ვგრძნობდი და სიხარულსაც.

- აღიარე, ყოველთვის გსურდა, განგეცადა ის, რაც დღეს განიცადე.

მაინც სულ სხვაა - დაემორჩილო მკლავებში მოქცეულ ანდრეას, როცა მაგრად ჰყავხარ ჩაბღუჯული და სულ სხვაა - გულგრილად გაარჩიო შთაბეჭდილება. მე გავჩუმდი, თუმცა ვიცოდი, პასუხი მისთვის ისედაც ნათელი იყო.

- მაშ ასე, ეს ყველაფერი იყო ჩემში, რაზედაც არც კი ვეჭვობდი, - თქვა მან, - მქონდა, აგრეთვე, ნიღაბი, რომელიც დღეს მომცილდა სცენაზე ყოფნისას. შენ არ შეგიმჩნევია რაიმე განსაკუთრებული?

- რა თქმა უნდა. რაღაც არაჩვეულებრივ შუქს ასხივებდი.

- ეს ქარიზმაა. ღვთიური ძალა, რომელიც ქალებშიც ვლინდება და მამაკაცებშიც. ზებუნებრივი სიძლიერეა, რომელიც არავის არ უნდა უჩვენო, რადგან ის ყველაზე უგრძნობლებზედაც კი მოქმედებს. მაგრამ იგი ვლინდება მხოლოდ გაშიშვლების შემდეგ. მოვკვდებით სამყაროსთვის და აღვდგებით საკუთარი თავისთვის. გუშინ საღამოს მე მოვკვდი. დღეს, სცენაზე გამოსვლისას, მივხვდი, რომ ზუსტად ვახორციელებ ჩემს არჩევანს და აღვსდექი ფერფლიდან.

ყოველთვის ვცდილობდი, თავისთავადი ვყოფილიყავი, ვცდილობდი, მაგრამ არ გამომდიოდა. მუდამ მსურდა, ჩემ ირგვლივ მყოფებზე შთაბეჭდილება მომეხდინა. მსურდა ჭკვიანური საუბარი, რომ არ გამენაწყენებინა მშობლები და, ამასთან, როგორ ეშმაკობას არ მივმართავდი, ოღონდ სასურველი საქმის გაკეთება შემძლებოდა. გზას ყოველთვის სისხლითა და ცრემლით ვიკაფავდი, მთელი ძალით მქონდა დაძაბული ნებისყოფა - გუშინ კი მივხვდი, რომ არასწორად ვიქცეოდი. ჩემს ოცნებას ეს არ სჭირდება: ის მხოლოდ მინდობას თხოულობს, და თუ აღმოჩნდება, რომ ვიტანჯები - კბილი კბილს უნდა დავაჭირო, იმიტომ რომ, ტანჯვა გაივლის.

- მე რატომ მეუბნები ამას?

- მოიცადე. იმ გზით სიარულისას, რომელზედაც ტანჯვა ერთადერთ წესად გვეჩვენება, მე ვიბრძოდი, ვიბრძოდი იმისათვის, რაც ბრძოლად არა ღირს. ეს სიყვარულივითაა: ის ან არის, ან არ არის და მას ვერავითარი ძალით ვერ გააღვიძებ.

ჩვენ შეიძლება, თავი ისე დავიჭიროთ, ვითომ გვიყვარს. შეიძლება, ერთმანეთს შევეთვისოთ. შეიძლება, ვგრძნობდეთ მეგობრულ, ნათესაურ კავშირს, ყველაფერში ერთსულოვანნი ვიყვეთ, შეიძლება, ოჯახიც შევქმნათ, ყოველღამე სექსი გვქონდეს და სიამოვნებასაც ვღებულობდეთ, მაინც, სულერთია - მუდმივად გრძნობ იმედგაცრუებას, სიცარიელეს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის უკმარისობას. მაშ, რისთვის შევისწავლე ასე დაწვრილებით ქალისა და მამაკაცის დამოკიდებულება. რა საჭიროა თავის მტვრევა იმისათვის, რაც არ ღირს ასეთ ძალდატანებად?.. მათ შორის - შენ გამოც.

და დღეს, როცა მე და შენ ვსიყვარულობდით, როცა მე მთლად დავიხარჯე და ვგრძნობდი, რომ შენც მთელი ძალით იყავი მონდომებული, უცებ მივხვდი, ეს მოწადინება აღარ მაინტერესებდა. ამ ღამეს შენთან გავატარებ, დილით კი წავალ. ჩემი საიდუმლო - თეატრია. იქ შემიძლია გამოვხატო და განვავითარო ის, რაც მსურს.

მე მწველ სინანულს განვიცდიდი იმიტომ, რომ ტრანსილვანიაში გავემგზავრე და იქ გადავეყარე ქალს, რომელმაც შეძლო ჩემი ცხოვრების დანგრევა, ვნანობდი, რომ პირველი „ჯგუფი“ შევუკრიბე და რომ რესტორანში სიყვარულში გამოვუტყდი. ამ წუთში ათენა მძულდა.

- ვიცი ახლა რასაც ფიქრობ, - წარმოთქვა ანდრეამ, - გგონია, რომ შენმა მეგობარმა საბოლოოდ გამომაცალა ტვინი, მაგრამ ცდები.

- მე მამაკაცი ვარ, თუმცა დღეს საწოლში ქალივით ვიქცეოდი. მე წარმომადგენელი ვარ გადაშენების გზაზე დამდგარი ტომისა, რადგან იშვიათად შემხვედრია ჩემი მსგავსი. ცოტა ვინმე თუ წავიდოდა ასეთ რისკზე.

- ეჭვიც არ მეპარება და ეს მხოლოდ აძლიერებს ჩემს აღფრთოვანებას. მაგრამ ნუთუ არ მკითხავ, ვინ ვარ, რა მინდა, რას ვეძიებ?

მეც ვკითხე.

- ყველაფერი უცებ მინდა, მინდა სინაზეც და მხეცური საქციელის ჩადენაც. მსურს მეზობლების შეშფოთება, რათა მერე მათ დამშვიდებას შევეცადო. საწოლში კი ქალები არ მჭირდება. მინდა მამაკაცები, ნამდვილი მამაკაცები - ისეთები, როგორიც, მაგალითად, შენ ხარ. დაე, ვუყვარდე ვინმეს და ჩემით სარგებლობდნენ, ამას არა აქვს მნიშვნელობა, - ჩემი სიყვარული ამაზე მეტია. მინდა, მიყვარდეს თავისუფლად და ყველას, ვინც ჩემ გარშემოა, ნება დავრთო, ასევე მოიქცნენ.

და ბოლოს: მე ათენას მხოლოდ იმ უბრალო საგნებზე ვესაუბრებოდი, რომლებიც დათრგუნულ ენერგიას ათავისუფლებენ. მაგალითად - სექსი. ან შეიძლება, უბრალოდ, მიდიოდე ქუჩაში და იმეორებდე: „მე ახლა აქ ვარ“. ჩვენ შორის არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა, არავითარი იდუმალი რიტუალები... ჩვენს შეხვედრაში მეტ-ნაკლებად უჩვეულო მხოლოდ ის იყო, რომ ორივე შიშველი ვიყავით. დღეიდან მას ორშაბათობით შევხვდები და თუ რაიმეს თქმა მომესურვა, მხოლოდ სეანსის მერე ვეტყვი, რადგან სულაც არ ვაპირებ ძალად მეგობრად მიტმასნებას.

ისიც ზუსტად ასე იქცევა: გულახდილი ლაპარაკი რომ მოესურვება, შოტლანდიაში მიემგზავრება იმ თავის ედასთან, რომელსაც, როგორც ჩანს, შენც იცნობ, თუმცა, არასოდეს ჩემთვის მასზე არაფერი გითქვამს.

- არ მახსოვს და იმიტომ.

ვიგრძენი, ანდრეა ნელ-ნელა მშვიდდებოდა. ყავა მოადუღა, დავლიეთ თითო ფინჯანი. ისევ გამიღიმა, დაწვრილებით გამომკითხა ჩემი დაწინაურების ამბავი. მითხრა, აგრეთვე, რომ ძალიან წუხს ორშაბათობით დანიშნული შეხვედრების გამო, რადგან დილით შეიტყო, რომ მეგობრების ნაცნობები თავიანთი მეგობრების მოყვანას აპირებენ, ოთახი კი პატარაა. უზომო ძალისხმევით მოვახერხე თავის დარწმუნება, რომ ყველაფერი გამოწვეული იყო მხოლოდ ეჭვიანობის შემოტევით, ნერვების დაწყვეტით ანდა წინამენსტრუალური სინდრომის გამოვლენით.

მოვეხვიე, ის მხარზე მომეხუტა და, მიუხედავად დაღლილობისა, მის დაძინებას დავუცადე. იმ ღამეს არაფერი დამსიზმრებია და არც წინათგრძნობას შევუწუხებივარ.

დილით რომ გავიღვიძე, მისი ნივთები აღარსად იყო, გასაღები მაგიდაზე იდო, გამოსათხოვარი წერილი არ დაეტოვებინა.

დეიდრა ონილი

იგივე ედა

სათვალავი არა აქვს ჯადოქრებზე, ფერიებზე, ზებუნებრივ ნიჭზე, პარანორმალურ მოვლენებზე, ბოროტი სულით შეპყრობილ ბავშვებზე მოთხრობილ ამბებს. ვერ დაითვლით ფილმებს, სადაც ნაჩვენებია ზნე-ჩვეულებები და რიტუალები, სადაც ისმის შელოცვები, სადაც ელავენ მახვილები და პენტაგრამები. კეთილი, დაე, მუშაობდეს წარმოსახვა, დაე, გავიაროთ ეს ეტაპი და ის, ვინც მას გაივლის, და თავს არავის მოატყუებინებს, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად ტრადიციასთან დაამყარებს კონტაქტს.

ჭეშმარიტი ტრადიცია კი ასეთია: მასწავლებელი არასდროს არ ეუბნება მოწაფეს, რა უნდა გააკეთოს მან. ისინი მხოლოდ თანამგზავრები არიან, რომლებიც „მორიდების“ ერთსა და იმავე რთულ გრძნობას განიცდიან, შთაბეჭდილების მუდმივი ცვალებადობის, მოძრავი ჰორიზონტის, დაკეტილი კარისა და იმ მდინარეების ხილვისას, რომლებიც ხანდახან გგონია, რომ გზას გიჭრიან, ოღონდ ყოველთვის არაა საჭირო მათი გადაცურვა - ზოგჯერ შეიძლება, დინებას მიჰყვე.

მასწავლებელსა და მოწაფეს შორის ერთი განსხვავებაა: პირველს უფრო ნაკლებად ეშინია, ვიდრე მეორეს. და როდესაც ისინი სასაუბროდ მიუსხდებიან მაგიდას ან კოცონს, უფრო გამოცდილი სთავაზობს: „რატომ არ უნდა გავაკეთოთ ასე და ასეო?“ ის არასოდეს ეტყვის: „წადი იქით და მიხვალ იქ, სადაც მე მივედი, ვინაიდან იცის - არ არსებობს ორი მსგავსი გზა, არ არსებობს ორი ერთნაირი ბედი.

ნამდვილი მასწავლებელი მოწაფეში აღვიძებს გამბედაობას, დაარღვიოს მისი სამყაროს წონასწორობა, თუმცა თვითონაც ეშინია იმისა, რაც უკვე შეხვდა მას თავის გზაზე, და უფრო მეტად - იმისა, რაც პირველსავე მოსახვევში ელის.

ოდესღაც, სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, მგზნებარე აღფრთოვანებით, რაც ასე დამახასიათებელია ახალგაზრდისთვის, რუმინეთში გავემგზავრე მოყვასის დახმარების სურვილით. ყველაფერი ეს რაღაც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხდებოდა. ჩემი ჩემოდანი გატენილი იყო წამლებით, თავი კი - უკეთილშობილესი წარმოდგენებით იმის თაობაზე, როგორ უნდა იქცეოდნენ ადამიანები, რაც აუცილებელია ბედნიერებისათვის, როგორი ოცნებებისთვის უნდა მელოლიავა სულში, რათა არ ჩამქრალიყვნენ, და როგორ უნდა განვითარებულიყო ადამიანთა შორის დამოკიდებულება. ჩავფრინდი ბუქარესტში - იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომელსაც სისხლიანი მანიაკი მართავდა. იქიდან კი გავემგზავრე ტრანსილვანიაში, რათა მოსახლეობის მასობრივი ვაქცინაცია ჩამეტარებინა.

სად შემეძლო მაშინ მივხვედრილიყავი, რომ ჭადრაკის ჩაფიქრებულ პარტიაში მხოლოდ პაიკი ვიყავი; რომ ვიღაცის უჩინარი ხელი მანიპულირებდა ჩემით და ჩემი იდეალებით, ღირსეულსა და კეთილშობილ განზრახვას კი სულმდაბლური სარჩული ედო. ჰუმანიზმი ძალიან უბრალოდ განიმარტებოდა - განმტკიცებულიყო ხელისუფლება, რომელსაც დიქტატორის ვაჟიშვილი ხელმძღვანელობდა, ამასთან, შეღწეულიყო იარაღის ბაზარზე, სადაც საბჭოთა კავშირი ბატონობდა.

კეთილშობილური განზრახვები მტვრად იქცა, როდესაც შევიტყვე, რომ ვაქცინები საკმარისი არ აღმოჩნდა, რეგიონში კი სხვა დაავადებები მძვინვარებდა. ზედიზედ ვაგზავნიდი თხოვნებს დახმარების შესახებ, მაგრამ დახმარება არ მიმიღია - მპასუხობდნენ, ჩემი უშუალო მოვალეობის გარდა არაფერზე არ შემეწუხებინა თავი.

მუდმივად უმწეო მდგომარეობაში მყოფი, ბოღმისგან აღშფოთებული, გარშემო საშინელ სიღატაკეს ვხედავდი, მე კი ცოტაოდენი ფული მაინც რომ გამოეგზავნათ, ბევრი რამის გაკეთება შემეძლო, მაგრამ შედეგი არავის აინტერესებდა. ბრიტანეთის მთავრობას მხოლოდ საგაზეთო სტატიები სჭირდებოდა, რათა შემდეგ ამომრჩევლებისთვის ეთქვათ, რომ ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აგზავნიდნენ ჰუმანიტარულ მისიებს. მათი განზრახვა კეთილი იყო, მაგრამ, არა იარაღის ექსპორტის საზიანოდ.

სასოწარკვეთილი და საგონებელში ჩავარდნილი, თოვლით დაფარული ტყისკენ გავემართე, რათა ღმერთის მიმართ სამდურავი ამომენთხია, ასე უსამართლოდ რომ იყო ყველაფერი მოწყობილი. მუხის ძირას რომ დავჯექი, ჩემი მფარველი მომიახლოვდა. მითხრა, გაიყინებიო. მე კი ვუპასუხე: ექიმი ვარ, ვიცი ადამიანის ამტანიანობის ზღვარი და როგორც კი მის მოახლოებას ვიგრძნობ, ბანაკში დავბრუნდები-მეთქი. ვკითხე, აქ რას აკეთებდა.

- ვსაუბრობ ქალთან, ვინც მისმენს სამყაროში, სადაც ყველა მამაკაცი ყრუა.

მეგონა, მე მგულისხმობდა, მაგრამ არა - ის თურმე ტყეზე ლაპარაკობდა. მერე, როცა დავინახე, როგორ მიდიოდა ტყეში ხელებგაშლილი და ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს წარმოთქვამდა, სული დამიმშვიდდა - ბოლოს და ბოლოს, ამქვეყნად მარტო მე არ ვლაპარაკობ საკუთარ თავთან-მეთქი. წასასვლელად რომ მოვემზადე, ის ისევ ჩემთან მოვიდა.

- ვიცი, ვინც ხარ, - მითხრა მან, - სოფელში კეთილად გიხსენიებენ, ამბობენ, ყოველთვის კარგ გუნებაზეა და მუდამ მზად არის სხვის დასახმარებლადო. მე კი სულ სხვა რამეს ვხედავ - მრისხანებასა და იმედის გაცრუებას.

ეს კაცი, ადვილი შესაძლებელია, სპეცსამსახურის აგენტი აღმოჩენილიყო, მაგრამ ჩემთვის სულერთი გახდა, გადავწყვიტე, ყველაფერი ამომეთქვა, რაც სულში ბოღმა დამიგროვდა - დაე, თუნდაც მერე დავეპატიმრებინე. ჩვენ ერთად წავედით საველე ჰოსპიტლისკენ, სადაც ვმუშაობდი. შევიყვანე დიდ კარავში - კარავი ცარიელი აღმოჩნდა: ჩემი ყველა კოლეგა ქალაქში წასულიყო დღესასწაულზე. - ვკითხე, ხომ არაფერს დალევდა.

- მე გაგიმასპინძლდები, - მიპასუხა მან და ჯიბიდან ამოიღო პალინკის - სიმაგრით განთქმული ადგილობრივი ხილის არყის - ბოთლი.

დავლიეთ. მივხვდი, დავთვერი. სწორედ იმწამს, ტუალეტისკენ რომ წავედი, რაღაცაზე წავბორძიკდი და იატაკზე გავიშხლართე.

- არ გაინძრე, შეხედე, შენ წინ რა არის, - მითხრა მან.

მე ჭიანჭველების ჯაჭვი დავინახე.

- ყველასთვის ცნობილია, რომ ისინი ჭკვიანები არიან, ფლობენ მეხსიერებას და ორგანიზაციის უნარს. ახასიათებთ თავგანწირვაც. ზაფხულობით საზრდოს შოულობენ, იმარაგებენ ზამთრისთვის, ადრიან გაზაფხულზე კი კვლავ სამუშაოდ ეშურებიან. ხვალ ატომურმა ომმა ჩვენი სამყარო რომ გაანადგუროს, ჭიანჭველები გადარჩებიან.

- საიდან იცით ეს ყველაფერი?

- ბიოლოგიას ვსწავლობდი.

- რაღაც ეშმაკად არაფერს აკეთებთ თქვენი უბედური ხალხის სასიკეთოდ, და რატომ დასეირნობთ ტყეში მარტოდმარტო და ხეებს ესაუბრებით?

- ჯერ ერთი, მარტო ხეებს კი არა, ხეების გარდა შენც მისმენ. შენს კითხვაზე კი გიპასუხებ: მივატოვე ბიოლოგია და მჭედლობას მივყავი ხელი.

მან ძლივს წამომაყენა. თავბრუ ისევ მეხვეოდა, მაგრამ იმდენად გამოვფხიზლდი, შემეძლო, მივმხვდარიყავი, რომ ამ უგერგილოს უნივერსიტეტი კი დაუმთავრებია, მაგრამ სამუშაო ვერ უშოვია. ვუთხარი, ამისთანა რამეები ჩვენს ქვეყანაშიც ხდება-მეთქი.

- არა! მე ბიოლოგია იმიტომ მივატოვე, რომ მჭედლად მუშაობა მინდოდა. ბავშვობიდანვე მხიბლავდა, როგორ ურტყამენ ჩაქუჩს გრდემლს; როგორ იქმნება უცნაური მუსიკა და გარშემო ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევს; მერე როგორ დებენ სითეთრემდე გავარვარებულ რკინას წყალში და ყველაფერი აშიშინებულ ორთქლში გაეხვევა ხოლმე. უიღბლო ბიოლოგი ვიყავი, რადგან ვოცნებობდი, მაგარი ლითონი მექცია რბილად და თხევადად, სანამ ერთხელ მფარველი არ გამომეცხადა.

- მფარველი?

- დავუშვათ, იმის დანახვაზე, ჭიანჭველები ზუსტად რომ აკეთებენ იმას, რაზედაც დაპროგრამებულები არიან, წამოიძახე: „ეს სასწაულია!“ მცველ ჭიანჭველათა გენეტიკურ კოდში ჩადებულია დედოფლისადმი თავის გაწირვა, მუშა ჭიანჭველებს საკუთარ წონაზე ათჯერ მეტი სიმძიმე გადააქვთ, არქიტექტორები თხრიან გვირაბებს, რომლებისთვისაც არაა სახიფათო არც წყალდიდობა და არც ქარიშხალი. ჭიანჭველები სასიკვდილო ბრძოლას უმართავენ მტერს, იტანჯებიან თავიანთი თემისთვის და არასდროს არ კითხულობენ: „ჩვენ აქ რას ვაკეთებთ?“

ადამიანები ცდილობენ, შექმნან ასე იდეალურად მოწყობილი საზოგადოება, და მე, როგორც ბიოლოგი, ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, სანამ ვიღაცა არ შემეკითხა: „კმაყოფილი ხარ იმით, რასაც აკეთებ?“

მე ვუპასუხე: რა თქმა უნდა, მე სარგებლობა მომაქვს ჩემი ხალხისთვის.

„და ეს შენთვის საკმარისია?“

არ ვიცოდი, საკმარისი იყო თუ არა, მაგრამ ვუთხარი: ვინც ამას მეკითხება, ამპარტავანი და თავკერძა ადამიანი მგონია-მეთქი. „შესაძლებელია ასეც არის, - მომიგო მან, - მაგრამ შენ მხოლოდ იმას მიაღწევ, რაც მეორდება იქიდან მოყოლებული, როცა ადამიანმა ადამიანის გაგება ისწავლა“. „სამყარო წინ მიდის“, - შევეპასუხე მე. მაშინ მკითხა, ისტორია იცი თუ არაო? დიახაც რომ ვიცი; მაგრამ განა ათასობით წლის წინათ ადამიანებმა არ შეძლეს ისეთი უზარმაზარი ნაგებობის აშენება, როგორიც ეგვიპტის პირამიდებია? განა ვერ შევძელით ღმერთების თაყვანისცემა, ქსოვა, ცეცხლის მოპოვება, ცოლებისა და საყვარლების გაჩენა, გზავნილების გადაცემა? რა თქმა უნდა, შევძელით, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ შევქმენით ასეთი ორგანიზაცია, რომელშიც მუქთად ნაშოვნი მონები ხელფასიანი მონებით შეიცვალნენ, ყველა მიღწევა და წარმატება მხოლოდ მეცნიერების სფეროში არსებობს. ადამიანები კი საკუთარ თავს იმავეს ეკითხებიან, რასაც მათი შორეული წინაპრები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ ერთი გოჯითაც არ წაუწევიათ წინ. იმწამს

მივხვდი, რომ ასეთი კითხვების დამსმელი ზეციდან იყო მოვლენილი. ის იყო ანგელოზი, მფარველი.

- რატომ უწოდებთ მას „მფარველს“?

- მან აღმომაჩენინა ორი ტრადიციის არსებობა. ერთი გვაიძულებს, საუკუნეების განმავლობაში გავიმეოროთ ერთი და იგივე, მეორე იდუმალების კარს გვიღებს. მაგრამ ეს მეორე უხერხული, მშფოთვარე და საშიშია, რადგან ბევრი მიმდევრის გაჩენამ, ბოლოს და ბოლოს შეიძლება გაანადგუროს, ჭიანჭველების მოდელის მიხედვით წარმოუდგენელი შრომითა და ძალისხმევით ორგანიზებული საზოგადოება. სწორედ ამ მიზეზის გამო, მეორე ტრადიცია საიდუმლოდ იქცა და ასწლეულების მანძილზე გაძლო მხოლოდ იმის წყალობით, რომ მისმა მიმდევრებმა გამოიმუშავეს თავიანთი სიმბოლური ენა.

- თქვენ კიდევ დაუსვით კითხვები?

- რა თქმა უნდა! თუმცა მე ამას უარვყოფდი, მან იცოდა, რომ არ მაკმაყოფილებდა ის, რასაც ვაკეთებდი. „ნაბიჯის გადადგმას ვშიშობ, როცა არ ვიცი, საით მივყავარ მას, მაგრამ, მიუხედავად შიშისა, დღის მიწურულს ცხოვრება უფრო საინტერესოდ მეჩვენება“, - თქვა ჩემმა მფარველმა. დაჟინებით ვეკითხებოდი ტრადიციების შესახებ, მან რაღაც ამდაგვარი რამ მიპასუხა: „...სანამ ღმერთი მხოლოდ მამაკაცი იქნება, მუდამ გვექნება საზრდო და სისხლი. დედა საბოლოოდ რომ მოიპოვებს თავისუფლებას, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ზეცის ქვეშ ყოფნა და სიყვარულით საზრდოობამ მოგვიწიოს, თუმცა, ეგების, შევძლოთ შრომასა და გრძნობას შორის წონასწორობის პოვნა“.

მან, ვინც ჩემი მფარველი უნდა გამხდარიყო, მკითხა: „რა საქმიანობას მოჰკიდებდი ხელს, ბიოლოგია რომ არ აგერჩიაო?“ „მჭედლობას, - ვუპასუხე მე, - მაგრამ ფული არა მაქვს“. მან მიპასუხა: „როცა დაიღლები იმის კეთებით, რაც შენი მოწოდება არ არის, სიცოცხლის სიხარულს შეიცნობ ჩაქუჩის დარტყმასა და ქურის ბერვაში. დროსთან ერთად მიხვდები, რომ ის სიხარულზე რაღაც უფრო მეტს გაძლევს. ცხოვრება აზრს იძენს“, „როგორ უნდა მივყვე იმ ტრადიციებს, რაზეც მელაპარაკები?“ - „დაიწყე იმის კეთება, რაც მოგწონს, დანარჩენი მალე გამჟღავნდება. გჯეროდეს, რომ ღმერთი დედაა, გაუზარდე მას შვილები, არ დაუშვა, რომ რამე უბედურება შეხვდეთ მათ“. მე ასეც მოვიქეცი და, როგორც ხედავ, სიკვდილს გადავრჩი. მერე აღმოჩნდა, რომ მარტო მე არ ვიყავი ასეთი - მაგრამ ისინი შეშლილთა და უპასუხისმგებლო ცრუმორწმუნეთა ლეგიონებში ჩაწერეს. რაც ეს სამყარო არსებობს, ისინი ბუნებაში ეძიებენ მასში არსებულ შთაგონებას. ჩვენ ვაშენებთ პირამიდებს, მაგრამ ვავითარებთ სიმბოლოების სისტემასაც“.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ წავიდა და მას შემდეგ აღარასოდეს მინახავს.

მხოლოდ ერთი რამ ვიცი: იმ წუთის შემდეგ სიმბოლოები ყველგან გაჩნდა, რადგან ამ საუბარმა თვალი ამიხილა. ეს იოლად არ მოსულა; ერთ საღამოს ჩემიანებს გავუმხილე, მართალია, ყველაფერი მაქვს, რაზედაც ადამიანმა შეიძლება, იოცნებოს, მაინც უბედური ვარ, რადგან დავიბადე იმისათვის, რათა მჭედელი გავმხდარიყავი- მეთქი. „შენ ბოშად დაიბადე, - მიყვირა აღშფოთებულმა ცოლმა, - უამრავი დამცირება გადაიტანე, რათა მიგეღწია იმისთვის, რასაც მიაღწიე, და ახლა უკან დაბრუნება გინდა?“ ვაჟიშვილი კი კმაყოფილი დარჩა, რადგან მასაც მოსწონდა სოფლის მჭედლები, დიდი ქალაქის სამეცნიერო ლაბორატორიებს კი ვერ იტანდა.

დავიწყე დროის განაწილება ბიოლოგიის კვლევა-ძიებასა და მჭედლის დამხმარედ მუშაობას შორის. ძალიან ვიღლებოდი, მაგრამ ადრინდელზე მხიარულად ვიყავი. ბოლოს, დადგა დღე, როცა გავთავისუფლდი და საკუთარი სამჭედლო გავხსენი. თავდაპირველად საქმე უხეიროდ წამივიდა; საკმარისი იყო მერწმუნა ცხოვრებისა, რომ მდგომარეობა გაგვიუარესდა. მაგრამ ერთხელ, მუშაობისას ჩემ თვალწინ სიმბოლო დავინახე.

ვიღებ დაუმუშავებელ რკინას და ის ავტომობილის, სამზარეულოს ჭურჭლის ანდა რაიმე სასოფლო-სამეურნეო მანქანის დეტალად უნდა ვაქციო. როგორ ხდება ეს? უპირველეს ყოვლისა, რკინა ჯოჯოხეთურ ტემპერატურაზე გაწითლებამდე ვარვარდება. მერე ვიღებ ყველაზე მძიმე ჩაქუჩს და რამდენიმე დაუნდობელი დარტყმით სასურველ ფორმას ვაძლევ, მერე ვათავსებ ცივი წყლით სავსე ბადიაში და მთელი სამჭედლო აშიშინებული ორთქლით ივსება. რკინა კი, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებისაგან, ტკაცუნსა და კივილს იწყებს.

ყოველივე ეს იქამდე უნდა გაიმეორო, სანამ შენსას არ მიაღწევ.

მჭედელი კარგა ხანს გაჩუმდა. პაპიროსი მოსწია და მერე განაგრძო:

- ხდება ხოლმე, რომ ჩემ ხელში მოხვედრილი რკინა ასეთ მოპყრობას ვერ იტანს. სიმხურვალისა და სიცივის მონაცვლეობისგან, ჩაქუჩის დარტყმებისგან ბზარებით იფარება, და უკვე ვიცი, მისგან არასოდეს არ გამოვა გუთნის კარგი სახნისი ან ლილვი. მაშინ მას, უბრალოდ, ნამსხვრევების გორაზე ვისვრი, რომელიც ჩემი სახელოსნოს კართან დაინახე.

კიდევ ერთხანს გაჩუმდა და ხელახლა დაიწყო:

- ვიცი - ღმერთი მაწრთობს მწუხარების ალში. ცხოვრება ჩაქუჩსაც მირტყამს. ხანდახან თავი იმ წყალივით ცივი მგონია, რომლითაც რკინას ვაწამებ, მაგრამ მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვ: „ღმერთო ჩემო, დედაო ჩემო, ნუ მიმატოვებ, სანამ შენთვის სასურველ ფორმას არ მომცემ. აკეთე, რასაც საჭიროდ მიიჩნევ და რა დროსაც უნდა დაგჭირდეს, ოღონდ ნუ მიმაგდებ უსარგებლო სულების გროვაზე“.

* * *

საუბარი რომ დავასრულეთ, მართალია, ბოლომდე არ ვიყავი გამოფხიზლებული, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ იმ დღიდან ჩემი ცხოვრება შეიცვლებოდა. ყოველივეს, რასაც ჩვენ შევიცნობთ, სარჩულად ტრადიცია უდევს, და მე მელის იმ ადამიანების საძებნელად გამგზავრება, ვინც შეგნებულად თუ ინსტინქტურად შეძლეს ღმერთის ქალური იპოსტასის აღმოჩენა. საჭირო არაა ხელისუფლებისა და მათი პოლიტიკური მანიპულაციის ლანძღვა-გინება, საჭიროა იმის კეთება, რაც სინამდვილეში მინდოდა. მე კი ადამიანების განკურნება მსურდა.

წამლების არავითარი მარაგი არ გამაჩნდა, ამიტომ ადგილობრივ მოსახლეობას დავუახლოვდი და მათ სამკურნალო ბალახების სამყარო აღმომაჩენინეს. მე შევიმეცნე, რომ არსებობდა ხალხური ტრადიცია, რომელსაც ფესვები შორეულ წარსულში ჰქონდა, და ცოდნა თაობიდან თაობაზე გადადიოდა. მისი წყალობით გაცილებით შორს წავედი, ვიდრე ჩემი უნარი მაძლევდა ამის შესაძლებლობას. მე იქ იმიტომ ხომ არ ვიმყოფებოდი, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დავალებას ვასრულებდი, ანდა იმიტომ, რომ ხელი შემეწყო იარაღის ექსპორტისათვის, ან პროპაგანდა გამეწია რომელიმე პოლიტიკური პარტიისათვის.

იქ იმიტომ ვიყავი, რომ ადამიანების მკურნალობა მომწონდა.

უფრო მეტად დავინტერესდი ბუნებით, ფოლკლორით, მცენარეებით. ინგლისში დაბრუნებული, ექიმებს ვეკითხებოდი: „ყოველთვის ზუსტად იცით, რა სახის მკურნალობა უნდა დანიშნოთ, თუ ხანდახან ინტუიციით ხელმძღვანელობთ-მეთქი?“ და თითქმის ყველა მპასუხობდა, რომ ხშირად ესმოდათ რაღაც ხმა, ესმოდათ და უსმენდნენ მას, მისი უარყოფით კი მკურნალობა არ გამოსდიოდათ; რა თქმა უნდა, ისინი სარგებლობდნენ თანამედროვე მედიცინის მთელი არსენალით, მაგრამ იცოდნენ, რომ არის რაღაც, ბნელი კუნჭული, სადაც დამალულია განკურნების ჭეშმარიტი რეცეპტი. და ხანდახან საუკეთესო გადაწყვეტილებებს თითქმის ალალბედზე ღებულობდნენ.

ჩემმა მფარველმა, თუმცა ის მხოლოდ ბოშა მჭედელი იყო, წონასწორობიდან გამოიყვანა ჩემი სამყარო. ჩვეულებად მექცა, წელიწადში ერთხელ მაინც ჩავსულიყავი მასთან სოფელში და ერთად გვემსჯელა, როგორ იცვლებოდა ცხოვრება ჩვენ თვალწინ, როგორც კი საგნების სხვა თვალით დანახვას გადავწყვეტდით. ხანდახან იქ მისი სხვა მოწაფეებიც მხვდებოდნენ და ერთმანეთს ვუყვებოდით ჩვენს შიშსა და მიღწევებზე. მფარველი გვეუბნებოდა: „ზოგჯერ მეც მეშინია, მაგრამ ასეთ წუთებში ჩემ გარეთ რაიმე სიბრძნეს აღმოვაჩენ ხოლმე და ვდგამ შემდგომ ნაბიჯსო“.

ედინბურგში პრაქტიკით ბევრს ვშოულობდი, და უფრო მეტს ვიშოვიდი, ლონდონში რომ გადავსულიყავი. მაგრამ ცხოვრებით ტკბობა მირჩევნია. ვაკეთებ იმას, რაც მომწონს: მკურნალობის ძველ ხერხს უახლეს მეთოდებთან ვახამებ. ამაზე ვწერ გამოკვლევას და „სამეცნიერო საზოგადოების“ მრავალმა წარმომადგენელმა

სამედიცინო ჟურნალებში ჩემი სტატიების წაკითხვის შემდეგ გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს, გააკეთონ ის, რაზედაც წინათ უარს ამბობდნენ.

არა მგონია, რომ ყველა ბოროტების წყარო - თავია. არა, ავადმყოფობა რეალურად არსებობს. მიმაჩნია, რომ ანტიბიოტიკებისა და ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატების გამოგონება დიდი წინგადადგმული ნაბიჯია. სულაც არ ვაპირებ აპენდიციტის მედიტაციით მკურნალობას - აქ საჭიროა დროული და მარჯვე ქირურგიული ჩარევა. ერთმანეთს ვუთავსებ გაბედულებას და სიფრთხილეს, ტექნოლოგიას და მიგნებას. მაგრამ საკმაოდ კეთილგონივრული იქნება, რომ აქ ამაზე მსჯელობა არ დავიწყო, თორემ დაუყოვნებლივ ექიმბაშად გამომაცხადებენ, და ამით შეიძლება დაიღუპოს ბევრის სიცოცხლე, რომლის გადარჩენაც შესაძლებელია.

ეჭვის გაჩენისთანავე, დახმარებისთვის დიდ დედას მივმართავ, მას უპასუხოდ არასდროს დავუტოვებივარ. მაგრამ სულ ერთთავად მირჩევს, რომ მოკრძალებული ვიყო. ორჯერ თუ სამჯერ იგივე ვურჩიე ათენასაც, მაგრამ ის ისე იყო დაბრმავებული მის მიერ ახლად აღმოჩენილი სამყაროთი, რომ არ დამიჯერა.

ლონდონის გაზეთი, 24 აგვისტო, 1994 წ., პორტობელოელი ჯადოქარი

ლონდონი (© ჯერემი ლუტონი)

„აი, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც ღმერთი არა მწამს. შეხედეთ, როგორ იქცევიან მორწმუნენი!“ - ასე გამოეხმაურა ახალ ამბავს პორტობელო-როუდის კომერსანტი რობერტ უილსონი.

ლონდონის ეს ქუჩა მსოფლიოში განთქმულია თავისი ანტიკვარული მაღაზიებითა და მეორადი ნივთების ბაზრობით, გუშინ საღამოს კი ბრძოლის ველად იქცა. არეულობის ჩასაცხრობად კენსინგტონიდან და ჩელსიდან ორმოცდაათამდე პოლიციელი გამოითხოვეს, მაგრამ ხუთი კაცი მაინც დაზარალდა, საბედნიეროდ, არცთუ ისე სერიოზულად. ორ საათამდე გაგრძელებული მუშტი-კრივის მიზეზი გახდა მისი უდიდებულესობა იენ ბაკის მოწოდება, ბოლო მოეღოთ „ინგლისის შუაგულში დაბუდებული სატანის კულტისთვის“.

მღვდლის სიტყვებით, ნახევარი წლის მანძილზე საეჭვო პირთა ჯგუფი მოსვენებას არ აძლევს მეზობლებს სატანის პატივსაცემად მოწყობილი რიტუალით, რომელსაც ლიბანის მკვიდრი შერინ ხ. ხალილი ხელმძღვანელობს, სახელად სიბრძნის ქალღმერთის სახელი, ათენა რომ აურჩევიაო.

მისი მიმდევრების რიცხვი თავდაპირველად ორასამდე კაცი იყო და მარცვლეულის ფირმის ყოფილ საწყობში იკრიბებოდნენ. შემდეგ თანდათან ეს რიცხვი გაიზარდა,

ასე რომ, გასულ კვირას ერთი ამდენი კაცი გარეთ იცდიდა შენობაში შეღწევისა და რიტუალში მონაწილეობის მიღების მოლოდინში. როცა მისი უწმინდესობა დარწმუნდა, რომ ვერც მისმა სიტყვიერმა გაფრთხილებამ და მოთხოვნამ და ვერც გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილმა შედეგი ვერ გამოიღო, გადაწყვიტა, შეეკრიბა თავისი მრევლი და მოუწოდა, 19 საათზე საწყობთან მისულიყვნენ და „სატანისტებისთვის“ გზა გადაეღობათ, არ მიეცათ საკერპოში შესვლის უფლება.

„პირველივე მიღებული საჩივრის შემდეგ აღნიშნულ მისამართზე გავგზავნეთ ჩვენი თანამშრომელი, მაგრამ იქ ვერც ნარკოტიკები აღმოაჩინა, ვერც სამართალდამრღვევი მოქმედება, - განაცხადა პოლიციის ოფიცერმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, რადგან ამ ამბებზე ძიება უკვე მიმდინარეობსო. - მუსიკა საღამოს ათ საათზე ყოველთვის წყდებოდა, მაშასადამე, კანონი არ ირღვეოდა და ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, ინგლისში არსებობს და დაცულია რწმენის თავისუფლება“.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა აზრისაა მისი უწმინდესობა ბაკი:

„უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პორტობელოელ ჯადოქარს ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან აქვს კავშირი, მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას პოლიციის პასიურობა, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენი გადასახადების ხარჯზე ცხოვრობს და მოწოდებულია საზოგადოების წესრიგისა და მართებულობის დასაცავად. ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როცა ყველაფერი დაშვებულია. დემოკრატია ირღვევა და ნადგურდება მის მიერვე შექმნილი განუსაზღვრელი თავისუფლებით“.

პასტორმა განაცხადა, რომ თავიდანვე იეჭვა რაღაც არასასიკეთო: ეს ხალხი დანგრევის პირას მისული მარცვლეულის საწყობის წესრიგში მოსაყვანად მთელი დღეობით მუშაობდა, „რაც იმის აშკარა დადასტურებაა, რომ ისინი სექტას ეკუთვნიან, და რომ სისტემატურად განიცდიდნენ „ტვინის გამორეცხვას“, რადგან ამქვეყნად არავინ არ იმუშავებს უფასოდ“. კითხვაზე, თუ რატომ უწევდა მისი მრევლი მოსახლეობას უსასყიდლო დახმარებას, უწმინდესობა ბაკმა განაცხადა, „ჩვენ ამას იესოს სახელით ვაკეთებთო“.

გუშინ საღამოს, როცა შერინ ხალილი თავის ვაჟთან და რამდენიმე მეგობართან ერთად საწყობს მიუახლოვდა, მრევლმა გზა გადაუკეტა პლაკატებითა და მეგაფონებით, თან მთელი ხმით მოუწოდებდნენ გარშემო სახლებში მცხოვრებლებს, მათ შეერთებოდნენ. სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ცემა-ტყეპაში გადაიზარდა.

„ისინი ირწმუნებიან, რომ ქრისტეს სახელით იბრძვიან, სინამდვილეში სურთ, გვაიძულონ, არ მოვისმინოთ ქრისტეს სიტყვები. - „ჩვენ ყველანი ღმერთნი ვართ“, - განაცხადა ცნობილმა მსახიობმა, ათენას ერთ-ერთმა მიმდევარმა, ანდრეა მაკკეინმა, რომელსაც მარჯვენა წარბი ჰქონდა გახეთქილი. მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და მანამდე დატოვა იქაურობა, სანამ ჩვენი კორესპონდენტი კიდევ რაიმეს გარკვევას მოასწრებდა.

მისის ხალილი წესრიგის აღდგენის შემდეგ თავისი რვა წლის ბიჭის დამშვიდებას ცდილობდა. მან გვაუწყა, რომ ისინი საცეკვაოდ იკრიბებოდნენ, რომლის შემდეგაც ვინმე აია-სოფიასთვის უნდა მიემართათ. ცერემონია მთავრდებოდა რაღაც ქადაგებით და დიდი დედის საპატივსაცემო საერთო ლოცვით. პოლიციის თანამშრომელმა, ფარულ მოკვლევას რომ აწარმოებდა, მისი სიტყვები დაადასტურა.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ საზოგადოებას არა აქვს სახელწოდება და არაა რეგისტრირებული, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია, თუმცა, ადვოკატ შედდინ უილიამსის აზრით, ეს სრულებითაც არაა სავალდებულო: „ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალ ქვეყანაში, სადაც ადამიანებს აქვთ უფლება, შეიკრიბონ დახურულ შენობაში არაკომერციული ღონისძიების ჩასატარებლად, რაც არ ითვალისწინებს მოგების მიღებას, არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობას, ესე იგი, არ არის დაკავშირებული რასობრივი შეუწყნარებლობის ანდა ნარკოტიკული საშუალებების ხმარების პროპაგანდასთან“.

მისის ხალილმა კატეგორიულად უარყო თავისი ღვთისმსახურების შეწყვეტის ყოველგვარი შესაძლებლობა და განაცხადა: „ჩვენ ეს ჯგუფი იმისათვის შევქმენით, რათა ერთმანეთს აღმოვუჩინოთ მორალური მხარდაჭერა, რადგან მარტო მყოფს თანდათან უძნელდება საზოგადოებისგან ჩაგვრის ატანაო. მოვითხოვ, რომ თქვენი გაზეთი ფართოდ გამოეხმაუროს იმ რელიგიურ ზეწოლას, რასაც ახლა ჩვენ განვიცდით, ადრე კი, რამდენიმე საუკუნის მანძილზე განიცდიდნენ ჩვენი წინამორბედები და თანამოაზრეები. რაღაც ისეთს მოვიმოქმედებთ თუ არა, რაც ეწინააღმდეგება რელიგიურ დადგენილებებს ან არ მოეწონება სახელმწიფოს, ცდილობენ, გაგვანადგურონ. დღევანდელი ამბავიც ამის ნათელი მაგალითია. ადრე გვგზავნიდნენ საჯალათო კუნძზე, გვწვავდნენ კოცონზე, გვაპატიმრებდნენ და გვასახლებდნენ. ახლა ჩვენ მოვიპოვეთ წინააღმდეგობის გაწევის საშუალება და ძალას ძალასვე დავუპირისპირებთ, ისევე, როგორც თანაგრძნობა ყოველთვის უეჭველად ბადებს თანაგრძნობას“.

მისი უწმინდესობა ბაკის ბრალდებას კი მან საპასუხო ბრალდებით უპასუხა: „ის მანიპულირებს თავისი მრევლით, შეუწყნარებლობას საბაბად იყენებს, სიცრუეს - ძალმომრეობითი მოქმედების იარაღად“.

სოციოლოგ არტო ლენოკსის თქმით, არსებობს ამისთანა მოვლენების უახლოეს წლებში განმეორების ტენდენცია. არ არის გამორიცხული, რომ იგი „ტრადიციული რელიგიის“ წარმომადგენლებთან უფრო სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდოს. „ჩვენ დროში, როდესაც მარქსისტულმა უტოპიამ თავისი სრული უუნარობა აჩვენა - მსოფლიო კვლავ რელიგიას მიუბრუნდა, რაც აიხსნება ცივილიზაციის ბუნებრივი შიშით მრგვალი თარიღის წინაშე. დარწმუნებული ვარ, 2000 წელი რომ დადგება, სამყარო არსებობას განაგრძობს, ჯანსაღი აზრი აღდგება და რელიგია კვლავ დაიკავებს თავის შესაფერის ადგილს - იქცევა სუსტთა თავშესაფრად.“

ამ აზრს აკრიტიკებს ვიკარი ეპისკოპოსი ევარისტო პიაცა: „ის, რაც ჩვენს თვალწინ ხდება, სულიერი გამოფხიზლება კი არ არის, რაც ასე სასურველია ყველა ჩვენგანისთვის, არამედ გამოძახილია იმისა, რასაც ამერიკაში „ახალ ერას“ უწოდებენ - ყველაფრის ნებადართულობისთვის თავისებური მასაზრდოებელი გარემოს შექმნა, რაც მიგვიყვანს წმინდა დოგმების ფეხქვეშ გათელვასთან და იმასთან, რომ წარსულის ყველაზე აბსურდული იდეები კვლავ დაეუფლოს გონებას. ლიბანელი ლედის მსგავსი არცთუ მეტისმეტად დახვეწილი თაღლითები თავიანთ ცრუ იდეებს უნერგავენ სუსტსა და უნებისყოფო ადამიანებს და აქვთ ორი მიზანი - მოგების მიღება და პირადი ძალაუფლების მოპოვება“.

ლონდონის გოეთეს ინსტიტუტში სტაჟირებაზე მყოფი გერმანელი ისტორიკოსი ფრანც ჰერბერტი სხვაგვარად მსჯელობს: „ეგრეთწოდებულმა „კლასიკურმა“ რელიგიამ შეწყვიტა პასუხის გაცემა ფუძემდებლურ კითხვებზე, რაც ადამიანებს აწუხებთ, – ვინ არის იგი და რისთვის ცხოვრობს? ამის ნაცვლად, მათი მთელი ყურადღება მიპყრობილია დოგმებისა და კანონების შენარჩუნებისკენ, რასაც სოციალ-პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს. ამიტომაც ჭეშმარიტი სულიერების ძებნაში ადამიანები ირჩევენ სხვა მიზნებს, რაც წარსულისკენ და პირველყოფილი კულტურისკენ მიბრუნებას ნიშნავს, მანამ, სანამ მაღალი სტრუქტურების გამხრწნელი გავლენა შეეხებათ“.

საპოლიციო უბანში, სადაც რეგისტრაციაში გაატარეს შეხლა-შემოხლა, სერჟანტმა უილიამ მორტონმა გვაცნობა, რომ თუ შერინ ხალილის ჯგუფი გადაწყვეტს უახლოეს ორშაბათს თავის ცერემონიის ჩატარებას და მიიჩნევს, რომ მას ემუქრებიან, ინცინდენტის თავიდან ასაცილებლად მან წერილობითი თხოვნა უნდა შემოიტანოს მისთვის მცველების გამოსაყოფად.

(ჯერემი ლუტონი და ენდრიუ ფიში; მარკ ჰილხემის ფოტოები).

ჰირონ რაიანი

ჟურნალისტი

ეს რეპორტაჟი თვითმფრინავში წავიკითხე. უკრაინიდან ეჭვმოძალებული ვბრუნდებოდი; მაინც ვერ გამერკვია, მართლა ასეთი მასშტაბური იყო ჩერნობილის ტრაგედია, თუ თავისი ინტერესების სასარგებლოდ - ენერგიის წარმოების სხვა წყაროს შესაჩერებლად - გაბერეს ნავთობის მსხვილმა მწარმოებლებმა.

საგაზეთო სტატიამ, ცოტა არ იყოს, შემაშინა. დაბეჭდილი იყო რამდენიმე ჩამსხვრეული ვიტრინის და მისი უწმინდესობა ბაკის მრისხანებისაგან დაღრეცილი სახის ფოტოები. და აი, ისიც - მთავარი საშიშროება! – მგზნებარე ლამაზმანი თავის

შვილს რომ ეხვევა. უცებ მივხვდი, რა შეიძლებოდა, ამას მოჰყოლოდა. აეროპორტიდან პირდაპირ პორტობელო-როუდისკენ გავეშურე, დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ჩემი წინათგრძნობა გამართლდებოდა.

უახლოეს ორშაბათს დანიშნული შეკრება შესამჩნევ მოვლენად იქცა: მის სანახავად ყველა უბნიდან მოდიოდა ხალხი, ერთნი იმიტომ, რომ თვალი მოეკრათ გაზეთში მოხსენიებული ამოუცნობი ქალისთვის, მეორენი - პლაკატებით შეიარაღებულნი, რათა დაეცვათ რწმენისა და სიტყვის თავისუფლება. საწყობში ორას კაცზე მეტი არ ეტეოდა და ბრბოს ქუჩა გაევსო იმ იმედით, რომ ცალი თვალით მაინც შეხედავდნენ დაჩაგრულთა ქურუმს.

მას ტაშისცემითა და მოწონების შეძახილებით შეეგებნენ, ვიღაცამ ყვავილებიც კი ესროლა, ვიღაც გაურკვეველი ასაკის ქალმა კი ათენას სთხოვა, დაუღალავად ებრძოლა ქალების თავისუფლებისა და დედის თაყვანისცემის უფლებისათვის.

ასეთი ხალხმრავლობით შეშინებულმა მრევლმა ამჯობინა, არ გამოჩენილიყო, თუმცა წინა დღეებში დიდად იმუქრებოდნენ. თავდასხმა აღარ მომხდარა და ცერემონიამაც ჩვეულებისამებრ ჩაიარა - ცეკვები, აია-სოფიას გამოცხადება (იმ დროისათვის ვიცოდი, რომ ეს თვითონ ათენას ერთ-ერთი წარმოსახვა იყო) და ფინალური ქების შესხმა (ეს სულ ცოტა ხნის წინათ დაემატა, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა ერთ-ერთი მიმდევრისაგან გადმოცემულ ცარიელ საწყობში დაიწყო შეკრება).

შევატყვე, რომ ქადაგების დროს ათენა ტრანსში იყო:

- ყველას გვაქვს მოვალეობა სიყვარულის წინაშე: მას უნდა დავრთოთ ნება გამჟღავნდეს ისე, როგორც მისთვის უკეთესი იქნება. არ შეგვიძლია და არც უნდა შევშინდეთ, როდესაც სურთ ვუსმენდეთ ბნელ ძალებს - იმათ, ვინც „ცოდვის“ გაგებას მხოლოდ ჩვენი სულისა და გონების სამართავად იყენებენ. რა არის ცოდვა? იესო ქრისტე მიუბრუნდა მეძავს და უთხრა: „არავინ განგიკითხა შენ? არც მე განგიკითხავ შენ“. ის შაბათობით კურნავდა ხალხს, მან ნება დართო მეძავს, მისთვის ფეხი დაებანა, მის გვერდით ჯვარზე გაკრულ ავაზაკს კი შეჰპირდა, რომ იმ დღესვე მასთან ერთად სამოთხეში მოხვდებოდა. მან იგემა აღკვეთილი საზრდო და ჩვენც შთაგვაგონა, რომ მხოლოდ დღევანდელ დღეზე ვიზრუნოთ, რადგან... „შრომანნი ველისანი არა შურებინ არცა სთავენ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი“.

რა არის ცოდვა? ცოდვაა წინ აღუდგე სიყვარულის გამოვლენას. დედა არის სიყვარული. ჩვენ ვარსებობთ ახალ სამყაროში და შეგვიძლია, საზოგადოებისგან თავსმოხვეული კი არა, ჩვენ მიერ არჩეული ნაბიჯი გადავდგათ. თუ საჭირო იქნება, წინა კვირასავით კვლავ დავუპირისპირდებით ბნელ ძალებს. არავის არ შეუძლია, პირი დაგვიხშოს, არაგულწრფელად მოქცევა გვაიძულოს“.

მე ჩემი თვალით ვუყურებდი ქალის ხატად გარდაქმნას. ის ამ სიტყვებს ამბობდა დამაჯერებლად, მტკიცედ, ღირსებით და იმის რწმენით, რაზედაც ლაპარაკობდა. ოჰ, როგორ მინდოდა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილე ყოფილიყო, რომ ჩვენ ნამდვილად იმ ახალი სამყაროს კარიბჭესთან ვყოფილიყავით, რომლის დაბადების ხილვაც ასე ძალიან მსურს!

მისი წასვლაც საზეიმოდ მოხდა. ხალხში თვალი რომ მომკრა, თავისთან მიხმო და მითხრა, შენზე ვნაღვლობდიო. მხიარულად გამოიყურებოდა, დარწმუნებული იყო თავის თავში და თავისი საქციელის სისწორეში.

ასეთი იყო გაზეთის პუბლიკაციის დადებითი შედეგი და ღმერთმა ქნას, რომ ამით დამთავრდეს ეს ამბავი. ძალიანაც მინდოდა, შევმცდარიყავი, მაგრამ ასე არ მოხდა - ზუსტად სამი დღის მერე ამიცხადდა ცუდი წინათგრძნობა და მთელი თავისი ძალით გამოვლინდა უარყოფითი შედეგი.

დასახმარებლად რომელიღაც საადვოკატო კანტორას მიმართეს, რომელიც განთქმული იყო მტკიცე კონსერვატორული შეხედულებებით და, ათენასაგან განსხვავებით, კავშირი ჰქონდა ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან. მისმა უწმინდესობა ბაკმა პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა, რომ სარჩელს აღძრავდა ცილისწამებისთვის, სიცრუისა და მორალური ზიანისთვის.

შეფმა იცოდა სკანდალის ცენტრში მოხვედრილ ათენასთან ჩემი მეგობრობის ამბავი, გამომიძახა და მისგან ექსკლუზიური ინტერვიუს აღება მთხოვა. თავდაპირველად აღვშფოთდი, რადგან არ მინდოდა, მეგობრული ურთიერთობა გაზეთის ტირაჟის გასაზრდელად გამომეყენებინა.

მერე ცოტა ვისაუბრეთ და მომეჩვენა, რომ არცთუ ისე ცუდი იდეა უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ათენას შეეძლო, მომხდარ ამბავზე თავისი ვერსია გადმოეცა. უფრო მეტიც - შეეძლო, ეს ინტერვიუ თავისი შეხედულებების პროპაგანდისთვის გამოეყენებინა. შევიმუშავეთ გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოგვემზადებინა რეპორტაჟების სერია ახალ სოციალურ ტენდენციებზე და იმ ცვლილებებზე, რასაც განიცდიდნენ რელიგიური ძიებანი. ერთ-ერთ რეპორტაჟად ათენასთან საუბრის გამოქვეყნება იგეგმებოდა.

იმავე დღეს გავეშურე ათენასკენ, მით უმეტეს, თვითონ მიმიწვია რიტუალის შემდეგ; მაგრამ შინ არ დამხვდა. მეზობლებისგან შევიტყვე, რომ წინა დღეს მასთან სასამართლოს ჩინოვნიკი მისულიყო, უწყების გადასაცემად, მაგრამ შინ არ დახვედროდა.

მოგვიანებით დავურეკე, - მაგრამ ამაოდ. საღამოთი ისევ ვცადე - ამჯერადაც ამაოდ. მერე მის ნომერს ყოველ ნახევარ საათში ერთხელ ვკრეფდი და ჩემი შეშფოთება ყოველი დარეკვის შემდეგ ძლიერდებოდა. მას შემდეგ, რაც აია-სოფიამ უძილობისგან

განმკურნა, დაღლილობის გამო, ყოველთვის თერთმეტ საათზე ვიძინებდი, მაგრამ ამჯერად ისე ძლიერ ვღელავდი, ვერაფრით ვერ დავიძინე.

ცნობარში მოვნახე დედამისის ტელეფონის ნომერი, მაგრამ უკვე გვიანი იყო და ათენა იქ თუ არ აღმოჩნდებოდა, ალიაქოთის ატეხად არ ღირდა. ჩავრთე ტელევიზორი, გავიგო, რა ხდება-მეთქი. არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა. ლონდონი რჩებოდა ძველებურ ლონდონად - თავისი სასწაულებითა და განსაცდელებით.

უკანასკნელად ვცადე ბედი და, აი, მესამე ზარზე ყურმილი აიღეს. მაშინვე ვიცანი ანდრეას ხმა.

- რა გინდა? - მკითხა მან.

- ათენამ მთხოვა, დავკავშირებოდი, ყველაფერი რიგზე აქვს?

- ბუნებრივია, ყველაფერი სავსებით რიგზე აქვს და არცა აქვს რიგზე, იმაზეა დამოკიდებული, როგორ მიუდგები საკითხს. მოკლედ, შენ შეგიძლია, დაეხმარო.

- თვითონ სად არის?

ტელეფონი პასუხისგაუცემლად გათიშა.

დეიდრა ონილი

იგივე ედა

ათენა ჩემი სახლის მახლობელ სასტუმროში დაბინავდა. ჩვენამდე, ედინბურგის მცხოვრებლებამდე, ლონდონიდან თითქმის არასოდეს აღწევს ქვეყნის შიგნით მომხდარი ამბები. ძალიანაც არ გვაინტერესებს, როგორ გადაწყვეტენ ინგლისელები თავიანთ წვრილმან პრობლემებს: ჩვენ გვაქვს საკუთარი დროშა, გვყავს ფეხბურთის საკუთარი ნაკრები და მალე ჩვენი პარლამენტიც გვეყოლება. ნამდვილად სამწუხაროა, რომ დღემდე ისევ ვსარგებლობთ გაერთიანებული სამეფოს სატელეფონო კოდითა და საფოსტო მარკებით, უფრო მეტად სამწუხარო კი ის არის, რომ ჩვენი დედოფალი, მარიამ სტიუარტი, ტახტისთვის ბრძოლაში დამარცხდა.

ინგლისელებმა მას თავი მოჰკვეთეს და საბაბად რელიგიური შუღლი გამოიყენეს. რა თქმა უნდა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა? ასე რომ, პრობლემა, რომელსაც ჩემი მოწაფე წააწყდა, დიდი ხანია, მოძველდა.

დასვენება და გამოძინება ვაცალე. დილით კი, იმის ნაცვლად, რომ პატარა ტაძარში შევსულიყავით და გვემუშავა, გამომეყენებინა ჩემთვის ცნობილი რიტუალები, თავის

შვილთან ერთად სასეირნოდ წავიყვანე ედინბურგის გარეუბნის ჭალაში. ვიორელი ხეებს შორის დარბოდა, ათენა კი მიყვებოდა წინადღეს მომხდარ ამბებს.

მერე მე დავუწყე ლაპარაკი:

- ახლა დღეა, ცა ღრუბლებითაა დაფარული და ხალხი ფიქრობს, რომ იქ, ღრუბლებს მიღმა, ჩვენი ბედის გამგებელი ყოვლადძლიერი ღმერთი ცხოვრობს; შენ კი შენს ბიჭს შეხედე, მერე დაიხედე ფეხქვეშ, მოუსმინე, რაც ჩვენ ირგვლივ ხმიანობს: აქ, ქვემოთ, დედაა: ის გაცილებით ახლოსაა, მას სიხარული მოაქვს ბავშვებისთვის და ენერგიით ავსებს მათ, ვინც მის სხეულზე დაიარება. რატომ ამჯობინებენ ადამიანები, ირწმუნონ რაღაც შორეული, და ივიწყებენ იმას, რაც თვალისთვის ადვილად მისაწვდომია, რაც სასწაულის ჭეშმარიტი გამოვლენაა?

- ვიცი მაგის პასუხი: იმიტომ, რომ იქ, ზევით, ღრუბლებს მიღმა, ზის ვიღაც, ვინც გვხელმძღვანელობს და გვმბრძანებლობს გამოუთქმელი სიბრძნით. აქ, ქვემოთ კი, ჩვენ ფიზიკურ კონტაქტს ვამყარებთ მაგიურ რეალობასთან და ჩვენ თავად შეგვიძლია, ამოვირჩიოთ, სად აღმოვჩნდებით გადადგმული ნაბიჯის შემდეგ.

- მართალს ამბობ, მაგრამ, როგორ გგონია, ადამიანს ეს უნდა? სჭირდება მას ეს თავისუფლება? რომ თვითონ განსაზღვროს, საით გადადგას ნაბიჯი?

- ვფიქრობ, რომ სჭირდება. დედამიწამ, რომელზედაც დავიარები, საოცარი გზები დამისახა. ამ გზებმა ტრანსილვანიის მიყრუებული ქალაქიდან ლიბანის დედაქალაქამდე ჩამიყვანეს, იქიდან კი - კუნძულების ქალაქში, მერე - უდაბნოში, შემდეგ ისევ რუმინეთში და ასე შემდეგ, ცეკვის ჯგუფიდან - ბედუინამდე. და ყოველთვის, როდესაც წინ მივყავდი ფეხებს, იმის ნაცვლად, რომ მეთქვა „არა“, ვამბობდი „დიახ“.

- რა მოიგე ამით?

- შემიძლია აურის დანახვა. შემიძლია ჩემს სულში დედის გაღვიძება. ჩემმა ცხოვრებამ აზრი შეიძინა, ვიცი, რისთვისაც ვიბრძვი. მაგრამ რატომ მეკითხები? განა შენც უმნიშვნელოვანესი ნიჭი - ადამიანების განკურნების ხელოვნება - არ შეიძინე? ანდრეას შეუძლია წინასწარმეტყველება და სულებთან საუბარი, მე ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვები მის სულიერ განვითარებას.

- რა გაქვს კიდევ ახლა?

- სიხარული იმის გამო, რომ ვცოცხლობ. ვიცი, რომ აქ ვარ, რომ ყველაფერი სასწაული და აღმოჩენაა.

ვიორელი წაიქცა და მუხლი იტკინა. ათენა მისკენ გაქანდა. ააყენა, დაბეჟილი მუხლი დაუსველა, უბერავდა, თან ამშვიდებდა: „არაფერია, არაფერი, ამწუთში გაგივლისო.“

ბიჭმა სულ მალე დაიწყო ხეებქვეშ ხტუნვა. გადავწყვიტე, ეს პატარა შემთხვევა გამომეყენებინა, როგორც ნიშანი.

- ის, რაც შენს შვილს მოუვიდა, ოდესღაც მეც დამმართვია, ახლა შენც იგივე გემართება. ასე არ არის?

- ასეა, ოღონდ, მე არა მგონია, რომ წავიბორძიკე და წავიქეცი. ეს უფრო იმას ჰგავს, რომ შემდგომი ნაბიჯის გადადგმის სასწავლებლად რაღაც გამოცდას ვაბარებ.

ასეთ წამებში მოძღვარი მოწაფეს არაფერს ეუბნება - მას ისღა დარჩენია, დალოცოს იგი, ვინაიდან, როგორც უნდა სურდეს მისთვის ტანჯვის არიდება, მისი გზა წინასწარაა დასახული და ისიც ამ გზით სიარულის სურვილითაა სავსე. შევთავაზე, ჩვენ ორნი საღამოთი ისევ მოვსულიყავით ამ ჭალაში. ბავშვი ვის დავუტოვოო, - მკითხა მან. მე კი ამაზე უკვე ვიფიქრე. მყავდა ჩემგან დიდად დავალებული მეზობელი, ის სიამოვნებით მიხედავდა ვიორელს.

* * *

საღამო ხანს ისევ მივედით იმ ადგილზე, გზადაგზა კი ისეთ რამეებზე ვსაუბრობდით, რასაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა მოსალოდნელ რიტუალთან. ათენამ ნახა, რომ ეპილაციას ვიკეთებდი და მკითხა, რა უპირატესობა აქვს ახალ საშუალებებსო. ხალისიანად ვმსჯელობდით მოდებზე, საყიდლებზე, ვარცხნილობაზე, ფემინისტურ მოძრაობაზე, ქალების საქციელზე. რაღაც წუთებში მან ამგვარი რამ თქვა: „სულს ასაკი არა აქვს და ვერ გამიგია, რატომ გვაწუხებს დროის სრბოლაო“, მაგრამ იმავე წუთს რაღაც მოაგონდა და ისევ უმნიშვნელო რამეებზე განაგრძო ლაპარაკი.

მისთვის ეს სულაც არ იყო ძნელი: მსგავსი საუბრები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ქალების ცხოვრებაში (სხვათა შორის, მამაკაცებიც ასევე იქცევიან, მაგრამ ცოტა სხვაგვარად და ამას არასდროს არ აღიარებენ).

რაც უფრო ვუახლოვდებოდით ჩემს ამორჩეულ ადგილს, - უფრო სწორად, რომელიც ტყემ ამოგვირჩია, - მით უფრო აშკარა ხდებოდა დედის იქ ყოფნა. ჩემში ეს გამჟღავნდა რაღაც უცილობელი, იდუმალი სიხარულით, ლამის ცრემლებამდე რომ მაღელვებს. დრო იყო, შევჩერებულიყავით და საქმეს შევდგომოდით.

- ცოტა ფიჩხი შეაგროვე, - ვთხოვე ათენას.

- უკვე ბნელა...

- სავსე მთვარეა, ღრუბლებში კი იმალება, მაგრამ მაინც საკმაოდ ანათებს. გაწვრთენი თვალები - თვალები იმიტომ მოგეცა, რომ, ვიდრე გგონია, იმაზე უფრო შორს და კარგად ხედავდე.

მან დაიწყო ხმელი ტოტების შეგროვება, ხანდახან კი ეკლების ჩხვლეტის გამო ჯანდაბამდე აგზავნიდა მათ. გავიდა ნახევარი საათი. ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია: მე კვლავ ვგრძნობდი დედის იქ ყოფნას და სიხარულს იმის გამო, რომ აქ ამ ქალთან ერთად ვიმყოფებოდი. ის ხანდახან სულ პატარა გოგო მგონია ხოლმე, რომელიც მენდო, დამთანხმდა, გამომყოლოდა და მონაწილეობა მიეღო ადამიანის გონებისთვის ხანდახან მიუწვდომელ ამ ძიებაში.

ათენა ჯერ კიდევ ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ შეეძლო კითხვებზე პასუხის გაცემა. ასე ვიყავი მეც, სანამ მთლიანად არ გადავედი იდუმალების საუფლოში, სადაც შეიძლება მხოლოდ ჭვრეტა, ხოტბის შესხმა, თაყვანისცემა, მადლობის თქმა და საკუთარი უნარების გამჟღავნების შესაძლებლობა.

ათენას რომ ვუყურებდი, როგორ აგროვებდა ფიჩხს, ვხედავდი იმ გოგონას, რომელიც ოდესღაც თავად ვიყავი, როცა შევუდექი დამალული ძლიერების, დაფარული საიდუმლოს ძიებას. ცხოვრებამ კი სულ სხვა რამ მასწავლა - არ არსებობს დამალული ძლიერება, საიდუმლო კი დიდი ხანია, რაც გაცხადდა... ათენას ფიჩხი საკმაოდ შეეგროვებინა და ვანიშნე, გეყოფა-მეთქი.

მერე ამოვარჩიე ყველაზე მსხვილი ფიჩხი და ზემოდან დავადე ფიჩხის გროვას. როგორ ჰგავს ეს ცხოვრებას - სანამ ცეცხლი გაჩაღდება, ფიჩხი უნდა დაიმტვრეს. სანამ ძლიერის ენერგია განთავისუფლდება, სუსტს გამოვლენის შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

სანამ ჩვენს თავში არსებულ ძლიერებას და უკვე გამჟღავნებულ საიდუმლოს შევიცნობდეთ, თავიდან ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ყოველგვარი ზერელობა - მოლოდინი, შიში, საგონებელი და მოჩვენებითობა - მთლიანად დაიწვას. მხოლოდ მაშინ დგება ის სიმშვიდე, რასაც ახლა ტყე მოეცვა: ქარი ოდნავ ხმიანობდა ხეთა ვარჯებში, ღრუბლების საბურველიდან მთვარის შუქი მაინც გამოკრთოდა, ისმოდა ოდნავი შრიალი - ღამით მხეცები გამოსულიყვნენ სანადიროდ, დედის დაბადებისა და სიკვდილის ციკლის შესასრულებლად. და ისინი არავისგან არასდროს არ განკიცხულან იმისათვის, რომ თავიანთ ინსტინქტებს და ბუნებას მისდევენ.

კოცონი გავაჩაღე.

საუბარი არ გვსურდა არც ათენას და არც მე. ჩვენ უბრალოდ, თვალმოუშორებლივ ვუყურებდით ცეცხლის ალის თამაშს. ასე გვეგონა, მთელი საუკუნე ვუყურებდით მას და ვიცოდით, რომ ამ წამში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ქალები იდგნენ თავიანთ კერასთან. არა აქვს მნიშვნელობა, ნამდვილი კერაა თუ უთანამედროვესი გამათბობელი სისტემა. ეს სიმბოლოა.

ძალისხმევა დამჭირდა ტრანსიდან გამოსასვლელად, მას ჯერ ვერ მოესწრო, ეთქვა რაიმე განსაკუთრებული, დაერთო ნება ღმერთების, აურისა და მოჩვენებების ხილვისა. მან, უბრალოდ, მადლი მომფინა, რასაც ასე ვსაჭიროებდი. კვლავ

ყურადღება გავამახვილე იმაზე, რაც ახლა ხდებოდა, - ჩემ გვერდით მყოფ ახალგაზრდა ქალზე და მოსალოდნელ აღსასრულებელ რიტუალზე.

- როგორია შენი მოწაფე?

- ძნელია მასთან. მაგრამ იოლი რომ იყოს, ვერ შევძლებდი იმის სწავლას, რაც მჭირდება.

- რა უნარს ავითარებს?

- ესაუბრება პარალელური სამყაროს არსებებს.

- როგორც შენ საუბრობ აია-სოფიასთან?

- არა. კარგად იცი, რომ აია-სოფია დედაა, რომელმაც ჩემში გაამჟღავნა თავისი თანაყოფნა, ანდრეა კი საუბრობს უხილავ არსებებთან.

ეს მე ისედაც ვიცოდი, მაგრამ მაინც მსურდა დადასტურება. ათენა დღეს ჩვეულებრივზე უფრო სიტყვაძვირი იყო. ავდექი, ჩანთა გავხსენი, ამოვიღე საგანგებოდ მოკრეფილი ბალახის რამდენიმე კონა და მინავლულ კოცონში ჩავყარე.

- ხე ალაპარაკდა, - ისე თქვა ათენამ, თითქოს ეს რაღაც თავისთავად ცხადი რამ ყოფილიყო. ეს კარგი იყო - მაშასადამე, სასწაულები მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

- მერე, რას ამბობს?

- ამწუთში - არაფერს... უბრალოდ, ხმაურობს.

ერთი წუთის შემდეგ კოცონიდან აჟღერებული სიმღერა მოესმა.

- რა მშვენიერია!

ჩემ წინ იდგა გოგონა - არც არავის ცოლი იყო და არც - დედა.

- იდექი ასე, ნუ ეცდები ყურადღებად გადაქცევას, მე ნუ გამომყვები, ნურც ჩემი სიტყვების გაგებას ეცდები. მოდუნდი, იგრძენი, რომ კარგად ხარ; ხანდახან ცხოვრებიდან სხვას არც არაფერს უნდა ველოდეთ.

დავიჩოქე, ცეცხლში შევყავი ხის ტოტი, მოვხაზე წრე, დავტოვე პატარა ადგილი, რომ ათენას შესვლა შესძლებოდა. ახლა მეც მესმოდა იგივე მუსიკა, რაც ათენას, და ვცეკვავდი მის გარშემო, ვადიდებდი მამაკაცის ცეცხლის შეერთებას დედამიწასთან, განვრცობილს, რათა მიიღოს იგი. შეერთებას, რომელმაც განწმინდა ყველაფერი და იქცა ამ ტოტებში, ადამიანებში და უხილავ არსებებში დაფარულ ენერგიად. ვცეკვავდი მანამ, სანამ ცეცხლის მუსიკა ისმოდა, და ხელების მოძრაობით ვუფრთხილდებოდი მას, წრის ცენტრში რომ იდგა და იღიმებოდა.

ცეცხლი რომ ჩაქრა, ავიღე ცოტაოდენი ფერფლი და ათენას თავზე დავაყარე, მერე წავშალე წრის შემკვრელი ხაზი.

- გმადლობთ, - მითხრა მან, - ვიგრძენი, რომ დაცული, ვიღაცისთვის საყვარელი და ძვირფასი ვარ.

- ნუ დაივიწყებ ამას, როცა გაგიჭირდება.

- არ გამიჭირდება - მე ხომ ჩემი გზა ავირჩიე. მგონია, მაქვს ჩემი მოწოდება. ასეა, ხომ?

- ასეა. მოწოდება ყველა ჩვენგანს აქვს.

მან უცებ დაკარგა თავდაჯერებულობა.

- შენ არ გიპასუხია, გამიჭირდება თუ არა...

- ეს უგუნური კითხვაა. გახსოვდეს, რაც ახლახან თქვი: „ვიგრძენი, რომ დაცული და ვიღაცისთვის საყვარელი და ძვირფასი ვარო“.

- ვეცდები, არ დავივიწყო.

თვალებში ცრემლები უბრწყინავდა. ათენა მიხვდა ჩემს პასუხს.

სამირა რ. ხალილი

დიასახლისი

- ჩემი შვილიშვილი! ის რაღა შუაშია?! ნუთუ შუა საუკუნეების დრო დადგა და ჯადოქრებზე ნადირობა გრძელდება?!

ბავშვს მივვარდი. ბიჭს ცხვირი ჰქონდა გატეხილი, მაგრამ მან ჩემს სასოწარკვეთას ყურადღებაც არ მიაქცია, უმალ მომიშორა.

- ყველას ხურდა დავუბრუნე!

მუცლით არასდროს მიტარებია ბავშვი, მაგრამ მისი მესმის: ეს ერთ-ერთია იმ უამრავ ჩხუბთაგან, რომელიც ცხოვრებაში ელის, ამიტომაც უბრწყინავდა ჩალურჯებული თვალები.

- სკოლაში ბავშვებმა დედაჩემზე თქვეს, სატანისტიაო!

მალევე გამოჩნდა შერინი. დასისხლიანებული შვილის დანახვაზე სკოლაში წასვლა და დირექტორისთვის სკანდალის მოწყობა გადაწყვიტა. მე მოვეხვიე და დავაკავე. ტირილი ვაცალე, რათა ცრემლებში დაენთხია შეურაცხყოფისა და გულგატეხილობის

სიმწარე. ამ წუთიდან მხოლოდ დუმილი მმართებდა, ჩემი სიყვარული არაფრისმთქმელი, ცარიელი სიტყვებით რომ არ გამომეხატა.

ცოტა რომ დამშვიდდა, რაც შეიძლება ფრთხილად შევთავაზე, ჩვენთან გადმოსულიყო - მე და მამამისი ყველაფერზე ვიზრუნებდით: გაზეთში წავიკითხეთ თუ არა მასზე სარჩელის აღძვრის თაობაზე, მამამისმა უკვე მოასწრო რამდენიმე ადვოკატთან მოლაპარაკება. ჩვენ ტყავიდან გამოვძვრებით და სიტუაციას მაინც მოვაგვარებთ, არ მივაქცევთ ყურადღებას მეზობლების რეპლიკებს, ნაცნობების ირონიულ ღიმილს და მეგობრების ყალბ თანაგრძნობას.

ამქვეყნად ჩემთვის არაფერია ჩემი შვილის ბედნიერებაზე უფრო მნიშვნელოვანი, თუმცა, ვერასოდეს ვერ გამეგო, რატომ ირჩევდა ის ასეთ ძნელ გზებს, ასეთ უვალ ბილიკებს. თუმცა, დედას არც სჭირდება ამის გაგება: მისი ვალია, უყვარდეს და გაუფრთხილდეს.

...და ამაყობდეს. შერინმა იცოდა, რომ ჩვენ შეგვეძლო მისთვის ამქვეყნად ყველაფრის მიცემა, მაინც ადრე წავიდა დამოუკიდებლობის საძიებლად. ამ გზაზე წაიბორძიკა და წაიქცა კიდეც, მაგრამ მიაჩნდა, რომ ღირსების საქმე იყო, მარტო გამკლავებოდა ყველაფერს, რაც გზაზე შეხვდებოდა. იცოდა, რა სარისკო იყო, მაგრამ მაინც მოძებნა თავისი ბიოლოგიური დედა. ამან კიდევ უფრო მეტად დაგვაკავშირა ერთმანეთთან. მე, რა თქმა უნდა, მესმოდა, რომ ყურად არ იღებდა მთელ ჩემს რჩევა-დარიგებებსა და შეგონებებს - დაეცვა დიპლომი, გათხოვილიყო, ჩვეულებრივად მიეღო ოჯახური თანაცხოვრების სიძნელეები და არ ეწუწუნა. არ ცდილიყო საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების ჩარჩოების დარღვევას.

რა გამოვიდა?

გონების თვალს რომ ვადევნებდი ჩემი შვილის ბედის ცვლილებებს, თავად მე ვხდებოდი უკეთესი. რასაკვირველია, ვერ გამიგია, ვინაა ეს ქალღმერთი-დედა, როგორც ვერ გამიგია შერინის უგუნური მცდელობა, გარშემოხვეული ჰყავდეს ვიღაც უცნაური ადამიანები და არ კმაყოფილდებოდეს იმით, რაც მძიმე შრომით მიიღწევა.

სულის სიღრმეში კი ძალიან მინდოდა, მას ვმგვანებოდი, თუმცა ამაზე ოცნება ცოტა გვიანაა.

...დავაპირე, ავმდგარიყავი და რაიმე მომემზადებინა, მაგრამ შერინმა არ გამიშვა.

- მინდა, ასე ვიჯდე შენთან ჩახვეული, მეტი არაფერი არ მსურს. ვიორელ, გადი სასტუმრო ოთახში, ჩართე ტელევიზორი - ბებიას უნდა ველაპარაკო.

ბიჭი დაემორჩილა.

- უეჭველია, ბევრი ტანჯვა მოგაყენე...

- სულაც არა. უფრო პირიქითაა: შენ და შენი შვილი - სიხარულის წყარო ხართ ჩვენთვის, თქვენ ჩვენი ცხოვრების აზრი და თვალისჩინი ხართ...

- თუმცა ყველაფერს ისე არ ვაკეთებდი...

- ძალიანაც კარგი. ახლა შემიძლია, ვაღიარო: იყო წუთები, როდესაც მძულდი და ძალიან ვნანობდი, რომ არ დავუჯერე კეთილ რჩევას და სხვა ბავშვი არ ვიშვილე. ვეკითხებოდი ჩემს თავს: „როგორ შეიძლება, დედას საკუთარი შვილი სძულდეს-მეთქი.“ ვღებულობდი ტრანკვილიზატორებს, მეგობრებთან დავდიოდი ბრიჯის სათამაშოდ, გაშმაგებული თავს ვიქცევდი შოპინგით - ყველაფერ ამას კი იმ სიყვარულის საკომპენსაციოდ ვჩადიოდი, რასაც მე გაძლევდი და, რასაც, მეგონა, შენგან არ ვღებულობდი. რამდენიმე თვის წინათ, როდესაც კვლავ გადაწყვიტე პრესტიჟული და ფულიანი სამუშაოს მიტოვება, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. წავედი მეზობელ ეკლესიაში, მინდოდა, აღთქმა დამედო, შევვედრებოდი ყოვლადწმინდა ქალწულს, რათა დაბრუნებოდი სინამდვილეს, შეგეცვალა ცხოვრების ნირი და გესარგებლა იმ შესაძლებლობით, რასაც ასე უაზროდ ფლანგავდი და ანიავებდი... საამისოდ მზად ვიყავი ყველაფრისთვის.

დიდხანს ვუყურებდი მარად ქალწულს ყრმით ხელში, მერე ასე ვუთხარი: „შენც ხომ დედა ხარ, იცი, რაც ხდება. რაც გენებოს, მომთხოვე, ოღონდ გადაარჩინე ჩემი შვილი, რადგან, ასე მგონია, ის უეჭველი სიკვდილისკენ მიისწრაფვის“.

ჩემს მხრებზე შემოხვეული შერინის ხელები დაიძაბა. შერინი ხელახლა ატირდა, მაგრამ ადრინდელივით არა, უფრო სხვაგვარად. მე მთელი ძალით ვცდილობდი თავის ხელში აყვანას.

- და იცი, რა ვიგრძენი იმ წამში? ვიგრძენი, რომ მპასუხობდა: „მისმინე, სამირა, მეც შენსავით ვფიქრობდი. წლების მანძილზე ვიტანჯებოდი, რადგან ჩემი შვილი არ მისმენდა: ვწუხდი მასზე, მეგონა, არ შეეძლო მეგობრების ამორჩევა; რომ პატივს არ სცემდა კანონებს, ზნე-ჩვეულებებს, რწმენას, უფროსებს“. გავაგრძელო?

- არა, ყველაფერი გავიგე, მაგრამ, სულერთია მაინც მსურს, მოგისმინო...

- ბოლოს ქალწულმა მითხრა: „ჩემმა შვილმა მაინც არ დამიჯერა და დღეს ამის გამო გახარებული ვარ“.

მზრუნველად და ფრთხილად მოვიშორე ჩემს მხარზე დადებული შერინის თავი და წამოვდექი.

- უნდა გაჭამოთ რამე.

წავედი სამზარეულოში, მოვამზადე ხახვის სუპი, რასაკვირველია, პაკეტისა, გავხუხე უსაფუარო ფქვილისაგან გამომცხვარი პური, გავაწყვე სუფრა და ერთად ვისადილეთ. წვრილმან რაღაცეებზე ვსაუბრობდით, მაგრამ ასეთ წუთებში სასიამოვნო,

უმნიშვნელო სიტყვები ოჯახს აერთიანებს და რაღაც განსაკუთრებული მყუდროებით ავსებს სახლს, თუნდაც ფანჯრებს მიღმა ქარიშხალი ხეებს ამტვრევდეს და ანადგურებდეს არემარეს. რა თქმა უნდა, საღამოს ჩემი შვილი და შვილიშვილი წავლენ, რათა კვლავ პირისპირ შეხვდნენ ქარს, ჭექა-ქუხილს, ელვას. ასეთი იყო მათი არჩევანი.

- დედა, შენ მითხარი, რომ ჩემთვის ყველაფერს გააკეთებ, ხომ?

რა თქმა უნდა, თუ საჭირო გახდება, სიცოცხლესაც არ დავიშურებ.

- არა გგონია, რომ მეც ვალდებული ვარ, ვიორელს ყველაფერი გავუკეთო, რაც დასჭირდება?

- ვფიქრობ, ეს ინსტინქტია. მაგრამ მხოლოდ ეს არა - ეს უმაღლესი გამოხატულებაა ჩვენი სიყვარულისა.

მან ჭამა განაგრძო. მე ვიფიქრე, ვიფიქრე და მაინც ვერ შევძელი თავის შეკავება:

- შეიძლება, რჩევა მოგცე? სასამართლო რომ გაიმართება, თუ მოისურვებ, მამა მზადაა, დაგეხმაროს... მაგრამ შენ ხომ გყავს გავლენიანი მეგობრები, თუნდაც ის ჟურნალისტი. სთხოვე, დაბეჭდოს მომხდარი ამბის შენეული ვერსია. გაზეთები ბევრს ბეჭდავენ მის უწმინდესობა ბაკზე. და, ბოლოს და ბოლოს, საბოლოო სიტყვაც მათ დარჩებათ. ხალხიც მის სიმართლეს დაიჯერებს.

- მაშასადამე, შენ არა მარტო ღებულობ იმას, რასაც ვაკეთებ, დახმარებაც გსურს, გამიწიო?

- ჰო, შერინ. თუნდაც ხანდახან შენი არ მესმოდეს, თუნდაც ვიტანჯებოდე, როგორც, ალბათ, მთელი ცხოვრება იტანჯებოდა უწმიდესი ქალწული. თუმცა, იესო ქრისტე არა ხარ, მაგრამ სამყაროსათვის შენც რაღაც მნიშვნელოვანს აკეთებ. ამიტომაც შენ მხარეს ვარ და მინდა, გაიმარჯვო.

ჰირონ რაიანი

ჟურნალისტი

ათენა იმ წუთში გამოჩნდა, როცა გამალებით ვასწორებდი იმას, რაც პორტობელო-როუდზე მომხდარი ამბებისა და ქალღმერთის აღორძინებაზე რეპორტაჟად უნდა ქცეულიყო. საქმე საკმაოდ ფაქიზი და, მე ვიტყოდი, დელიკატური იყო.

ყოფილ მარცვლეულის საწყობთან თვალი მოვკარი ქალს, რომელიც ამბობდა: „თქვენ შეგიძლიათ! გააკეთეთ მხოლოდ ის, რასაც დიდი დედა გვასწავლის - გჯეროდეთ

სიყვარულისა და სასწაული დაიწყება!“ ბრბოც ეთანხმებოდა, ეს დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო, რადგან ჩვენ ისეთ დროს მოგვიხდა ცხოვრება, როცა მონობა ბედნიერების მოპოვების ერთადერთ საშუალებად იქცა. აზრის თავისუფლება თხოულობს წარმოუდგენელ პასუხისმგებლობას, გაიძულებს მუშაობას და ტანჯვა, ეჭვი და კაეშანი მოაქვს.

- რაღაც უნდა დაწერო ჩემზე, - მითხრა მან.

ვუპასუხე, რომ ცოტა ხანს მოცდა მოგვიწევდა, რადგან ერთი კვირის მერე ეს საქმე თავისთავად მიჩუმდებოდა. თუმცა, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც მომზადებული მქონდა კითხვები ქალური ენერგიის არსზე.

- ახლა სკანდალები და შეხლა-შემოხლა მხოლოდ კვარტალის მცხოვრებლებს და ტაბლოიდებს აინტერესებთ: არც ერთი სერიოზული გაზეთი ამაზე ერთ სტრიქონსაც არ დაბეჭდავს. ლონდონში რაღაც ამის მსგავსი ყოველ კუთხეში ხდება და სერიოზული გამომცემლობების ამით დაინტერესება უაზრობა იქნებოდა. ყველაფერს აჯობებს, ორი-სამი კვირა შეკრებებისგან თავი შეიკავოთ.

ქალღმერთს რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ თუკი მას სათანადო სერიოზულობით მოვეკიდებით, რასაც ის სავსებით იმსახურებს - შეუძლია, მრავალ ადამიანს აღუძრას მნიშვნელოვანი კითხვა.

- მაშინ, ვახშმობისას მითხარი, რომ გიყვარვარ. ახლა კი, როგორც ვხედავ, არათუ უარს მეუბნები დახმარებაზე, მთხოვ კიდეც, უარვყო ის, რაც მწამს.

როგორ უნდა გამეგო მისი ეს სიტყვები? შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, მიიღო ის, რაც იმ საღამოს შევთავაზე: ის, რაც თან მდევდა ყოველ წამს და განუშორებლად? ლიბანელმა პოეტმა თქვა, მიღებაზე მნიშვნელოვანი გაცემაა. რას იზამ, ეს ბრძნული ნათქვამია, მაგრამ მე ხომ თავი ეგრეთ წოდებული „კაცობრიობის“ ნაწილად მიმაჩნია და მაქვს ჩემი სისუსტეები, მიდგას ყოყმანის წუთები, ამიტომაც მომიცვა სურვილმა, გავმხდარიყავი საკუთარი გრძნობების მონა, დავმორჩილებოდი მას, არაფერი მეკითხა, იმის ცოდნაც კი არ მსურდა, მასაც ვუყვარდი თუ არა. ოღონდ მარტო ნება დაერთო, რომ მყვარებოდა - სხვას არაფერს არ ვითხოვდი. დარწმუნებული ვიყავი, აია-სოფია მთლიანად, სავსებით დამეთანხმებოდა. ათენა ჩემს ცხოვრებაში ორი წლის წინათ გამოჩნდა, მაგრამ მეშინოდა, რომ ისე გააგრძელებდა ცხოვრებას და მიეფარებოდა ჰორიზონტს, არ მომეცემოდა ამ გზის თუნდაც გარკვეული ნაწილის ერთად გატარების შესაძლებლობა.

- სიყვარულზე მელაპარაკები?

- მე დახმარებას გთხოვ.

რა ვქნა? დავაცხრო აღტკინება, შევინარჩუნო სიმშვიდე, არ დავაჩქარო მოვლენები, რათა, ბოლოს და ბოლოს, მათ სულაც შეწყვიტონ არსებობა? თუ გადავდგა დიდი ხნის ნაფიქრალი ნაბიჯი - მოვეხვიო და დავიცვა ყოველგვარი საფრთხისაგან?

- მსურს, დაგეხმარო, - მივუგე მე, თუმცა თავში ჯიუტად ჟღერდა სიტყვები: „ნურაფერზე წუხხარ, მე შენ მიყვარხარ“. - გთხოვ, მენდო, შენი გულისთვის აბსოლუტურად ყველაფერს გავაკეთებ, „არასაც“ გეტყვი, თუკი საჭიროდ მივიჩნევ, მიუხედავად იმისა, რომ ვერ გამიგებ.

მერე მოვუყევი, რედაქტორმა როგორ შემომთავაზა მასალების სერიის გამოქვეყნება ქალღმერთის გამოღვიძებაზე და რომ სხვა მასალებთან ერთად, დაიბეჭდებოდა მასთან ინტერვიუც. თავდაპირველად ეს ძალზე აზრიან იდეად მომეჩვენა, ახლა კი მგონი, ცოტა მოცდა აჯობებს-მეთქი.

- შენ ან თავი უნდა დაიცვა, ანდა, მომავალშიც უნდა მიჰყვე შენს მოწოდებას. ვიცი, დარწმუნებული ხარ, შენი საქმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის სხვის თვალში გამოიყურება. მეთანხმები?

- მე ჩემს შვილზე ვფიქრობ. ყოველდღე უსიამოვნება ხვდება სკოლაში.

- ეს გაივლის. ერთი კვირის შემდეგ ამაზე აღარავინ ილაპარაკებს. მაშინ დადგება ჩვენი მოქმედების დრო - იდიოტური შეტაკებების ასარიდებლად კი არა, არამედ იმისათვის, რათა შენს შრომას ბრძნულად და თავდაჯერებით მივანიჭოთ ახალი განზომილება. და თუ ჩემს გრძნობებში ეჭვი გეპარება, შემდგომ შეკრებაზე გამოგყვები - ვნახოთ, რა იქნება.

* * *

მომდევნო ორშაბათს მას თან ვახლდი. ახლა უკვე აღარ ვიყავი „ბრბოს პერსონაჟი“, მაგრამ ყველაფერს მისი თვალით ვუყურებდი.

შესასვლელში ჭედვა იყო. ისმოდა ტაშისცემა, მის ფეხებთან ყვავილები ეცემოდა. გოგონები ყვიროდნენ - „ქალღმერთის ქურუმი!“ სამი-ოთხი კარგად ჩაცმული ქალი ეხვეწებოდა, მარტო მიგვიღეო. ირწმუნებოდნენ, ჩვენი ახლობლები მძიმე ავადმყოფები არიანო. ხალხი ერთმანეთს აწვებოდა და შიგ შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ - ადრე ვერ მოვიფიქრეთ, უსაფრთხოებაზე გვეზრუნა, და ავფორიაქდი. ჩავავლე ათენას ხელი, ავიტაცე ვიორელი და როგორც იქნა, შიგნით შევაღწიეთ.

იქ, გადავსებულ დარბაზში, განრისხებული ანდრეა დაგვხვდა.

- ვფიქრობ, უნდა აღიარო, რომ დღეს არავითარი სასწაული არ იქნება, - უყვიროდა ათენას, - თავს ნება მიეცი, დიდებისმოყვარეობას გაეტაცე! - რატომ არ ეტყვის აია-სოფია ამ ხალხს, რომ აქედან წავიდნენ?!

- იმიტომ, რომ ის ადგენს ავადმყოფობას, - გამომწვევად უპასუხა ათენამ, - და რაც უფრო მეტ ადამიანს გავუკეთებთ სიკეთეს, მით უკეთესი იქნება.

მას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ხალხის ტაშისცემამ შეაწყვეტინა. ათენა იმპროვიზებულ სცენაზე ავიდა. ჩართეს მუსიკა. მან სთხოვა ყველას, ეცეკვათ ისე, რომ არ აჰყოლოდნენ მუსიკის რიტმს, და რიტუალიც დაიწყო. ვიორელი კუთხეში დაჯდა - აია-სოფია სცენაზე გამოვიდა. ათენამ გააკეთა ის, რაც არაერთხელ მინახავს, - უცებ შეწყდა მუსიკის ხმა, მან თავზე ხელები შემოიჭდო და ხალხიც ჩუმად დაემორჩილა უსიტყვო ბრძანებას.

რიტუალი უცვლელი თადარიგით მიმდინარეობდა - სიყვარულზე კითხვები უპასუხოდ რჩებოდა, მაგრამ ავადმყოფობაზე, პირად უსიამოვნებებზე, მტანჯველ შეჭირვებაზე ათენა პასუხობდა. ვხედავდი, ბევრს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, ბევრი მას თრთოლითა და გულისფანცქალით შეჰყურებდა. დადგა ფინალური ქადაგების დროც, რასაც უნდა მოჰყოლოდა დედის სადიდებელი საერთო ლოცვა.

ვიცოდი, რაც მოხდებოდა შემდეგ, და ვცდილობდი, როგორმე შეუმჩნევლად გავსულიყავი. მეგონა, ათენა დაუჯერებდა ანდრეას რჩევას და ხალხს ეტყოდა, რომ არ დალოდებოდნენ სასაწაულს. მე ვიორელისკენ წავედი, რათა დედამისი დაამთავრებდა თუ არა ლაპარაკს, გარეთ ერთად გავსულიყავით.

მაგრამ ამ დროს აია-სოფიას ხმა მომესმა:

- სანამ დავამთავრებდე, ვისაუბროთ დიეტაზე. დაივიწყეთ ყველა მონაჩმახი რეჟიმსა და კვების რაციონზე.

რაო? დიეტა? კვების რაციონი?

- კაცობრიობამ შეძლო გადარჩენა მრავალი ათასწლეულის მანძილზე იმიტომ, რომ ჰქონდა უნარი ჭამისა. მაგრამ ახლა, ჩვენს დღეებში, ეს უნარი წყევლასავით აღიქმება. რატომ? რა უღვიძებს ორმოცი წლის ადამიანს იმისკენ სწრაფვას, რომ მისი სხეული ისეთივე დარჩეს, როგორიც ოცი წლისა იყო? ნუთუ შესაძლებელია დროის ფაქტორის უარყოფა? რა თქმა უნდა, არა! რატომ უნდა ვიყოთ გამხდრები?

დარბაზს მსუბუქმა დრტვინვამ გადაუარა. ეტყობა, ხალხი უფრო რაღაც სულიერზე საუბარს ელოდა.

- სულაც არ უნდა ვიყოთ გამხდრები! ვყიდულობთ სახელმძღვანელოებს, დავდივართ ფიტნეს-ცენტრებში, მზად ვართ, მნიშვნელოვანი წილი ჩვენი ძალისხმევისა დროის შეჩერების მცდელობას მოვახმაროთ, მაშინ, როცა უნდა ვხარობდეთ იმით, რომ, უბრალოდ, დავიარებით დედამიწაზე. იმის ნაცვლად, რომ ვიფიქროთ, როგორ მოვაწყოთ უკეთ ჩვენი ცხოვრება, აკვიატებული აზრით ვებრძვით ზედმეტ წონას.

დაივიწყეთ ეს! თქვენ შეგიძლიათ, საფუძვლიანად შეისწავლოთ ნებისმიერი წიგნი, აკეთებდეთ მრავალნაირ ვარჯიშს, გაიწამოთ თავი დიეტით, მაგრამ ალტერნატივა უბრალოა: ან ცხოვრებას დაემშვიდობებით, ან გასუქდებით.

ჭამეთ ზომიერად, მაგრამ დაგემოვნებით. ბოროტება ის კი არაა, პირში რა ჩადის, არამედ ის, პირიდან რა გამოდის. გახსოვდეთ, რომ ათასწლეულობით ებრძოდნენ შიმშილს. ვის მოუვიდა აზრად, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე გამხდრები უნდა ვიყოთ?!

გეტყვით, ვისაც. სულის ვამპირებს. იმათ, ვისაც ასე ეშინიათ მომავლისა, რაც იმას გულისხმობს, თითქოს შესაძლებელია დროის შეჩერება. აია-სოფია გარწმუნებთ: ეს შეუძლებელია! დიეტაზე დახარჯული ენერგია და მთელი ძალისხმევა გამოიყენეთ იმისათვის, რათა სულიერების პურით იკვებებოდეთ. შეიმეცნეთ, რომ დიდი დედა გვაძლევს უხვად, მაგრამ ბრძნულად - მოეპყარით ამას პატივისცემით და თქვენ წონაში იმაზე მეტს არ მოიმატებთ, ვიდრე ამას დრო ითხოვს.

იმის ნაცვლად, რომ ხელოვნურად დაწვათ კალორიები, ეცადეთ, ის გადააქციოთ ენერგიად, რომელიც თქვენი ოცნების განხორციელებისთვის ბრძოლაში დაგჭირდებათ. გახსოვდეთ, მარტოოდენ დიეტით ჯერ არავის მოუხერხებია დიდი ხნით წონის დაკლება.

სიჩუმე ჩამოდგა. ათენამ ნიშანი მისცა და ყველამ ერთად დაიწყო დედის იქ ყოფნის სადიდებელი. მე კი ხელი ჩავავლე ვიორელს და ჩემს თავს დავპირდი, შემდეგში დაცვისათვის აუცილებლად მოვიყვანდი რამდენიმე მეგობარს. შესასვლელში ატეხილ ყვირილსა და ტაშისცემაში გარეთ გამოვაღწიეთ.

მეზობელი მაღაზიის მფლობელმა ხელი ჩამჭიდა და მეუბნება:

- იცოდეთ, ერთი ვიტრინაც რომ გამიტყდეს, ბრალს თქვენ დაგდებთ.

მოღიმარი ათენა ავტოგრაფებს არიგებდა. ვიორელი კმაყოფილი ჩანდა. ვლოცულობდი, რომ არც ერთი რეპორტიორი არ გამოჩენილიყო. როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ ხალხის ტალღას და ტაქსიში ჩავსხედით.

ჩემს თანამგზავრებს ვკითხე, რაიმეს ჭამა ხომ არ გსურთ-მეთქი. რასაკვირველია, განა ახლახან ამაზე არ ვსაუბრობდი? – მიპასუხა ათენამ.

ანტუან ლოკადური

ისტორიკოსი

მთელი ამ შეცდომების მწკრივში ყველაზე მეტად საერთაშორისო გამოცდილების მქონე, გამობრძმედილი ჟურნალისტის, ჰირონ რაიანის, გულუბრყვილობა მაკვირვებს. საუბარში მან გაიხსენა, რომ ტაბლოიდების სათაურებმა პირდაპირ გააშტერა.

„დიეტა ქალღმერთისაგან!“

„გახდით ჭამისას, მოგვიწოდებს პორტობელოელი ჯადოქარი“.

გარდა იმისა, რომ ათენა შეეხო ისეთ მგრძნობიარე თემას, როგორიც რელიგიაა, ის კიდევ უფრო შორს წავიდა: ალაპარაკდა დიეტაზე, საერთო ნაციონალური ინტერესის საგანზე, რომელიც გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ომები, გაფიცვები და ბუნებრივი კატაკლიზმები. ღმერთი ყველას არა სწამს, გახდომა კი ყველას უნდა.

გარშემო განლაგებული მაღაზიის მეპატრონეები რეპორტიორებს უყვებოდნენ, რომ ხედავდნენ, როგორ ენთო წითელი და შავი სანთლები და კოლექტიური ცერემონიის დაწყებამდე იმართებოდა რიტუალი რამდენიმე ადამიანის მონაწილეობით. ჯერჯერობით ამას იაფფასიანი სენსაციის სუნი დაჰკრავდა, მაგრამ რაიანი წინასწარ ვარაუდობდა ხმაურიან სასამართლო პროცესს, რომელზედაც მოსარჩლე მხარე ყოველგვარი შესაძლებლობით სარგებლობდა, რათა ეჩვენებინა არა მარტო ცილისწამების ფაქტები, არამედ ჩვენი საზოგადოების ფუძემდებლურ ღირებულებაზე თავდასხმაც.

ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა გაზეთმა გამოაქვეყნა ევანგელისტი პასტორის, მისი უწმინდესობა იენ ბაკის სტატია, სადაც ნათქვამი იყო:

„როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ჩემი ღირსების შემლახველი დაუმსახურებელი შეურაცხყოფის მიღების შემდეგ, ვალდებული ვიყავი, მეორე ლოყაც მიმეშვირა, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს უფლება, დავივიწყოთ, რომ იესო არათუ მეორე ლოყას უშვერდა, არამედ ამათრახებდა მათ, ვინც ეცდებოდა უფლის სახლის ქურდების ბუნაგად გადაქცევას. რაღაც ამდაგვარი ხდება ჩვენ თვალწინ პორტობელო-როუდზე: უსინდისო თაღლითები, ადამიანის სულის მხსნელთა შესამოსელით მოკაზმულნი, არარეალურ დაპირებებს იძლევიან, ადამიანებს კვებავენ ქიმერული იმედებით და იმათ, ვინც მათი მიმდევარი გახდება, არა მარტო ყოველგვარი ავადმყოფობისაგან განკურნებას ჰპირდებიან, არამედ ზედმეტი წონისგან გათავისუფლებასაც.

ამიტომაც სხვა არაფერი დამრჩენია, თუ არა ის, რომ მივმართო მართლმსაჯულებას მოწოდებით: გადაჭრას ეს აუტანელი სიტუაცია. ახლად მოვლენილ მწვალებელთა მიმდევრები ირწმუნებიან, რომ შეუძლიათ, ადამიანში გააღვიძონ მანამდე შეუმჩნეველი უნარი, უარყოფენ ღმერთის არსებობას და ცდილობენ, იგი შეცვალონ წარმართული ღმერთებით - ვენერათი და აფორდიტეთი. ამტკიცებენ, რომ ყველაფერი დასაშვებია, რაც „სიყვარულით“ კეთდება. მაგრამ რა არის სიყვარული?

ყოველგვარი მიზნის გამამართლებელი ამორალური ძალა? თუ კომპრომისი ჩვენი საზოგადოების ჭეშმარიტი ღირებულებებისადმი, როგორიცაა ტრადიცია და ოჯახი?

* * *

შემდეგი შეკრებისათვის, აგვისტოს შეხლა-შემოხლის გამეორების თავიდან ასაცილებლად საწყობთან რამდენიმე წესრიგის დამცველი გამოგზავნეს. ათენას, რომელსაც ამჯერად მცველები ახლდნენ, ტაშისცემასთან ერთად, წყევლა-კრულვაც ესმოდა. რომელიღაც ქალმა, ათენასთან რვა წლის ბიჭიც რომ დაინახა, ორი დღის შემდეგ იხელმძღვანელა 1989 წლის ბავშვთა დაცვის შესახებ მიღებული კანონით და მოითხოვა, ათენას ჩამორთმეოდა დედობის უფლება, რადგან თავის შვილს „საშინელ მორალურ ზიანს“ აყენებდა. ბავშვის აღზრდა მამას უნდა დავალებოდა.

ერთმა ბულვარულმა გაზეთმა მოახერხა ლუკას - იესენ-პეტერსონის მოძებნა, მაგრამ მან არ მოისურვა ინტერვიუს მიცემა და მოითხოვა, რეპორტიორებს არ გაებედათ ვიორელის მოხსენიება თავიანთ სტატიებში, თორემ თავის საქციელზე პასუხს არ აგებდა.

მეორე დღეს გამოვიდა ტაბლოიდი ვეება დასათაურებით: „პორტობელოელი ჯადოქრის ყოფილი ქმარი ირწმუნება, რომ შვილის გულისთვის მზად არის, მკვლელობა ჩაიდინოს“.

იმავე დღეს სასამართლოში ყბადაღებულ კანონზე დაფუძნებული კიდევ ორი სარჩელი შევიდა, იმ განსხვავებით, რომ ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა, სავარაუდოდ, სახელმწიფოს უნდა დაკისრებოდა.

შეკრება არ შედგა, თუმცა, კართან ბლომად იდგნენ მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც, პოლიციელები მათ არ აძლევდნენ ჩხუბის საშუალებას. ათენა არ გამოჩენილა. იგივე განმეორდა მეორე კვირასაც, ოღონდ ახლა ხალხიც და მცველებიც ნაკლებნი იყვნენ.

მესამე კვირას კი მხოლოდ დამჭკნარი ყვავილები ეყარა შესასვლელში. ვიღაც კაცი ყველა მსურველს ათენას ფოტოსურათს სთავაზობდა.

გაზეთებმა ამ თემის მიმართ ინტერესი დაკარგეს. პასტორმა ბაკმა მაშინვე განაცხადა, რომ უკან გაიტანდა სარჩელს ცილისწამებისა და სახელის გატეხის შესახებ, „ვინაიდან ქრისტიანული გრძნობა მიბრძანებს, მივუტევო შეცდომის მომნანიებელსო“. არც ერთმა მნიშვნელოვანმა ყოველდღიურმა გამოცემამ არ ისურვა, თავის ფურცლებზე ადგილი დაეთმო ამ განცხადებისათვის. ასე რომ, მისი გამოქვეყნება კენსიგტონის მცირეტირაჟიანი გაზეთის „მკითხველთა წერილების“ განყოფილებაში მოუხდათ.

რამდენადაც ვიცი, ამ მოვლენას არ მიუღია საერთო ნაციონალური რეზონანსი და სხვა ლონდონურ ახალ ამბებთან ერთად შუქდებოდა. ერთი თვის შემდეგ ბრაიტონში რომ ვიყავი, არავის, ჩემი იქაური მეგობრებიდან, არაფერი სმენოდა ათენას შესახებ.

უცნაურია: რაიანს ყველა შესაძლებლობა ჰქონდა, ესარგებლა ამ საქმით, თავის გაზეთში ამ ამბის პუბლიკაციით ტონს მისცემდა დანარჩენებს, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მან ერთი სტრიქონიც კი არ დაბეჭდა შერინ ხალილის შესახებ.

ჩემი აზრით, მომხდარი დანაშაული არაფრით არ უკავშირდება პორტობელოზე ადრე მომხდარ კონფლიქტს. ეს უფრო ავბედითი დამთხვევაა.

ჰირონ რაიანი

ჟურნალისტი

ათენამ მთხოვა, ჩამერთო ჩემი დიქტოფონი, თან თავისიც მოიტანა - ჩემთვის უცნობი მოდელისა, როგორც დღეს ამბობენ, ძალიან კარგი ხარისხის და ბოლო გამოშვება.

- უპირველეს ყოვლისა, უნდა განვაცხადო, რომ სიკვდილი მემუქრება. მეორეც, შემპირდი, რომ ჩემი სიკვდილის შემთხვევაში, ამ ჩანაწერს საჯაროდ გაახმიანებ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ. მომავალში ნათელი გახდება, რა არის მართალი და რა - სიცრუე.

მითხარი, რომ თანახმა ხარ, თორემ ეს იმას ემგვანება, რომ ფორმალურ ხელშეკრულებას ვდებთ.

- თანახმა ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ...

- არაფერია აქ საფიქრალი. თუ მკვდარს მიპოვიან, ეს ჩანაწერი ჩემი ანდერძი იქნება. ერთი პირობით - ახლა არ გამოაქვეყნებთ.

დიქტოფონი გამოვრთე.

- შენ არაფრისა არ უნდა გეშინოდეს. ძალიან გავლენიანი მეგობრები მყავს ეგრეთ წოდებულ სახელისუფლებო სტრუქტურებში. ისინი ჩემგან დავალებულნი არიან. მე მათ ვჭირდებოდი და კვლავაც დავჭირდები, ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია...

- ნუთუ შენთვის არაფერი მითქვამს ჩემს სკოტლანდ-იარდელ მეგობარზე?

როგორ - ისევ? ის თუ სინამდვილეში არსებობს, რატომ არ იყო იქ იმ დღეებში, როცა ასე გვჭირდებოდა მისი დახმარება, როცა ათენა და ვიორელი ლამის იყო ბრბოს შუაზე გაეგლიჯა?!

უამრავი კითხვა მებადებოდა - ჩემი გამოცდა სურს? რა ხდება ნეტავ ამ ქალის თავში, ხან ჩემთან ყოფნა რომ უნდა, ხან არარსებულ საყვარელს იგონებს?

- ჩართე, - მთხოვა მან.

თავს საძაგლად ვგრძნობდი - მეგონა, ყოველთვის მხოლოდ თავის სასარგებლოდ მიყენებდა. მინდოდა, მეთქვა: „მომშორდი და აღარასოდეს გამოჩნდე-მეთქი ჩემს ცხოვრებაში... ის ჯალათად მექცა ჩვენი გაცნობის დღიდან... მე ვიცდი, როდის მოხვალ, მომეხვევი და მეტყვი, რომ გინდა ჩემ გვერდით ყოფნა, მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება“.

- რა იყო, მოხდა რამე?

მან მშვენივრად იცოდა, სწორედაც რომ მოხდა. არ შეიძლებოდა, არა სცოდნოდა, რას ვგრძნობდი, რადგან მთელი ამ დროის მანძილზე მარტო იმას ვაკეთებდი, რომ მისთვის ჩემი გრძნობა მეჩვენებინა, თუმცა, ეს სიტყვებით ერთადერთხელ გამოვხატე. მაგრამ ვიყენებდი ყველა შესაძლებლობას, რათა მენახა, მასთან გავჩენილიყავი, ოღონდაც ეთხოვა. ვცდილობდი მისი შვილის კეთილგანწყობის მოპოვებას და იმედი მქონდა, ერთ მშვენიერ დღეს „მამას“ დამიძახებდა. არასდროს მირჩევია, მიეტოვებინა ის საქმე, რასაც აკეთებდა, უდრტვინველად ვღებულობდი მისი ცხოვრების წესს, ვემორჩილებოდი მის გადაწყვეტილებებს, ვწუხდი, როდესაც იტანჯებოდა, ვხარობდი, როცა იმარჯვებდა. და ვამაყობდი მისი სიმტკიცით.

- რატომ გამორთე დიქტოფონი?

ამ წამში ერთდროულად აღმოვჩნდი სამოთხის ტალავერშიც და ჯოჯოხეთშიც, არ ვიცოდი, გავცეცხლებულიყავი თუ დავმორჩილებოდი, ცივ ლოგიკას მივნდობოდი თუ გრძნობების დამანგრეველ ქარიშხალს. მთელი სულიერი ძალების წარმოუდგენელი დაძაბვით მაინც შევძელი თავის ხელში აყვანა.

ღილაკს თითი დავაჭირე.

- განვაგრძოთ.

- მაშ ასე, მე ვამბობდი, რომ სიკვდილი მემუქრება. მირეკავენ, მემუქრებიან, შეურაცხყოფას მაყენებენ, ირწმუნებიან, რომ საშიშროებას ვუქმნი მთელ მსოფლიოს; რომ მსურს დედამიწაზე სატანის გამეფება, ისინი კი ამას არ დაუშვებენ...

- პოლიციას თუ მიმართე?

განზრახ არ შევეკითხე მის სკოტლანდ-იარდელ „მეგობარზე“, ამით მივანიშნე, რომ ერთი წამითაც არ მჯეროდა მისი არსებობა.

- მივმართე. გამოიძიეს ზარები: ყველა ავტომატიდან იყო დარეკილი. მითხრეს, ნუ გეშინიაო, სახლს მეთვალყურეები დაუყენეს. ერთი კიდეც დააკავეს - ის სრულ

ჭკუაზე არ აღმოჩნდა - თავი ერთ-ერთ მოციქულად მიაჩნია და განზრახული აქვს „იბრძოლოს, რათა ქრისტე კვლავ არ განდევნონ“. ახლა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წევს... პოლიციაში თქვეს - სხვებისთვისაც არაერთხელ დაურეკავს და ასევე აბდაუბდად ლაპარაკობდაო.

- ჩვენს პოლიციას, თუ მოინდომა, შეუძლია, სათანადო სიმაღლეზე იდგეს. ჩემი აზრით, სინამდვილეში არაფრის არ უნდა გეშინოდეს.

- სიკვდილისა არ მეშინია. დღესვე რომ მეწეროს სიკვდილი, თან ისეთ წუთებს გავიყოლიებ, რაც ჩემი ასაკის ადამიანს არ განუცდია და გადაუტანია. მე სხვა რამ მაშინებს, ამიტომაც გთხოვე ჩვენი საუბრის ჩაწერა; მეშინია, მკვლელი არ გავხდე.

- რაო?

- ხომ იცი: სასამართლოში შეტანილია რამდენიმე სარჩელი ჩემთვის დედობის უფლების ჩამორთმევაზე. სურთ, ვიორელი წამართვან. დახმარება ვთხოვე მეგობრებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი გააწყვეს: სასამართლოს დადგენილებას უნდა დაველოდოთ. ყველაფერი სასამართლოზეა დამოკიდებული, მაგრამ მცოდნე ხალხი არ გამორიცხავს, რომ ამ ფანატიკოსებს შეუძლიათ, თავისი გაიტანონ. ამიტომაც ვიყიდე პისტოლეტი.

ჩემს თავზე გამოვცადე, რას ნიშნავს, ბავშვს დედას რომ ართმევენ. ასე რომ, როგორც კი გამოჩნდება აქ სასამართლოს პირველი აღმასრულებელი, ვესვრი, სანამ ტყვიები არ გამითავდება. გამითავდება და - სამზარეულოს დანას ავიღებ! დამაგდებინებენ? - კბილებითა და ფრჩხილებით დავიცავ! ვიორელს ცოცხალი თავით არავის დავანებებ. იწერება?

- ჰო. მაგრამ ხომ არის რაღაც საშუალება?

- არავითარი საშუალება. მამაჩემი დაესწრება პროცესს. ის ამბობს, საოჯახო სამართლის შესაბამისად, გადაწყვეტილება შეიძლება, არაკეთილსასურველი იყოსო... ბევრი არაფრის გაკეთება შეუძლია... შეწყვიტე ჩაწერა.

- ესაა შენი ანდერძი?

მან არ მიპასუხა. მე არაფერი წამომიწყია, მან აიღო ინიციატივა. მივიდა ფირსაკრავთან, დადო „სტეპის მუსიკის“ ფირფიტა, უკვე თითქმის ზეპირად რომ ვიცოდი, და დაიწყო ცეკვა - ისევე, როგორც რიტუალებზე, რიტმისა და ტაქტის საწინააღმდეგოდ, და ვიცოდი, ამას რატომაც აკეთებდა; მისი დიქტოფონი ჩაწერას განაგრძობდა - ის აქ მომხდარი ამბების უსიტყვო მოწმედ ქცეულიყო. საღამოსწინა მკრთალი შუქი აღწევდა ფარდებს შორის დარჩენილი ღრიჭოდან, მაგრამ ათენა სულ სხვა შუქის ძიებით იყო გართული, რომელიც აქ სამყაროს შექმნიდან არსებობდა.

მაგრამ, აი, დიდი დედის ნაპერწკალმა შეწყვიტა ცეკვა, შეწყვიტა მუსიკა, თავზე ხელები შემოიჭდო და გაირინდა. მერე უცებ შემომხედა.

- იცი თუ არა, შენ წინაშე ვინ არის?

- ვიცი. ათენა და მისი ღვთიური ნაწილი - აია-სოფია.

- მე მივეჩვიე ამის კეთებას. არა მგონია, რომ ეს ისე აუცილებელი იყო, მაგრამ აღმოვაჩინე მასთან შეხვედრის ხერხი, მერე კი ეს ჩემი ცხოვრების ტრადიციად იქცა. შენ გგონია, ახლა ათენას ელაპარაკები, მე კი აია-სოფია ვარ.

- ვიცი, - გავუმეორე მე, - მეორედ რომ ვცეკვავდი შენს სახლში, აღმოვაჩინე ჩემი მმართველი სულის სახელი: ფილემონი. მაგრამ მასთან არც ისე ხშირად ვსაუბრობ და არც მის საუბარს ვისმენ. თუმცა, როცა ის ამჟღავნებს თავის აქ ყოფნას, მგონია, რომ ჩვენი სულები, როგორც იქნა, შეხვდნენ ერთმანეთს.

- სწორედ ასეა. და ფილემონი და აია-სოფია დღეს სიყვარულზე ისაუბრებენ.

- მაშინ მეც უნდა ვიცეკვო...

- არ არის საჭირო. ფილემონი ისედაც გამიგებს, ვინაიდან ვხედავ, ის ჩემი ცეკვით გულაჩუყებულია. ჩემ წინ მდგომი ადამიანი იტანჯება იმის გამო, რომ მიუწვდომელი ვგონივარ - ჩემი სიყვარულის გამო.

მაგრამ ის ადამიანი, შენ ზღვარს მიღმა რომაა, შეიგნებს: ტანჯვა, წამება, მიტოვებულობის გრძნობა - ყველაფერი ეს არაფრისმთქმელი ბავშვობაა. მე შენ მიყვარხარ. მაგრამ ისე არა, როგორც ეს შენს ადამიანურ იპოსტასს სურს, არამედ ისე, როგორც ისურვა ღვთაებრივმა ნაპერწკალმა. ჩვენ ერთ კარავში ვცხოვრობთ, რომელიც ჩვენს გზაზე მან დადგა. იქ მივხვდებით, რომ ჩვენ ჩვენი გრძნობების მონები კი არა, მისი მბრძანებლები ვართ.

ჩვენ ვმსახურებთ და ვიღებთ მსახურებას, ვაღებთ ჩვენი სახლების კარებს და გულში ვიკრავთ ერთმანეთს, შეიძლება, ერთმანეთს ვკოცნით კიდეც - ვინაიდან ყველაფერი, რაც დედამიწაზე გაჯერებულია და სისავსით ცხოვრობს, უხილავად პოულობს თავის სწორფერს. და შენ იცი, ამას რომ ვამბობ, არც პროვოკაციას გიწყობ და არც შენი გრძნობებით ვთამაშობ.

- მაშ, სიყვარული რაღაა?

- სული, სისხლი, ხორცი დიდი დედისა. მე შენ მიყვარხარ ისევე ძლიერ, როგორც განდევნილ სულებს, უდაბნოში რომ ხვდებიან ერთმანეთს. ჩვენ შორის არასოდეს არავითარი ფიზიკური კონტაქტი არ მოხდება, მაგრამ უსარგებლო ვნება არ არსებობს და სიყვარულიც არ იქნება უარყოფილი. თუკი დედამ ის შენს გულში გააღვიძა, მაშასადამე, ჩემს გულშიც გაიღვიძებს. შეუძლებელია, რომ სიყვარულის ენერგია

ამაოდ დაიკარგოს - ის ამქვეყნად ყველაზე ძლევამოსილია და ბევრ რამეში სხვადასხვაგვარად მჟღავნდება.

- მე საამისოდ ძალა არ მყოფნის. ეს აბსტრაქციები მტანჯავენ და ჩემს მარტოობას უფრო ამძაფრებენ.

- მეც აგრეთვე. მინდა, რომ გვერდით ვინმე მყავდეს. მაგრამ ერთხელაც თვალები აგვეხილება, სიყვარულის ნაირგვარი იპოსტასი შეძლებს გამოვლენას და ტანჯვა დედამიწის პირიდან აღიგვება.

ვფიქრობ, ეს არ არის ძალიან შორს. ბევრი ჩვენგანი ბრუნდება ხანგრძლივი მოგზაურობიდან, სადაც გვაიძულებდნენ, გვეძია ის, რაც არ გვაინტერესებდა. ახლა ჩვენ ვაცნობიერებთ - „ის“ ცრუ რამ ყოფილა. მაგრამ ჩვენი დაბრუნებაც არ შეიძლება უმტკივნეულო იყოს, ვინაიდან ძალიან დიდხანს არ ვიმყოფებოდით აქ და მშობლიურ კუთხეში, უნებურად, სტუმრებად ვგრძნობთ თავს.

მალე არ დადგება ის დრო, როცა ვიპოვით მეგობრებს, რომლებიც აგრეთვე ოდესღაც წავიდნენ; ვიპოვით ადგილს, სადაც ჩვენი ფესვები იყო; სადაც დაფარულია ჩვენი განძი. მაგრამ ის დრო აუცილებლად დადგება.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ავღელდი, ამან სიმტკიცე შემმატა.

- სიყვარულზე მინდა საუბარი.

- ვსაუბრობ კიდეც სიყვარულზე. ეს ჩემს ცხოვრებაში ყველა ჩემი ძიების მიზანი იყო - მიმეღწია იმისათვის, რათა ჩემში სიყვარული დაუბრკოლებლად გამოვლენილიყო, რათა შემევსო ხარვეზები, ჩემი თავი იძულებული გავხადე, მეცეკვა, ვყოფილიყავი ღიმილიანი, შემეცნო ცხოვრების აზრი, გავფრთხილებოდი ჩემს შვილს, კონტაქტი დამემყარებინა ზეცასთან, კაცებთან, ქალებთან, ყველასთან, ვინც გზად შემხვდებოდა.

ადრე ჩემი გრძნობების დამორჩილებას ვცდილობდი, ვამბობდი რაღაც ამდაგვარს: „ეს იმსახურებს ჩემს გულისყურს, ეს კი - არა“... ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ არ მივხვდი ჩემს ხვედრს, რომ შეიძლებოდა დამეკარგა ყველაზე ძვირფასი.

- შვილი.

- მართალი ხარ - სიყვარულის ყველაზე უზადო და სრულყოფილი გამოხატულება. ეს იმ წუთში მოხდა, როცა შეიძლებოდა შვილს დავშორებოდი. როცა ჩემი თავი ვიპოვე და შევიგნე, რომ ველარასოდეს შევძლებდი ვერაფრის ვერც შეძენასა და ვერც დაკარგვას. მივხვდი თუ არა ამას, რამდენიმე საათს განუწყვეტლივ ვტიროდი; მთელი ამ ტანჯვის შემდეგ ჩემმა იმ ნაწილმა, რომელსაც აია-სოფია ჰქვია, მითხრა: „რა სისულელეებს იგონებ? სიყვარული მარადიულია! შენი შვილი კი, ადრე თუ გვიან, შენგან წავა!“

მე მივხვდი მისი სიტყვების აზრს.

- სიყვარული ჩვეულება არაა, არც კომპრომისია და არც ეჭვი. ეს ის არ არის, რასაც რომანტიკული მუსიკა გვასწავლის. სიყვარული არსებობს. აი, მოწმობა ათენასი, აია-სოფიასი, თუ შერინისა: სიყვარული - არსებობს. არ საჭიროებს არც დაზუსტებას და არც განსაზღვრას. გიყვარდეს და ნურაფერს იკითხავ. უბრალოდ, გიყვარდეს.

- ეს ძნელია.

- იწერ?

- ხომ მთხოვე, გამორთეო.

- ისევ ჩართე.

მეც დავემორჩილე.

- ჩემთვისაც ძნელია, - განაგრძო ათენამ, - ამიტომაც მივდივარ და აქ აღარ დავბრუნდები, დავიმალები, მოვშორდები აქაურობას... პოლიციას შეუძლია, დამიცვას მანიაკებისგან, მაგრამ ხალხის მართლმსაჯულებისგან ვერ დამიცავს. მე მქონდა ჩემი მოწოდება და მისი შესრულებისას ისე შორს წავედი, ლამის საკუთარი შვილიც კი გავწირე. მაგრამ არ ვნანობ: შევასრულე, რაც ბედმა მარგუნა.

- რა არის შენი მოწოდება?

- თვითონაც იცი, შენ თავიდანვე ჩემ გვერდით იყავი... მიზანი არის ის, რომ გზა გავუკაფო დედას, გავაგრძელო ტრადიცია, რომელიც დასამარებული იყო საუკუნეებით, მაგრამ ახლა აღორძინებას იწყებს.

- შესაძლებელია... - დავიწყე და ენა დამება. მაგრამ ათენა დუმდა, სანამ არ გავაგრძელე: - შესაძლებელია, ძალიან ადრე დაიწყე. ხალხი ამისთვის მზად არ იყო.

მან პასუხად გაიცინა.

- არა, რა თქმა უნდა, მზად იყო. ამიტომაც მოხდა ყველა ეს შეხლა-შემოხლა, ბნელეთის მოციქულობა, აგრესიული გულისწყრომა; ბოროტი მოციქულები სასიკვდილო აგონიაში არიან და ბოლო ძალებს იკრებენ. ისინი დღეს განსაკუთრებით ძლევამოსილნი ჩანან, მაგრამ ეს უკვე კონვულსიაა. ცოტა ხანიც და - ვერ შეძლებენ მოსწყდნენ დედამიწას.

მე ბევრის გულში ჩავაგდე თესლი და თითოეული მათგანი თავისებურად გამოხატავს ამ აღორძინებას. მათ შორის ერთ-ერთი მთლიანად განახორციელებს ტრადიციას. ეს ანდრეაა.

ანდრეა.

ვისაც ასე სძულდა იგი და ჩვენი სიყვარულის განელებისთვის ადანაშაულებდა; ვინც ყველას უმტკიცებდა, თუკი ვინმე მოსმენას მოისურვებდა, რომ ათენა შეიპყრო თავკერძობამ, დიდების მოყვარეობამ და თავისი წვალებით აწყობილ საქმეს საბოლოოდ დაღუპავდა.

ათენა ადგა და თავისი ჩანთა აიღო.

- მე ვხედავ მის აურას. ის იკურნება უსარგებლო ტანჯვისაგან.

- შენ, რა თქმა უნდა, იცი, რომ ანდრეას არ მოსწონხარ.

- რასაკვირველია, ვიცი. ჩვენ თითქმის ნახევარი საათია ვლაპარაკობთ სიყვარულზე, „მოწონებას“ ამასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ანდრეა არის ის ადამიანი, ვისაც საიმისო ნიჭი გააჩნია, რომ შემდეგშიც შეასრულოს ეს მოწოდება. მას ჩემზე მეტი გამოცდილება აქვს, მისი ქარიზმა ჩემსაზე ძლიერია. ის სწავლობდა ჩემს შეცდომებზე და შეიცნო, რომ საჭიროა უფრო ფრთხილად მოქცევა, ვინაიდან ბნელეთის მოციქულების სულთმობრძავი მხეცი განსაკუთრებით საშიშია, და ღია დაპირისპირების დროც დადგება. ანდრეას შეიძლება, ვძულდე, ალბათ, სწორედ ამიტომაც განავითარა ასე სწრაფად თავისი უნარი, რათა ეჩვენებინა, რომ ჩემზე უფრო გულუხვადაა ნიჭით დაჯილდოებული.

როცა ადამიანს სიძულვილი აიძულებს ზრდას, ეს სიძულვილი სიყვარულის მრავალი იპოსტასიდან მის ერთ-ერთ იპოსტასად იქცევა.

ათენამ აიღო თავისი დიქტოფონი, ჩანთაში ჩაიდო და წავიდა.

კვირის ბოლოს განაჩენი გამოიტანეს: მოწმეების ჩვენებების მოსმენის შემდეგ, სასამართლომ შერინ ხალილს, ათენას სახელით ცნობილს, დაუტოვა თავისი შვილის აღზრდის უფლება.

გარდა ამისა, იმ სკოლის დირექტორი, რომელშიც ვიორელი სწავლობდა, გააფრთხილეს, რომ ბავშვთან დაკავშირებით რაიმე დისკრიმინაციის შემთხვევაში კანონით აგებინებდნენ პასუხს.

ველოდებოდი ათენას ზარს, რათა ერთად აღგვენიშნა გამარჯვება. ჩემი მისდამი სიყვარული თანდათან ნაკლებად მაწამებდა. ტანჯვის წყარო უშფოთველი სიხარულის წყნარ ყურედ გადაიქცა. უკვე აღარ ვგრძნობდი უმოწყალო მარტოობას, რადგან ვიცოდი, რომ სადღაც სივრცეში ჩვენი სულები - ყველას სული, ვინც დევნილი იყო და ახლა დაბრუნდა, - კვლავ დიდი სიხარულით ზეიმობდა ახალ შეხვედრას.

გავიდა ერთი კვირა, ვფიქრობდი - ბოლო დღეების საშინელი დაძაბულობის შემდეგ ალბათ გონზე მოსვლას ცდილობს-მეთქი. გავიდა ერთი თვე. ვიფიქრე - შეიძლება, დუბაიში წავიდა და თავის ძველ საქმეს დაუბრუნდა-მეთქი, მაგრამ იქ რომ დავრეკე,

მიპასუხეს, უკვე კარგა ხანია, მასზე არაფერი გვსმენიაო, და მთხოვეს, თუ შეხვდები, გადაეცი, მისთვის კარი ყოველთვის ღიაა და კომპანიაში ძალიან გვაკლიაო.

მაშინ გადავწყვიტე, დამებეჭდა სტატიების სერია დედის აღორძინებაზე. სტატიებს ხმაურიანი წარმატება მოჰყვა, თუმცა რამდენიმე მკითხველის აღშფოთებაც გამოიწვია და „წარმართობის პროპაგანდაში“ დამადანაშაულეს.

კიდევ ორი თვის შემდეგ, სასადილოდ წასასვლელად რომ ვემზადებოდი, ჩემმა კოლეგამ დამირეკა: პორტობელოელი ჯადოქრის, შერინ ხალილის გვამი აღმოაჩინესო.

ის მხეცურად მოკლეს ჰემპსტედში.

* * *

ახლა, როცა ყველა ჩანაწერი გაშიფრულია, მას ათენას გადავცემ. ალბათ, უკვე სნოუდონის ნაციონალურ პარკში სეირნობს, რაც ყოველდღიურ ჩვეულებად ექცა. დღეს მისი დაბადების დღეა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისმა დედობილ-მამობილმა ამოარჩია ეს თარიღი, რათა მისი ამქვეყნად მოვლენა აღენიშნათ, - და მე მინდა, ეს ხელნაწერები გადავცე.

ვიორელი ბებიასა და პაპასთან ერთად ჩამოვიდა დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, მანაც გაუმზადა დედას სიურპრიზი: სტუდიაში ჩაწერა თავისი პირველი დისკი და დაგვპირდა, ვახშმობის შემდეგ მოგვასმენინებდა მის მიერ შექმნილ მუსიკას.

ათენამ მკითხა: „რატომ ჩაიდინეო ეს?“

მეც ვუპასუხე: „იმიტომ, რომ მსურდა, შენთვის გამეგო-მეთქი“. მთელი ამ წლების მანძილზე, რაც ერთად ვიყავით, ყველაფერი, რასაც მასზე ვისმენდი, ლეგენდა მეგონა, ახლა მივხვდი, რომ სრული სიმართლე ყოფილა.

მუდამ, როცა კი მოვისურვე თან ვხლებოდი - იქნებოდა ორშაბათობით მის სახლში მოწყობილი რიტუალი, რუმინეთი თუ მეგობრული საღამოები, - ყოველთვის მთხოვდა, ეს არ მექნა. სურდა, თავისუფალი ყოფილიყო. პოლიციელის თანდასწრება კი აუცილებლად შეაცბუნებდა თავმოყრილ საზოგდაოებას. ამასთან, სრულიად უდანაშაულონიც კი თავს რაღაცაში დამნაშავედ იგრძნობდნენ.

ათენასაგან უჩუმრად ორჯერ ვიყავი პორტობელოს საწყობში. ის ვერ ხვდებოდა, რომ ჩემი ხალხი შესვლისასაც და გამოსვლისასაც უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას. ერთხელ კი ხანჯლიანი კაციც დაიჭირეს - მოგვიანებით გამოაშკარავდა, რომ ის რომელიღაც მებრძოლი სექტის წევრი იყო. დაკითხვაზე ჩვენება მისცა, სულებმა მიბრძანეს, მეშოვა ათენას სისხლი და მისით გვეკურთხებინა მსხვერპლშეწირვაო. პორტობელოელი ჯადოქრის მოკვლას არ ვაპირებდი, მისი სისხლით მხოლოდ

ცხვირსახოცის დასველება მინდოდაო. გამოძიებამ დაადგინა, რომ მას, მართლაც, არ ჰქონდა განზრახული თავდასხმა, მაგრამ გაასამართლეს და ნახევარი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ათენას სიკვდილის ინსცენირების ავტორი მე არა ვარ - თვითონ მოისურვა, გამქრალიყო და მკითხა, ეს შეიძლებოდა თუ არა. მე ავუხსენი, თუ სასამართლო ჩამოართმევდა მშობლის უფლებას, კანონს ვერ დავარღვევდი, მაგრამ რაკიღა გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ გამოიტანეს, ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო ჩანაფიქრის განხორციელება.

ათენამ აშკარად შეიგნო: როგორც კი საწყობის ამბები ფართოდ გახმაურდებოდა, ის თავის დანიშნულებას ვეღარ შეასრულებდა. რამდენიც უნდა გემტკიცებინა ხალხისთვის, რომ ის არც დედოფალია და არც ჯადოქარი, არც ღვთაების მიწიერი ხორცშესხმა, ყველაფერი ამაო იქნებოდა, რადგან ხალხს სურს, მიჰყვეს ძალაუფლებით მოსილს, ამ ძალაუფლებით კი თვითონვე მოსავენ თავისი სურვილით. ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება იმ იდეას, რომელსაც ათენა აღიარებს - არჩევანის თავისუფლებას, საკუთარი აურის კურთხევას. ყველა ადამიანში მისი უნარის გამოღვიძება-გამოვლენას. ამისთვის კი საჭირონი არ არიან არც პასტორები და არც მეგზურები.

მას არ შეეძლო უბრალოდ გაქრობა და დამალვა - ხალხი იფიქრებდა, უდაბნოში წავიდა ანდა ზეცაში ამაღლდა, ან სადღაც ჰიმალაიში მცხოვრებ იდუმალ მასწავლებელთან შესახვედრად გაემგზავრაო, და საუკუნის დასასრულამდე დაუწყებდნენ ლოდინს მის დაბრუნებას. მისი სახელის ირგვლივ შეიქმნებოდა ლეგენდები და შეიძლება, მისი კულტიც წარმოშობილიყო. ჩვენ ეს მას შემდეგ შევამჩნიეთ, რაც მან პორტობელოში მისვლა შეწყვიტა: ჩემმა ინფორმატორებმა შემატყობინეს, რომ, ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მისმა თაყვანისცემამ საშიში მასშტაბი მიიღო: წარმოიქმნა ახალი საზოგადოებები, ხალხი თავს „აია-სოფიას მემკვიდრეობის დამცველს“ უწოდებდა, მისი სურათი ბავშვით ხელში - იატაკქვეშეთიდან იყიდებოდა. მას შეუწყნარებლობის მსხვერპლად მიიჩნევდნენ და წამებულთა რანგში შერაცხავდნენ. ნაირ-ნაირი ოკულტისტები უკვე ალაპარაკდნენ „ათენას ორდენის“ შექმნის თაობაზე და კისრულობდნენ - რასაკვირველია, გარკვეული თანხის საფასურად - ფუძემდებელთან კონტაქტის დამყარებას.

მაშასადამე, დარჩა მხოლოდ „სიკვდილი“. მაგრამ სიკვდილი უნდა მომხდარიყო სრულიად ბუნებრივ გარემოებაში და რა უნდა ყოფილიყო ვეება ქალაქის მცხოვრებლებისათვის უფრო ბუნებრივი, თუ არა - სერიული მკვლელის დანით სიცოცხლის მოსპობა.

ჩვენ უნდა მიგვეღო ზომები, რათა:

1) მკვლელობის მიზეზად არ მიჩნეულიყო რელიგიური მოტივი, რადგან ამ შემთხვევაში სიტუაცია, რომლის თავიდან აცილებაც გვსურდა, უფრო გართულდებოდა;

2) შეუძლებელი ყოფილიყო მსხვერპლის ასპროცენტიანი სიზუსტით იდენტიფიცირება;

3) მკვლელი არ ყოფილიყო დაკავებული;

4) დანაშაულის ადგილზე ნაპოვნი ყოფილიყო გვამი.

ისეთ მეგაპოლისში, როგორიც ლონდონია, ყოველდღიურად პოულობენ დანაწევრებულ, დამწვარ გვამებს, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ადრე თუ გვიან, დამნაშავეს იჭერენ. მაშასადამე, ორ თვეს მაინც ვიცდიდით ჰემპსტიდის მოვლენამდე. მკვლელი ამ შემთხვევისათვის მოინახა, მაგრამ უკვე მკვდარი - იგი გაემგზავრა პორტუგალიაში და იქ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. ახლა მჭირდებოდა ყველაზე უახლოესი მეგობრის დახმარება. ცნობილია, ხელი ხელს ჰბანსო - ისინი ხანდახან შემომჩიოდნენ, რომ არ შეეძლოთ ყველაფერში სიტყვასიტყვით დათანხმებოდნენ კანონს, ამასთან, კანონი კი არ ირღვეოდა, არამედ ცოტათი, ასე ვთქვათ, ჩვენთვის საჭირო მოსაზრების მიხედვით ხდებოდა მისი ინტერპრეტაცია.

გვამი რომ იპოვეს, მე ჩემი დიდი ხნის მეგობართან ერთად დამევალა გამოძიება. თითქმის ერთდროულად მივიღეთ ცნობა, რომ პორტუგალიურმა პოლიციამ ჰიმარაენსში აღმოაჩინა თვითმკვლელის გვამი, რომელსაც სიკვდილის წინ წერილი დაეტოვებინა, წერილში დაწვრილებით ყვებოდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე და მთელ თავის ქონებას ანდერძით საქველმოქმედო ორგანიზაციას უტოვებდა. ეს მკვლელობა ჩადენილ იქნა აფექტის მდგომარეობაში - უიღბლო სიყვარული ხშირად მთავრდება ასეთი ფინალით.

წერილში ნათქვამი იყო, რომ მომავალმა მკვლელმა თავისი მსხვერპლი გამოიყვანა ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკიდან და ყველაფერი გააკეთა ამ ქალის დასახმარებლად. ის უკვე აპირებდა მასზე დაქორწინებას, რაც ამ ქალს მისცემდა უფლებას, მიეღო ბრიტანეთის ქვეშევროდმობა, მაგრამ უეცრად აღმოუჩინა ვიღაც გერმანელის წერილი, რომელიც გერმანიაში იწვევდა, რათა ერთად გაეტარებინათ რამდენიმე დღე მის ციხე-დარბაზში.

ქალი სწერდა, რომ ძალიან უნდოდა მასთან ჩასვლა, და სთხოვდა, დაუყოვნებლივ გამოეგზავნა მისთვის თვითმფრინავის ბილეთი, რათა სასურველი შეხვედრა რაც შეიძლება მალე შემდგარიყო. გერმანელი ამ ქალს გასცნობოდა ლონდონის ერთ-ერთ კაფეში და წერილების გაცვლა-გამოცვლის მეტი მათ შორის არავითარი კონტაქტი არ ყოფილა.

ყველაფერი ეს იდეალურად პასუხობდა ჩემს გეგმას.

ჩემი მეწყვილე და მეგობარი თავდაპირველად ყოყმანობდა - არც ერთ პოლიციელს არ სურს, მის სახელზე გაუხსნელი მკვლელობა ირიცხებოდეს - მაგრამ, როცა ვუთხარი, პასუხისმგებლობას და დანაშაულს მე ვკისრულობდი, როგორც იქნა, დამთანხმდა.

წავედი, სადაც ათენა იმალებოდა - ოქსფორდ-სტრიტის სიმპათიურ სახლში. შპრიცით ავუღე ცოტაოდენი სისხლი, შევაჭერი თმის ბოლოები, დავწვი - ისე, რომ ბოლომდე არ დამწვარიყო და ეს „სამხილები“ დავტოვე დანაშაულის ადგილზე. რამდენადაც

დნმ-ს ანალიზი შეუძლებელი იყო - არავინ იცოდა, ვინ იყვნენ ათენას ბიოლოგიური მშობლები ან სად იმყოფებოდნენ. ისღა დამრჩენოდა, რომ, ასე ვთქვათ, თითები გადამეჯვარედინებინა და იმედი მქონოდა, ეს ამბავი პრესაში დიდ ხმაურს არ გამოიწვევდა.

გამოჩნდნენ რეპორტიორები, მათ მოვუყევი, რომ მკვლელმა თავი მოიკლა, დავასახელე მხოლოდ ქვეყანა, სადაც ეს მოხდა, ქალაქი არ მიხსენებია. ვაცნობე, რომ მკვლელობის მოტივი არ არსებობდა, მაგრამ კატეგორიულად უნდა უარვყოთ შურისძიება და რელიგიური მოტივი-მეთქი, ჩემი აზრით (ბოლოს და ბოლოს, პოლიციელიც შეიძლება, ცდებოდეს), ის სექსუალური ძალადობის მსხვერპლია. ბოროტმოქმედმა მოკლა იგი და დაამახინჯა.

გერმანელი წერილს თუ კიდევ გამოგზავნიდა, უკან დაუბრუნდებოდა წარწერით: „ადრესატი ადგილზე არ იმყოფება“. ათენას ფოტოსურათი გაზეთებში მხოლოდ ერთხელ დაიბეჭდა, პორტობელოში პირველი ღვთისმსახურების შემდეგ, ასე რომ, იმისი შანსი, რომ იგი ათენას იცნობდა, გამორიცხული იყო. ამ საქმეში ჩემ გარდა, ჩართული იყო კიდევ სამი პიროვნება - ათენას მშობლები და შვილი. ჩვენ ყველანი ვესწრებოდით ათენას დაკრძალვას, სამარეზე ქვა დავდეთ და ზედ მისი სახელი დავაწერეთ.

ბიჭი დედას ყოველკვირა ნახულობს, სხვათა შორის, ის ბრწყინვალედ სწავლობს.

რასაკვირველია, დადგება დღე, როცა ათენას განმარტება მობეზრდება და ლონდონში დაბრუნებას მოისურვებს. ეს სახიფათო სულაც არ იქნება - ყველაზე ახლობელი მეგობრების გარდა, აღარავის ემახსოვრება: ხალხს მოკლე მეხსიერება აქვს. ამ დროს კატალიზატორი იქნება ანდრეა. მით უმეტეს, რომ, სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, ის ათენაზე უფრო მარჯვედ შეასრულებდა ამ მისიას. გარდა იმისა, რომ დაჯილდოებულია საჭირო ნიჭით, ის მსახიობიცაა. ასე რომ, იცის, როგორ მოექცეს პუბლიკას.

fb.com/groups/elib

შევიტყვე, რომ მან ისე შეძლო თავისი მოღვაწეობის მასშტაბის მნიშვნელოვნად გაფართოება, არავის არ მიუქცევია გადაჭარბებული ყურადღება. ჰყვებიან, რომ მასთან კონტაქტს ამყარებენ საზოგადოებაში საკვანძო პოზიციების ხელმძღვანელი ადამიანები და, საჭირო შემთხვევაში, აუცილებელი კრიტიკული მასა რომ მოგროვდება, ისინი ბოლოს მოუღებენ პატივცემული ბაკების მსგავსთა ფარისევლობას.

სწორედ ამაზე ოცნებობდა ათენა, არა პირად წარმატებაზე (ბევრის და მათ შორის, ანდრეას აზრის საწინააღმდეგოდ), არამედ თავისი მოწოდების შესასრულებლად.

ჩემი ძიების დაწყებისას, რომლის შედეგიც ამ ხელნაწერებშია გადმოცემული, ვფიქრობდი, რომ მხოლოდ ათენას ცხოვრებას ვსწავლობდი, რათა შემეცნო მისი განუზომელი გამბედაობა, მაგრამ მასალების შეკრების პროცესში გამოჩნდა ჩემი ფარული როლიც და მაშინ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ამ მძიმე სამუშაოს მთავარ შემაგულიანებელ მოტივად იქცა ჩემი სწრაფვა - პასუხი გამეცა კითხვაზე, რაც დღედაღამ არ მაძლევდა მოსვენებას, რატომ ვუყვარდი ათენას, თუკი ჩვენ ასეთი განსხვავებულები ვართ და სულ სხვადასხვაგვარად ვუყურებთ სამყაროს?

მახსოვს, პირველად როგორ ვაკოცე - ეს იყო ვაგზალ ვიქტორიას მახლობელ ბარში. იმ დროს ის ბანკში მუშაობდა, მე კი სკოტლანდ-იარდის დეტექტივი ვიყავი. რამდენიმე პაემნის შემდეგ მან მიმიწვია ცეკვაზე იმ კაცის სახლში, სადაც ქირით ცხოვრობდა. მე უარი ვუთხარი - ეს არ იყო ჩემი სტილი.

იმის ნაცვლად, რომ სწყენოდა ან გაბრაზებულიყო, მითხრა, პატივს გცემ ამ გადაწყვეტილების გამოო. ახლა, მისი მეგობრების ჩვენებები რომ გადავიკითხე, ჭეშმარიტ სიამაყეს ვგრძნობ, რადგან სხვა არავის გადაწყვეტილებას ათენა ასეთ პატივს არ სცემდა.

რამდენიმე თვის შემდეგ, მისი დუბაიში გამგზავრების წინ, სიყვარულში გამოვუტყდი. მითხრა, რომ მასაც ვუყვარდი, მაგრამ უნდა მივეჩვიოთ განშორების ტკივილით ცხოვრებასო. მე აქ ვიქნები, ის - იქ, მაგრამ ნამდვილი სიყვარულისთვის განშორება საშიში არ არისო.

ოდესღაც, ერთადერთხელ ვკითხე: „რატომ გიყვარვარ-მეთქი“.

„არ ვიცი და არც მინდა, ვიცოდეო“, - მიპასუხა მან.

ახლა, როცა ამ ფურცლების წერას ვამთავრებ, ვფიქრობ, რომ ამის პასუხი ჟურნალისტთან მის საუბარში ვიპოვე.

სიყვარული არსებობს.

25.02.2006 წ. 19:47:00.

დავამთავრე გადახედვა

წმინდა ესპედიტოს დღეს, 2006 წ.

სქოლიო

[1] შენიშვნები ეკუთვნის პორტუგალიურ ენაზე გამოცემული წიგნის რედაქტორს.